# ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

## ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 35 02 | მოსახლეობის სოციალური დაცვა | 2,463,200.0 | 2,463,200.0 | - | 2,591,000.0 | 2,790,000.0 | 2,890,000.0 |
| 35 03 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა | 982,770.0 | 982,770.0 | - | 990,000.0 | 1,000,000.0 | 1,010,000.0 |
| 29 03 | ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 66,300.0 | 54,600.0 | 11,700.0 | 66,300.0 | 66,300.0 | 66,300.0 |
| 35 01 | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა | 53,530.0 | 52,530.0 | 1,000.0 | 51,000.0 | 51,000.0 | 51,000.0 |
| 35 04 | სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა | 25,000.0 | 25,000.0 | - | 20,000.0 | 20,000.0 | 20,000.0 |
| 54 00 | სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური | 5,200.0 | 5,200.0 | - | 5,200.0 | 5,200.0 | 5,200.0 |
| 30 04 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა | 3,720.0 | 3,650.0 | 70.0 | 3,720.0 | 3,720.0 | 3,720.0 |
| 35 05 | შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა | 3,500.0 | 3,500.0 | - | 4,000.0 | 4,000.0 | 4,000.0 |
| 57 00 | ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი | 260.0 | 260.0 | - | 260.0 | 260.0 | 260.0 |
| **სულ** | | **3,603,480.0** | **3,590,710.0** | **12,770.0** | **3,731,480.0** | **3,940,480.0** | **4,050,480.0** |

| მოსახლეობის სოციალური დაცვა (35 02) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, რომელთა უზრუნველყოფაც ხორციელდება პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით;<br><br>საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა;<br><br>შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია;<br><br>სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობების, მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტის, ლტოლვილთა-დევნილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობების, რეინტეგრაციის შემწეობის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა, ასევე შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;<br><br>მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისათვის/სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. ასევე, სამედიცინო პერსონალის დანამატების დაფინანსება - ექიმისთვის პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის - პენსიის ერთმაგი ოდენობით. მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის), მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ სთ ელექტროენერგიის საფასურისა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული და რეალიზებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებები;<br><br>მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დეინსტიტუციონალიზაცია, |

| | |
|---|---|
| | პრევენცია;<br><br>შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა;<br><br>ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული სერვისების  განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - კანონით განსაზღვრული ბენეფიციარები და მიზნობრივი სოციალური ჯგუფები დროულად იღებენ პენსიას/კომპენსაციას, საარსებო შემწეობას, სოცილაურ პაკეტს და სხვა მიზნობრივ დახმარებას;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - კანონით განსაზღვრული ბენეფიციარები და მიზნობრივი სოციალური ჯგუფები დროულად იღებენ პენსიას/კომპენსაციას, საარსებო შემწეობას, სოცილაურ პაკეტს და სხვა მიზნობრივ დახმარებას;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამის ქვეპროგრამებში ჩართული ბენეფიცაირების რაოდენობა - 10140;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამის ქვეპროგრამებში ჩართული ბენეფიცაირების რაოდენობა - 17780;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - სერვისის მიმწოდებელთა რესურსის ნაკლებობა |

| **მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (35 02 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა;<br><br>მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | საპენსიო ასაკის მოსახლეობა და სპეციფიური კატეგორიები უზრუნველყოფილია პენსიით და სახელმწიფო კომპენსაციით. |

| | |
|---|---|
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** კანონით განსაზღვრული ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან პენსიით და გაცემა ხდება დროულად (მიმღებთა რაოდენობა ჯამურად 721.2 პირი, მათ შორის 209.7 მამაკაცი,511.4 - ქალი );<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნდება პენსიის დროულად გაცემის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2%;<br>**შესაძლო რისკები -** ნაკლები მიმართვიანობა<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** კანონით განსაზღვრული ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან კომპენსაციით და გაცემა ხდება დროულად (მიმღებთა რაოდენობა 21.3 პირი, მათ შორის 16.9 მამაკაცი, 4.3 - ქალი );<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნდება კომპენსაციის დროულად გაცემის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2%;<br>**შესაძლო რისკები -** ნაკლები მიმართვიანობა |

| **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (35 02 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობების, მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტის, ლტოლვილთა-დევნილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობების, რეინტეგრაციის შემწეობის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა;<br><br>შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისათვის სოციალური ტრანსფერის გაცემა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური დახმარებით და გაცემა ხდება დროულად (მიმღებთა რაოდენობა 431.0 პირი, მათ შორის პენსიონერთა, შშმ პირთა და ბავშვთა რაოდენობა 50%); |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დახმარებების დროულად გაცემის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური პაკეტით და გაცემა ხდება დროულად (მიმღებთა რაოდენობა 167.0 მათ შორის, 62.4% მამაკაცი, 37.6% - ქალი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება სოციალური პაკეტის დროულად გაცემის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დევნილი, ლტოლვილი და ჰუმანიტარული სტატუსი მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან შემწეობით და გაცემა ხდება დროულად (მიმღები სულ 230404 მათ შორის 50.5% მამაკაცი, 49.5% ქალი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება სოციალური პაკეტის დროულად გაცემის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სპეციალიზებული დაწესებულებიდან ბავშვის ოჯახში დაბრუნების შემდეგ ბიოლოგიური ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან რეინტეგრაციის შემწეობით და გაცემა ხდება დროულად (რეინტეგრაციის შემწეობის მიმღებთა რაოდენობა - 438);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება რეინტეგრაციის შემწეობის დროულად გაცემის მაჩვენებელი (დაახლოებით 500);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ბიოლოგიური ოჯახების არასაკმარისი მზაობა, არაკეთილსაიმედო ოჯახური გარემო ბავშვისთვის<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან დახმარებით და გაცემა ხდება დროულად (11.0 ათასამდე ბენეფიციარი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დახმარების დროულად გაცემის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა, შობადობის კლება<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დასაქმებული ქალები უზრუნველყოფილნი არიან დახმარებით და გაცემა ხდება დროულად (მიმღები 1125 პირი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დახმარების დროულად გაცემის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა, პროგრამის ცვლილება<br>**7.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაზარალებული პირები უზრუნველყოფილნი არიან ზიანის ანაზღაურების დახმარებით და გაცემა ხდება დროულად (მიმღები 1031 პირი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დახმარების დროულად გაცემის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა<br>**8.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სხვადასხვა სოციალური კატეგორიები უზრუნველყოფილნი არიან საყოფაცხოვრებო სუბსიდიით და გაცემა ხდება დროულად (მიმღებთა რაოდენობა 27851 პირი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დახმარების დროულად გაცემის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა<br>**9.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები უზრუნველყოფილნი არიან ფულადი დახმარებით (1210 პირი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება გასაცემლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2% |

| **სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (35 02 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სოციალური სერვისებით და პროდუქტებით მიზნობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სოციალური სერვისებით და პროდუქტებით უზრუნველყოფილია 10140 ბენეფიციარი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სოციალური სერვისებით და პროდუქტებით უზრუნველყოფილია 14090 ბენეფიციარი; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - სერვისის მიმწოდებელთა რესურსის ნაკლებობა |

| **სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (35 02 04)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი შეღავათების დაფინანსება: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისათვის დანამატი პენსიის 20%-ის ოდენობით; სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით; დანამატი, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალზე (ექიმისთვის პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის - პენსიის ერთმაგი ოდენობით). ასევე, განხორციელდება აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურება (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა). |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | გაუმჯობესდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობა, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პენსიონერები/სოციალური პაკეტის მიმღები პირები მიიღებენ სახელმწიფო გასაცემელს გაზრდილი ოდენობით. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები/სოციალური პაკეტის მიმღები პირები უზრუნველყოფილნი არიან დანამატით და გაცემა ხდება დროულად;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნდება დანამატის დროულად გაცემის მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2% |

| **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (35 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ --საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმრების ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნის და საპასუხო |

| | |
|---|---|
| | რეაგირების უზრუნველყოფა;<br><br>გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია. მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება. ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა;<br><br>მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; იმუნიზაცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, ასევე, ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი;<br><br>ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის ამბულატორიული და სტციონარული სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება;<br><br>დონორების მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროგრამების ეტაპობრივად სახელმწიფოს ვალდებულებებში ასახვა;<br><br>საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უნივერსალური მოცვა;<br><br>სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება; |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე- 13.2;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 0,5%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - მოსახლეობის დაბერება და დემოგრაფიული თავისებურებები |

| | |
|---|---|
| | **2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხლადშობილზე -8.6;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 0,5%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** ინფექციური დაავადებების გაუთვალისწინებელი ეპიდემია<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დედათა სიკვდილიანობა 100 000 ცოცხლადშობილზე - 32.2;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება5%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** ინფექციური დაავადებების გაუთვალისწინებელი ეპიდემია |

| **მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (35 03 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისები; ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | თავიდან აცილებადი შემთხვევების შემცირების ხარჯზე სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირება;<br><br>სახელმწიფოს მიერ მიღწეულია უნივერსალური მოცვა, ხოლო მოსახლეობის ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე - 13.2;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 0,5%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** მოსახლეობის დაბერება და დემოგრაფიული თავისებურებები<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** მოსახლეობის დაბერება და დემოგრაფიული თავისებურებები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 0,5%-ით; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** ინფექციური დაავადებების გაუთვალისწინებელი ეპიდემია<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დედათა სიკვდილიანობა 100 000 ცოცხლადშობილზე - 32.2;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება5%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** ინფექციური დაავადებების გაუთვალისწინებელი ეპიდემია<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** გეგმურ ამბულატორიულ მომსახურების მოცვის ზრდა: 1 სულ მოსახლეზე გეგმური მიმართვების რაოდენობა - 3;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მიმართვიანობის გაზრდა 0,5%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე; სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სერვისის მიწოდების ორგანიზაციული ხარვეზები |

| **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (35 03 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის მიზნით, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი უალედური შედეგი** | გადამდები და არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება;<br><br>დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;<br><br>ტუბერკულოზით, აივ–ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება;<br><br>ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული ავადობის შემცირება; |

| | |
|---|---|
| | C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დედათა სიკვდილიანობა 100 000 ცოცხლადშობილზე - 32.2;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება5%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** ინფექციური დაავადებების გაუთვალისწინებელი ეპიდემია<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ტუბერკულოზის პრევალენტობის საბაზისო მაჩვენებელი 96:100000 მოსახლეზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ტუბერკულოზის პრევალენტობის მაჩვენებლის შემცირება წინა წელთან შედარებით 5%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** პაციენტთა დამყოლობის დაბალი მაჩვენებელი<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** C ჰეპატიტის აქტიური დაავადების პრევალენტობა მოზრდილთა შორის 5%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მაჩვენებლის შემცირება 15% წინა წელთან შედარებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის დაბალი მაჩვენებელი |

| **დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (35 03 02 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | დაავადებათა ადრეული გამოვლენის და გავრცელების შეზღუდვა;<br><br>ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი (ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-დან 70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 25-დან 60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი - 50-დან 70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის, 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში სპეციფიკურ ანტინგენზე გამოკვლევა პროსტატის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით);<br><br>საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი (გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით);<br>1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა;<br>ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა; |

| | |
|---|---|
| | დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის საპილოტე, დღენაკლულთა სიბრმავის პროფილაქტიკა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და გავრცელების პრევენციის ღონისძიებების გაუმჯობესება;<br><br>სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მაჩვენებლების გაუმჯობესება;<br><br>საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მაჩვენებლის გაზრდა, სოფლის ექიმების აქტიური ჩართულობის (Pap-ტესტის აღება) და მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლების გზით სკრინინგული კვლევით მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება, მონიტორინგის სისტემის სრულყოფა;<br><br>ბავშვთა ასაკის მენტალური დარღვევების ადრეული გამოვლენა და სერვისზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;<br><br>ეპილეფსიის დიაგნოსტიკის და სერვისზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;<br><br>დღენაკლულთა რეტინოპათიის ადრეული გამოვლენა და მკურნალობის სქემებში დროული ჩართვა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საპროგნოზო რაოდენობებთან შედარებით კიბოს სკრინინგული კვლევების შესრულების მაჩვენებლები:ძუძუს კიბოს სკრინინგი -99.5%; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 97,3%; პროსტატის კიბოს სკრინინგი - 100%; კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 97,5%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** კიბოს ახლად გამოვლენილ შემთხვევებში მე–4 და მე–3 სტადიაზე გამოვლენილი შემთხვევების წილის შემცირება 3% (2017 წლის მონაცემებთან შედარებით);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2-3%;<br>**შესაძლო რისკები -** მოსახლეობის დაბალი ცნობიერება კიბოს სკრინინგის სარგებლის შესახებ; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის სიმცირე<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი-გურჯაანის მუნიციპალიტეტში გამოკვლეულ ბენეფიციართა რაოდენობა - 1122; კოლპოსკოპიული გამოკვლევების რაოდენობა - 187; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი (Pap–ტესტი) - 94.0%, კოლპოსკოპია - 96.9%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მიზნობრივი პოპულაციის მოცვის მაჩვენებელი - 30%; საშვილოსნოს ყელის კიბოს ახლად გამოვლენილ შემთხვევებში მე–4 და მე–3 სტადიაზე გამოვლენილი შემთხვევები შეადგენს არაუმეტეს 20%-ს;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 4%;<br>**შესაძლო რისკები -** მოსახლეობის დაბალი ცნობიერება კიბოს სკრინინგის სარგებლის შესახებ; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სამედიცინო პერსონალის სიმცირე |

| | |
|---|---|
| | **3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის შესრულების მაჩვენებელი საპროგნოზო რაოდენობასთან მიმართებაში - 99,8%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სერვისის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ქ.თბილისის და დამატებით 1 ქალაქის მასშტაბით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%;<br>**შესაძლო რისკები -** რეგიონების დაბალი ჩართულობა; არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიმწირე<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა- გამოკვლეულ ბენეფიციართა რაოდენობა - 2625 ბენეფიციარი, მათ შორის 45% თბილისის მაცხოვრებელი, ხოლო სხვადასხვა რეგიონებიდან - 55%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სერვისის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია თბილისის და ქუთაისის (პილოტი) მასშტაბით; ახლად გამოვლენილი ეპილეფსიის საეჭვო და წარსულში ეპილეფსიის დიაგნოზის მქონე პაციენტთა 6%-ს ჩაუტარდა დიაგნოზის გადამოწმება(დადასტურება ან უარყოფა) ხარისხიანი მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით. ეპილეფსიის ეროვნული რეგისტრი დაინერგა ქვეყნის მასშტაბით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%;<br>**შესაძლო რისკები -** რეგიონების დაბალი ჩართულობა არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის საპილოტე პროექტი ქ. თბილისის და დამატებით 1 ქალაქის მასშტაბით დაბადებული და რეფერირებული დღენაკლული ახალშობილების 100%-ის გამოკვლევა რეტინოპათიის დიაგნოსტირების მიზნით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისე მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1-2%;<br>**შესაძლო რისკები -** ტექნიკური მიზეზი |

| **იმუნიზაცია (35 03 02 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მოსახლეობის დაცვის და შესაბამისი მარაგების შექმნის მიზნით, ვაქცინების (მათ შორის აივ-ინფექცია/შიდსით და C ჰეპატიტით დაავადებული პირებისათვის B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციისათვის) და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა; |

| | |
|---|---|
| | სპეციფიკური (ბოტულიზმის, დიფტერიის, ტეტანუსის, გველის შხამის საწინააღმდეგო) შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა;<br><br>ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა;<br><br>გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა;<br><br>ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან რეგიონულ/რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებამდე;<br><br>წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში ეპიდჩვენებით იმუნოპროფილაქტიკის წარმოება, გრიპის საწინააღმდეგო სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული პირების აცრა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | მოსახლეობის მართვადი ინფექციებისაგან დაცვა, ვაქცინებითა და ვაქცინაციისათვის საჭირო სახარჯი მასალებით უწყვეტად უზრუნველყოფის გზით;<br><br>მონიტორინგისა და ლოჯისტიკის სისტემის გაუმჯობესება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინები და ასაცრელი მასალები შესყიდულია დაგეგმილი მოცვის შესაბამისი რაოდენობით; იმუნიზაციით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვის მაჩვენებელი - დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3-95%, ოპვ 3- 95% , წწყ 1-95%, წწყ 2- 95;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** იმუნიზაციით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვის მაჩვენებელი - დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3-95%, ოპვ 3- 95% , წწყ 1-95%, წწყ 2- 95%; ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინები და ასაცრელი მასალები შესყიდულია დაგეგმილი მოცვის შესაბამისი რაოდენობით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%;<br>**შესაძლო რისკები -** მოსახლეობის არასრული ნდობა პროგრამული ვაქცინების უსაფრთხოების მიმართ („ფასიანი“ ვაქცინა „უფასო“ ვაქცინის წინააღმდეგ); ვაქცინების გლობალურ ბაზარზე რომელიმე ვაქცინის დეფიციტი<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სპეციფიკური შრატები და ვაქცინები შესყიდულია დაგეგმილი (1290 დოზა) რაოდენობის შესაბამისად;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სპეციფიკური შრატები და ვაქცინები შესყიდულია დაგეგმილი (ბოტულიზმზი, დიფტერიაზე , ტეტანუსზე - 130 ადამიანის სამკურნალო დოზა; გველის შრატი - 160დოზა; ყვითელი ცხელება - |

| | |
|---|---|
| | 1000დოზა) რაოდენობის შესაბამისად;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%;<br>**შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ბაზარზე რომელიმე ვაქცინის დეფიციტი<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებზე უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა ანტირაბიულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის მასშტაბით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%;<br>**შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ბაზარზე ვაქცინის დეფიციტი<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა -მაღალი რისკის ჯგუფების მიზნობრივი პოპულაცია - 25 000 ბენეფიციარი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაღალი რისკის ჯგუფების მიზნობრივი პოპულაციის (30 000 პირი) მოცვის მაჩვენებელი - არანაკლებ 99%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-3%;<br>**შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ბაზარზე ვაქცინის დეფიციტი; მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში უზრუნველყოფილია ექიმისა და ექთნის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში უზრუნველყოფილია ექიმისა და ექთნის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე; სამედიცინო პერსონალის მოტივაციის არარსებობა (როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური) მოცვის მაღალი მაჩვენებლის მიღწევის ან რთულად მოსაზიდი პოპულაციის ვაქცინაციის მიზნით |

| ## ეპიდზედამხედველობა (35 03 02 03) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრების მიერ ეპიდზედამხედველობის განხორციელება და |

| | |
|---|---|
| | სამედიცინო სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირება;<br><br>მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების სამოქმედო არეალზე ეპიდზედამხედველობითი ღონისძიებების განხორციელება;<br><br>მალარიისა და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) პარაზიტული დაავადებების პრევენცია და კონტროლი;<br><br>ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობა და კონტროლი;<br><br>ვირუსული დიარეების კვლევა ქვეყანაში შერჩეული საყრდენი ბაზებიდან (ინფექციური პროფილის მქონე სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მომსახურებას უწევს 0-14 წლის ასაკის ბავშვებს), ჰოსპიტალიზებულ ბავშვთა (0-14 წლის) ფეკალური სინჯების ლაბორატორიული კვლევა როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე;<br><br>გრიპის სეზონური გავრცელების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა (მ.შ. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა) და განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | გადამდები დაავადებების დროულად გამოვლენის მაჩვენებლის გაზრდა; იმუნოპროფილაქტიკისათვის საჭირო მასალის და აღჭურვილობის აუცილებელი მარაგით უზრუნველყოფის მონიტორინგი;<br><br>ლოჯისტიკისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის დანერგვა;<br><br>მალარიის და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესება;<br>ნოზოკომიური ინფექციების კონტროლი;<br><br>მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობა;<br><br>გრიპის ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესება სენტინელური მეთვალყურეობის გზით. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - -რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრების 100%-ის მიერ ხორციელდება სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარმოდგენა; ეპიდზედამხედველობის ერთიან სისტემაში ჩართულია და მონაწილეობს მუნიციპალური სჯდ ცენტრების 100%; -საქართველოს ყველა რაიონში არსებობს ინფრასტრუქტურა და საშუალებები ვაქცინების, შრატების და ასაცრელი მასალების ცივი ჯაჭვის პრინციპის დაცვით შენახვისა და ლოჯისტიკის უზრუნველსაყოფად; -სამოქმედო არეალზე იმუნიზაციის დაგეგმვის და სერვისის |

| | |
|---|---|
| | მიწოდების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა ხორციელდება მუნიციპალური სჯდ ცენტრების 100%-ის მიერ; -იმუნიზაციის მოდული დანერგილია სჯდ ცენტრების 100%-ში; -ეპიდზედამხედველობა წარმოებს ტუბერკულოზის კონტაქტირებულ პირთა აქტიური მოძიებისათვის (ერთ პაციენტზე - 4.0 კონტაქტი); -იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებების 100%-ის შეფასება, პროგრამის ჩართვისათვის დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების თაობაზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2%<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** მალარიოგენულ ტერიტორიებზე (პოტენციურ კერებში) ინსექტიციდით დამუშავებული ტერიტორიების (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი) პროცენტული წილი შეადგენს 95%-ს; მალარიის ადგილობრივი შემთხვევების რაოდენობა - 0;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მალარიოგენულ ტერიტორიებზე (პოტენციურ კერებში) ინსექტიციდით დამუშავებული ტერიტორიების (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი) პროცენტული წილი შეადგენს 95%-ს; მალარიის ადგილობრივი შემთხვევების რაოდენობა - 0;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2-5%;<br>**შესაძლო რისკები -** ტექნიკური მიზეზი; შესასყიდი მასალების დეფიციტი ბაზარზე<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის სენტინელური ბაზების რაოდენობა 10%-ით გაზრდილია წინა წლის მაჩვენებელთან (7%) შედარებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ნოზოკომიური ინფექციების ზედამხედველობის სენტინელური ბაზების რაოდენობა გაიზარდა 20%-ით (2017 წელთან შედარებით); განისაზღვრა ყველა კლინიკის ბაზაზე ნოზოკომიური ინფექციების გამომწვევი წამყვანი პათოგენები და მათი ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** სამედიცინო დაწესებულებების დაბალი ინტერესი (ცნობიერების დაბალი დონის და პროგრამული დაფინანსების შეზღუდვის ( კონტროლი, რევიზია) რისკის გამო) ნოზოკომიური ინფექციების გამოვლენისადმი<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობა (როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე) დამყარებულია ქ.თბილისის არანაკლებ 2 ბავშვთა საავადმყოფოს ბაზაზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** -მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობა (როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე) დამყარებულია ქ.თბილისის არანაკლებ 2 ბავშვთა საავადმყოფოს და დამატებით 1 ქალაქის ბაზაზე; -მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ მოწოდებულია ნიმუშების დაგეგმილი რაოდენობის არანაკლებ 75% როტა, ნორო და ადენოვირუსულ ინფექციებზე ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მიზნით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%;<br>**შესაძლო რისკები -** სამედიცინო დაწესებულებების დაბალი ინტერესი (ფინანსური ინტერესის არარსებობა და |

| | |
|---|---|
| | ცნობიერების დაბალი დონის გამო) ნოზოკომიური ინფექციების გამოვლენისადმი<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საყრდენი ბაზიდან მოწოდებული კლინიკური ნიმუშის არანაკლებ 95%-ში ჩატარებულია კონფირმაციული კვლევა გრიპის ვირუსზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საყრდენი ბაზიდან მოწოდებული კლინიკური ნიმუშის არანაკლებ 95%-ში ჩატარებულია კონფირმაციული კვლევა გრიპის ვირუსზე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%;<br>**შესაძლო რისკები -** ტექნიკური მიზეზი |

| **უსაფრთხო სისხლი (35 03 02 04)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ათაშანგზე;<br><br>ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა;<br><br>სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელება ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია. |
| **პროექტის მოსალოდნელი უუალედური შედეგი** | სისხლისა და სისხლის კომპონენტების ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება;<br><br>უანგარო დონაციათა მაჩვენებლის გაზრდა;<br><br>განახლებული დონორთა ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზის სისხლის ბანკებში და სამედიცინო დაწესებულებებში დანერგვა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში დონორული სისხლის 100% კვლევა ხდება B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე (EIA მეთოდით) და სიფილისზე (TPHA ან RPR მეთოდით);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** ქვეყანაში არ წარმოებს სისხლის ბანკების მიერ გამოყენებული ტესტ-სისტემების შესაბამისობის ვალიდაცია |

| | |
|---|---|
| | 2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - -ხარისხის კონტროლის მიზნით სისხლის ბანკებიდან შერჩევითად ამოღებული 3000 ნიმუში რეტროსპექტულ ტესტირებას გადის ცენტრის ლაბორატორიაში; -საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე რეფერენს-ლაბორატორიის მიერ ხარისხის გარე კონტროლის (პროფესიული ტესტირების) ტარდება კვარტალში ერთხელ; -დაინერგა განახლებული სისხლის დონორთა ერთიანი ეროვნული ელექტრონული ბაზა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სისხლის ბანკებში ჩატარებული დონორთა ლაბორატორიული კვლევების 5%-ის რეტესტირება ლუგარის რეფერალური ლაბორატორიის მიერ; პროგრამაში მონაწილე ყველა სისხლის ბანკში პროფესიული ტესტირების განხორციელება საერთაშორისო სტანდარტებით აკრედიტებულ რეფერენს ლაბორატორიის მიერ; დონორთა ერთიანი ეროვნული ელექტრონული ბაზაში ყველა სისხლის ბანკის სავალდებულო მონაწილეობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-3%;<br>**შესაძლო რისკები** - ქვეყანაში არ წარმოებს სისხლის ბანკების მიერ გამოყენებული ტესტ-სისტემების შესაბამისობის ვალიდაცია<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მთლიან დონაციებში უანგარო დონაციების ხვედრითი წილი - 35%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - უანგარო დონაციების ხვედრითი წილის ზრდა 15%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - დონაციის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე; საწარმოო ტრანსფუზიოლოგიასთან დაკავშირებული კომერციული ინტერესები (დონორის და სერვისის მიწოდებლის მხრიდან); აქტიური საკომუნიკაციო კამპანიისათვის საჭირო რესურსების (ფინანსური, ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური) სიმწირე |

| **პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (35 03 02 05)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების პრევენციის გზით და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ხელშეწყობა |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | პროფესიული დაავადებების რეგისტრაცია დარგების მიხედვით, მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და სათანადო რეკომენდაციების მომზადება არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შერჩეულ საწარმოებში განხორციელდა პროფესიული დაავადებების გამომწვევი რისკ-ფაქტორების გამოვლენა დარგების მიხედვით; შერჩეულ საწარმოებში მიზნობრივი ჯგუფების 90%-ს ჩატარებულია |

| | |
|---|---|
| | რეფერენს-კვლევები; თითოეული საწარმოს პროფილისა და რისკების გათვალისწინებით შემუშავებულია რეკომენდაციები და საინფორმაციო-სატრენინგო მასალა; შექმნილია პროფესიული რისკების ეპიდემიოლოგიური რუქა და განახლებულია მონაცემთა ბაზა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სამუშაო ადგილებზე არსებული პროფესიული რისკების ინვენტარიზაცია და შეფასება უზრუნველყოფილია შეფასებული საწარმოების 95%-ში; პროფესიული რისკ-ფაქტორების პირველადი პრევენციის ღონისძიებათა კომპლექსისა და მავნე ფაქტორების ექსპოზიციის დონის შემცირების რეკომენდაციები შემუშავებულია დამონიტორინგებული საწარმოების 95%-ში; დასაქმებულთა ჯანმრთელობის მონიტორინგის ოპტიმალური სქემები და სამედიცინო შემოწმების პერიოდულობა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით განსაზღვრულია შემოწმებული საწარმოების 95%-ში; შეფასებული საწარმოების 95%-ის ადმინისტრაციასა და დასაქმებულებს ჩაუტარდათ სწავლება პროფესიული დაავადებების პრევენციის, პროფესიული რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების საკითხებზე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%;<br>**შესაძლო რისკები -** დკსჯეც-ს და სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას მონიტორინგის ჩატარება მხოლოდ იმ საწარმოში, რომელთა ადმინისტრაცია გამოხატავს თანხმობასა და კეთილ ნებას, მონიტორინგის განხორციელებაზე; დაწესებულებებს და დასაქმებულებს არ გააჩნიათ ინტერესი პროგრამაში მონაწილეობაზე (სამსახურის დაკარგვის შიშით); დაწესებულებების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, პროგრამის ეფექტმა გავლენა ვერ მოახდინოს პროფესიული დაავადებების პრევენციაზე |

| ინფექციური დაავადებების მართვა (35 03 02 06) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მოსახლეობის გადამდებ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;<br><br>ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება;<br><br>ინფექციური სნეულებებით დაავადებული პირებისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი- 1,2%; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - არ აღინიშნება საბაზისო მაჩვენებელის ზრდა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-4%;<br>**შესაძლო რისკები** - დაგვიანებული მიმართვიანობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების 100% მომსახურება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-1%;<br>**შესაძლო რისკები** - არასრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები |

| **ტუბერკულოზის მართვა (35 03 02 07)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ტუბერკულოზის ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოკვლევა, დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ);<br><br>ლაბორატორიული მართვა;<br><br>ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება;<br><br>სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების მკურნალობა (მ.შ. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა ახალი მედიკამენტებით და მკურნალობის მონიტორინგი);<br><br>ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მ.შ. პირველი რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების შესყიდვა; მომსახურების სრულად ანაზღაურება;<br><br>ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ხანგრძლივვადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობა;<br><br>ტუბერკულოზის პრევალენტობის შემცირება;<br><br>შემცირებული ახალი შემთხვევები; |

| | |
|---|---|
| | ფილტვის ტუბერკულოზის ყველა ახლადგამოვლენილი შემთხვევის კონტაქტების ეპიდკვლევა<br><br>სპეციალურად შემუშავებული კითხვარების  საშუალებით;<br><br>მგბ+ შემთხვევების ადრეული დიაგნოსტიკა, გამოვლენა და პასუხების დროული რეფერალის უზრუნველყოფა;<br><br>ყველა საკვლევი ნიმუშის/ნახველის ტრანსპორტირება აღებიდან 24 საათში;<br><br>პირველადი ლაბორატორიული კვლევა (ბაქტერიოსკოპიული და Gene Xpert)  ნახველის აღებიდან 3 დღის ვადაში;<br><br>ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა უზრუნველყოფა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პირველი და მეორე რიგის მედიკამენტებით. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ტუბერკულოზის პრევალენტობის საბაზისო მაჩვენებელი 96:100000 მოსახლეზე; დაფიქსირდა 42 ათასზე მეტი ამბულატორიული მომსახურების შემთხვევა, მომსახურება გაეწია 21 ათასზე მეტ პაციენტს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტუბერკულოზის პრევალენტობის მაჩვენებლის შემცირება წინა წელთან შედარებით 5%; საჭირო გამოკვლევით, დიაგნოსტიკური საშუალებებითა და ხარისხიანი მედიკამენტებით პაციენტთა მოცვის ზრდა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - პაციენტთა დამყოლობის დაბალი მაჩვენებელი<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია საკვლევი ნიმუშების დროული რეფერალი, მგბ+ შემთხვევების ადრეული დიაგნოსტიკა და გამოვლენა; პირველადი ლაბორატორიული კვლევა (ბაქტერიოსკოპიული და Gene Xpert) ნახველის აღებიდან 3 დღის ვადაში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნახველის ლაბ. კვლევა ჩატარებულია არა უგვიანეს ნახველის აღებიდან მე-3 დღეს; ყველა საკვლევი ნიმუშის ტრანსპორტირება განხორციელებულია საკვლევი მასალის აღებიდან 24 საათში;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ლაბორატორიაში კრიტიკული შეცდომის მაჩვენებელი არ აღემატება წელიწადში 0.2%-ს;<br>**შესაძლო რისკები** - ნახველის ლოჯისტიკის სისტემის გამართული ფუნქციონირება (მომსახურების მიწოდება წარმოებს შპს ,,საქართველოს ფოსტის" მიერ და არ არსებობს რისკების დაზღვევის მექანიზმი);- ლაბორატორიაში კვალიფიციური ადამიანური რესურსების შენარჩუნებისა და მოზიდვის სირთულე (მოტივაციის დაბალი დონე)<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სტაციონარული მომსახურება გაეწია 2 106 პირს და დაფიქსირდა 99.8 ათასზე მეტი შემთხვევა; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჭიროების მქონე პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია სტაციონარული მომსახურებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 4%;<br>**შესაძლო რისკები** - მატერიალურ/ტექნიკური/ადამიანური რესურსის ნაკლებობა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პენიტენციური დაწესებულებებისთვის ტუბერკულოზის მართვის მიზნით მედიკამენტების, სხვა სახარჯი და დამხმარე მასალების შესყიდვა და გადაცემა: არ განხორციელდა (არ იყო მოთხოვნა);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პენიტენციური დაწესებულებები უზრუნველყოფილი იქნებიან ტუბერკულოზის მართვისთვის მედიკამენტებით, სხვა სახარჯი და დამხმარე მასალებით მოთხოვნის შესაბამისად;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0%;<br>**შესაძლო რისკები** - პენიტენციური დაწესებულებების მხრიდან მოთხოვნის ნაკლებობა<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ამბულატორიული სექტორის ტუბსაწინააღმდეგო ერთეულებისა და პირველადი ჯანდაცვის ქსელში ტუბსაწინააღმდეგო აქტივობების ზედამხედველობა და მონიტორინგი სერვისის მიმწოდებელთა 100%-ში უზრუნველყოფილია; შესყიდული წამლებისა და პაციენტების მკურნალობისადმი სრული დამყოლობისათვის ფინანსური წახალისების შესახებ ანგარიშგება უზრუნველყოფილია 100%-ში; რეგიონის დონეზე DOT-ის დაგეგმვა და უზრუნველყოფის მონიტორინგი წარმოებს შემთხვევათა 100%-ში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ამბულატორიული სექტორის ტუბსაწინააღმდეგო ერთეულებისა და პირველადი ჯანდაცვის ქსელში ტუბსაწინააღმდეგო აქტივობების ზედამხედველობა და მონიტორინგი სერვისის მიმწოდებელთა 100%-ში უზრუნველყოფილია; შესყიდული წამლებისა და პაციენტების მკურნალობისადმი სრული დამყოლობისათვის ფინანსური წახალისების შესახებ ანგარიშგება უზრუნველყოფილია 100%-ში; რეგიონის დონეზე DOT-ის დაგეგმვა და უზრუნველყოფის მონიტორინგი წარმოებს შემთხვევათა 100%-ში;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%;<br>**შესაძლო რისკები** - გლობალური ფონდის აქტივობების დასრულების შემდგომ მონიტორინგის და შეფასების სისტემების სრულად სახელმწიფო ვალდებულებებში ასახვა<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჩატარებულია ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთა კონტაქტების ეპიდკვლევა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საფუძველზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩატარებულია ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთა კონტაქტების ეპიდკვლევა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საფუძველზე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - კოორდინაციის ნაკლებობა ფტიზიატრიულ და ეპიდემიოლოგიურ სამსახურებს შორის<br>**7.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მედიკამენტები შესყიდულია დაგეგმილი რაოდენობის მიხედვით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ფარმაცევტულ ბაზარზე წამლის დეფიციტი<br>**8.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია ფულადი წახალისება მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ხანგრძლივ ვადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე რეზისტენტულ პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით: პაციენტთა რაოდენობის ზრდა - 375-მდე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - პაციენტთა ცნობიერების დაბალი დონე |

| **აივ ინფექცია/შიდსის მართვა (35 03 02 08)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამა არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან);<br><br>აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება;<br><br>აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა;<br><br>აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის და მეორე რიგის (სრული ღირებულების არა უმეტეს 25%) მედიკამენტების შესყიდვა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი სკრინინგით მაქსიმალური მოცვა;<br><br>ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით სრულად უზრუნველყოფა;<br><br>შიდსით დაავადებულებში აივ-ინფექციასთან დაკავშირებული ლეტალობის შემცირება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩატარებულია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირების 60%-ში; აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩატარებულია აქვთ |

| | |
|---|---|
| | ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე პაციენტების 60%-ში; აივ–ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩატარებულია ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების და მათი სქესობრივი პარტნიორების 5%-ში; აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩატარებულია B და/ან C ჰეპატიტების მქონე პაციენტების 15 %-ში. ზემოაღნიშნული ჯგუფებისათვის აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგული კვლევისათვის საჭირო ტესტ-სისტემების და სახარჯი მასალების უწყვეტად მიწოდება უზრუნველყოფილია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩატარებული აქვთ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირების არანაკლებ 65%-ს; აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩატარებული აქვთ ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე პაციენტების არანაკლებ 65 %-ს; აივ–ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩატარებული აქვთ ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების და მათი სქესობრივი პარტნიორების 10%-ს. აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩატარებული აქვს B და/ან C ჰეპატიტების მქონე პაციენტების არანაკლებ 20%-ს ზემოაღნიშნული ჯგუფებისათვის აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგული კვლევისათვის საჭირო ტესტ-სისტემების და სახარჯი მასალების უწყვეტად მიწოდება უზრუნველყოფილია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ნარკომომხმარებლების მხრიდან სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის სტიგმა (კრიმინალიზაციის საფრთხე); B და C ჰეპატიტის დიაგნოზის მქონე პირების ტესტირებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ბარიერების არსებობა; ტესტ სისტემების მომწოდებელი კომპანიის (ტენდერში გამარჯვებული) მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება (მაგ.: დაგვიანება ტესტ სისტემების მოწოდებაში და ა.შ)<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა მომსახურების 46.4 ათასამდე შემთხვევა; ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 3.6 ათასზე მეტმა პირმა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში მოსარგებლეები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული მკურნალობით;<br>**შესაძლო რისკები** - დაბალი მიმართვიანობა; სტიგმა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა მომსახურების 717 შემთხვევა (534 ბენეფიციარი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში მოსარგებლეები უზრუნველყოფილნი არიან უფასო სტაციონარული მკურნალობით;<br>**შესაძლო რისკები** - დაბალი მიმართვიანობა; სტიგმა<br>**4.** |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი -** აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების და მეორე რიგის (სრული ღირებულების არაუმეტეს 25%-ის) შესყიდვა, მიღება და ტრანსპორტირება (სამკურნალო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაფორმების და პროგრამის სერვისების მიმწოდებელთან ტრანსპორტირების ხარჯები) პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან აივ-ინფექციის/შიდსის სამკურნალო მედიკამენტებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** ფარმაცევტულ ბაზარზე წამლის დეფიციტი |

| **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (35 03 02 09)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით: ანტენატალური მეთვალყურეობა;<br><br>მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა;<br><br>გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა;<br><br>ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსის და სიფილისის სკრინინგი;<br><br>ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე;<br><br>ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა;<br><br>ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება;<br><br>ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება;<br><br>ანტენატალური ვიზიტით მოცვის გაზრდა; |

| | |
|---|---|
| | საჭირო მედიკამენტებით ორსულთა  უზრუნველყოფის მოცვის გაზრდა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - 44071; წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე 8.6;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სრული ანტენატალური ვიზიტით მოცვის მაჩვენებელის ზრდა 10%; ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 1.5%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%;<br>**შესაძლო რისკები** - არასრულად განხორციელებული ვიზიტები<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა 4.5 ათასზე მეტი ორსულის სკრინინგული გამოკვლევა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - რისკ ჯგუფის ორსულთა 70% ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - ჰიპერდიაგნოსტიკა (პაციენტში დაავადების ან მისი გართულების მცდარი დადგენა)<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ანტენატალურ მომსახურების ბენეფიციარ ორსულ ქალთა 93%-ს ჩატარებული აქვს სკრინინგი B და C ჰეპატიტზე, სიფილისზე და აივ ინფექცია/შიდსზე; დედიდან ბავშვზე აივ–ინფექცია/შიდსის გადაცემის მაჩვენებელი 1.7%; დედიდან ბავშვზე B ჰეპატიტის გადაცემის მაჩვენებელი 0.5 %-ზე ნაკლებია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ანტენატალური მომსახურების ბენეფიციარ ორსულ ქალთა 90%-ს ჩატარებული აქვს სკრინინგი B და C ჰეპატიტზე, სიფილისზე და აივ ინფექცია/შიდსზე; დედიდან ბავშვზე აივ–ინფექცია/შიდსის გადაცემის მაჩვენებელი 0.5 %-ზე ნაკლებია; დედიდან ბავშვზე B ჰეპატიტის გადაცემის მაჩვენებელი 0.5 %-ზე ნაკლებია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - ორსულ ქალთა ცნობიერების დონე, ანტენატალური მეთვალყურეობის საჭიროების შესახებ; ინფექციების დიაგნოსტირების შემთხვევაში გარკვეულ ინფექციებზე (სიფილისი, C ჰეპატიტი) მკურნალობის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ან არაეფექტურობა. ტესტ სისტემების მომწოდებელი კომპანიის (ტენდერში გამარჯვებული) მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება (მაგ.: დაგვიანება ტესტ სისტემების მოწოდებაში და ა.შ)<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 55.9 ათასზე მეტი ახალშობილი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკრინინგული კვლევით მოცვის ზრდა 10%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - მუკოვისციდოზის სკრინინგზე გეოგრაფიულად არათანაბარი ხელმისაწვდომობა<br>**5.** |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა ქ. თბილისის სამშობიარო სახლებში ჩაუტარდა 23.0 ათასზე მეტ ახალშობილს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკრინინგული კვლევით მოცვის ზრდა 10%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2-10%;<br>**შესაძლო რისკები** - საქართველოს რეგიონებში ახალშობილთა სმენის სკრინინგის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმწირე<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მედიკამენტებით უზრუნველყოფა-რკინის პრეპარატების მიმღებთა რაოდენობა- 1003; ფოლიუმის მჟავას მიმღებთა რაოდენობა -12 739; საკვები დანამატების მიმღები 6-23 თვის სოციალურად დაუცველი ბავშვი - 778;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ანტენატალური სერვისის მიმღებ ორსულთა 100% უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავით; რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზის მქონე ორსულთა 80% უზრუნველყოფილია რკინის პრეპარატით. სოციალურად დაუცველი ოჯახების 6-23 თვის ასაკის ბავშვების 100% უზრუნველყოფილია მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - სერვისის მისაღებად ტექნიკური ბარიერების არსებობა; მიზნობრივი კონტინგენტის/მათი (ბავშვები) კანონიერი წარმომადგენლების ცნობიერების დაბალი დონე |

| **ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 02 10)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა;<br><br>ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა;<br><br>ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სტაციონარული დეტოქსიკაციის კომპონენტის ფარგლებში ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - |

| | |
|---|---|
| | 441;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს სააგენტოში მომართული პაციენტების 90% უზრუნველყოფილია სტაციონარული დეტქოსიკაციითა და პირველადი რეაბილიტაციით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - პროგრამაში ჩართვისთის არსებული ბარიერები (რიგითობა)<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა - 4400;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი პაციენტების 100% უზრუნველყოფილია ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - შესაძლო არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის კომპონენტის ფარგლებში მედიკამენტი შესყიდულია დაგეგმილი რაოდენობის მიხედვით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტი შესყიდულია დაგეგმილი რაოდენობის მიხედვით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - მიწოდების წყვეტის საშიშროება შესყიდული მედიკამენტის მოწოდების ვადების დარღვევის გამო<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემის კომპონენტის ფარგლებში უზრუნველყოფილია მედიკამენტზე ხელმისაწვდომობა პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების მიხედვით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - მიწოდების წყვეტის საშიშროება შესყიდული მედიკამენტის მოწოდების ვადების დარღვევის გამო<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ეფექტურობის შეფასების კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაცია, ინფორმაციის დამუშავება და ინფორმაციული რესურსების შექმნა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ტექნიკური ხარვეზი<br>**6.** |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მკურნალობის პროცესში ჩაერთო 508 პაციენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჭიროების მქონე პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია სტაციონარული მომსახურებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - ჰიპერდიაგნოსტიკის გამო პაციენტთა რიცხვის დაუგეგმავი ზრდა |

| ჯანმრთელობის ხელშეწყობა (35 03 02 11) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება;<br><br>ჯანსაღი კვების შესახებ განათლება და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება;<br>ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა;<br><br>C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა;<br><br>ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ნივთიერება დამოკიდებულების პრევენცია;<br><br>ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | თამბაქოს კონტროლის მექანიზმის გაძლიერება;<br><br>თამბაქოს საკითხებზე მოსახლეობისა და პროგრამით განსაზღვრული კონტინგენტის ინფორმირებულობის დონის ამაღლება;<br><br>თამბაქოსაგან თავისუფალი დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა;<br><br>თამბაქოს ცხელი ხაზის საშუალებით თამბაქოს საკითხებზე კონსულტირებული მოსახლეობის მოცვის მაღალი მაჩვენებელი;<br><br>თამბაქოსთვის თავის დანებების კონსულტირების პრინციპების შესახებ პჯდ მედ.პერსონალის ცოდნის დონის გაზრდა; |

| | |
|---|---|
| | მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება C ჰეპატიტის პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და დროული მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ;<br><br>C ჰეპატიტის პროგრამაში ბენეფიციარების ჩართულობის მაქსიმალური უზრუნველყოფა;<br><br>ჯანმრთელობის საკითხების მოსახლეობის განათლება და ცნობიერების ამაღლება; სწორი ქცევის ფორმირების ხელშეწყობა;<br><br>ჯანმრთელობის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, რაც მოსახლეობას ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ფაქტორების უკეთესი კონტროლისა და მათი გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება ჯანსაღი ცხოვრების წესის თაობაზე; მოსახლეობის ინფორმირება C ჰეპატიტის პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და დროული მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ; ალკოჰოლის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება; თამბაქოს კონტროლის მექანიზმის გაძლიერება; თამბაქოს საკითხებზე მოსახლეობისა და პროგრამით განსაზღვრული კონტინგენტის ინფორმირებულობის დონის ამაღლება; ჯანსაღი კვების შესახებ მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება; მოსახლეობის ცოდნის დონის ზრდა, რომელმაც იცის რეგულარული ფიზიკური აქტივობის რაობის შესახებ; ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების და მოწყვლადი ჯგუფების ცოდნის დონის ამაღლება პრობლემის დროული გამოვლენის და სრულყოფილი მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ; სოციალურ მუშაკთა და პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალის ცოდნის დონის ამაღლება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3-5%;<br>**შესაძლო რისკები -** თამბაქოს ინდუსტრიის მძლავრი პრომოცია/ადვოკატირება თამბაქოს მავნებლობის თაობაზე მოსახლეობის და გადაწყვეტილების მიმღები პირების განწყობების შესაცვლელად |

| C ჰეპატიტის მართვა (35 03 02 12) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სკრინინგული კვლევა, C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა, მათ შორის, მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა; პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით (სოფოსბუვირი, ჰარვონი, |

| | |
|---|---|
| | პეგილირებული ინტერფერონი, რიბავირინი) უზრუნველყოფა;<br><br>მედიკამენტების ლოჯისტიკა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | C ჰეპატიტის სკრინინგული კვლევების მოცვის არეალის გაფართოება;<br><br>პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტების რაოდენობის ზრდა;<br><br>C ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სკრინინგული კვლევა-C ჰეპატიტზე 2016 წლის განმავლობაში დასკრინულ ბენეფიციართა რაოდენობა ცენტრის ლაბორატორიებისა და გამსვლელი ბრიგადებით - 70211 ბენეფიციარი, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 12890 (18,3%); C ჰეპატიტზე 2016 წლის განმავლობაში დასკრინულ ბენეფიციართა რაოდენობა დაკონტრაქტებული დაწესებულებების მიერ - 18900 ბენეფიციარი, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 1405 (7.8%);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოცვის გაზრდა 50%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ცნობიერების დაბალი დონე<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სადიაგნოსტიკო კვლევები ჩაუტარდა 21 000-ზე მეტ პირს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - წინა წლის მაჩვენებელი შენარჩუნებულია ან ზრდადია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ცნობიერების დაბალი დონე; გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დიაგნოსტირებულ პაციენტთა 90% ჩართულია მკურნალობის კომპონენტში; მკურნალობის კომპონენტში მყოფი პაციენტების დასრულებული კურსი - 90%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - წინა წლის მაჩვენებელი შენარჩუნებულია ან ზრდადია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%;<br>**შესაძლო რისკები** - ცნობიერების დაბალი დონე; გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა<br>4.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია მედიკამენტზე ხელმისაწვდომობა პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების მიხედვით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%;<br>**შესაძლო რისკები** - ტექნიკური მიზეზი |

| მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (35 03 03) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმრების ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება;<br><br>არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება და მოსახლეობის დაცვა ამ დაავადებებით გამოწვეული ფინანსური რისკებისგან, მათთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებზე (მათ შორის პირველადი სამედიცინო მომსახურებები სასწრაფო–გადაუდებელ შემთხვევებში) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება;<br><br>პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია 555 პაციენტს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა - სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმის/ ექთნის მომსახურებით, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ერთ სულ მოსახლეზე მიმართვების რაოდენობამ შეადგინა 4.0;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები -** კვალიფიციური/ადგილობრივი კადრის ნაკლებობა |

| **ფსიქიკური ჯანმრთელობა (35 03 03 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს მოსახლეობისათვის;<br><br>ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული მომსახურება;<br><br>ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;<br><br>ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია;<br><br>თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება;<br><br>ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება;<br><br>ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება;<br><br>ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების  მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 24 000;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 88 პაციენტმა; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შესაბამისი კრიტერიუმების მქონე, მომართული პაციენტების 100% უზრუნველყოფილია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ჰიპერდიაგნოსტიკა, პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 433-მა ბავშვმა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფსიქიკური მდგომარეობის და ქცევის ცვლილების მქონე, 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ნეიროგანვითარებითი და ფსიატრიული გუნდის მომსახურებით. მომართვის შემთხვევაში 100%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 555 პაციენტს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია 3 სათემო მობილური გუნდის მომსახურება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - თემზე დაფუძნებული ფსიქიატრიული სერვისების მოცვის გაზრდა 35%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - შესაბამისი კადრების დეფიციტი<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 5 311;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომართულ/გადმომისამართებულ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია სტაციონარული სერვისით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა<br>**7.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტით ისარგებლა 111-მა პირმა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-1%;<br>**შესაძლო რისკები** - საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა არსებული პროგრამული რესურსის ფონზე |

| დიაბეტის მართვა (35 03 03 02) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება;<br><br>სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება;<br><br>შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;<br><br>შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების შესაძლო გართულებების პრევენცია. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა;<br><br>დიაბეტით გამოწვეული სპეციფიკური გართულებების შემცირება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების კომპონენტის ფარგლებში: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ 903-მა დიაბეტით დაავადებულმა ბავშვმა, რაც დაახლოებით 14% ზრდაა 2015 წელთან შედარებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - წინა წელთან შედარებით მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის დაუგეგმავი გაზრდა არსებული პროგრამული რესურსის ფარგლებში<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით ისარგებლა 5400-ზე მეტმა პირმა, რაც მეტია მიზნობრივ მაჩვენებელზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - ჰიპერდიაგნოსტიკა, პაციენტთა რაოდენობის დაუგეგმავი ზრდა არსებული პროგრამული რესურსის ფარგლებში<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართულ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია მედიკამენტებით; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - მედიკამენტების მოწოდების ვადების დარღვევის გამო მოსალოდნელი წყვეტა |

| **ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (35 03 03 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | 18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური პაციენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურებით მოცული ბენეფიციარები. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ონკოჰემატოლოგიური მომსახურების საჭიროების მქონე პაციენტთა 100% მოცვა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - საერთაშორისო გაიდლაინებისა და პროტოკოლების შესაბამისად მკურნალობის განსახორციელებლად საჭირო რესურსის ნაკლებობა |

| **დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (35 03 03 04)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ჰემოდიალიზით და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა;<br><br>ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება;<br><br>თირკმლის ტრანსპლანტაცია; |

| | |
|---|---|
| | ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა;<br><br>ჰემოდიალიზზე მყოფ პაციენტთა სისხლძარღვოვანი მიდგომით უზრუნველყოფა;<br><br>თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პირების დიალიზით უზრუნველყოფა და მოცვა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჰემოდიალიზით ისარგებლა 2 740-მა ბენეფიციარმა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჰემოდიალიზის საჭიროების მქონე პაციენტთა 100% მოცვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - დიალიზის სახის ცვლილება (ჰემოდიალიზზე მყოფი პირების გადასვლა პერიტონეულ დიალიზზე, თირკმლის ტრანსპლანტაციის ჩატარება), გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ცალკეულ რეგიონებში<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პერიტონეული დიალიზით ისარგებლა 120-მდე პაციენტმა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე პაციენტთა 100% მოცვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - დიალიზის სახის ცვლილება (პერიტონეულ დიალიზზე მყოფი პირების გადასვლა ჰემოდიალიზზე, თირკმლის ტრანსპლანტაციის ჩატარება)<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებები, მასალები და მედიკამენტები შესყიდულია დაგეგმილი რაოდენობის მიხედვით და უზრუნველყოფილია მიწოდება სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებამდე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე; მოწოდების ვადების გახანგრძლივება<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დაფიქსირდა თირკმლის ტრანსპლანტაციის 22 შემთხვევა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სერვისით უზრუნველყოფის მაჩვენებელი შენარჩუნებულია ან ზრდადია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობის დაუგეგმავი გაზრდა<br>**5.** |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - ორგანოგადანერგილ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია იმუნოსუპრესული მედიკამენტებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - პაციენტები, რომლებიც არ მომართავენ პროგრამას, პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტებისგან განსხვავებული მედიკამენტის საჭიროების მქონე პაციენტები |

| **ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (35 03 03 05)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა;<br><br>ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა;<br><br>ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარები. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ამბულატორიული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 895;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამით მოცულ არეალში მიზნობრივი პოპულაცია 100%-ით უზრუნველყოფილია ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა; კვალიფიციური ადამიანური რესურსის ნაკლებობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სტაციონარული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 1007;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომართული ინკურაბელური პაციენტების 100% უზრუნველყოფილია სტაციონარული პალიატიური მზრუნველობით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - არასაკმარისი მომართვიანობა; გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა |

| | |
|---|---|
| | **3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილია ნარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1%;<br>**შესაძლო რისკები -** ჰიპერდიაგნოსტიკა (პაციენტში დაავადების ან მისი გართულების მცდარი დადგენა); მედიკამენტების მიწოდების შეფერხება |

| **იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 03 06)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება;<br><br>იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება;<br><br>ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება;<br><br>იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ქვეპროგრამით მოცული ბენეფიციარები;<br><br>ქვეპროგრამით მოცული იშვიათ დაავადებათა  და ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების რაოდენობა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ამბულატორიული მომსახურება გაეწია 193 ბავშვს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** პროგრამით განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე 18 წლამდე პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან ამბულატორიული მეთვალყურეობით -მიმართვის შემთხვევაში 100%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა<br>**2.** |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - სტაციონარული მომსახურება გაეწია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის 496 ბავშვს (732 შემთხვევა);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამით განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე 18 წლამდე პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან სტაციონარული მომსახურებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია 211 პაციენტს, დაფიქსირდა 4.9 ათასზე მეტი შემთხვევა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით -100%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჰემოფილიით დაავადებული ბავშვები და მოზრდილები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო მედიკამენტებით -100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე; მოწოდების ვადების გახანგრძლივება<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ფენილკეტონურიით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან სამკურნალო საკვები დანამატით - მომართვის შემთხვევაში 100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე;მოწოდების ვადების გახანგრძლივება<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მუკოვისციდოზით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან სპეციფიკური მედიკამენტით - მომართვის შემთხვევაში 100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე;მოწოდების ვადების გახანგრძლივება<br>**7.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინებიით (ბრუტონის დაავადება)დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან სპეციფიკური მედიკამენტით - მომართვის შემთხვევაში 100%; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე; მოწოდების ვადების გახანგრძლივება<br>**8.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ზრდის ჰორმონის დეფიციტისა და ტერნერის სინდრომის მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან ზრდის ჰორმონით- მომართვის შემთხვევაში 100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე; მოწოდების ვადების გახანგრძლივება<br>**9.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - იუვენილური ართრიტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ ბიოლოგიურ პრეპარატებს უზრუნველყოფილნი არიან საჭირო მედიკამენტით -100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე; მოწოდების ვადების გახანგრძლივება<br>**10.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დიდი თალასემიით დაავადებული პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან რკინის შემბოჭავი პრეპარატებით - მომართვის შემთხვევაში -100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე; მოწოდების ვადების გახანგრძლივება<br>**11.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - იდიოპათიური პულმონური ფიბროზით დაავადებული პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან პირფენიდონით - მომართვის შემთხვევაში -100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შესასყიდი რომელიმე საშუალების დეფიციტი ბაზარზე; მოწოდების ვადების გახანგრძლივება |

| **სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (35 03 03 07)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სასწრაფო სამედიცინო დახმარება; |

| | |
|---|---|
| | სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | შესრულებული გამოძახებების საერთო რაოდენობა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალი)მცხოვრები მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - ვერ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - რეფერალური დახმარება გაეწია 17.9 ათასზე მეტ პაციენტს. დაფიქსირდა 21.0 ათასამდე შემთხვევა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფილია კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების სამედიცინო ტრანსპორტირება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის ნაკლებობა<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამედიცინო ტრანსპორტირების კომპონენტის ფარგლებში უზრუნველყოფილია მიზნობრივი ჯგუფების მომსახურება 100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%;<br>**შესაძლო რისკები** - ხორციელდება საჭიროების შესაბამისად<br>4.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამა "მომავლის ბანაკის" მოსარგებლეები უზრუნველყოფილია ექიმის და ექთნის მომსახურებით, მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაჩვენებელი შენარჩუნებულია<br>5.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ქვეყნის მოსახლეობა (გარდა ქ.თბილისისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალი) მცხოვრები მოსახლეობისა) უზრუნველყოფილია პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროული და შეუფერხებელი მომსახურებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სსიპ სსდ ცენტრში შემოსული სასწრაფო სამედიცინო გამოძახებათა შესრულების 100%-ანი მაჩვენებელი. წლიურად შესრულებული 700,000-მდე გამოძახება; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ტექნიკური მიზეზი |

| **სოფლის ექიმი (35 03 03 08)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა);<br><br>სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება;<br><br>შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება;<br><br>სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა;<br><br>სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სოფლის ექიმთან მიმართვები. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმის/ ექთნის მომსახურებით; სოფლის ექიმები უზრუნველყოფილნი არიან ექიმის ჩანთით (პირველადად) და სამედიცინო დოკუმენტაციით; ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ერთ სულ მოსახლეზე მიმართვების რაოდენობამ შეადგინა 4.0;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - კვალიფიციური/ადგილობრივი კადრის ნაკლებობა<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები ფუნქციონირებს/აწვდის შესაბამის სერვისს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - კვალიფიციური/ადგილობრივი კადრის ნაკლებობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ხორციელდება შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ფუნქციონირების ხელშეწყობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ხორციელდება სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-1%;<br>**შესაძლო რისკები** - ტექნიკური მიზეზი |

| **რეფერალური მომსახურება (35 03 03 09)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა;<br><br>მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით;<br><br>პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების მიზანშეწონილობის თაობაზე შესაბამისი დასკვნის მომზადება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შემთხვევები. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა 10.0 ათასზე მეტი შემთხვევა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა დაუგეგმავი ზრდა |

| **სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (35 03 03 10)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება და დამატებითი გამოკვლევების ჩატარება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სამხედრო ძალების შევსების განხორციელება ჯანმრთელი კონტინგენტით. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულად გამოკვლეულ იქნა 16.1 ათასზე მეტი წვევამდელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამხედრო ძალებში გასაწვევი სრული კონტიგენტის 100% შემოწმებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-1%;<br>**შესაძლო რისკები** - ტექნიკური მიზეზი<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჩატარდა 1 407 წვევამდელის დამატებითი სტაციონარული გამოკვლევა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამხედრო ძალებში გასაწვევი პირები სრულად უზრუნველყოფილნი არიან პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი კვლევებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0-1%;<br>**შესაძლო რისკები** - ტექნიკური მიზეზი |

| **ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (35 03 03 11)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა;<br><br>ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა;<br><br>დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა; |

| | |
|---|---|
| | ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა;<br><br>ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა პროგრამის მოსარგებლეებზე. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ძირითადი არაგადამდები დაავადებების მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებზე, 80%-იანი ხელმისაწვდომობა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მედიკამენტები შესყიდულია დაგეგმილი რაოდენობით (ტაბლეტები 22 578 681 ცალი, საინჰალაციო სუსპენზია და ხსნარები 87 892 ფლაკონი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ფარმაცევტულ ბაზარზე ზოგიერთი მედიკამენტის დეფიციტი |

| **დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (35 03 04)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | იმ დეფიციტური და პრიორიტეტული საექიმო სპეციალობების განსაზღვრა, რომლებში მზადებაც დაფინანსდება და აღნიშნულ სპეციალობებში გათვალისწინებული ადგილების (კვოტების) რაოდენობის განსაზღვრა;<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იმ მუნიციპალიტეტების ჩამონათვალის განსაზღვრა, რომლებისთვისაც განხორციელდება მაძიებლების დაფინანსება;<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი იქნება მაძიებელთა შერჩევა პროგრამით განსაზღვრული „საექიმო სპეციალობის მაძიებელთა შერჩევის წესის“ მიხედვით;<br><br>სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა; |

| | |
|---|---|
| | მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სამედიცინო სერვისების შენარჩუნება და მათი უწყვეტობის უზრუნველყოფა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) პროგრამაში ჩართული მაძიებლების რაოდენობა - 28;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის შენარჩუნებისათვის უზრუნველყოფილია დიპლომშემდგომი სამედიცინო განათლება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 0-1%;<br>**შესაძლო რისკები -** ტექნიკური მიზეზი |

| **ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (29 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტი; სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების, ასევე, სამოქალაქო პირებისათვის სოციალური და სამედიცინო დახმარების აღმოჩენა: მათ შორის ამბულატორული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია;<br><br>შეიარაღებული ძალებისათვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და მრავალპროფილიანი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, მორალურ-ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერა;<br><br>საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეთა მეორე და მომდევნო კონტრაქტის ფინანსური დახმარება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განმხილველი კომისიის დასკვნის შედეგად გაცემული ერთჯერადი ფინანსური დახმარებები და დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახებზე, დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე გასაცემი ფულადი დახმარებების გაცემა/აღმოჩენა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების, სამოქალაქო პირების სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. მათი საბაზისო |

| | |
|---|---|
| | სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა;<br><br>მოძველებული სამედიცინო აღჭურვილობის ჩანაცვლება-განახლება, საევაკუაციო ტრანსპორტის განვითარება და საჭირო სამედიცინო მარაგების შევსება.<br>სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პირებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა;<br><br>სოციალური მხარდაჭერის კუთხით შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების წინაშე აღებული სოციალური ვალდებულებების ფინანსური უზრუნველყოფა;<br><br>დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახების, დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეების სოციალური/ფინანსური მხარდაჭერა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები, დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების სარეაბილიტაციო ღონისძიებები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან თანამედროვე, ხარისხიანი ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით; სოციალური მხარდაჭერის პროგრამის ეფექტიანობის ამაღლება, ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის უზრუნველყოფა სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობით უზრუნველყოფილი საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები; საზოგადოებაში ინტეგრირებული დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ალბათობა;<br>**შესაძლო რისკები** - სამედიცინო ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განმხილველი კომისიის მუშაობის შეფერხება |

| **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (35 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი |

| | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;<br><br>შრომის, სოციალური და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;<br><br>ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მარეგულირებელი აქტების მომზადება და მათზე ზედამხედველობა;<br><br>სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება;<br><br>ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის პროფესიული რეგულირება;<br><br>სამკურნალო საშუალებების ხასრისხის კონტროლი;<br><br>სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;<br><br>ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება;<br><br>სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების ზედამხედველობა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენცია;<br><br>შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა;<br><br>საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა;<br><br>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი;<br><br>ეპიდსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავება და მათზე ზედამხედველობა;<br><br>ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა/სავარაუდო მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, სამედიცინო |

| | |
|---|---|
| | მომსახურების ორგანიზება/მიღება და ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციისათვის საჭირო სახელმწიფო პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;<br><br>საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | შრომის ბაზრის მონიტორინგსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, მონაცემთა მოძიება/შეგროვების სრულყოფილი მეთოდოლოგიები;<br><br>ფარმაცევტული ბაზრის დაცვა გაუვარგისებული, უხარისხო და წუნდებული პროდუქტისაგან;<br>განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები;<br><br>უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა;<br>საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების შეუფერხებელი მიწოდება;<br><br>ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;<br><br>ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგის) დანაშაულთან და ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლება;<br><br>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაძლიერება;<br><br>საქართველოს მოსახლეობისათვის პირველადი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების სერვისის გამართული, დროული და ეფექტური მიწოდება რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მოსახლეობის საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირება; საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები. სოციალური დაცვის პროგრამები მიმართულია ყველაზე შეჭირვებული მოსახლეობისთვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჯანმრთელობის პროგრამებში ჩართული სამიზნე ჯგუფების შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფა; საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები; მოსახლეობის კმაყოფილება (კვლევა); ბენეფიციარებისთვის დადგენილი გასაცემლების (სრული და დროული მიწოდება) უზრუნველყოფის ხელშეწყოფა |

| | |
|---|---|
| | **2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი შეტყობინების საფუძველზე - 400; ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის რაოდენობა-3200; ავტორიზებულ აფთიაქზე, ფარმცევტულ წარმოებაზე და სპეკონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტ/ექსპორტზე ნებართვის გაცემის რაოდენობა-1200; უმაღლესი და საშუალო სამედიცინო პერსონალის სერტიფიცირების ორგანიზაციული უზრუნველყოფის რაოდენობა-2500; სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზიების და ნებართვების გაცემის რაოდენობა-100;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - მოთხოვნების შემცირება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამედიცინო-საექსპერტო საქმიანობის კონტროლი - გაცემული სამედიცინო-სოციალური დასკვნების სისწორე -95%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 500 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის საკონტროლო შესყიდვა-გადამოწმება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0,1%;<br>**შესაძლო რისკები** - ფასების ზრდა<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი; უზრუნველყოფილია ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა; ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და მისი განხორციელების ზედამხედველობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფილი ეპიდემიოლოგიური და ბიოლოგიური უსაფრთხოება; დროულად ინფორმირებული საზოგადოება, გამოვლენილი გადამდები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე არაგადამდები დაავადებების და ჯანმრთელობის რისკები; გამართულად ფუნქციონირებადი ზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემები; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი. "დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა" (350103) პროგრამის არანაკლებ 85 % შესრულება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - არაუმეტეს 15%-ისა; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები** - მოსახლეობის დაბალი ცნობიერება პროფილაქტიკური მედიცინის სარგებლის შესახებ; დაბალი ნდობა პროგრამული ვაქცინების უსაფრთხოების მიმართ („ფასიანი“ ვაქცინა „უფასო“ ვაქცინის წინააღმდეგ). ტესტ სისტემების მომწოდებელი კომპანიის (ტენდერში გამარჯვებული) მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება (მაგ.: დაგვიანება), თამბაქოს ინდუსტრიის მძლავრი პრომოცია/ადვოკატირება<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით მოცული სამიზნე ჯგუფების მუდმივი განახლების უზრუნველყოფა; ბენეფიციარების მაქსიმალური სიზუსტით აღრიცხვის უზრუნველყოფა; გასაცემლების/მომსახურების სრული და დროული მიწოდება; შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა; გასაცემლის/მომსახურების დაგვიანებით ან არასრულად მიღებაზე საჩივრების განხილვა; პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებულთა ზრდა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი<br>**7.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ცნობიერების ამაღლების კუთხით ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად 2016 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით მომართვიანობის (მ.შ. თავშესაფარი, იურიდიული, ფსიქოლოგიური და სამედიცინო მომსახურება, კომპენსაცია, ცხელი ხაზი) მაჩვენებელის ზრდა 30%–ით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებული იქნება საბაზინო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ცნობიერების დაბალი დონე<br>**8.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა. სასწრაფო-სამედიცინო მომსახურების პროგრამის შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით კმაყოფილი მოსახლეობა (700 ათასამდე გამოძახება); თითეული ბრიგადის მიერ მოსახლის, ტერიტორიის დაფარვის მაჩვენებელი - 100%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;<br>**შესაძლო რისკები** - არამიზნობრივი გამოძახებები |

| **სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (35 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა;<br><br>სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | რეაბილიტირებული და აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა და აღჭურვა( სამედიცინო აპარატურით და ავეჯით, საოფისე ავეჯით, საოჯახო ტექნიკითა და ინვენტარით) - 100%; სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა - 100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** რეაბილიტირებული და სრულად აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა/არაჯეროვნად შესრულება/ვადების დარღვევით შესრულება |

| **სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (54 00)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა;<br><br>საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლის და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება;<br><br>სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისათვის ღირსეული სათანადო პირობების შექმნა; |

| | |
|---|---|
| | სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად, საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა მიმართ საზოგადოებაში ხსოვნის განმტკიცებისათვის მუდმივი ზრუნვა;<br><br>ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ვეტერანების სამშობლოსადმი თავდადებისა და ღვაწლის სათანადო დაფასება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, სამართლებრივი და რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელებული პროექტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - გაუთვალისწინებელი გარემოებები |

| **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (30 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა, ასევე მათი ოჯახის წევრთა სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობით უზრუნველყოფა, როგორც სსიპ-ის ბაზაზე, ასევე სხვა სამედიცინო დაწესებულებებში (ქვეყნის შგნით და ქყვეყნის გარეთ). საჭიროების შემთხევაში მოსამსახურეების მედიკამენტებით უზრუნველყოფა;<br><br>სამედიცინო ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა;<br><br>საჭიროების შემთხვევაში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზება სანიტარული დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; |

| | |
|---|---|
| | სამინისტროს სისტემაში სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა კონტროლი. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირებული რაოდენობა; შენარჩუნებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური განვითარება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საჭიროების შემთხვევაში მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილია შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით სსიპ-ის ბაზაზე; სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობით (ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებული საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების მკურნალობასთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება |

| **შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (35 05)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/ განხორციელება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ცნობიერების ამაღლება;<br><br>შრომის ბაზარზე, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა;<br><br>შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება/სრულყოფა და ამის საფუძველზე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა;<br><br>სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია-კონსულტირება, მომსახურებების განვითარება, შეზუღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობა;<br><br>ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს-მაძიებლების მომზადება-გადამზადება. |
| **პროექტის მოსალოდნელი** | დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგი** | დასაქმებულთა ზრდა;<br><br>ამაღლებულია შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარული და ჰიგიენური პირობების, ასევე, ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერება;<br><br>მომზადებულია სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სტანდარტები;<br><br>გაზრდილია რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა;<br><br>შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების შედეგად მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა 120;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის განხორციელების შედეგად მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა 250;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ცდომილების მაჩვენებელი დაგეგმილსა და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის შეადგენს 12-15%-ს;<br>**შესაძლო რისკები** - არასათანადო აღსრულების მექანიზმი, პროგრამით მოსარგებლე დამსაქმებელთა მცირე რაოდენობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადამზადებულთა რაოდენობა 900-2000;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში გადამზადებულთა რაოდენობა 1500- 2000;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%;<br>**შესაძლო რისკები** - სამუშაოს მაძიებლებისა და დამსაქმებლების დაბალი ჩართულობა, კვალიფიკაციის შეუსაბამობა შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში. შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ადგილებზე. განხორციელების ვადები |

| ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი (57 00) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში მცხოვრები სოციალურად განსაკუთრებულად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზაცია და |

| | |
|---|---|
| | პრიორიტეტულ სოციალურ საჭიროებებზე მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით;<br><br>სოციალური და ჯანდაცვითი პროექტების დაფინანსება, მათ შორის, ერთჯერადი დახმარებების და ასევე, რეგულარული სოციალური შემწეობების/პროექტების დაგეგმვა/განხორციელება;<br><br>ონკოლოგიური დაავადებების მქონე 22 წლამდე ბენეფიციარების მხარდაჭერა სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების ლიმიტს ფარგლებს გარეთ მოხვედრილი თერაპიისა და დიაგნოსტიკის, ასევე ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მომსახურება საზღვარგარეთ დადასტურებული სამედიცინო აუცილებლობის შემთხვევაში;<br><br>ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოზრდილი მოსახლეობისათვის ძვირადღირებული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის კომპონენტის უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | მობილიზება და 22 წლამდე ასაკის სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მკურნალობის ფინანსური;<br><br>პრობლემის გადაჭრა ქვეყნის მასშტაბით და პარალელურად საქართველოში ონკოლოგიურ სერვისების გაძლიერება;<br><br>ფინანსური რესურსების მზარდი მოცულობების პირობებში (ყოველწლიურად 5 მილიონზე მეტი ლარის დონაცია) იშვიათი;<br><br>დაავადებების, შშმპ ბავშვებისა და უფროსი ასაკის ონკოლოგიური პაციენტების დახმარება ინდივიდუალური;<br><br>ძვირადღირებული მკურნალობის მისაღებად. |

## თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 30 01 | საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება | 506,610.0 | 506,610.0 | - | 506,610.0 | 506,610.0 | 506,610.0 |
| 29 01 | თავდაცვის მართვა | 312,375.0 | 312,375.0 | - | 312,375.0 | 312,375.0 | 312,375.0 |
| 29 09 | ლოგისტიკური უზრუნველყოფა | 151,266.0 | 151,266.0 | - | 156,266.0 | 161,266.0 | 166,266.0 |
| 27 01 | საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება | 138,600.0 | 138,600.0 | - | 143,500.0 | 143,500.0 | 143,500.0 |
| 31 01 | სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა | 108,575.0 | 108,575.0 | - | 110,000.0 | 110,000.0 | 110,000.0 |
| 30 06 | სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება | 78,200.0 | 78,100.0 | 100.0 | 78,100.0 | 60,100.0 | 60,100.0 |
| 40 01 | დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა | 47,500.0 | 47,500.0 | - | 47,500.0 | 47,500.0 | 47,500.0 |
| 29 06 | საერთაშორისო სამშვიდობო მისიები | 40,445.0 | 40,445.0 | - | 40,445.0 | 40,445.0 | 40,445.0 |
| 26 02 | გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა | 35,000.0 | 35,000.0 | - | 35,000.0 | 35,000.0 | 35,000.0 |
| 29 07 | სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება | 35,619.0 | 28,322.0 | 7,297.0 | 35,619.0 | 35,619.0 | 35,619.0 |
| 29 10 | საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG) | 22,000.0 | 22,000.0 | - | - | - | - |
| 29 05 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 21,000.0 | 21,000.0 | - | 26,000.0 | 31,000.0 | 36,000.0 |
| 29 08 | თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება / განვითარება | 19,000.0 | 19,000.0 | - | 19,000.0 | 19,000.0 | 19,000.0 |
| 23 03 | ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია | 18,430.0 | 18,430.0 | - | 18,555.0 | 18,555.0 | 18,555.0 |
| 31 02 | ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის ხელშეწყობა | 14,425.0 | 14,425.0 | - | 18,000.0 | 18,000.0 | 18,000.0 |
| 22 00 | საქართველოს დაზვერვის სამსახური | 13,500.0 | 13,500.0 | - | 13,500.0 | 13,500.0 | 13,500.0 |
| 30 02 | ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება | 132,110.0 | 10,160.0 | 121,950.0 | 136,100.0 | 134,650.0 | 136,220.0 |

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29 04 | მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები | 9,540.0 | 9,540.0 | - | 9,540.0 | 9,540.0 | 9,540.0 |
| 27 02 | სრულყოფილი პრობაციის სისტემა | 8,500.0 | 5,400.0 | 3,100.0 | 8,000.0 | 8,000.0 | 8,000.0 |
| 49 01 | საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი | 3,600.0 | 3,600.0 | - | 3,600.0 | 3,600.0 | 3,600.0 |
| 24 09 | საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა | 2,000.0 | 2,000.0 | - | 2,000.0 | 2,000.0 | 2,000.0 |
| 03 01 | საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი | 1,800.0 | 1,800.0 | - | 1,800.0 | 1,800.0 | 1,800.0 |
| 26 07 | დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია | 1,566.0 | 1,285.0 | 281.0 | 1,285.0 | 1,285.0 | 1,285.0 |
| 30 05 | სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა | 310.0 | 310.0 | - | 310.0 | 310.0 | 310.0 |
| 30 07 | სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა | 59,500.0 | - | 59,500.0 | 54,525.0 | 54,525.0 | 54,525.0 |
| 30 08 | საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება | 10,205.0 | - | 10,205.0 | 9,600.0 | 9,600.0 | 9,600.0 |
| 40 03 | სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო | 1,050.0 | - | 1,050.0 | 1,100.0 | 1,150.0 | 1,200.0 |
| | **სულ** | **1,792,726.0** | **1,589,243.0** | **203,483.0** | **1,788,330.0** | **1,778,930.0** | **1,790,550.0** |

| საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (30 01) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერება;<br><br>ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სამართალდამცავი უწყების ჩამოყალიბება;<br><br>დანაშაულის პრევენცია, დანაშაულზე სწრაფი რეაგირება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მართლწესრიგი;<br><br>ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, ასევე ორგანიზებულ დანაშაულზე სამართლებრივი და საზოგადოებრივი რეაგირების გააქტიურების ხელშეწყობა;<br><br>საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;<br><br>საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის ვიდეოანალიტიკური პროგრამური უზრუნველყოფით აღჭურვილი ერთიანი ვიდეომონიტორინგის სისტემის დანერგვა და ეტაპობრივი განვითარება;<br><br>სამინისტროში არსებულ/დაცულ ინფორმაციაზე სწრაფი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს სისტემაში არსებული სხვადასხვა ტიპის მონაცემთა ბაზების ერთ სივრცეში გაერთიანება, ანალიტიკურ პროგრამებთან ინტეგრირება, ეტაპობრივად განვითარება და მართვა;<br><br>უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა და კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების საქართველოდან გაძევების პროცედურების განხორციელება, ასევე სხვა ქვეყნებში უკანონოდ მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების მიზნით რეადმისიის შეთანხმებათა იმპლემენტაცია;<br><br>საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან და ორგანოებთან საერთაშორისო ხელშეკრულების ან/და თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების გზით, ასევე აღნიშნული თანამშრომლობის შემდგომი განვითარება პარტნიორ ქვეყნებთან/საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორც ოპერატიული, აგრეთვე არაოპერატიული მიმართულებით;<br><br>სამინისტროს მოსამსახურეებისთვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნის მიზნით სამინისტროს მატერიალურ- |

| | |
|---|---|
| | ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება ან/და შევსება, ასევე სამინისტროს ბალანსზე რიცხული ზოგიერთი შენობა-ნაგებობისთვის მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ახალი შენობების აშენება;<br><br>სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით;<br>საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა;<br><br>ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | გაძლიერებული პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციები (ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერების სისტემის ჩამოყალიბება);<br><br>დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განვითარებული ოპერატიული და საერთაშორისო თანამშრომლობა;<br><br>დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა ამაღლებული ცნობიერება;<br><br>უზრუნველყოფილი სახელმწიფო საზღვრის დაცვა;<br><br>განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;<br><br>რეაბილიტირებული/აშენებული ინფრასტრუქტურა;<br><br>უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და დანაშაულთან ბრძოლა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პრევენციული და საგამოძიებო ღონისძიებების მეტი ეფექტიანობისთვის ქვეყნის მასშტაბით ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაში ჩართულია 1000 ე.წ. „ჭკვიანი“ კამერა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქსელში ჩართული დამატებით 1 500 კამერა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ტექნიკური შეფერხებები<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამინისტრო ახორციელებს ეფექტიან საერთაშორისო თანამშრომლობას დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების და ერთობლივი პროგრამების განხორციელების გზით; დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში ხელშეკრულება გაფორმებულია 29 ქვეყანასთან; უკანონოდ მყოფ პირთა რეადმისიისა და უკანონო მიგრაციის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებულია 7 ხელშეკრულება და 10 საიმპლემენტაციო ოქმი; საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებულია 12 ხელშეკრულება; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაზრდილი რაოდენობა; პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ერთობლივი პროგრამების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და სწავლება) გაზრდილი რაოდენობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 50%;<br>**შესაძლო რისკები** - მოლაპარაკებების არასასურველი შედეგით დასრულება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლიდან სამინისტრო მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამას „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“, რომელშიც სამინისტროს 9 ქვედანაყოფია ჩართული, პროექტის დაწყებიდან 4500-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ შეხვედრებში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საინფორმაციო შეხვედრებში ჩართული 2 000 მოსწავლე<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სახელმწიფო საზღვრის (კონტროლირებადი 85%-ის) დაცვა, საჭიროა განხორციელდეს სასაზღვრო სექტორების ჩართვა მაღალსიჩქარიან ინტერნეტ ქსელში, აუცილებელია საზღვრის რისკების შფასების ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბება და ინფორმაციის გაცვლის საერთო პლატფორმის შექმნა (საინფორმაციო ბაზა) ასევე სასაზღვრო სექტორების აღჭურვა ვიდეოდაკვირვებისა და სამართალდარღვევათა აღმოჩენის სენსორული ტექნოლოგიებით; სასაზღვრო ინფსრასტრუქტურის ნაწილი შესაბამისობაში არის მოსაყვანი თანამედროვე სტანდარტებთან ასევე სასაზღვრო სექტორების ნაწილი არ არის ელექტროფიცირებული და გაზიფიცირებული რაც აფერხებს სექტორების ჩართვას ინტერნეტ ქსელში და ზამთრის პერიოდში მათი გათბობის შესაძლებლობას;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან წვდომა სექტორების 70 %-სათვის; სახელმწიფო საზღვრის რისკების შეფასება ერთიანი მეთოდოლოგიის შესაბამისად და ჩართული სასაზღვრო ინციდენტების რეგისტრაციის (მოხსენების) სისტემა სექტორების 70%-ზე; ფოტო-ვიდეო დაკვირვებისა და სამართალდარღვევათა აღმოჩენის სენსორული ტექნოლოგიებით აღჭურვილი 2 მაღალი რისკის მქონე სასაზღვრო სექტორი; გაზიფიცირებული და ელექტროფიცირებული სასაზღვრო სექტორების რაოდენობა; რეაბილიტირებული სასაზღვრო სექტორების რაოდენობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%;<br>**შესაძლო რისკები** - სექტორების რთული გეოგრაფიული მდებარეობა აფერხებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 70 %;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 15% -ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუთვალისწინებელი ოდენობით მწყობრიდან გამოსვლა |

| | |
|---|---|
| | 6.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული და თავიდან აშენებულია სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობების 60%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამატებით აშენებული და გარემონტებული პოლიციის შენობების საერთო რაოდენობის 15%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობებიდან გამომდინარე არსებული შენობებითვის მიყენებული ზიანი |

| **თავდაცვის მართვა (29 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკის მხარდასაჭერად თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. ეფექტიანი ადმინისტრირების განსახორციელებლად თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული მართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განსაზღვრა;<br><br>პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება (ნატო, ევროკავშირი, ეუთო, გაერო); თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერა, თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ორგანიზებას, შეიარაღების კონტროლის და ვერიფიკაციის ღონისძიებების განხორციელება;<br><br>საერთაშორისო დახმარების მოზიდვა და მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება;<br><br>თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | თავდაცვის სამინისტროზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანი განხორციელება: თავდაცვის ეფექტიანი სტრატეგიული მართვა, თავდაცვის სამინისტროს ძირითად მიმართულებებზე სტრატეგიული პოლიტიკის განსაზღვრა;<br><br>თავდაცვის სისტემის ინსტიტუციური და სამხედრო შესაძლებლობების განვითარების მიზნით. პარტნიორ ქვეყნებში საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერის გაზრდა;<br><br>საზოგადოების ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება. |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 1. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული პოლიტიკის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო განსაზღვრავს თავდაცვის პრიორიტეტულ მიმართულებს და განაგრძობს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესს. 2. 24 პარტნიორ ქვეყანასთან მიმდინარეობს ორმხრივი თანამშრომლობის გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება. ნატოს-თან, ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან წარმატებით ხორციელდება თანამშრომლობა. დაგეგმილია თავდაცვისა და უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენციის ჩატარება. 3. თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხდება საზოგადოების ინფორმირება/ცნობიერების ამაღლება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნორმატიული აქტებითა და ეროვნული დონის სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად თავდაცვის სამინისტროს ვალდებულებების შესრულება, თავდაცვის სამინისტროს ძირითადი პოლიტიკისა და მიმართულებების განსაზღვრა. 2. პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება. 3. თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესის, რეფორმების, ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესის, საერთაშორისო მისიებში ქართველი მშვიდობისმყოფელების მონაწილეობის შესახებ საზოგადოების ჯეროვანი ინფორმირება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილობრივ შესრულება 10-15%;<br>**შესაძლო რისკები** - 1. კვალიფიციური პერსონალის გადინება. 2. რეგიონული თუ ლოკალური პრობლემების გამო საერთაშორისო თანამშრომლობის არაეფექტურად განხორციელება. 3. საზოგადოების ინფორმირებისას აუდიტორიის დაინტერესების დეფიციტი |

| ლოგისტიკური უზრუნველყოფა (29 09) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ლოგისტიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობების შენარჩუნება/გაუმჯობესება, ლოგისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა; |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ქვედანაყოფების მობილურობის გაზრდა და შეიარაღებული ძალების სრული სპექტრის ოპერაციების უწყვეტი მომარაგება;<br><br>საქართველოს შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფილი იქნება ლოგისტიკური გეგმით გათვალისწინებული მინიმალურად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით და მომსახურებებით. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების** | |

| | |
|---|---|
| **ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 1. 2017 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობაში ლოგისტიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია სტრუქტურული რეორგანიზაციები, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საშტატო ერთეულების რესტრუქტურიზაცია ლოგისტიკის ცენტრი (სამხრეთი) და ლოგისტიკის ცენტრი (აღმოსავლეთი). 2. შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფილია მინიმალურად საჭირო ლოგისტიკური საშუალებებით/მომსახურებებით, რაც საჭიროა საბრძოლო დონის შენარჩუნებისა და სასწავლო პროცესის ხარისხიანი ჩატარებისათვის. 3. თავდაცვის სამინისტროს გაცხადებული აქვს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) ფარგლებში სამანევრო ქვედანაყოფების მომზადება/გადამზადება ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის სტრუქტურული ერთეულების ლოგისტიკის ცენტრის (სამხრეთი) და საბრძოლო მასალების შენახვის ბაზის გაუქმება და ლოგისტიკის ცენტრის (აღმოსავლეთი) და ლოგისტიკის ცენტრის (დასავლეთი) გაერთიანება. 2. შიდა დოკუმენტებზე დაყრდნობით საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება. 3. ქვედანაყოფების ლოგისტიკური საშუალებებით უზრუნველყოფა წვრთნების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი ალბათობა;<br>**შესაძლო რისკები** - 1. დაგეგმილი ღონისძიებების გარკვეული ვადით გადავადება სამუშაოთა დიდი მოცულობის გამო. 2. ტენდერის პროცედურების გაჭიანურება (ჩაშლა, ახლიდან გამოცხადება და ა.შ.) ან/და მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა (მატერიალური საშუალებების/მომსახურებების მოწოდების ვადების გადაწევა/დარღვევა) |

| **საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (27 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და ღონისძიებების გატარება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებითა და ღონისძიებების გატარებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემა ჩამოყალიბებულია. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების** | |

| | |
|---|---|
| **ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დადებითადაა შეფასებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებული შემდეგი ღონისძიებები: • სასჯელაღსრულების სფეროში მიმდინარე რეფორმები, რომლებიც ემყარება სწორ სტრატეგიულ ხედვას და ემსახურება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას; • ქალი პატიმრების რაოდენობის შემცირება, რომელიც შეესაბამება დასავლეთ ევროპული ქვეყნების მაჩვენებელს; • მკვეთრად შემცირებული არასრულწლოვან პატიმართა რაოდენობა, რომელიც ამჟამად ევროპის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია; • მკვეთრად შემცირებული უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობა, რომელიც ასევე ჩამოუვარდება ევროპის საშუალო მაჩვენებელს; • პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის შემუშავება; • მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირება; • C ჰეპატიტის მკურნალობის ღონისძიებების მიმდინარეობა; • სამედიცინო პერსონალის დამოკიდებულება მსჯავრდებულთა მიმართ; • სიკვდილიანობის მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება; • სუიციდის პრევენციის პროგრამა; მართლმსაჯულების მსოფლიო პროექტის (WJP) კანონის უზენაესობის საერთო მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემა ლიდერია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება სისტემას არ შეუძლია სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო. მათ შორის, რიგ შემთხვევებში, არარელევანტურობის, სხვა პრიორიტეტული მიმართულებებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა |

| **პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (27 01 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა;<br><br>პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა;<br><br>პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვა; |

| | |
|---|---|
| | ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია (მსჯავრდებულთა შრომაში და პროფესიული/სახელობო, სარეაბილიტაციო სატრენინგო/საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის შესაძლებლობის გაზრდით);<br><br>ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სისტემის ეფექტური მართვა და ფუნქციონირება გაუმჯობესებულია;<br><br>პენიტენციურ სისტემაში შენარჩუნებულია 3-ჯერადი კვებითი მომსახურება სხვადასხვა საჭიროების მქონე ჯგუფებისათვის, კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით;<br><br>პენიტენციური სისტემა აღჭურვილია უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით;<br><br>ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა უზრუნველყოფილია;<br><br>უზრუნველყოფილია ინფორმატიულობის ზრდით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - გაუმჯობესებულია სისტემის ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, ცვლილებები შესულია "პატიმრობის კოდექსში" და სხვა კანონმდებლობაში შემდეგი მიმართულებით: 1) გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად; 2) დაბალი რისკის, გათავისუფლებისათვის მომზადებისა და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად; 3) ცვლილებები შესულია პატიმრობის კოდექსსა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად სამართალდარღვევად ითვლება ისეთი ქმედება როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევა; 4) არასაპატიმრო სასჯელის სახედ შინაპატიმრობის დანერგვისა (თავისუფლების შეზღუდვის გაუქმება) და დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის უზრუნველსაყოფად; 5) ქალი მსჯავრდებულის, რომლებსაც დაწესებულებაში ჰყავდათ 3 წლამდე ასაკის შვილი, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების უფლების უზრუნველსაყოფად; 6) უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის უფლების სრულყოფის უზრუნველსაყოფად; 7) მსჯავრდებულის ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების უფლების სრულყოფის |

| | |
|---|---|
| | უზრუნველსაყოფად; 8) სასჯელის აღსრულების გადავადების უფლების სრულყოფის უზრუნველსაყოფად;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სისტემის ეფექტური მართვისა და ფუნქციონირების შესანარჩუნებლად გამოწვეული ცვლილებები შესულია პატიმრობის კოდექსში<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პენიტენციურ სისტემაში უზრუნველყოფილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და სპეციალური დანიშნულების ძალების მოსამსახურეთათვის კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით გათვალისწინებული 3-ჯერადი კვებითი მომსახურება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის, ასევე იმ სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთათვის, რომელთაც ეკუთვნით სასურსათო უზრუნველყოფა, შენარჩუნებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული 3-ჯერადი კვებითი მომსახურება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% -უკმაყოფილო ბრალდებულ/მსჯავრდებუულთა რაოდენობა;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პენიტენციურ სისტემაში უზრუნველყოფილია უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომელთა - 100 %-ის აღჭურვა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პენიტენციურ სისტემაში შენარჩუნებულია სპეციალური უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომელთა - 100 % -ის აღჭურვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% -უკმაყოფილო ბრალდებულ-მსჯავრდებუულთა რაოდენობა;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სადაც დაფიქსირდა 1 342 მონაწილე, მათ შორის 88 არასრულწლოვანი, 177 ქალი; • ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში და ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში დაფიქსირდა 1466 მონაწილე, მათ შორის 142 არასრულწლოვანი და 286 ქალი მსჯავრდებული; • კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, ინტელექტუალურ და შემეცნებით შეხვედრებში, თეატრალურ დასში და კონკურსებში დაფიქსირდა 1016 მონაწილე, მათ შორის 246 არასრულწლოვანი და 111 ქალი მსჯავრდებული; • დასაქმდა 726 მსჯავრდებული, მათ შორის 79 ქალი; მსჯავრდებულები დააქმებულები არიან სამეურნეო სამსახურში, სილამაზის სალონებში, დასაქმების მინი კერებსა და საწარმოო ზონაში, ასევე ინდივიდუალურ საქმიანობაში (ხელნაკეთი ნივთების შემქნა-რეალიზაცია);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული/სახელობო, სარეაბილიტაციო/სატრენინგო/ საგანმანათლებლო სწავლების პროგრამებში და შრომით საქმიანობაში ჩართულ პატიმართა მზარდი რაოდენობა, წინა წლის მაჩვენებელთან |

| | |
|---|---|
| | შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% - ჩართულობის მსურველთა კლება;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია ინფორმატულობის ზრდა და ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100 %-სათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია ინფორმატულობის ზრდა და ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100 %-სათვის;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% - ჩართულობის მსურველთა კლება;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა; ჩართულობის კლება |

| **ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (27 01 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალირეზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციური სისტემის შიგნით და მის გარეთ. ამასთანავე, პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის შესაბამისად პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება ჰიგიენის, გადამდები დაავადებების კონტროლის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | უზრუნველყოფილია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია: პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა 100%-სთვის სამოქალაქო სექტორის ეკვივალენტური სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; აივ-ინფექციით ინფიცირებულთა და ტუბერკულოზით დაავადებულთა 100%-სთვის ხელმისაწვდომია მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა; C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ანტივირუსული მკურნალობა ხელმისაწვდომია იმ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა 100%-თვის, ვინც აღნიშნული მკურნალობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა 100%-ის უზრუნველყოფა პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზირებული |

| | |
|---|---|
| | სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციური სისტემასა და მის გარეთ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% - უკმაყოფილო ბრალდებულ-მსჯავრდებულთა რაოდენობა;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა რიცხოვნობის ზრდა |

| **პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (27 01 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით არსებული დაწესებულებების რემონტი-რეკონსტრუქცია და აღჭურვა შესაბამისი მანქანა-დანადგარებით. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | არსებული ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის ყოფითი და საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებულია. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საერთაშორისო სტრანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის შექმნილია ახალი, რეკონსტრუქცია ჩატარებული და გარემონტებული დაწესებულებები, საზოგადოებრივი მისაღებები და სრულყოფილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - არსებული ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის გაუმჯობესებული ყოფითი და საცხოვრებელი პირობები |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - არსებული ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები |

| სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (31 01) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან;<br><br>სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა;<br><br>ტერორიზმთან ბრძოლა;<br><br>სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;<br><br>ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;<br><br>კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;<br><br>სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | დროულად გამოვლენილი და თავიდან აცილებული უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო და სხვა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობი;<br><br>პროგნოზირებული და პრევენცირებული სახელმწიფოსთვის მოსალოდნელი საფრთხეები. |

| სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 06) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ყოველდღიურ რეჟიმში მოქალაქეებისთვის დახმარების (სახანძრო-სამაშველო სამუშაოები) აღმოჩენა; |

| | |
|---|---|
| | მეხანძრე-მაშველების ეტაპობრივი გადამზადება;<br><br>ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/მოდერნიზაცია. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების გაზრდილი ეფექტურობა და ოპერატიულობა;<br><br>თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებული და რეაბილიტირებული სახანძრო-სამაშველო ინფრასტრუქტურა;<br><br>სააგენტოს პირადი შემადგენლობა შეიარაღებული შესაბამისი სპეც. აღჭურვილობითა და უნიფორმით. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მოქალაქეების 100%, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას, უზრუნველყოფილი არიან ოპერატიული და ხარისხიანი მომსახურებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - აღჭურვილობისა და ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა ან/და სტიქიური უბედურებები<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს ბალანსზე არსებული 124 ობიექტიდან 2015-2017 წლებში გარემონტებულია 42 ობიექტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის 3%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - სააგენტოს განვითარების გეგმებში განხორციელებული ცვლილებები, საპროექტო-სამშენებლო პროექტების რეგულირების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებები<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს მასშტაბით მეხანძრეების 80% შეიარაღებულია სახანძრო აღჭურვილობით, ხოლო მაშველები 70%-ით, გარდა მაღალყელიანი ფეხსაცმლისა და უნიფორმისა რაც არსებული მოსამსახურეების რაოდენობის 80% ესაჭიროება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია შესაბამისი აღჭურვილობითა და უნიფორმით უზრუნველყოფილი სააგენტოს 55%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლა. კლიმატური შეფერხებები ტვირთის (საქონლის) შემოტანასთან დაკავშირებით |

| საერთაშორისო სამშვიდობო მისიები (29 06) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულება და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ნატო-ს ეგიდით წარმოებულ მტკიცე მხარდაჭერის მისიასა (RSM) და ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF) მონაწილეობა;<br><br>ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა - EUTM RCA და მალი - EUTM Mali) მონაწილეობა;<br><br>საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯების უზრუნველყოფა (საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქვედანაყოფების პერსონალის საზღვარგარეთ მივლინების, იმუნიზაციის, სამედიცინო და სანივთე ქონების შეძენის და ინტერნეტის მომსახურების ხარჯები);<br><br>გადასროლისწინა მომზადებისთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენის უზრუნველყოფის ხარჯები. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | შეიარაღებული ძალების ნატო-სთან თავსებადობის ამაღლება, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერა, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს შეიარაღებული ძალები წარმატებით მონაწილეობენ ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციებში, ნატო-ს რეაგირების ძალებსა და ევროკავშირის მისიებში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს შეიარაღებული ძალები წარმატებით მონაწილეობენ ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციებში, ნატო-ს რეაგირების ძალებში და ევროკავშირის მისიებში. მიმდინარეობს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - საშუალო ალბათობა;<br>**შესაძლო რისკები** - საშუალოვადიან პერსპექტივაში შესაძლოა ავღანეთის მისია და ევროკავშირის მისიები არსებული სახით დასრულდეს და გაგრძელდეს სხვა ფორმატით ისევე როგორც ევროკავშირის მისიები |

| **გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (26 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს პროკურატურა |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის გამოძიებისა და საპროცესო ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობა, აღნიშნული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელოს შემუშავება;<br>ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება;<br>ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;<br>პროკურატურის მუშაკთა ახალი, პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისი ეთიკის კოდექსის შემუშავება, არსებული კოდექსის ბუნდოვანი ნორმების აღმოფხვრა, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების კონკრეტიზაცია;<br>სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა, პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამების შექმნა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაციის განხორციელება;<br>პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მასმედიასთან ურთიერთობის ეფექტური მექანიზმების შექმნა, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმების სრულყოფა;<br>მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა, დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოების შექმნა; პროკურატურის ცნობადობის ამაღლება და როლის გაზრდა დანაშაულის პრევენციის (მ.შ. „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტით) პროცესში;<br>არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორთა გადამზადება; არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა, არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;<br>საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის, საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო პრაქტიკაში დანერგვის, განხორციელებული საკანონდებლო სიახლეების პრაქტიკაში სწორი იმპლემენტირებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა, პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის გზით;<br>თანმიმდევრული, კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობისა და საერთო მიდგომების დანერგვის მიზნით, პროკურატურისა და სხვა საგამოძიებო უწყებების/მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელება. |

| | |
|---|---|
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | გამოძიებაზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის შესაძლებლობის ზრდა;<br>დანაშაულის (მათ შორის არასრულწლოვანთა შორის) პრევენციაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა;<br>კვალიფიციური, მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე, კომპეტენტური კადრები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროკურორების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გაიდლაინების შემუშავება (2017 წელს საორიენტაციოდ 5 რეკომენდაცია);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად პროკურორების საქმიანობაზე დაკვირვება და რეკომენდაციების შემუშავება (საორიენტაციოდ 2018 წლისთვის 4 რეკომენდაციის შემუშავება, ხოლო 2019-დან 2021 წლებში კიდევ 14 რეკომენდაციის გამოცემა);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - საქმეების კომპლექსურობისა და რაოდენობის გათვალისწინებით პროკურორების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეები<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების ჩატარება (2017 წელს საორიენტაციოდ 200 ღონისძიება);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად პრევენციული ღონისძიების ჩატარება (საორიენტაციოდ 2018 წლისთვის განხორციელდება 200 ღონისძიება, ხოლო 2019-დან 2021 წლებში 600 ღონისძიება);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - საზოგადოების დაინტერესების და ჩართულობის დონე<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სისტემის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნვეყოფის მიზნით 2017 წელს საორიენტაციოდ 150 აქტივობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სისტემის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნვეყოფის მიზნით, 2018 წლისთვის საორიენტაციოდ 150 სასწავლო აქტივობის განხორციელება, ხოლო 2019-დან 2021 წლებში საორიენტაციოდ 450 სასწავლო აქტივობის განხორციელება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - კვალიფიციური ტრენერ-ექსპერტების დატვირთვა და დროის დეფიციტი. საქართველოს პროკურატურის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მომსახურების გამარტივებული შესყიდვის შესახებ განკარგულების მიუღებლობა. აქტივობების მიმართ დონორი ორგანიზაციებისგან დაინტერესების და ხელშეწყობის შემცირება |

| სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (29 07) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო–ტექნიკური ცენტრი ,,დელტა"; სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი; სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი; სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი; სსიპ - ინსტიტუტი ,,ოპტიკა"; სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა - ტექნიკის ინსტიტუტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ენერგოუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების გაღრმავება, საწარმოო ბაზის განახლება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, შეიარაღებულ ძალებში არსებული შეიარაღების და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზება და აღდგენა;<br><br>მრეწველობის და მათ შორის, მანქანათმშენებლობის რიგი დარგების განვითარება, ახალი ტექნოლოგიური პროცესების კვლევა და ოპტიმიზაცია;<br><br>ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების მიზნით, თავდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევების განხორციელება;<br><br>საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა-მშენებლობა და ექსპერიმენტალური მოდელების შექმნა შემდგომში ექსპორტის გაზრდის მიზნით. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | განვითარებული სამხედრო მრეწველობა და ხარისხიანი სამეცნიერო კვლევები |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ჩატარებულია სამხედრო მასალების მოწყობილობების კვლევა და განვითარება, მეცნიერული კვლევები და საცდელ–საკონსტრუქტორო სამუშაოები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სამეცნიერო კვლევების გაღრმავება სამხედრო მრეწველობის განვითარებაში, სამეცნიერო კვლევა სამთო ინჟინერიაში, სამეცნიერო კვლევა მიკრო და ნანოელექტრონულ ტექნოლოგიაში, სამეცნიერო კვლევა მანქანათმშენებლობის სფეროში, სამეცნიერო კვლევა მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სფეროში, სამეცნიერო კვლევა გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში და სამეცნიერო კვლევა გამოყენებითი ოპტიკის სფეროში. პროდუქციის გამოშვება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** დაბალი-საშუალო ალბათობა;<br>**შესაძლო რისკები -** მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა კადრების გადინება |

| ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების უზრუნველყოფა გამართული და სათანადოდ აღჭურვილი ინფრასტრუქტურით;<br>თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ტერიტორიაზე განთავსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება. კერძოდ: კვების ობიექტების (სასადილოები, საქვაბეები, საქლორატოროები, არტეზიული ჭები და წლის ავზები); საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობები (ყაზარმები, შტაბები, საყარაულო შენობები და საგუშაგო კოშკურები, საკონტროლო გამშვები პუნქტები, სასწავლო კლასები და ბიბლიოთეკები, კლუბები, ლაზარეთები და სამედიცინო პუნქტები); საწვრთნელი ინფრასტრუქტურა (ტირები, სასროლეთები და პოლიგონები);<br>საცხოვრებელი ბინები;საინჟინრო კომუნიკაციები (წყალმომარაგების, გაზმომარაგების, საკანალიზაციო სისტემები და სხვა საინჟინრო ნაგებობები) საპარკო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა (ავტო-გასამართი სადგურები, ავტოსადგომები, ბოქსები, ავტო-სამრეცხაოები, საამქროები და სარემონტო პუნქტები); სასაწყობო მეურნეობა (საწყობები და საცავები); სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა (ღია და დახურული სტადიონები, სპორტული დარბაზები, საცურაო აუზები და წინაღობათა ზოლები). |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | შეიარაღებული ძალების განვითარებული და აღდგენილი საყოფაცხოვრებო, სასაწყობო, საწვრთნელი და საპარკო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა;<br><br>თანამედროვე სტანდარტებით აშენებული საცხოვრებელი კორპუსები და სახლები;<br><br>გაუმჯობესებული კვებითი ობიექტები, გამართული წყლის რეზერვუარები და რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემები. სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურული კომუნიკაციები და საინჟინრო ნაგებობები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ინფრასტრუქტურის არსებული გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018-2021 წლის ინფრასტრუქტურის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;<br>**შესაძლო რისკები** - წლიური გეგმების შემდგომ წლებზე გადავადება, დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილობრივ შესრულება |

| **თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება / განვითარება (29 08)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საქართველოს შეიარაღებული ძალები მზადუოფნა შესაძლო სამხედრო აგრესიის შესაკავებლად და რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში მონაწილეობის მისაღებად;<br><br>საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე და ეროვნული სამხედრო სტრატეგიით განსაზღვრული სამხედრო მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება;<br><br>საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამედროვე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შენარჩუნება, მოდერნიზაცია და განვითარება საბრძოლო და საბრძოლო მხარდაჭერის ქვედანაყოფების შესაძლებლობების განვითარების მიზნით. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებული თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება |

| **ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (23 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემოს ხარისხის ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება;<br><br>საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა;<br><br>საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების გადახდაზე თავის არიდების აღკვეთის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარება დანაშაულის ჩადენის აღკვეთის მიზნით; |

| | |
|---|---|
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა;<br><br>ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტიანი გარემოს შექმნა;<br><br>საგამოძიებო სამსახურის მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადაყვანა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა( 2016 წლის მდგომარეობით) 1024 და ყველა საქმეზე დაწყებული წინასწარი გამოძიება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მაქსიმალურად გამოვლენილი სამართალდარღვევათა რაოდენობა,გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად სამართალდარღვევათა შემცირებული რაოდენობა |

| **ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის ხელშეწყობა (31 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და ამ მიზნით სხვადასხვა ღონისძიებათა განხორციელება;<br><br>„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებების განხორციელება;<br><br>სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;<br><br>სასაზღვრო ტექნოლოგიების განვითარება და სასაზღვრო გამტარი პუნქტების საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების გზით მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემები სისხლის სამართლის საქმეზე; |

| | |
|---|---|
| | კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების გზით მოპოვებული ინფორმაცია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფებისა და ცალკეული პირების სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების შესახებ. |

| **ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | კანონსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი ქმედებისაგან იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების და პირადი დაცვის უზრუნველყოფა;<br><br>დასაცავი ობიექტებიდან შეუფერხებელი, ხარისხიანი სიგნალის მიწოდების უზეუნველსაყოფად, ციფრული კავშირგაბმულობითა და დასაცავი ობიექტების თანამედროვე დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა;<br><br>ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილების და ინკასაციის ჯგუფების, ასევე დასაცავი ობიექტების უზრუნველყოფა თანამედროვე საშუალებებით;<br><br>ავტოპარკის მუდმივი განახლება;<br><br>სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, შენობა-ნაგებობების რებილიტაცია-მშენებლობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მეტად დახვეწილი და გამართული დაცვითი მომსახურება;<br><br>თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვილი დასაცავი ობიექტები;<br><br>თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილების და ინკასაციის ჯგუფები ასევე დასაცავი ობიექტები;<br><br>თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად რეაბილიტირებული და აშენებული დეპარტამენტის ბალანზე რიცხული შენობა-ნაგებობები. |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს 12 905 ობიექტის დაცვას. აქედან საპოლიციო ძალით დაცულია 722 ობიექტი, ტექნიკური საშუალებებით - 11688 ობიექტი, შერეული დაცვა (საპოლიციო ძალა+ტექნიკური საშუალებები) ხორციელდება 277 ობიექტზე, პირადი დაცვით უზრუნველყოფილია 218 ფიზიკური პირი. GPS-ით დაცული ავტომანქანების რაოდენობაა - 1995;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 10%-ით გაზრდილი არსებული მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 40%;<br>**შესაძლო რისკები** - დასაცავი ობიექტების რაოდენობისა და დაცვის მომსახურების ხარისხის შემცირება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - AES და SIS პროგრამული მომსახურება უზრუნველყოფს საქართველოს მაშტაბით 12 000-მდე აბონენტის გამართულ მუშაობას, თანამედროვე ციფრული რადიოკავშირგამულობის საშუალებებით უზრუნველყოფილია ქ. თბილისი და მისი შემოგარენი, აჭარის რეგიონი, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველო და ოპერატიული რეაგირების ჯგუფები. გასაახლებელია დაცვის სიგნალის გადაცემისა და მიღების სისტემა სრულად, რეგიონალურ დანაყოფებში სიგნალების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა (არსებული კომპიუტერული ტექნიკა ამორტიზირებულია), ასევე ქ. თბილისში მდებარე დაცვაში არსებული ობიექტებისთვის SMS შეტყობინებების დაგზავნის სერვისი. საჭიროა აბონენტთა პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების 14 000-მდე გაზრდა. ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებშიტექნიკურად გასაახლებელია ვიდესამეთვალყურეო სისტემები, დასანერგია გარე პერიმეტრის დაცვის სისტემები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სრულად განახლებული დაცვის სიგნალის გადაცემისა და მიღების სისტემა, რეგიონალურ დანაყოფებში განახლებული სიგნალების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, დაცვის ქვეშ მყოფი აბონენტებისთვის SMS შეტყობინებების გაუმჯობესებული, მყისიერი დაგზავნის სერვისი, გადაიარაღებული ქსელური ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, საჰაერო ქსელური მოწყობილობა, სერვერები);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - დასაცავი ობიექტების რაოდენობის მკვეთრი ცვლილება, ახალი უფრო მეტად თანამედროვე სპეც. ტექნიკის ბაზარზე გამოჩენა და დამკვეთისგან მისი მოთხოვნა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულია 337-მსუბუქი ავტომობილი, 81 ჯიპი და პიკაპი, 12-სამგზავრო (ავტობუსი, მიკროავტობუსი), 1 სატვირთო ავტომობილი, 109 - ბრონირებული მანქანა, 2-სპეც ტექნიკა (ევაკუატორი). ზენორმატიული დატვირთვის გამო ინკასაციის მანქანები ხშირად გამოდის მწყობრიდან, ასევე ოპერატიული რეაგირების მანქანები მიეკუთვება მაღალი რისკის ჯგუფს და ხვდებიან ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილეები, შესაბამისად ინკასაციის და ოპერატიული რეაგირების ჯგუფის მანქანებს ხშირად ესაჭიროებათ ჩანაცვლება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეძენილი ან ჩანაცვლებული ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა- |

| | |
|---|---|
| | ინკასირებისათვის 20 ერთეული დაჯავშნილი ავტომანქანა, ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებისათვის 20 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა, ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და დასაცავი ობიექტებისათვის 10 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%;<br>**შესაძლო რისკები** - დასაცავი ობიექტების რაოდენობის ცვლილება, გაუთვალისწინებლად ავტომანქანების სრულად მწყობრიდან გამოსვლა (ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად)<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე დღეის მდგომარეობით ირიცხება 65 შენობა, საიდანაც 34 შენობა აკმაყოფილებს სამუშაო პირობებისთვის საჭირო შესაბამის პირობებს, ხოლო 17 შენობას ესაჭიროება კოსმეტიკური რემონტი და 14 შენობას - კაპიტალური;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გარემონტებული აჭარის დპს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რდპს, ქ. თბილისის სამმართველო. დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის კეთილმოწყობილი ეზო, აშენებული იმერეთი-გურიის რდპს ჭიათურის ქვეგანყოფილების, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს შენობები, გარემონტებული ადმინისტრაციული შენობის მე-6 სართულის ნაწილი (125 სამეთვალყურეო პულტის ოთახი), დასაცავი ობიექტებისათვის შეძენილი 10 ცალი და გარემონტებელი 150 ცალი დაცვის ჯიხური;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%;<br>**შესაძლო რისკები** - დასაცავი ობიექტების რაოდენობისა და დაცვის მომსახურების ხარისხის შემცირება, გაუთვალისწინებელი ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად დაუგეგმავი რემონტები |

| **მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები (29 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება, ცნობიერების ამაღლება და ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება. თავდაცვის სამინისტროში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;<br><br>პროგრამა ითვალისწინებს კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების განვითარებას შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის მხარდასაჭერად;<br><br>კავშირგაბმულობის სერვისების, ინტერნეტისა და საფოსტო მომსახურება.<br><br>საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავება და დანერგვა, ასევე ERP სისტემის მოდულებსა და სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფა, რაც მოიცავს ადამიანური რესურსების |

| | |
|---|---|
| | მართვის, ფინანსების, აქტივების, ავტოპარკის, ლოგისტიკური და სხვა პრიორიტეტული ბიზნეს პროცესების ელექტრონული სააღრიცხვო სისტემების შემუშავება და დანერგვა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მართვისა და კონტროლის სისტემების ერთიანი ფუნქციონირებადი ქსელის, სისტემის დახვეწა, რომელიც მოიცავს ქვედანაყოფებში სიტუაციის ფლობის, ინფორმაციის გავრცელებისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - კრიტიკული კავშირგაბმულობის და ინფორმაციული უსაფრთხოების არსებული სისტემები ფუნქციონირებს გამართულად;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირების შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - სისტემის ელემენტების ტექნიკური მოძველება და პროგრამული უზრუნველყოფის განუახლებლობა;<br>**შესაძლო რისკები** - დამოკიდებულება (პრობლემები) სერვისის/პროდუქციის მომწოდებლებზე; ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების მაღალი ტემპის გამო არსებული სისტემების მოძველება |

| **სრულყოფილი პრობაციის სისტემა (27 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება;<br><br>სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართულობა;<br><br>მსჯავრდებულთათვის სასჯელის სახედ - შინა პატიმრობის სრულყოფილი აღსრულება ელექტრონული მონიტორინგის სისტემის საშუალებით. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | განვითარებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები;<br><br>უზრუნველყოფილია პრობაციონერების ჩართულობა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში, დანაშაულის პრევენციისა და მათ რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით; |

| | |
|---|---|
| | დანერგილია ელექტრონული მონიტორინგის საშუალებებით შინა პატიმრობის ეფექტურად აღსრულება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - განვითარებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები (აშენებულია ახალი ოფისები; უზურნველყოფილია საჭირო ინვენტარით, ვიდეოპაემნის სერვისი სრული დატვირთვი ფუნქციონირებს); პრობაციის ერთი ოფიცრის დატვირთვა საშუალოდ შეადგენს125 საქმეს. (პრაქტიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, რომ ერთი ოფიცირის დატვირთვა არ აღემატებოდეს 150 საქმეს);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება შენარჩუნებულია; პრობაციის თითო ოფიცერზე დატვირთვა 150 საქმემდეა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - პრობაციონერთა რაოდენობის ზრდის შედეგად, დატვირთვა გადააჭარბებს 150 საქმეს;<br>**შესაძლო რისკები** - პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2016 წელს 1468 პირობით მსჯავრდებულს ესაჭიროებოდა რეაბილიტაციის პროცესში ფსიქოლოგის/სოციალური მუშაკის ჩართულობა. ამათგან, სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 854-მა პირობით მსჯავრდებულმა (73 ქალი - 781 მამაკაცი). სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო პირობით მსჯავრდებულთა 6.23 %;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულია პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 7%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1-3% რისკებისა და საჭიროებების შეფასებიდან გამომდინარე, სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობის ცვლილება;<br>**შესაძლო რისკები** - პირობით მსჯავრდებულთა რეზისტენტულობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ დანერგილია ელექტრონული მონიტორინგის საშუალებებით შინა პატიმრობის ეფექტურად აღსრულება. 2016 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შემოვიდა შინაპატიმრობის 9 საქმე. შემუშავებული კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე გამოყენებული იქნება სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართაც;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია შინა პატიმრობის აღსრულების ელექტრონული მონიტორინგის გამართულად ფუნქციონირება;<br>**შესაძლო რისკები** - სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ შინაპატიმრობის გამოყენებისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებაზე უარი საკანონმდებლო ორგანოს მიერ |

| საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა (24 09) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება;<br><br>კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა;<br><br>ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;<br><br>აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა;<br><br>ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხის ამაღლება |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები შესრულებულია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018-2021წწ - საქართველოში ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების თაობაზე დადებითი დასკვნის გამოტანა |

| საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (03 01) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის მიამრთულებით უმაღლესი დონის გადაწყვეტილებების მომზადება; სამხედრო ძალების სტრუქტურისა და რაოდენობის განსაზღვრის პროექტების მომზადება; ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაცია კანონმდებლობით მინიჭებული |

| | |
|---|---|
| | კომპეტენციის ფარგლებში და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მონაწილეობის უარუნველყოფა.<br>საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის მიმართულებით ქვეყნს თავდაცვის, უშიშროებისა და სამხედრო აღმშენებლობის საკითხებზე აქტების მომზადება და<br>ექსპერტიზა, საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება და ამ მასალებით საქართველოს პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს წევრების უზრუნველყოფა. ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით<br>გათვალისწინებული საქმიანობის მიმართულებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წინადადებებისა და გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება. |

| **დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (26 07)** | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია;<br>რისკჯგუფებთან მუშაობა და პირველადი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება შემდეგი მიმართულებებით: ახალგაზრდების ფიზიკური, შემეცნებითი, გონებრივი, სოციალური და მოხალისეობრივი კულტურის განვითარება;<br>დანაშაულის გამომწვევი რისკფაქტორების შემცირების მიზნით ბენეფიციარების ფსიქოსოციალური მდგომარეობის გაძლიერება, ყოფილი პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება, შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ტრენინგების/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება და პოტენციურ დამსაქმებელთან რეკომენდაციების გაწევა, განრიდება-მედიაციის სფეროს ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა, საგრანტო პროგრამების საშუალებით დეფიციტური სერვისების მიწოდება და მათი შემდგომი განვითარება, არასრულწლოვნებში დანაშაულის პირველადი პრევენციის მიზნით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოხალისეობის განვითარება და სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების დონის ამაღლება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ყოფილ პატიმართა და დანაშაულის ჩადენის რისკჯგუფში მყოფ პირთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია;<br><br>დანაშაულის ადრეული პრევენციული აქტივობების საშუალებით არასრულწლოვნებში დანაშაულის ადრეული პრევენცია. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წელს ცენტრის ხელშეწყობით დასაქმდება 60 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად დასაქმებული 70 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5 ბენეფიციარი;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების/მათი ოჯახის წევრების შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონა; დამსაქმებლების |

| | |
|---|---|
| | ნაკლებობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 5%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციის აქტივობებში ყოველწლიურად ჩართული, სულ მცირე, 5900 არასრულწლოვანი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციის აქტივობებში 2017 წელს აქტივობებში ჩაერთვება 5900-მდე უნიკალური მონაწილე;<br>**შესაძლო რისკები** - სხვა ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მსგავსი სერვისები |

| **სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 05)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოება;<br><br>სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობ მატერიალურ ფასეულობათა ახალი ნომენკლატურის შემუშავება და დადგენილი წესით მისი დამტკიცება;<br><br>სახელმწიფო რეზერვში რიცხულ მატერიალურ მარაგებზე მონიტორინგის და სისტემატური კონტროლის განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | შემუშავებული და დამტკიცებული სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობ მატერიალურ ფასეულობათა ახალი ნომენკლატურა;<br><br>მუდმივად ვარგისი და ნომენკლატურის შესაბამისი სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალურ მარაგები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - იმისთვის, რომ სახელმწიფო რეზერვში ჩაწყობილი მატერიალური მარაგები მუდმივად იყოს ვარგისი და არ მოხდეს მისი უკანონო მითვისება საჭიროა მუდმივი მონიტორინგი და კონტროლი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - საომარი მოქმედებები, ქვეყანაში არასტაბილური სიტუაციების წარმოშობის შემთხვევა, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები |

| **საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 08)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - 112 |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | 112-ის შესაბამის სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით, ურთიერთთანამშრომლობით და ინფორმაციის დროული გაცვლით მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალი დონის და მარტივად ხელმისაწვდომი გადაუდებელი დახმარებით;<br><br>საგანგებო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პროცესში, პასუხისმგებელი სუბიექტების დროულად და სწორად ჩართვის უზრუნველყოფა;<br><br>გადაუდებელი დახმარების შეტყობინების მიღების და დამუშავების სისტემის გაუმჯობესება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სსიპ – 112-ის გაუმჯობესებული მომსახურება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ - 112 საქართველოს ტერიტორიიდან შემოსულ გადაუდებელი დახმარების შესახებ ზარებს ყოველწამიერ რეჟიმში პასუხობს. საჭირო გადაუდებელი დახმარების მიმღები მოქალაქეებიდან 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებული არსებული მაჩვენებელი |

| **სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა (30 07)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სააგენტოს მიერ მიწოდებული სერვისების მუდმივ რეჟიმში დახვეწა და სააგენტოს მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლება;<br><br>სააგენტოს მიერ უფრო მეტად სწრაფი, მოქნილი და თითოეული მოქალაქის ინტერესზე მორგებული მომსახურების უზრუნველყოფა; |

| | |
|---|---|
| | მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდაზე მოქალაქეების მიერ შეუფერხებლად გასვლისთვის შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემენა;<br><br>მომსახურების პროცესის შეუფერხებლად და თანამედროვე პირობებით მიწოდებისთვის, სააგენტოს ინფარასტრუქტურის განახლება/რეაბილიტაცია. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მეტად დახვეწილი, მოქნილი და გამართული მომსახურების პროცესი;<br><br>განახლებული საგამოცდო ავტოპარკი;<br><br>სააგენტოს რეაბილიტირებული ინფარასტრუქტურა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მომსახურების მიმღები მოქალაქეებიდან 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ინტერნეტ ქსელის მწყობრიდან გამოსვლა<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მართვის მოწმობის პარაქტიკული გამოცდების მიმდინარეობის პროცესში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება საგამოცდო ავტომანქანების მწყობრიდან გამოსვლა და ამით ფერხდება საგამოცდო პოცესი საგამოცდო მანქანების 60% საჭიროების შეცვლას;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - განახლებული საგამოცდო ავტოპარკის 60%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - პრაქტიკული გამოცდების პროცესში საგამოცო მანქანების დაზიანება<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს ინფრასტრუქტურის 70% საჭიროებს რეაბილიტაციას;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის 50%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - სააგენტოს განვითრების გეგმებში განხორციელებული ცვლილებები |

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25 02 | საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები | 1,283,200.0 | 1,283,200.0 | - | 2,500,000.0 | 3,200,000.0 | 3,200,000.0 |
| 25 03 | რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 276,193.0 | 262,000.0 | 14,193.0 | 234,951.0 | 123,633.0 | 164,343.0 |
| 25 04 | წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია | 254,920.0 | 254,920.0 | - | 364,681.0 | 26,000.0 | 26,000.0 |
| 36 04 | სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება | 67,700.0 | 67,700.0 | - | 74,600.0 | 72,300.0 | 68,700.0 |
| 24 05 | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 52,230.0 | 52,115.0 | 115.0 | 52,115.0 | 52,115.0 | 52,115.0 |
| 36 02 | მოსახლეობის ელეტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება | 30,000.0 | 30,000.0 | - | 30,000.0 | 30,000.0 | 30,000.0 |
| 25 05 | მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა | 25,000.0 | 25,000.0 | - | 65,400.0 | 17,300.0 | 10,500.0 |
| 36 03 | ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია | 21,600.0 | 21,600.0 | - | 37,530.0 | 16,740.0 | 18,600.0 |
| 36 01 | ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 12,160.0 | 11,700.0 | 460.0 | 12,160.0 | 12,160.0 | 12,160.0 |
| 24 12 | საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD) | 10,000.0 | 10,000.0 | - | 25,000.0 | 25,000.0 | 25,000.0 |
| 24 08 | საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება | 5,080.0 | 5,020.0 | 60.0 | 5,020.0 | 5,020.0 | 5,020.0 |
| 25 01 | რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 4,880.0 | 4,880.0 | - | 5,000.0 | 5,200.0 | 5,400.0 |
| 24 10 | ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ხელშეწყობა | 2,500.0 | 2,500.0 | - | 2,500.0 | 2,500.0 | 2,500.0 |
| 24 02 | ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება | 1,243.0 | 1,210.0 | 33.0 | 1,246.0 | 1,250.0 | 1,250.0 |
| 24 19 | სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო | 15,120.0 | - | 15,120.0 | 5,500.0 | 6,000.0 | 7,000.0 |
| 24 18 | სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო | 7,570.0 | - | 7,570.0 | 8,800.0 | 9,000.0 | 9,000.0 |
| 24 17 | სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო | 4,695.0 | - | 4,695.0 | 4,600.0 | 4,700.0 | 4,750.0 |
| 24 20 | სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური | 3,475.0 | - | 3,475.0 | 3,500.0 | 3,800.0 | 3,800.0 |
| 24 13 | ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება | - | - | - | 244,000.0 | - | - |

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სულ** | **2,077,566.0** | **2,031,845.0** | **45,721.0** | **3,676,603.0** | **3,612,718.0** | **3,646,138.0** |

## საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (25 02)

| | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს საგზაო ქსელის ინტეგრირება საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში, ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, ავტოსატრანსპორტო დერეფნის განვითარება და საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობის გაზრდა, მათ შორის: 300 კმ-ზე მეტი ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა, დევდორაკის გვირაბის მშენებლობა და მდინარე დებედაზე ხიდის მშენებლობა, სახელმწიფოთაშორისო და რეგიონთაშორისო ავტოსაგზაო კავშირების გაუმჯობესება, მთის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარერბა, კერძოდ: ბაღდათი-აბასთუმნის 60 კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია; ზემო იმერეთი (საჩხერე) - რაჭის დამაკავშირებელი 50 კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა; სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით 250 კმ-იანი საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა, მოსახლეობის გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის, ინტენსიური ავტომობილიზაციის დონისა და გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების დონესთან საავტომობილო საგზაო ქსელის განვითარების ტემპების შესაბამისობის უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ქვეყნის გაზრდილი საავტომობილო გზების გამტარუნარიანობა და საქართველოს საგზაო ქსელის ჩართვა საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში;<br><br>მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და საგზაო ინფრასტრუქტურა;<br><br>მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;<br><br>მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებთან, თვითმმართველ ქალაქებთან, ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან გამარტივებული დაკავშირება;<br><br>შემცირებული გადაადგილებისათვის საჭირო დრო. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 1,175.9 კმ; ხიდი - 227; გვირაბი - 2; ზამთრის პერიოდში შეკეთებული-შენახული: საავტომობილო გზა - 6,000 კმ; პერიოდული შეკეთება - 162 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 70 ობიექტზე; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებელი სამუშაოები - 79 ობიექტზე; განათებული საავტომობილო გზა - 155 კმ; ამორტიზირებული: საავტომობილო გზა - 594 კმ; ხიდი - 1; მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციები; დაწყებული |

| | |
|---|---|
| | მიწის გამოსყიდვის პროცედურები; დაწყებული სამშენებლო სამუშაოები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მშენებლობა-რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია: საავტომობილო გზა - 302 კმ; ხიდი - 43; გვირაბი - 1.7 კმ; მიმდინარე შეკეთება-შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6,000 კმ-მდე; პერიოდული შეკეთება: საავტომობილო გზა - 50 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 25-მდე ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებელი სამუშაოები - 20-მდე ობიექტი; განათებული საავტომობილო გზა - 39 კმ; დასრულებული: მიწის გამოსყიდვის პროცედურები; დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტი (Feasibility study). დაწყებული სამშენებლო სამუშაოები საავტომობილო გზებზე; რიკოთის საუღელტეხილო გვირაბისა და საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე არსებული გვირაბების ოპტიმალური ფუნქციონირება; დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილება; კადრების გადინება; სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები |

| **საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (25 02 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შესაბამისი მიზნების მიღწევა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 31 ქვეპროგრამის ადმინისტრირება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 27 მიმდინარე ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების ადმინისტრირება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 0%;<br>**შესაძლო რისკები -** სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილება; კადრების გადინება |

| **გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (25 02 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |

| | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია;<br><br>საავტომობილო გზების პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება;<br><br>ავტომაგისტრალის განათება;<br><br>სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | აშენებული, მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები. ასევე, შეკეთებული-აღდგენილი ხიდები და განათებული ავტომაგისტრალი. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 1,072.9 კმ; სახიდე გადასასვლელი - 143; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6,000 კმ; პერიოდული შეკეთება - 162 კმ; განათებული 155 კმ საავტომობილო გზა; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 70 ობიექტზე; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებელი სამუშაოები - 79 ობიექტზე; ამორტიზირებული: საავტომობილო გზა - 594 კმ; ხიდი - 1; მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციები; დაწყებული სამშენებლო სამუშაოები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 283 კმ; ხიდი - 31; გვირაბი - 1.7 კმ; მიმდინარე შეკეთება-შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6,000 კმ-მდე; პერიოდული შეკეთება: საავტომობილო გზა - 50 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 25-მდე ობიექტზე; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებელი სამუშაოები - 20-მდე ობიექტზე; განათებული 39 კმ საავტომობილო გზა; სამშენებლო-სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება; რიკოთის საუღელტეხილო გვირაბისა და საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე არსებული გვირაბების ოპტიმალური ფუნქციონირება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები |

| **ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (25 02 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი (საფინანსო ნაწილში) |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო |

| | |
|---|---|
| | კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ავტოტრანსპორტის ნაკადების გამტარუნარიანობის ამაღლება და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | რეკონსტრუირებული-მოდერნიზებული და განვითარებული ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენილი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზა (E-60 ავტომაგისტრალი). |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** აშენებული-რეკონსტრუირებული-მოდერნიზებული: საავტომობილო გზა - 103 კმ; ხიდი - 84; გვირაბი - 2. მომზადებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაციები; დაწყებული მიწის გამოსყიდვის პროცედურები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მოდერნიზაცია-მშენებლობა: საავტომობილო გზა - 19 კმ; ხიდი - 12. დასრულებული მიწის გამოსყიდვის პროცედურები; დაწყებული სამშენებლო სამუშაოები საავტომობილო გზებზე; მომზადებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტი (Feasibility study); დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები |

| **რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი; შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა;<br><br>სახელმწიფო მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, სამხედრო, პოლიციური და სხვა დანიშნულების) ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;<br><br>ნაპირდაცვითი სამუშაოების უზრუნველყოფა; ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ასევე, სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოების საოპერაციო ხარჯებისა და შესაბამისი ფუნქციური დავალებების შესასრულებლად წარმოებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა.<br><br>დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების გატარება, საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და ანალიზი. |

| | |
|---|---|
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | განვითარებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტებში;<br><br>ამაღლებული საინვესტიციო მიმზიდველობა;<br><br>გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ამორტიზირებული: 17 ობიექტი; საავტომობილო გზა - 83.2 კმ. ასაშენებელი: 5 ობიექტი; წყალმომარაგების, წყალარინების და გაზმომარაგების სისტემები; საავტომობილო გზა - 28 კმ. აშენებული: საავტომობილო გზა - 14.1 კმ; ტალღმტეხი ნაგებობა - 1 ერთეული; დასრულებული 32 ობიექტი; მოწყობილი ნაპირდამცავი ნაგებობა - 0.8 კმ-ზე; სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო: 4 ობიექტი; წყალარინების სისტემა; 1.9 კმ სანაპირო ზოლი. განახლებული საპროექტო დოკუმენტაციები. გამოცხადებული ტენდერები. დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციები. დაწყებული სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** რეაბილიტირებული: 22 ობიექტი; საავტომობილო გზა - 83.2 კმ; 1.9 კმ-იანი სანაპირო ზოლი; საბაგირო გზა (4 მიმართულება). აშენებული: საავტომობილო გზა - 34.8 კმ; 6 ობიექტი; ახალი 7.2 კმ-იანი საბაგირო გზა; წყალმომარაგების, წყალარინების და გაზმომარაგების სისტემები; 2 ტალღმტეხი ნაგებობა. მოწყობილი ნაპირდამცავი ნაგებობა - 0.8 კმ-ზე. სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები. მოწყობილი კულტურული მემკვიდრეობის ზონები. მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურა - 11 ობიექტზე. დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციები. დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები |

| **წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (25 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის და დაწესებულებების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა, კომპეტენციის ფარგლებში;<br><br>საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია, კომპეტენციის ფარგლებში; |

| | |
|---|---|
| | მუნიციპალიტეტებში წყალსადენის სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომპეტენციის ფარგლებში;<br><br>კომპეტენციის ფარგლებში, ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მუნიციპალიტეტებში მაცხოვრებელი მოსახლეობის სუფთა და გაფილტრული სასმელი წყლით 24 საათიანი მომარაგება;<br><br>მოწესრიგებული წყალარინების სისტემები;<br><br>განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სამშენებლო სამუშაოები: 2 გამწმენდ ნაგებობაზე; 1 წყალარინების და 1 წყალმომარაგების სისტემებზე; აშენებული: წყალარინების გამწმენდი ნაგებობა - 3; წყლის გამწმენდი ნაგებობა - 1; წყალარინების სისტემა - 1; სასმელი წყლის სისტემა - 1; რეზერვუარი - 2. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები: წყალმომარაგების სისტემა - 1. დასრულებული ტენდერი: ობიექტი - 4. დასრულებული საპროექტო დოკუმენტაცია: ობიექტი - 6. გაფორმებული სასეხო ხელშეკრულება - 12. გამრიცხველიანებული 60 კორპუსი; წყალმომარაგების 7 საათიანი გრაფიკი; ამორტიზირებული: წყალარინების გამწმენდი ნაგებობა - 1; წყალმომარაგების სისტემა - 2; წყალარინების ქსელი - 3; სათავე ნაგებობა - 1;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** აშენებული: წყალარინების გამწმენდი ნაგებობა - 2; წყალმომარაგების სისტემა - 2. აშენებული-რეაბილიტირებული: წყალმომარაგების სისტემა - 11. გამრიცხველიანებული 20 საცხოვრებელი კორპუსი; 24 საათიანი წყალმომარაგება. დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციები; დაწყებული სამშენებლო სამუშაოები; დასრულებული ტენდერები - 5; დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები |

| **სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (36 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სს სახელმწიფო ელექტროსისტემა; ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების. |

| | |
|---|---|
| | სისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა.<br><br>თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სისტემის მდგრადობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.<br>მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის გამტარუნარიანობის გაზრდა;<br>500 კვ მაგისტრალი - ენგური/ზესტაფონი/ახალციხე (ეგხ „იმერეთი“ და ეგხ „ზეკარი“) და 500 კვ ძაბვის ხაზის “კავკასიონის” (საქართველო-რუსეთი) დარეზერვება;<br>ხუდონი/ენგურის კვანძიდან სიმძლავრის გატანის უსაფრთხოების ამაღლება თურქეთსა და საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონისკენ (სომხეთისკენ) და რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ;<br>თერგის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება;<br>აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარისა და გურიის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება;<br>პერსპექტიული ჰესების სიმძლავრის უსაფრთხო ევაკუაცია: მესტიის რეგიონის ჰესების, მდინარე ნენსკრას შენაკადების და ნენსკრაჰესის, ხუდონჰესის, ცხენისწყლის კასკადის ჰესების და ხელედულაჰესის, გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების, მდინარე რიონის ქვემო ზონის (ვარციხის კასკადის) ჰესების სიმძლავრეების ქსელში ინტეგრირება და ტრანზიტი მომხმარებლებისკენ. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 220კვ "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მიმდინარე მშენებლობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალი 220კვ "ახალციხე-ბათუმი" ელექტროგადამცემი ხაზი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15% პროექტის განხორციელების ვადები;<br>**შესაძლო რისკები** - გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში, მოსახლეობასთან ურთიერთობა. ბუნებრივი პირობები<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 500 კვ ეგხ-ის ,,ქსანი-სტეფანწმინდას" მიმდინარე საამშენებლო სამუშაოების ბოლო ეტაპი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალი 500 კვ ეგხ ,,ქსანი-სტეფანწმინდა". სატრანზიტო პოტენციალი (საქართველო-რუსეთი-სომხეთი), გამტარუნარიანობა გაიზრდება; 200 მგვტ სომძლავრეების ქსელში ჩართვის შესაძლებლობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15 % ვადები;<br>**შესაძლო რისკები** - ბუნებრივი პირობები<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ,,ჯვარი-ხორგას" ეგს-ის მშენებლობის სამუშაოების დაახლოებით 80 %;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამუშაოების დასრულება, ახალი 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობა; ორი 8 კმ-იანი და ერთი 60 კმ სიგრძის 500 და 220 სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 30 % - პროექტის განხორციელების ვადები;<br>**შესაძლო რისკები -** სატენდერო და შესყიდვის პროცედურები, ბუნებრივი პირობები |

| **ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი (36 04 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა; საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების სცენარების გარემოსდაცვითი და სოციალური სტრატეგიული შეფასება;<br><br>220კვ "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა რომლის სიგრძეა 142 კმ. 1 ფაზა: ,,ბათუმი შუახევი“ (52 კმ) დასრულდება 2017 წელს, ხოლო 2018 წლის ბოლოს დასრულდება 2-ე ფაზის ,,შუახევი-ახალციხე“ მშენებლობა, მისი წინა საამშენებლო ეტაპი უკვე დაწყებულია, ხაზის სიგრძე - 90 კილომეტრია და ჯამში უნდა დაიდგას დაახლოებით 250 ანძა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | 2018 წლის ბოლოსთვის დასრულდება ფაზა 2 ეგხ "შუახევი - ახალციხე" მშენებლობა, ხაზის სიგრძე - 90 კილომეტრი<br>დაწყებული იქნება SCADA/EMS სისტემის და საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლათფორმის პროექტები.<br>საქართველოს ენერგეტიკული სექტორისა და მასთან დაკავშირებული გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარების სხვადასხვა სტრატეგიული სცენარისათვის გარემოსდაცვითი და სოციალური სტრატეგიული შეფასების ანგარიშის მომზადება და რეკომენდაციების მოწოდება სასურველი სცენარისთვის. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დამთავრებული იქნება ფაზა 1 - "ბათუმი - შუახევის" მონაკვეთი. "შუახევი - ახალციხის" ნაწილზე დაზუსტდება ეგხ - ის ტრასა, დასრულდება მოსამზადებელი სამუშაოები და დაიწყება "შუახევი - ახალციხე"-ს მშენებლობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მშენებლობის დასრულება; ახლი 220 კვ. ეგხ ,,ახალციხე ბათუმი";<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-25 % ვადები;<br>**შესაძლო რისკები -** გარემოს დაცვის თემები: ხე-ტყის ჭრის ნებართვები, განსახლების საკითხები: საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში, მოსახლეობასთან ურთიერთობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** მომზადებულია სტრატეგიული შეფასების ანგარიშის საბოლოო დრაფტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** გარემოსდაცვითი და სოციალური სტრატეგიული შეფასების ანგარიში;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-20% ვადები;<br>**შესაძლო რისკები -** შეფასების ანგარიშის შეთანხმების პროცედურები |

| საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა (36 04 02) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა; საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | 500კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ გადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის საშუალებით მოხდება ელექტროენერგიის გამოტანა მშენებარე დარიალის, ლარსის და<br>აგრეთვე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მომავალში ასაშენებელი სხვა ჰიდროელექტროსადგურებიდან და მათი მიერთება ქსელში.<br>ჯვარი-ხორგას ქსელი, საგრძნობლად გააუმჯობესებს საერთაშორისო და ადგილობრივი მომსახურების ხარისხს და საიმედოობას. ახალი ქვესადგურის მშენებლობით და 220 კვ.იანი ხაზების საშუალებით, შესაძლებელი გახდება ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ენერგომომარაგების უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | 500/220 კვ ქვესადგური ჯვარის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, 220 კვ ეგხ-ს ჯვარი-ხორგას მშენებლობისა და 500 კვ ეგხ კავკასიონის ქვესადგურ ჯვარში შეჭრის სამუშაოები.<br><br>ყაზბეგი, ლარსისა და მშენებარე დარიალი ჰესების სიმძლავრის ქსელში შემოყვანის ხელშეწყობა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ყაზბეგი, ლარსისა და მშენებარე დარიალი ჰესების საერთო სიმძლავრით 133 მგვტ ქსელში შემოყვანის ხელშეწყობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-15 % ვადები;<br>**შესაძლო რისკები -** ბუნებრივი პირობები<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** შესრულებულია სამუშაოების დაახლოებით 80 %;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სამუშაოების დასრულება, ახალი 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობა; ორი 8 კმ-იანი და ერთი 60 კმ სიგრძის 500 და 220 სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15% ვადები;<br>**შესაძლო რისკები -** ბუნებრივი პირობები |

| ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (24 05) |
|---|

| | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზარზე;<br><br>ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება და არსებულის დივერსიფიკაცია (მარშუტების შემუშავება, პროდუქტის ბეჭდვური-საინფორმაციო მასალის მომზადება);<br><br>მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;<br><br>მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, გაზრდილი ცნობადობა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის გაზრდილი კონკურენტუნარიანობა;<br>საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოპულარიზაციის შედეგად, ქვეყანაში შესაბამისი მიზნით ჩამოსული ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობა;<br>საქართველოს საკურორტო რესურსების შესახებ ამალებული ცნობადობა და ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2016 წელს დაფიქსირდა 6,350,825 საერთაშორისო ვიზიტორი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018-2021 წლებში მოხდება 2016 წლის მაჩვენებლის გაუმჯობესება 35%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%;<br>**შესაძლო რისკები** - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა |

| **მოსახლეობის ელეტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (36 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება და ელექტროფიცირება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | 2018 წელს დამატებით 10000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირებული 1 100 000-ზე მეტი აბონენტი; |

| | |
|---|---|
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - გაზიფიცირებულია 1 063 000 აბონენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაზიფიცირებულია 1 075 000 აბონენტი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20% შესრულების ვადების ცდომილება;<br>**შესაძლო რისკები** - სატენდერო და შესყიდვის პროცედურები, ბუნებრივი პირობები |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირებულია 1 063 000 აბონენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაზიფიცირებულია 1 100 000 აბონენტი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20% შესრულების ვადების ცდომილება;<br>**შესაძლო რისკები** - სატენდერო და შესყიდვის პროცედურები, ბუნებრივი პირობები |

| **მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (25 05)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია"; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა;<br><br>ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელები;<br><br>საქართველოს მუნიციპალიტეტებში მყარი ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება;<br><br>გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - კეთილმოწყობილი 30 ნაგავსაყრელი; დახურული 20 ნაგავსაყრელი; მოწყობილი 5 გადამტვირთი სადგური. დასრულებული ტენდერები სამშენებლო სამუშაოებზე; დაწყებული სამშენებლო სამუშაოები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამშენებლო სამუშაოები ახალ ნაგავსაყრელებზე; კეთილმოწყობილი 30 ნაგავსაყრელის და 5 გადამტვირთი სადგურის ოპერირება-ექსპლუატაცია; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები და დამატებითი სამუშაოები |

| **ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (36 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | შპს ენგურჰესი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება-რეაბილიტაცია.<br><br>სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი) რეაბილიტაცია, მათ შორის:<br><br>- ენგურჰესის 15კმ სადაწნეო გვირაბის რეაბილიტაცია.<br><br>- ენგურჰესის სატურბინო მილსადენების რესტავრაცია.<br><br>- ენგურჰესთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.<br><br>- ენგურის კაშხლის ელექტრომომარაგების სისტემის განახლება.<br><br>- მდინარე ენგურიდან ვარდნილის წყალსაცავში გადამგდები ფარების, ასევე ვარდნილჰესი-2-ზე არხის მარეგულირებელი ფარების და ამწის რეაბილიტაცია.<br><br>- ენგურის წყალსაცავის ნატანისგან გაწმენდის კონცეფციის შემუშავება და გაწმენდის სამუშაოების ჩატარება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების (ენგურჰესი, ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხური) რეაბილიტაცია, საპროექტო სიმძლავრეზე გაყვანა, სადგურის საიმედოობის ამაღლება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება 3,6 მლრდ კვ/სთ;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საშუალო წლიური გამომუშავების ზრდა 8 %;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30% / განხორციელების ვადები;<br>**შესაძლო რისკები** - სატენდერო და შესყიდვის პროცედურები, ბუნებრივი პირობები |

| ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (36 01) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი; სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ელექტროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, მისი განხორციელების კოორდინაცია. საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.<br><br>ელექტროენერგიის განახლებადი და ალტერნატიული წყაროების მოძიების, უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმის შემუშავება.<br><br>ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ენერგოდამზოგავი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.<br><br>ქარის, მზის და ბიომასის ელექტროსადგურების მშენებლობა/განვითარება.<br><br>ნავთობისა და გაზის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება.<br>საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობ-გაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი მარეგულირებელი საფუძვლებისა და სახელმწიფო რეგისტრაციის ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა.<br><br>ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის გაცემა. ნავთობის გადამუშავება - გაზის დამუშავება, ნავთობ-გაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ლიცენზიის გაცემა და ამ ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგი, მათ შორის: გარემოსდაცვითი და ტექნიკური უსაფრთხოების ზედამხედველობა.<br><br>ნავთობისა და გაზის სექტორში საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის შექმნა. ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაციის მიღება და დამუშვება.<br><br>ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ნაწილობრივი ანაზღაურება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება.<br>ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.<br>ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. |

| | |
|---|---|
| | ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურების განვითარება. ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და ახალი საბადოების გახსნა/ათვისება;<br>ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ხელი მოეწერა ,,ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს";<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულების რატიფიცირება და მიერთების პროცედურის დასრულება და ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ენერგეტიკული ქარტიის მოთხოვნებთან გაწერილი გეგმის მიხედვით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%-შესრულების ვადების ცდომილება;<br>**შესაძლო რისკები** - იურიდიული პროცედურები<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 20 გენერალური ლიცენზია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 30 გენერალური ლიცენზია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25 % - ახალი ლიცენზიის მფლობელების რაოდენობა;<br>**შესაძლო რისკები** - ნავთობის საერთაშორისო ფასი; სატენდერო პროცედურები<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში სუბსიდირების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა - 5700 აბონენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები 5700 აბონენტი |

| **ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება (36 01 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ელექტროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შმუშავება, მისი განხორციელების კოორდინაცია.<br>საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშწყობა.<br>ელექტროენერგიის განახლებადი და ალტერნატიული წყაროების მოძიების, უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით |

| | |
|---|---|
| | დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმის შემუშავება. ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ენერგოდამზოგავი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, ქვეყნის მდგრადი განვითარების და ნავთობისა და გაზის რაციონალური სარგებლობის დაგეგმვის მიზნით პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.<br>ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის მშენებლობა.<br>ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის გაცემაზე საერთაშორისო ტენდერების ჩატარება, ლიცენზიების გაცემა, სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგი. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება.<br>ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.<br>ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით.<br>ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.<br>ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულება და მშენებლობის მიზანშეწონილობის დადგენა.<br>ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან მოლაპარაკებების დასრულება, ხელშეკრულებებზე ხელმოწერა და გენერალური ლიცენზიების გაცემა.<br>ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების მფლობელთა საქმიანობის მონიტორინგი. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ხელი მოეწერა "ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს";<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულების რატიფიცირება და მიერთების პროცედურის დასრულება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%-შსრულების ვადების ცდომილება;<br>**შესაძლო რისკები** - იურიდიული პროცედურები<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევის დასრულება და მშენებლობის მიზანშეწონილობის დადგენა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%-შესრულების ვადების ცდომილება;<br>**შესაძლო რისკები** - იურიდიული პროცედურები<br>3. |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეისათვის გაცემულია 20 გენერალური ლიცენზია. დასრულდა ტენდერის გამოცხადების პროცედურები თავისუფალ რვა სალიცენზიო ბლოკზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტენდერში გამარჯვებული კომპანიების გამოვლენა და ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკებების შეთანხმება. ხელშეკრულებების ხელმოწერა და ახალი (8) გენერალური ლიცენზიების გაცემა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25 %;<br>**შესაძლო რისკები** - ნავთობის საერთაშორისო ფასი; სატენდერო პროცედურები<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ლიცენზიების პირობების შესრულების მონიტორინგი. (შესამოწმებელი 11 კომპანია, რომელიც 20 ლიცენზიის მფლობელია);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შესამოწმებელი 11 კომპანია (20 ლიუცენზია) დამატებით ახალი ლიცენზიის მფლობელების შემოწმება (+8);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%-ახალი ლიცენზიის მფლობელების რაოდენობა;<br>**შესაძლო რისკები** - წინასწარ შეუძლებელია განისაზღვროს რამდენი ტენდერი დასრულდება წარმატებულად და რამდენი ახალი გენერალური ლიცენზია გაიცემა მომდევნო წლებში |

| **ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (36 01 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | განხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში სუბსიდირების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა- 5700 აბონენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები 5700 აბონენტი |

| ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD) (24 12) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს:<br>რეგიონებსა და სოფლებში ინოვაციების ინფრასტრუქტურის ფორმირებას;<br>ციფრული წიგნიერებისა და ელექტრონული კომერციის გამოყენების დონის ამაღლებას;<br>მომავლის სპეციალობების მიმართულებით კვალიფიციური კადრების გადამზადებას;<br>დამწყები მაღალტექნოლოგიური კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობას;<br>ინოვაციების დაფინანსებით პროდუქტების (სერვისების), პროცესების თუ ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის, აგრეთვე მათი შემდგომი კომერციალიზაციის ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | პროექტი ხელს შეუწყობს ახალი ინოვაციური პროდუქტებისა და პროექტების გაჩენას მთელი ქვეყნის მასშტაბით;<br>გაიზრდება მცირე და საშუალო მეწარმეების კონკურენტუნარიანობა;<br>ამაღლდება კომპიუტერული წიგნიერება და გაიზრდება საერთაშორისო ბაზარზე დისტანციურად მომუშავე კვალიფიციური კადრი. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** შექმნილია და ფუნქციონირებს ზუგდიდის 1 რეგიონული ტექნოპარკი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ - დაემატება 4 რეგიონული ტექნოპარკი: თელავში, ქუთაისში, გორსა და ბათუმში; 2019წ - დაემატება 1 რეგიონული ტექნოპარკი; 2020წ - დაემატება 1 რეგიონული ტექნოპარკი; 2021წ - დაემატება 1 რეგიონული ტექნოპარკი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** 2018-2021წწ - შესაფერისი შენობების ვერ მოძიება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** შექმნილია და ფუნქციონირებს 3 ინოვაციების ცენტრი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ - დაემატება 12 ინოვაციების ცენტრი: გურჯაანი, ბოლნისი, ამბროლაური, ქარელი, კასპი, ხაშური, ოზურგეთი, ზესტაფონი, სამტრედია, ახმეტა, რუხი, მესტია; 2019წ - დაემატება 10 ინოვაციების ცენტრი; 2020წ - დაემატება 10 ინოვაციების ცენტრი; 2021წ - დაემატება 15 ინოვაციების ცენტრი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** 2018-2021წწ - შესაფერისი შენობების ვერ მოძიება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** არ არის აქტივობები განხორციელებული; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ. -2021წწ - 30 000 ოჯახისთვის დაფინანსებული ინტერნეტში ჩართვის პირველადი ინსტალაცია; 2018წ. - გაიცემა 3 000 ინტერნეტ ვაუჩერი; 2019წ. - დამატებით 12 000 ინტერნეტ ვაუჩერი; 2020წ. - დამატებით 10 000 ინტერნეტ ვაუჩერი; 2021წ. - დამატებით 5 000 ინტერნეტ ვაუჩერი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2018წ- 50%; 2019-2021წწ - 10-20%;<br>**შესაძლო რისკები -** სათანადო ინფრასტრუქტურის/მოთხოვნის არ არსებობა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** არ არის აქტივობები განხორციელებული;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2 500 ოჯახის თანადაფინანსება კომპიუტერის შესაძენად; 2019წ - დამატებით 11 000 ოჯახის თანადაფინანსება კომპიუტერის შესაძენად; 2020წ - დამატებით 9 000 ოჯახის თანადაფინანსება კომპიუტერის შესაძენად; 2021წ - დამატებით 4 000 ოჯახის თანადაფინანსება კომპიუტერის შესაძენად;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2018წ - 50%; 2019-2021წწ - 10-20%;<br>**შესაძლო რისკები -** სათანადო მოთხოვნის არ არსებობა<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** არ არის აქტივობები განხორციელებული;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ - 1000 მეწარმისთვის დაფინანსებული ინტერნეტში ჩართვის პირველადი ინსტალაცია; 2019წ - 1 800 მეწარმისთვის დაფინანსებული ინტერნეტში ჩართვის პირველადი ინსტალაცია; 2020წ- 2600 მეწარმისთვის დაფინანსებული ინტერნეტში ჩართვის პირველადი ინსტალაცია; 2021წ - 3 000 მეწარმისთვის დაფინანსებული ინტერნეტში ჩართვის პირველადი ინსტალაცია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** სათანადო ინფრასტრუქტურის/მოთხოვნის არ არსებობა<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** არ არის აქტივობები განხორციელებული;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ - კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად 500 მეწარმის თანადაფინანსება; 2019წ - კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად დამატებით 500 მეწარმის თანადაფინანსება; 2020წ - კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად დამატებით 500 მეწარმის თანადაფინანსება; 2021წ - კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად დამატებით 500 მეწარმის თანადაფინანსება.<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** 2018-2021წწ - სათანადო ინფრასტრუქტურის არ არსებობა<br>**7.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** არ არის აქტივობები განხორციელებული;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ - კომპიუტერულ წიგნიერებაში გადამზადებული და ინოვაციურ კონკურსებში მონაწილე 8 000 ბენეფიციარი; 2019წ - კომპიუტერულ წიგნიერებაში გადამზადებული და ინოვაციურ კონკურსებში მონაწილე დამატებით 9 600 ბენეფიციარი; 2020წ - კომპიუტერულ წიგნიერებაში გადამზადებული და ინოვაციურ კონკურსებში მონაწილე დამატებით 8 400 ბენეფიციარი; 2021წ - კომპიუტერულ წიგნიერებაში გადამზადებული და |

| | |
|---|---|
| | ინოვაციურ კონკურსებში მონაწილე დამატებით 8 400 ბენეფიციარი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - ტრენინგისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის არ არსებობა, ტექნიკური ხასიათის რისკები<br>**8.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - არ არის აქტივობები განხორციელებული;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018წ. - კომპიუტერული წიგნიერების კურსების/კონკურსების/ ოლიმპიადების 1 200 ქალი ბენეფიციაირი; 2019წ - კომპიუტერული წიგნიერების კურსების/ კონკურსების/ ოლიმპიადების დამატებით 1 440 ქალი ბენეფიციაირი; 2020წ - კომპიუტერული წიგნიერების კურსების/ კონკურსების/ ოლიმპიადების დამატებით 1 260 ქალი ბენეფიციაირი; 2021წ - კომპიუტერული წიგნიერების კურსების/ კონკურსების/ ოლიმპიადების დამატებით 2 980 ქალი ბენეფიციაირი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - 2018-2021წწ - სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა<br>**9.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - არ არის აქტივობა განხორციელებული;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018წ - საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გადამზადებული 1 000 სპეციალისტი; 2019წ - საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გადამზადებული დამატებით 1 000 სპეციალისტი; 2020წ - საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გადამზადებული დამატებით 1 000 სპეციალისტი; 2021წ - საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გადამზადებული დამატებით 1 000 სპეციალისტი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - 2018-2021წწ - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა<br>**10.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ელექტრონულ კომერციის ტრენინგების, ტექნიკური ხასიათის კონსულტაციების, ქოუჩინგის, გამოფენების, ინოვაციების აქსელერაციის პროგრამის მიხედვით ტრენინგები არ ჩატარებულა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018წ - ელექტრონულ კომერციისა და ინოვაციების აქსელერაციის პროგრამის 1,000 დატრენინგებული ბენეფიციარი; 2019წ - ელექტრონულ კომერციისა და ინოვაციების აქსელერაციის პროგრამის 2,000 დატრენინგებული ბენეფიციარი; 2020წ - ელექტრონულ კომერციისა და ინოვაციების აქსელერაციის პროგრამის 3,000 დატრენინგებული ბენეფიციარი; 2021წ - ელექტრონულ კომერციისა და ინოვაციების აქსელერაციის პროგრამის 4,000 დატრენინგებული ბენეფიციარი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - 2018-2021წწ - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა<br>**11.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სტარტაპ გრანტი არ გაცემულა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018წ - 45 სტარტაპისთვის გაცემული წილობრივი გრანტი 4 500 000 ლარის ოდენობით; 2019წ - დამატებით 45 სტარტაპისთვის გაცემული წილობრივი გრანტი 4 500 000 ლარის ოდენობით; 2020წ - დამატებით 45 |

| | |
|---|---|
| | სტარტაპისთვის გაცემული წილობრივი გრანტი 4 500 000 ლარის ოდენობით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - 2018-2020წწ - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა; განაცხადის კონკურსის დადგენილ კრიტერიუმებთან შეუსაბამობა<br>**12.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ინოვაციების გრანტი არ გაცემულა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018წ - 7 ინოვაციურ პროექტში გაცემული წილობრივი გრანტი 3 500 000 ლარის ოდენობით.; 2019წ - დამატებით 7 ინოვაციურ პროექტში გაცემული წილობრივი გრანტი 3 500 000 ლარის ოდენობით; 2020წ - დამატებით 7 ინოვაციურ პროექტში გაცემული წილობრივი გრანტი 3 500 000 ლარის ოდენობით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - 2018-2020წწ - სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა; განაცხადის კონკურსის დადგენილ კრიტერიუმებთან შეუსაბამობა |

| **საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 08)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ-საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა, უცხოური გამოცდილების გაზიარება და ამ გამოცდილების საქართველოში დანერგვა;<br><br>დაგეგმილი/განსახორციელებელი პროექტების შესრულებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება, დასაქმება, მათთვის პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნა და განსახორციელებელი ყველა პროგრამის ადმინისტრაციული რესურსით უზრუნველოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მთელი ქვეყნის მასშტაბით გაჩნდენა ახალი ინოვაციური პროდუქტები და პროექტები. გაიზრდება ქართველი მცირე და საშუალო მეწარმეების კონკურენტუნარიანობა და ინტერნეტიზაციის პროცესი. ამაღლდება კომპიუტერული წიგნიერება და გაიზრედბა კვალიფიციური კადრების რიცხვი, რომლებსაც ექნებათ საერთაშორისო ბაზარზე დისტანციურად მუშაობის საშუალება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს მასშტაბით 2014-16 წლებში შეიქმნა სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიები, ჯამში 9 ობიექტი, მათ შორის ტექნოპარკი თბილისსა და ზუგდიდში. ბენეფიციარების რაოდენობა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 15 000 ერთეულს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტექნოპარკის ბენეფიციართა რაოდენობა გაიზრდება ყოველწლიურად : 2018 წელს- 15 000 |

| | |
|---|---|
| | ერთეულით; 2019 წლისთვის- 15 000 ერთეულით; 2020 წლისთვის-15 000 ერთეულით; 2021 წლისთვის-15 000 ერთეულით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-20%;<br>**შესაძლო რისკები -** სამიზნე ჯგუფის დაბალი აქტივობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2014-2016 წლებში დაფინანსდა: 17 სტარტაპი 50,000 ლარის ოდენობის გრანტით, 142 ბენეფიციარი 5000 ლარამდე ოდენობის გრანტით და 20 სტარტაპი პროგრამა "სტარტაპ საქართველოს ფარგლებში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** „სტარტაპ საქართველოს“ პროექტის ფარგლებში დამატებით დაფინანსდება 20 სტარტაპი 2018 წელს; 20 სტარტაპი 2019 წელს; 20 სტარტაპი 2020 წელს; 20 სტარტაპი 2021 წელს. 5 000 ლარის ოდენობით გაიცემა გრანტი 2018 წელს 100 ბენეფიციარზე; 2019 წელს დამატებით 100 ბენეფიციარზე; 2020 წელს - დამატებით 100 ბენფიციარზე; 2021 წელს - დამატებით 100 ბენეფიციარზე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-20%;<br>**შესაძლო რისკები -** განაცხადის რაოდენობის სიმცირე, კონკურსის მოთხოვნებთან შეუსაბამობა |

| **რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (25 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და განხორციელების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში, რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი;<br><br>მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის, დეკონცენტრაციის და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე, აგრეთვე, მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გაძლიერებისათვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება;<br><br>ადგილობრივი და უცხოური წყაროებით დაფინანსებული რეგიონული პროგრამებისა და პროექტების კოორდინაცია და მათი შესრულების ეფექტიანობის შეფასება, კომპეტენციის ფარგლებში;<br><br>კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების და მუნიციპალიტეტის მოხელეთა სწავლების საკითხების კოორდინაცია;<br><br>მუნიციპალიტეტის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და კოორდინაცია; |

| | |
|---|---|
| | „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელება;<br><br>საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;<br><br>საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში, როგორც სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას მიკუთვნებული, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა, აგრეთვე ამ პროექტებით გათვალისწინებული ობიექტების სამშენებლო, სარეაბილიტაციო და სხვა სახის სამუშაოების კოორდინაცია და კომპეტენციის ფარგლებში, მონიტორინგი;<br><br>კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს წყლით უზრუნველყოფისა და მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა და კოორდინაცია;<br><br>სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;<br>მუნიციპალიტეტების მიერ მოქალაქეების სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოთა კოორდინაცია;<br><br>არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა);<br><br>კომპეტენციის ფარგლებში, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე წინადადებების მომზადება/განხორციელება/განხორციელებაში მონაწილეობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | რეგიონული განვითარებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე შემუშავებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები;<br><br>შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები;<br><br>საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა;<br><br>საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული დეცენტრალიზაციის პროცესი; |

| | |
|---|---|
| | გაზრდილი კვალიფიციური კადრების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დეცენტრალიზაციისა და საჯარო პოლიტიკის კუთხით შემუშავებული დოკუმენტები (ნორმატიული აქტები, სტრატეგია/საქმედო გეგმა და ა.შ.); 15 მუნიციპალიტეტში განხორციელებული სერვისების ეფექტიანობის შეფასება; ვებგვერდზე განთავსებული 10 ელექტრონული პუბლიკაცია; კვალიფიკაცია აიმაღლა 300-მა მოხელემ; 76 მუნიციპალიტეტს გაწეული მეთოდოლოგიური დახმარება; თვითმმართველობის მოხელეთა სასწავლო პროგრამების რეესტრში რეგისტრირებული 105 სასწავლო პროგრამება; ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემით სწავლება გავლილი აქვს 1500 მოხელეს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაზრდილი კვალიფიციური კადრების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში; შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილება; კადრების გადინება |

| **ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ხელშეწყობა (24 10)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ანაკლიის პორტის საინვესტიციო ხელშეკრულების მონიტორინგი და პროექტის განვითარების ხელშეწყობა. საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადმოცემის (BOT) შესახებ საინვესტიციო ხელშეკრულებების მონიტორინგი. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საინვესტიციო ხელშეკრულების სრულყოფილი შესრულების მონიტორინგი |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის საკითხების განმხილველი კომისიის დასკვნის საფუძველზე პირობით მოწონებულია ინვესტორის მიერ წარმოდგენილი გენერალური გეგმა და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ძირითადი ნაწილი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პორტის პირველი ფაზის მშენებლობის პროცესის მონიტორინგი - 2018-2021 წწ; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ვადის დარღვევა/შეფერხება ინვესტორი კომპანიის მიერ რაც პირდაპირ პროპორციულ გავლენას იქონიებს მონიტორინგის პროცესზე - 2018-2021 წწ |

| **ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (24 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობის უზრუნველყოფა ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის ტექნიკურ კანონმდებლობასთან (დერექტივები და რეგულაციები) დაახლოებისა და ევროპულ ბაზარზე არსებული ზედამხედველობის სისტემის დანერგვის გზით;<br><br>მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე უსაფრთხოების ზრდის ხელშეწყობა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების დახვეწის გზით;<br><br>განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების კონტროლის საშუალებით. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | 1. ბაზარზე ზედამხედველობის გაუმჯობესებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაახლოებულია ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან.<br>2. მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ზედამხედველობის გაუმჯობესებული ნორმატიული ბაზა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შემუშავებულია 7 ტექნიკური რეგლამენტი ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივების მიხედვით, შემდეგ სფეროებში: ლიფტები; საბაგირო მოწყობილობები, წყლის ახალი გამაცხელებლები (საქვაბე დანადგარები); მარტივი წნევის ქვეშ მყოფი ჭურჭლები; წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები; სამშენებლო პროდუქტები; პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობები და დამცავი სისტემები. ცვლილებები შეტანილია დამატებით 3 ახალ მიდგომის ტექნიკურ რეგლამენტში, რომლებიც არეგულირებს შემდეგ სფეროებს: ლიფტები; წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები; წყლის ახალი გამაცხელებლები (საქვაბე დანადგარები);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ცვლილებების შეტანა დამატებით 2 ახალ მიდგომის ტექნიკურ რეგლამენტში, რომლებიც არეგულირებს შემდეგ სფეროებს: საბაგირო მოწყობილობები (2018 წლის ბოლომდე); მარტივი წნევის ქვეშ მყოფი ჭურჭლები (2018 წლის ბოლომდე); დამატებით 5 ახალი ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივების მიხედვით, შემდეგ სფეროებში: სათამაშოები (2019 წლის ბოლომდე); მოწყობილობა/მექანიზმები (2019 წლის ბოლომდე); პერსონალური დაცვის აღჭურვილობები (2019 წლის ბოლომდე); |

| | |
|---|---|
| | აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები (2019 წლის ბოლომდე); სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალები (2019 წლის ბოლომდე)<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** შემუშავებულია და დამტკიცებულია 1 ახალი ტექნიკური რეგლამენტი ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების სფეროში. ცვლილებები არის შეტანილი 3 ტექნიკურ რეგლამენტში, რომლებიც არეგულირებენ შემდეგ სფეროებს: ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ; საამფეთქებლო სამუშაოები; ბუნებრივ გაზზე მომუშავე საავტომობილო გაზსავსები საკომპრესორო სადგურები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ცვლილებების შეტანა 18 ტექნიკურ რეგლამენტში, რომლებიც არეგულირებენ შემდეგ სფეროებს: საბაგირო გზები უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (2018 წლის ბოლომდე); კარიერების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (2018 წლის ბოლომდე); გაზის სისტემები (2018 წლის ბოლომდე); ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების შესახებ (2018 წლის ბოლომდე); ნახშირის შახტები (2019 წლის ბოლომდე); ნავთობის ბაზები (2019 წლის ბოლომდე); მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ავტოგასამართი სადგურები და ავტოგასამართი კომპლექსები (2019წლის ბოლომდე); ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (2020 წლის ბოლომდე); წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭლების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (2020 წლის ბოლომდე); ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარი (2020 წლის ბოლომდე); გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების (პროპან-ბუტანი) გაზსავსები სადგურების, პუნქტების, ბალონების საშუალედო საწყობების, ავტომობილების გასამართი სადგურების, სარეზერვუარო, გაზბალონიანი დანადგარები (2020 წლის ბოლომდე); მადნეული და არამადნეული საბადოები (2020 წლის ბოლომდე); მაგისტრალური ნავთობსადენი (2021 წლის ბოლომდე); ატრაქციონის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (2021 წლის ბოლომდე); იმ მიწისქვეშა ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) და ექსპლუატაციის შესახებ, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან (2021 წლის ბოლომდე); საქვაბე დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (2021 წლის ბოლომდე); ესკალატორების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (2021 წლის ბოლომდე) |

| **ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება (24 13)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და სანავსადგურე ინსფრასტრუქტურის მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის პორტთან დამაკავშირებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა/მშენებლობის ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | შექმნილია სათანადო ინფრასტრუქტურა და პირობები ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ფუნქციონირებისათვის, რომელიც უზურნველყოფს დიდი ზომის (მაგ: პანამაქსი) გემების მიღებას სწრაფი და მარტივი სისტემით და აგრეთვე, უზრუნველყოფს უსაფრთხო ნაოსნობას წლის ნებისმიერ პერიოდში |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 წელს გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული ინვესტორის მიერ მუშავდება პროექტის განხორციელების და დაფინანსების პროგრამა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით აღებული ვალდებულებები - 2018-2019წწ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - რეგიონში არსებული ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ვითარების გავლენა ინვესტიციაზე - 2018-2019წწ |

| **სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური (24 20)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპიროზე თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების და მოწყობილობების მუდმივი ჩანაცვლებისა  და განახლების უზრუნველყოფა;<br><br>საქართველოს პორტებში უსაფრთხო შესვლა-გამოსვლის უზრუნველსაყოფად საზღვაო სანავიგაციო ნიშნების ალტერნატიული ჩანაცვლება ვირტუალური სანავიგაციო ნიშნების პროგრამული უზრუნველყოფით;<br><br>გემი - სახელოსნოს შესყიდვა;<br><br>ფოთის პორტის აღჭურვა ზღვის დონეების ცვალებადობის და ნჩქრევის (ტიაგუნის) პროცესის განმსაზღვრავი ხელსაწყო მარიოგრაფით;<br><br>უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სანავიგაციო ქაღალდის და ელექტრონული რუქების ახალი სახეობისა და მასშტაბის განვითარება;<br><br>ანაკლიის პორტში უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფა, ზღვაზე მეტეოროლოგიური მონაცემების მიწოდება და პორტის საზღვაო სანავიგაციო ნიშნებით მარკირება;<br><br>სანავიგაციო  უსაფრთხოების მიზნით, ზღვის ცვალებადობის და ზღვის ფსკერის რელიეფის ასაღწერად, ზღვაზე |

| | |
|---|---|
| | სიღრმეების საკვლევი მრავალსხივიანი ექოლოტის შეძენა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპირო ზოლზე განთავსებული თანამდეროვე მოთხოვნების შესაბამისი სანავიგაციო მოწყობილობათა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს ნაოსნობის უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებას (სხვადასხვა ტონაჟის გემების საქართველოს პორტებში უსაფრთხო შემოსვლა);<br>საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში და სანაპირო ზოლში უზრუნველყოფილი უსაფრთხო ნაოსნობა;<br>საქართველოს ტერიტორიულ წყლების და სანაპიროების თანამედროვე სანავიგაციო საშუალებებით უზრუნველყოფა, გაზრდილი წარმადობა, უსაფრთხო ნავიგაცია და გამოვლენილი საშიშროების ლოკალიზაციის ოპერატიულობა;<br>შემცირებული საზღვაო ინციდენტების რიცხვი (ალბათობა) საქართველოს საზღვაო სანაპირო ზოლში და პორტებში;<br>ფოთის პორტის აკვატორიაში განთავსებული ზღვის დონის ცვალებადობის და ნჩქრევის (ტიაგუნის) პროცესის განმსაზღვრავი ხელსაწყო მარიოგრაფი;<br>რადიო რეკონებით აღჭურვილი ფოთისა და ბათუმის პორტები;<br>საქართველოს სანაპირო ზოლზე განლაგებული მაკორექტირებული საბაზისო DGPS-ი;<br>საერთაშორისო ჰიდროგრაფიული სამსახურის რეკომენდაციებისა და რეზოლუციის შესაბამისად შექმნილი ნაოსნობის უსაფრთხოების საჭიროების დამაკმაყოფილებელი საზღვაო ქაღალდისა და ელექტრონული ახალი რუქები; გამოცემული საზღვაო პუბლიკაციები, რეკომენდირებული გზების, შუქურების ჩამონათვალის, ზღვის მოქცევის სიების შესახებ. საერთაშორისო რუქების კატალოგში (MEDINTECHART) GE ლოგოთი გამოქვეყნებული და მომხმარებლამდე მიწოდებული საქართველოს საზღვაო რუქები;<br>გემების კაპიტნებისათვის გამარტივებული მანევრირება პორტის აკვატორიასა და მიმდებარე წყლებში. ანაკლიის პორტში გემების უსაფრთხო მანევრირება (შესვლა, დგომა, გამოსვლა). |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე განთავსებულია სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნები, რომლებიც არ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სანავიგაციო საშუალებების (მათი მაკომპლექტებელი ნაწილების და მოწყობილობების) შეძენა/ჩანაცვლება ახალი თანამედროვე მოწყობილობა–დანადგარებით; უსაფრთხო ნავიგაციისათვის მცურავი სანავიგაციო ნიშნების განთავსება ოპტიმალურ კოორდინატებში - 2018-2021წწ<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ანაკლიაში მეტეოროლოგიური მონაცემების (ტალღის სიმაღლე, წყალქვეშა დინებები და მიმართულებები) ონლაინ–რეჟიმში მიღებისათვის საჭირო აქტივობები არ არის განხორციელებული;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ, გემების პორტში უსაფრთხო შესვლა გამოსვლის უზრუნველსაყოფად პორტის აკვატორიის და მისასვლელი არხის მარკირება საზღვაო სანავიგაციო ნიშნებით. მეტეოროლოგიური მონაცემების ონლაინ–რეჟიმში მიღება - 2019წ, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ, გემების პორტში უსაფრთხო შესვლა გამოსვლის უზრუნველსაყოფად |

| | |
|---|---|
| | პორტის აკვატორიის და მისასვლელი არხის მარკირება საზღვაო სანავიგაციო ნიშნებით - 2020 - 2021წწ<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ზღვის ბათიმეტრიული კვლევების შედეგად შექმნილია ქაღალდისა და სანავიგაციო ელექტრონული რუკები, რომლებიც გემების კაპიტნებისათვის უზრუნველყოფენ უსაფრთხო საზღვაო მარშრუტების მიწოდებას;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე - 2018წ. რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, (MEDINTECHART) GE ლოგოთი საქართველოს საზღვაო რუქების გამოქვეყნება და მომხმარებლამდე მიწოდება. სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე - 2019-2021წწ |

| **სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (24 19)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახმელეთო ტრანსპორტის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება;<br><br>ელექტრონული აღრიცხვის ბაზის სისტემის სრულყოფა;<br><br>სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს სპეციალისტთა და მეწარმეთა (მენეჯერები/მძღოლები) გადამზადება;<br><br>თანამედროვე სიმულატორების დანერგვა;<br><br>საერთაშორისო აქტივობების გაძლიერება;<br><br>დარგის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების შემუშავება;<br><br>სავიზო პროცედურების ხელშეწყობა;<br><br>ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა;<br><br>მენეჯერების მოსამზადებლად თანამედროვე ტრენინგ-ცენტრის მშენებლობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ▯ გაზრდილი სატვირთო გადაზიდვების მოცულობა/სამგზავრო გადაყვანების არეალი  და უსაფრთხოების დონე;<br>▯ ქვეყნის განახლებული ავტოპარკი; |

| | |
|---|---|
| | ▯ განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;<br>▯ გაზრდილი კვალიფიციური მძღოლების/ტრანსპორტის მენეჯერების რაოდენობა და კონკურენტუნარიანი სატრანსპორტო კომპანიების რიცხვი; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტრენინგ-ცენტრის არსებობა |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სატვირთო და სამგზავრო გადაყვანებთან დაკავშირებით გაცემულია 40 600 ნებართვა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ. -გაიცემა 45000 -მდე ნებართვა ; 2019წ. - გაიცემა 50 000-მდე ნებართვა; 2020წ. - გაიცემა 55 000-მდე ნებართვა; 2021წ.- გაიცემა 60 000- ნებართვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა - 2018-2021წწ<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ავტოტრანსპორტის მდგომარეობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით გაუმჯობესებულია 25%-ით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ. - ავტოპარკისა მდგომარეობის მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან 35% -ით; 2019წ - 45% -ით; 2020წ - 55% -ით; 2021წ - 65% -ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** ინვესტორების დაბალი აქტივობა - 2018-2021წწ<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელი შეადგენს 10%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018-2021წწ - საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელის გაზრდა 20%-მდე |

| სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (24 17) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | „საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ'' (ECAA) შეთანხმების გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების ქართულ საავიაციო კანონმდებლობაში ასახვა;<br><br>საქართველოს საავიაციო დარგისათვის პრიორიტეტული რეგულაციებისა და დირექტივების განსაზღვრა, მათი დანერგვის დროში გაწერა, სამართლებრივი ანალიზი და ამ მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების |

| | |
|---|---|
| | შემუშავება;<br><br>საქართველოს საავიაციო კანონმდებლობის ჩიკაგოს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა (3 ახალი დანართის დანერგვა და 3 დანერგილი დანართის განახლება;<br><br>უპილოტო საჰაერო ხომალდების ოპერირების წესის შემუშავება და დანერგვა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ევროპულ მარეგულირებელ აქტებთან ჰარმონიზებული და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი საავიაციო კანონმდებლობა;<br>დანერგილი უსაფრთხოების ევროპული სტანდარტები, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, პროცედურების გამარტივება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;<br>ICAO-ს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი საქართველოს საავიაციო კანონმდებლობა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ICAO-ს სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებელია 64,4 %;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ - ICAO-ს სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებლის გაუმჯობესება 75%-მდე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** იდენტიფიცერებულია 75 ევროპული რეგულაცია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018-2019წწ - 1 ევრო რეგულაციის და ICAO-ს 2 დანართის დანერგვა; 2020-2021წწ - 4 ევრო რეგულაციის დანერგვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%;<br>**შესაძლო რისკები -** 2018-2021წწ - რეგულაციების დანერგვის ვადების დაუცველობა |

| სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (24 18) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს დროშით მცურავი საშუალებებისა და საქართველოს ნავსადგურების საზღვაო უსაფრთხოების/უშიშროების უზრუნველყოფა; |

| | |
|---|---|
| | საერთაშორისო დონეზე მეზღვაურთა საკუთარი ცნობადობის გაზრდისა და საზღვაო სფეროს ინოვაციების გაცნობის მიზნით, საერთაშორისო საზღვაო გამოფენა-კონფერენცია POSIDONIA 2018 -ში მონაწილეობის მიღება. საქართველოს საზღვაო სახელმწიფოს იმიჯის ამაღლების მიზნით GIMF საქართველოს პირველი საერთაშორისო საზღვაო ფორუმის ჩატარება, რომელიც წარმოაჩენს შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენებსა და იმ რეფორმებს, რომლებიც საქართველომ განახორციელა საზღვაო დარგში;<br><br>ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) აუდიტის წარმატებით გავლა, მეზღვაურთა კვალიფიკაციის/კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარების შენარჩუნება;<br><br>საქართველოს გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრის მოდიფიკაცია;<br><br>საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ძებნა-გადარჩენის ოპერაციების ეფექტური ჩატარება;<br><br>მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების სისტემის გამართული ფუნქციონირება;<br><br>საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება;<br><br>0%-იანი დაკავებების კოეფიციენტი ქართული დროშის ქვეშ მცურავ გემებზე;<br><br>გემების მოძრაობის მომსახურებისა და VTS ცენტრების გადაიარაღება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;<br><br>საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნავთობის ავარიულად დაღვრის დროს დაღვრაზე დაკვირვება, დაღვრილი მასის შეგროვება და შესაბამის ადგილზე გადატვირთვა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საზღვაო დროშის გაზრდილი ცნობადობა და საქართველოს დროშის ქვეშ რეგისტრირებული გემები (0%-იანი დაკავებების კოეფიციენტი ქართული დროშის ქვეშ მცურავ გემებზე);<br>დანერგილი საერთაშორისო სტანდარტი - ISO 9001:2015 და 27001:2011<br>საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებული საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა;<br>საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და ტერიტორიულ ზღვაში უზარუნველყოფილი უსაფრთხო ნაოსნობა, ძებნა-გადარჩენის ოპერაციების ეფექტური ჩტარება და გარემოს დაცვა საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად;<br>საქართველოს დროშის ადმინისტრაციის გაზრდილი იმიჯი საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემები, PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/ნაცრისფერი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის გაუმჯობესებული პოზიციები. |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დროშის ადმინისტრირება და სახელმწიფო კონტროლის ხარისხი - საქართველო იმყოფება რუხი დროშის კატეგორიაში; საქართველოს გემების რეესტრში დღეის მდგომარეობით ირიცხება საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 13 მცურავი საშუალება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ - საქართველოს დროშის ადმინისტრაციის იმიჯის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/რუხი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას; მცურავი საშუალებების 10% იანი ზრდა; 2019წ - საქართველოს დროშის ადმინისტრაციის იმიჯის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/რუხი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას;მცურავი საშუალებების 15% იანი ზრდა; 2020წ - საქართველოს დროშის ადმინისტრაციის იმიჯის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/რუხი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას;მცურავი საშუალებების 20% იანი ზრდა; 2021წ - საქართველოს დროშის ადმინისტრაციის იმიჯის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/რუხი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას;მცურავი საშუალებების 25% იანი ზრდა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 30%-50%;<br>**შესაძლო რისკები -** 2018-2021წწ - რეგიონში პოლიტიკური მდგომარეობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ხარისხის მართვის სისტემის ახალი სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა სასერტიფიკაციო აუდიტისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018წ - 2015 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 ვერსიის დანერგვა და იმპლემენტაცია. 2018 წელს ახალი სტანდარტით სასერტიფიკაციო აუდიტის გავლა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 1.მიმდინარეობს მეზღვაურთა შრომის კოდექსის შემუშავება საზღვაო შრომის კონვენციის (MLC 2006), ევროკავშირის 1999/63/EC (20/05/2009 ცვლილებით) დირექტივებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით; 2. საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ -"International Convention on Liability for Bunker Oil Pollution" – კონვენციის რატიფიკაციისათვის მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები; 3. ათენის 2002 წლის კონვენცია ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვების შესახებ - Athens Convention relating to the Carriage of Passengers and their Luggage by Sea (PAL) 2002.- კონვენციის რატიფიკაციისათვის მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები; 4. 1988 წლის პროტოკოლი, საერთაშორისო კონვენცია სატვირთო მარკის შესახებ - International Convention on Load Lines, 1966. - კონვენციის რატიფიკაციისათვის მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები; 5. გემებზე მავნე დაბინძურების |

| | |
|---|---|
| | საწინააღმდეგო სისტემის კონტროლის შესახებ, 2001 - International Convention on the Control of Harmful Anti-fouling Systems on Ships, 2001 - კონვენციის რატიფიკაციისათვის მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018-2021წწ - საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაცია; საერთაშორისო საზღვაო კონვენციების რატიფიკაცია |

## განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 32 02 | ზოგადი განათლება | 686,615.0 | 681,075.0 | 5,540.0 | 720,000.0 | 740,000.0 | 760,000.0 |
| 32 04 | უმაღლესი განათლება | 436,175.0 | 135,125.0 | 301,050.0 | 436,000.0 | 436,000.0 | 436,000.0 |
| 32 08 | ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი | 101,235.0 | 101,235.0 | - | 49,657.0 | - | - |
| 32 07 | საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება | 97,210.0 | 97,210.0 | - | 134,000.0 | 135,000.0 | 136,000.0 |
| 32 05 | მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა | 64,720.0 | 62,600.0 | 2,120.0 | 65,000.0 | 65,000.0 | 65,000.0 |
| 29 02 | პროფესიული სამხედრო განათლება | 43,780.0 | 43,452.0 | 328.0 | 43,780.0 | 43,780.0 | 43,780.0 |
| 32 03 | პროფესიული განათლება | 55,112.0 | 37,985.0 | 17,127.0 | 59,000.0 | 60,000.0 | 60,000.0 |
| 32 01 | განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა | 30,185.0 | 28,090.0 | 2,095.0 | 30,200.0 | 30,200.0 | 30,200.0 |
| 32 10 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank) | 20,300.0 | 20,300.0 | - | - | - | - |
| 33 03 | სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა | 26,515.0 | 17,870.0 | 8,645.0 | 23,003.0 | 22,963.0 | 22,963.0 |
| 32 09 | თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტი | 10,200.0 | 10,200.0 | - | 14,500.0 | 14,500.0 | 14,500.0 |
| 01 02 | საბიბლიოთეკო საქმიანობა | 9,590.0 | 9,590.0 | - | 9,890.0 | 10,190.0 | 10,500.0 |
| 30 03 | სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება | 6,890.0 | 6,170.0 | 720.0 | 6,890.0 | 6,890.0 | 6,890.0 |
| 32 06 | ინკლუზიური განათლება | 4,950.0 | 4,950.0 | - | 5,000.0 | 5,000.0 | 5,000.0 |

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 48 00 | სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია | 4,400.0 | 4,000.0 | 400.0 | 4,400.0 | 4,400.0 | 4,400.0 |
| 26 04 | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება | 4,160.0 | 1,875.0 | 2,285.0 | 4,107.0 | 4,107.0 | 4,107.0 |
| 09 02 | მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება | 1,650.0 | 1,620.0 | 30.0 | 1,650.0 | 1,650.0 | 1,650.0 |
| 27 03 | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | 1,000.0 | 1,000.0 | - | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| 23 05 | საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება | 1,345.0 | 895.0 | 450.0 | 1,395.0 | 1,445.0 | 1,495.0 |
| 01 03 | ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება | 450.0 | 450.0 | - | 464.0 | 477.0 | 492.0 |
| 28 02 | მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში | 395.0 | 385.0 | 10.0 | 510.0 | 510.0 | 510.0 |
| 24 11 | საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 7,697.0 | 380.0 | 7,317.0 | 5,280.0 | 5,280.0 | 5,280.0 |
| 63 01 | სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი" | 10,057.0 | - | 10,057.0 | 10,057.0 | 10,057.0 | 10,057.0 |
| 63 02 | ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო | 200.0 | - | 200.0 | 200.0 | 200.0 | 200.0 |
| | **სულ** | **1,624,831.0** | **1,266,457.0** | **358,374.0** | **1,625,983.0** | **1,598,649.0** | **1,620,024.0** |

| ზოგადი განათლება (32 02) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური; სსიპ – გამოცდების ეროვნული ცენტრის აპარატი; სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის აპარატი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ზოგადი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის;<br><br>საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აუცილებელი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;<br><br>მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება;<br><br>ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და მართვა;<br><br>საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის და კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;<br><br>სკოლებში იმ მოსწავლეების ტრანსპორტირების პროცესის ხელშეწყობა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია, ასევე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები;<br><br>ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა;<br><br>სასკოლო ინიციატივების წახალისება;<br><br>ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციური ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა;<br><br>საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის გაუმჯობესება;<br><br>საქართველოს საჯარო სკოლების ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფა. |

| | |
|---|---|
| | ელექტრონული სწავლა-სწავლების ხელშეწყობა.<br>სკოლაში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო პროცესისადმი ინტერესის გაზრდა, განათლების ხარისხის მნიშვნელოვანი ამაღლება;<br><br>მოსწავლეებისათვის მიმზიდველი, საინტერესო და ხალისიანი სასკოლო გარემო;<br><br>მასწავლებლების კარიერული ზრდის ხელშეწყობა მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით;<br><br>ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული დაწესებულებების უზრუნველყოფა უწყვეტი და უსაფრთხო ინტერნეტ კავშირით;<br><br>ოკუპირებულ რეგიონებში საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა;<br><br>მოსწავლეთათვის შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით; რიგი რაიონის სკოლის მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირებით;<br><br>თავისუფალი გაკვეთილების დაინერგვა ყველა საჯარო სკოლაში;<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის განხორციელებული სხვადასხვა ხელშემწყობი ღონისძიებები. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სკოლაში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო პროცესისადმი გაზრდილი ინტერესი და ამაღლებული განათლების ხარისხი;<br><br>მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფილი მიმზიდველი, საინტერესო და ხალისიანი სასკოლო გარემო;<br><br>კვალიფიციურ მასწავლებლებელთა გაზრდილი რაოდენობა, მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით;<br><br>უწყვეტი და უსაფრთხო ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფილი ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული დაწესებულებები;<br><br>ოკუპირებულ რეგიონებში გაზრდილი საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი;<br><br>უზრუნველყოფილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები  აუცილებელი ფინანსური რესურსებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით, რიგი რაიონის სკოლის მოსწავლეები უფასო ტრანსპორტირებით; |

| | |
|---|---|
| | დანერგილი თავისუფალი გაკვეთილები ყველა საჯარო სკოლაში;<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის განხორციელებული სხვადასხვა ხელშემწყობი ღონისძიებები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დამტკიცებული საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა; მომზადებული და შეთანხმებულია საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფცია, მომზადებულია საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტების პირველადი ვერსიები; დაწყებულია გადამუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირება დაწყებით საფეხურზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამტკიცდებული საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა; ჩატარებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებში; განხორციელებული განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირება; ჩატარებულია გამოკითხვა განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესებთან დაკავშირებით; მომზადებული ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების გზამკვლევები<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მოსწავლეთათვის შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების ხელშწყობის მიზნით, განხორციელებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით; რიგი რაიონის სკოლის მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის მდგომარეობით სკოლაში დასაქმებულია 69% პრაქტიკოსი მასწავლებელია (46057), 26 % - უფროსი მასწავლებელი (17425), 0,3 % - წამყვანი მასწავლებელი (207). ეტაპობრივად მიმდინარეობს სამიზნე ჯგუფების ტრენინგების შემუშავება და განხორციელება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა წარმატებით ხორციელდება საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში; 2018-2021 წლებში მოსალოდნელია სკოლაში შეიცვალოს მოქმედი მასწავლებლის გადანაწილება სტატუსების მიხედვით: 44 % პრაქტიკოსი მასწავლებელია , 53 % - უფროსი მასწავლებელი 1.9 % - წამყვანი მასწავლებელი და 1.1% - მენტორი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%;<br>**შესაძლო რისკები** - სამიზნე სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების დაბალი მოტივაცია |

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზოგადი განათლების დაფინანსება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერით, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებლების დანამატის, ადმინისტრაციული, სკოლის მოვლა-შენახვისა და სკოლის განვითარებისათვის საჭირო და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, რაც სკოლებს შესაძლებლობას აძლევს, სრულად შეასრულონ თავიანთი ფუნქცია-მოვალეობები. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უზრუნველყოფა აუცილებელი დაფინანსებით;<br><br>მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საჯარო სკოლების 100% უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით ეროვნული სასწავლო გეგმის სრული განხორციელებისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება |

| **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ პირთა, მათ შორის ზოგადი განათლების დაწესებულებაში დასაქმებული პირების (დირექტორებისა და მასწავლებლების), ასევე პროფესიული სასწავლებლების  მასწავლებლების პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლება. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვის, ხელმისაწვდომობისა და გავრცელების ხელშეწყობა;<br><br>სამიზნე ჯგუფების პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის განმსაზღვრელი პროფესიული სტანდარტების შემუშავება, საერთაშორისო სტანდარტებისადმი და მოთხოვნებისადმი გათანაბრება და დანერგვა, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლება, მიმდინარე სიახლეების გავრცელება; |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებითა და ინტერვენციების განხორციელებით; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | განხორციელებულია პროფესიული სტანდარტების რევიზია, განახლებულია სტანდარტი და გატარებულია სტანდარტის დანერგვის ხელშემწყობი ღონისძიებები;<br><br>„მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ სქემა წარმატებით ხორციელდება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;<br><br>არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივმა მასწავლებლებმა გაიუმჯობესეს ქართული ენის ფლობის დონე და პროფესიული უნარ-ჩვევები, გაზრდილია არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ქართულ ენასა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა საგნებში, ნაწილობრივ შევსებულ იქნა არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტი;<br><br>ჩამოყალიბებულია და მოქმედებს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემა, რომლის ფარგლებში უზრუნველყოფილია პროფესიულ განათლებაში პედაგოგიური კადრების კვლევა, კომპეტენციის ამაღლების მუდმივი შესაძლებლობა და კარიერული წინსვლა;<br><br>განხორციელდა მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლის შედეგადაც სამიზნე ჯგუფი წარმატებით ასრულებს შეთავაზებულ პროფესიული განვითარების აქტივობებს. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - „მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ სქემა ხორციელდება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამიზნე ჯგუფებისათვის პროგრამის სამოქმედო გეგმის შესაბამისი ღონისძიებების წარმატებით განხორციელება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების პროფესიული განვითარების მიზნით კონსულტანტ-მასწავლებლებისა და დამხმარე მასწავლებლების მივლენება, სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსების და ზოგადი პროფესიული უნარების ტრენინგის ჩატარება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 90%-ში წარმოდგენილია ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი და დამხმარე მასწავლებელი. ყოველწლიურად ამავე სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების 20% იუმჯობესებს კომპეტენციებს სახელმწიფო ენის და პროფესიული |

| | |
|---|---|
| | უნარების მიმართულებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-5%<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შემუშავებულია: 1. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემა, 2. ლიდერობის აკადემიის მეორე დონის 3-6 მოდულები და ლიდერობის აკადემიის მესამე დონის 1,2,3 მოდული, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ზოგადი უნარების კურსის მესამე მოდული და საგნობრივი მეთოდიკის მოდულები (24 საკონტაქტო საათი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების მასწავლებელთა მინიმუმ 50 % ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთიან სისტემაში. პროფესიული განვითარების საგნობრივი მეთოდიკის მოდული გაიარა პირველი ნაკადის 80%-მა; ლიდერობის აკადემიის მეორე და მესამე დონის ტრენინგები გაიარა საჯარო სკოლის დირექტორთა და ფასილიტატორთა 80%-მა. ბენეფიციართა მინიმუმ 80% აღწევს დასახულ სასწავლო შედეგებს;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20% |

| **უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს შექმნა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;<br><br>სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ძალადობის, მათ მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღების ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების/გამოყენების პრევენცია და აღმოფხვრა;<br><br>ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის ზოგადი განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;<br><br>ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციური ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, შემცირებული დარღვევებისა და გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა;<br><br>ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი ფსიქო-სოციალური გარემოს |

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 460 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 1300 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 475 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა 1330 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1.5-3%;<br>**შესაძლო რისკები** - კადრების გადინების მაღალი მაჩვენებელი<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 7 ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის 2300 - მდე მოსწავლის ფსიქო-სოციალური მომსახურების გაწევას;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეთა გამოვლენა და მათი უზრუნველყოფა ფსიქოლოგიური მომსახურებით; განხორციელდება; ფსიქოლოგიური მომსახურების გაფართოება ახალციხესა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1.5-3%;<br>**შესაძლო რისკები** - ნაკლები მიმართვიანობა |

| **წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (32 02 04)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და თანაბრად კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობისა და საერთაშორისო დონეზე მათი წარმოჩენის მიზნით, სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების ორგანიზება;<br><br>სკოლებისათვის სხვადასხვა თემატური და კალენდარული დღისადმი მიძღვნილი კონკურსების გამოცხადება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | X-XII კლასის 95 000 - მდე მოტივირებული მოსწავლე, მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში და გაიღრმავოს ცოდნა ესგ-ით გათვალისწინებულ კონკრეტულ საგნებში;<br><br>სასწავლო ოლიმპიადების შედეგად, საგნების მიხედვით, გამოვლენილია მოსწავლეთა საუკეთესო ათეულები; |

| | |
|---|---|
| | გამოვლენილია საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილე ნაკრები გუნდების კანდიდატები;<br><br>გაზრდილია ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით მოსწავლეების დაინტერესება;<br><br>მოსწავლეებს შექმნილი აქვთ პირობები წარმოაჩინონ და განივითარონ კვლევის, გუნდური მუშაობის, კრეატიული აზროვნების, ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარების, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების და შემოქმედებითი უნარები;<br><br>საქართველო 80-ზე მეტ ქვეყანასთან ერთად ჩართულია ერთობლივ საგანმანათლებლო ღონისძიებაში;<br><br>ქართველ მოსწავლეებს და მათ ხელმძღვანელებს შესაძლებლობა აქვთ დაამყარონ კონტაქტი უცხოელ თანატოლებთან და კოლეგებთან;<br><br>წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოებულნი არიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ოლიმპიადაზე დარეგისტრირებულ მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილია შესაბამისი სერვისით, საგნობრივ ოლიმპიადებში გამოვლინდა 124 გამარჯვებული მოსწავლე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ოლიმპიადაზე დარეგისტრირებულ და გამოცდაზე გამოცხადებულ მოსწავლეთა სრულად უზრუნველყოფა შესაბამისი სერვისით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - გამოცდაზე დარეგისტრირებულთა და გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა სხვაობა<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ნფორმატიკის ტურნირში 3 ასაკობრივ ჯგუფში გამოვლენილია 12 გამარჯვებული მოსწავლე, გუნდურ კონკურსებში თითოეულ საგანში გამოვლენილია 3-3 გამარჯვებული გუნდი (36 მოსწავლე);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოებულნი არიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენაჩუნება<br>4.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო ოლიმპიადებში მოპოვებულ იქნა 5 მედალი; დაკომპლექტებულია საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენაჩუნება; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ნაკრები გუნდების წვრთნის არასაკმარისი ხანგრძლივობა |

| **განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (32 02 05)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა უზრუნველყოფა სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები უზრუნველყოფილია შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით;<br><br>ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ბენეფიციართა განათლებაზე და განვითარებაზე ზრუნვა; |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლა პანსიონის მომსახურებით უზრუნველყოფილი იყო 100 მოსწავლე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის 110 მოსწავლემდე გაზრდა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5% |

| **მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის, კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები. |

| | |
|---|---|
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა/იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება |

| **დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად (32 02 07)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | აქტიური დასვენებისა და განათლების პროცესის შერწყმით მოსწავლეთა სოციალური და საგნობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა;<br><br>საზაფხულო სკოლებში მოსწავლეთა უზრუნველყოფა შეჯერებული პროგრამებითა და დღის მეორე ნახევრის აქტივობებით. დასვენება არასასკოლო, არაფორმალურ გარემოში. თანატოლებთან ურთიერთობა და სხვადასხვა მიმართულებთ მეტი ინფორმაციის მიღება;<br><br>საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მიმართ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება;<br><br>კულტურათა შორის დიალოგისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | მოსწავლეებიი მიერ გავლილი აკადემიური/არააკადემიური პროგრამების მოკლე კურსის შედეგად შეძენილი უნარები და გამოცდილება, რასაც გაუზიარებენ თავიანთ თანატოლებს სკოლებში დაბრუნების შემდეგ.<br><br>კულტურათა შორის დიალოგის განვითარება, მოსწავლეების ინტერესების ზრდა და აქტიური ჩართვა ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საზაფხულო სკოლებში მომსახურეობის სერვისით უზრუნველყოფილ იქნება არანკალებ 9 000-მდე მოსწავლე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზაფხულო სკოლებში მომსახურეობის სერვისით უზრუნველყოფილ იქნება 30 000-მდე მოსწავლე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 8%; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები** - მოსწავლეების და მათი მშობლების/მეურვეებისგან მიღებული თანხმობის მიუხედავად, მოსწავლის საკუთარი მიზეზით (სამინისტროსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე) გამოუცხადებლობა საზაფხულო სკოლაში |

| **ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 08)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | გალის რაიონისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა ფინანსური დახმარებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება |

| **ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 02 09)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სისხლის სამართლის რეფორის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების და განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფის გზით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამების შესწავლა და სხვადასხვა აღმზრდელობითი საქმიანობებში ჩართულობა.<br><br>ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ასევე სკოლის გამოსაშვებ და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა. |

| | |
|---|---|
| | ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფილია უწყვეტი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეების 100% უზრუნველყოფილია უწყვეტი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა არარსებობა |

| **ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (32 02 10)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ადგილობრივი გამოწვევების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია, განვითარება და ამ პროცესებთან დაკავშირებული სხვა მხარდამჭერი აქტივობების განხორციელება.;<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ხელშეწყობა;<br><br>ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდაჭერა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | • გადამუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი სტანდარტები და პროგრამები;<br>ჩატარებული მონიტორინგი, მიღებული შედეგების ანალიზი, მომზადებული რეკომენდაციები;<br><br>ჩატარებულია გადამუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე;<br><br>შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი გზამკვლევები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1. |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - დამტკიცებულია დაწყებითი და საბაზო საფეხურების ეროვნული სასწავლო გეგმა; მომზადებული და შეთანხმებულია საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფცია, მომზადებულია საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტების პირველადი ვერსიები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამტკიცებულია საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პილოტირება განხორციელებულია დაწყებით საფეხურზე. გაანალიზებულია მიღებული მონაცემები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადებულია მასწავლებლის, დირექტორის კითხვარები დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესებთან დაკავშირებით. განხორციელებულია გადამუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პილოტირება საბაზო საფეხურზე. მომზადებულია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტების გზამკვლევები |

| **საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 11)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | გაზრდილია ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხარისხი რეგიონში მცხოვრები, განსაკუთრებით რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის;<br><br>გაზარდილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელი. მინიმუმამდეა დაყვანილი გაკვეთილებზე დაგვიანების ფაქტები;<br><br>უზრუნველყოფილია რთული გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მქონე დასახლებების მოსწავლეთა სკოლამდე უსაფრთხო გადაადგილება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია საქართველოს 1188 საჯარო სკოლის 66 070 მოსწავლე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია ტრანსპორტით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები** - მეტეოროლოგიური პირობები და უამინდობა; შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა; კონტრაქტორის მიერ შეუსრულებელი მომსახურება |

| **სკოლების საგრანტო დაფინანსება (32 02 12)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მოსწავლეებისთვის საინტერესო და სახალისო სასწავლო გარემოს შექმნა და სკოლების გაძლიერება;<br><br>თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების ხელშეწყობა სპორტის, წიგნიერების, კულტურა/ხელოვნება და ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებით, რომელიც გულისხმობს მოსწავლის ინტერესებზე მორგებულ კლასგარეშე/არაფორმალური აქტივობების ციკლს, რომლის შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია განსხვავდება საგაკვეთილო პროცესისგან, არ ითვალისწინებს საშინაო დავალებების მომზადებას, მოსწავლის შეფასებას და არ აქვს საგაკვეთილო სახე; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | საჯარო სკოლებში დანერგილია დამატებითი კლასგარეშე აქტივობები;<br><br>გააქტიურებულია სასკოლო ცხოვრება; |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში ჩართული 43,000 მოსწავლე იღებს დამატებით საგანმანათლებლო სერვისს და რესურსს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამის ფარგლებში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა გაიზრდება საშუალოდ 20 000-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - საჯარო სკოლებში კადრების შესაბამისი კომპეტენციის ნაკლებობა; სამინისტროში შემოსული არაეფექტური და/ან არამიზნობრივი პროექტები |

| **ზოგადი განათლების ხელშეწყობა (32 02 13)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის საქართველოს კანონმდებლობით |

| | |
|---|---|
| | გათვალისწინებული სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;<br><br>სასწავლო წლისთვის საკლასო ჟურნალით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უზრუნველყოფა;<br><br>აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურ ქართველებისთვის ქართული ენობრივ-კულტურული იდენტობისა და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების შენარჩუნება, აგრეთვე ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა;<br><br>საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართული ენის სწავლება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;<br><br>საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის ხელშეწყობა; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ზოგადი განათლების მიღებით უზრუნველყოფილნი არიან თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული არასრულწლოვნები;<br><br>თანაბარი პირობების მქონე შეჯიბრში მონაწილეობით მოსწავლეებში გაიზრდება მოტივაციის დონე და საკუთარი თავის/სკოლის და ქალაქისა თუ სოფლის წარმოჩენის სურვილი;<br><br>გაზრდილია გალის რაიონში სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა კონკურენტუნარიანობა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.<br><br>მოხდება საჯარო და საჭიროებისამებრ კერძო სკოლების უზრუნველყოფა სასკოლო ჟურნალებით. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის სტატუსის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე 70 პირი უზრუნველყოფილ იქნა ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა არარსებობა<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელებულია ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატი საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლისათვის. სულ ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატში ჩართულია 40 000-მდე მოსწავლე; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - მოსწავლეთა ნაკლები ჩართულობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - გალის რაიონის 46 პედაგოგი გადაამზადდა, რომლებმაც 400-მდე აბიტურიენტი მოამზადეს ეროვნული გამოცდებისთვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017-2018 სასწავლო წლისთვის 2 085 - მდე საჯარო სკოლა და საჭიროებისამებრ, კერძო სკოლა უზრუნველყოფილია 38 100 სასკოლო ჟურნალით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება |

| ელექტრონული სწავლება (e Learning) (32 02 14) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | კონკურსების ჩატარების გზით ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა;<br><br>ელექტრონული სწავლების ხელშეწყობა;<br><br>საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბავშვებში ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია, საქართველოსთან დაახლოების ხელშეწყობა;<br><br>დიასპორის წარმომადგენლებისათვის დისტანციური სწავლების ხელშეწყობა |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სწავლა-სწავლების პროცესში გაძლიერდება თანამედროვე ტექნოლოგიების, აგრეთვე დისტანციური სწავლების როლი;<br><br>მნიშვნელოვნად გაიზრდება სკოლების საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობები. მომზადდება მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები დამხმარე სასწავლო მასალისა და განმავითარებელი თამაშების სახით, შეიქმნება ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომლის საშუალებითაც დიასპორის წარმომადგენლებისათვის დაინერგება დისტანციური სწავლების გაკვეთილები ქართულ ენაში, საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიაში. |
| **შუალედური შედეგის** | |

| | |
|---|---|
| **შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საპილოტე რეჟიმის ფარგლებში, დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ მოსწავლეებს უკვე ჩაუტარდათ 15 გაკვეთილი. გამოითქვა კმაყოფილება დისტანციური სწავლების სინქრონული მეთოდისა და შერჩეული პედაგოგიური მიდგომების, ვირტუალური სასწავლო მასალების მიმართ;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა; პროგრამაში ჩართული ქვეყნების გაზრდილი რაოდენობა |

| **უმაღლესი განათლება (32 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება;<br><br>უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხულ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა;<br><br>წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა;<br><br>უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა;<br><br>უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოზიდვის მიზნით მასშტაბური პროექტის - „ვისწავლოთ საქართველოში“ განხორციელება;<br><br>ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვლიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებსა და კურსებზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით;<br><br>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა; |
| **პროექტის მოსალოდნელი** | ჩატარებულიაზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგი** | გამოცდები, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო  და მასწავლებლის გამოცდები;<br><br>განვითარდება  გამოცდების  სისტემა.  გამოცდების  ჩატარების  პროცესში  გაიზრდება  თანამედროვე  ტექნოლოგიების  როლი.<br><br>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონე;<br><br>უმაღლეს  საგანმანათლებლო  დაწესებულებებში  სწავლის  საგრანტო  და  პროგრამული  დაფინანსების  სისტემების  შემდგომი სრულყოფა;<br><br>განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობა;<br><br>უმაღლესი განათლების ხარისხის ეტაპობრივი განვითარება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული და მასწავლებელთა საგნის გამოცდის მომზადებისა და ჩატარების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული და მასწავლებელთა საგნის გამოცდების მომზადებისა და ჩატარების ხარისხის გათანაბრება საერთაშორისო სტანდარტებთან;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური ცდომილების ალბათობა, ვინაიდან დაგროვებულია სისტემების შემუშავების გამოცდილება და სისტემების განვითარების პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულების/მიმართულებების ფარგლებში 12 500 - მდე სტუდენტის დაფინანსებით უზრუნველყოფა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%;<br>**შესაძლო რისკები** - სტუდენტთა სტატუსების ცვლილება |

| **გამოცდების ორგანიზება  (32 04 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ –  შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი |

| | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა, საერთო სამაგისტრო  გამოცდებისა და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება;<br><br>სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ჩატარება, რომელიც გულისხმობს გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მფლობელ სტუდენტისათვის, საგრანტო კონკურსის შედეგად მეტი ოდენობის გრანტის მოპოვების ხელშეწყობას;<br><br>საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა;<br><br>მოსწავლეთა და სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარება;<br><br>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების  ჩატარება;<br><br>საერთო სამაგისტრო  გამოცდების ჩატარება;<br><br>პროფესიული ტესტირების  ჩატარება;<br><br>მასწავლებლის საგნის გამოცდების ჩატარება;<br><br>საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა;<br><br>სტუდენტთა საგრანტო კონკურსი; |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სხადასხვა გამოცდებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა, გამოცდებზე გამოცხადებული აპლიკანტების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა საგამოცდო სერვისით, აპლიკანტების რაოდენობა, რომლებმაც გადალახეს მინიმალური ზღვარი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოცდაზე დარეგისტრირებული და გამოცდაზე გამოცხადებულ აპლიკანტთა სრული დაფარვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური ცდომილების ალბათობა, ვინაიდან დაგროვებულია სისტემების შემუშავების გამოცდილება და სისტემების განვითარების პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები;<br>**შესაძლო რისკები** - გამოცდაზე დარეგისტრირებულთა და გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა სხვაობა |

| სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (32 04 02) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;<br><br>სტუდენტთა სასწავლო პროცესებში აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა და წახალისება;<br><br>უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა;<br><br>მასწავლებლობის მსურველთა პროფესიული მოღვაწეობისათვის მომზადება;<br><br>ახალგაზრდების ხელშეწყობა განათლების მიმართულებით სწავლის გასაგრძელებლად. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სახელმწიფო სასწავლო გრანტით უზრუნველყოფა;<br><br>სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით უზრუნველყოფა;<br><br>წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა;<br><br>უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლების ხელშეწყობა, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებით, პროგრამებით, აგრეთვე, მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში ისწავლიან/სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;<br><br>გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებით უზრუნველყოფა;<br><br>უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება;<br><br>საქართველოს, როგორც მაღალი ხარისხის განათლების, უსაფრთხო და კომფორტული საგანმანათლებლო ცენტრის იმიჯის ფორმირება;<br><br>ქართველი სტუდენტების განათლების ხარისხის ამაღლება კონკურენტული გარემოს ფორმირების ფონზე; |

| | |
|---|---|
| | უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოენოვანი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სახელმწიფო სასწავლო გრანტებით უზრუნველყოფილია 29 780-ზე მეტი, სოციალური პროგრამების ფარგლებში - 4 900-ზე მეტი, პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 15 600 -მდე სტუდენტი და ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული 100-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 30%;<br>**შესაძლო რისკები -** სტუდენტის სტატუსის შეჩერება; სოციალური პროგრამით განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** - სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტებით უზრუნველყოფილია 1 650-ზე მეტი, სოციალური პროგრამების ფარგლებში - 125-ზე მეტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული 18 უცხოელი სტუდენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის 20%-ით გაზრდილი მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** სტუდენტის სტატუსის შეჩერება, განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტთა და უცხოელ სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სახელმწიფო სტიპენდიებით უზრუნველყოფილია 2700 სტუდენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის შემცირება ან გაზრდა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დაფინანსდა 276 პირი, რომელიც ჩაირიცხა მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის ზრდა მაქსიმუმ 70%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 30%;<br>**შესაძლო რისკები -** მასწავლებლის პროფესიაში შესვლის მსურველთა ნაკლებობა<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** - საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის მიზნით 2017 წლის |

| | |
|---|---|
| | განმავლობაში განხორციელდა 30-მდე ახალი სტუდენტის მიღება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობის ზრდა 20 ერთეულით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%;<br>**შესაძლო რისკები** - შესაძლოა არ იყოს დაინტერესება უცხო ქვეყნებიდან, დაინტერესების შემთხვევაში, ვერ მოხდეს ჩარიცხვისთვის საჭირო საბუთების დროულად მოწოდება, შესაძლოა არ/ვერ ჩამოვიდეს სტუდენტი, შესაძლოა კვოტა დაკორექტირდეს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებასთან შეთანხმებით |

| **უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (32 04 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს სახელმწიფო ენის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამების (მათ შორის ლექსიკოგრაფიული პროგრამების) შემუშავება, მათი განხორციელება და შესრულების კონტროლი;<br><br>ქართულის, როგორც უცხო ენის, ვებგვერდის www.geofl.ge ახალი სასწავლო-მეთოდური მასალით მუდმივად შევსება და განახლება;<br><br>ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობა;<br><br>უმაღლესი განათლების ხელშეწყობა;<br><br>ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის სტუდენტის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის საფუძველზე რიგი საწარმოების/ორგანიზაციების მიერ პირადი მოხმარების საქონელსა და მომსახურეობის გაწევაზე ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | დასრულებული სასწავლო მასალები განთავსდება ვებგვერდზე geofl.ge, რათა ისინი ხელმისაწვდომი გახდეს ქართული ენის ყველა უცხოელი შემსწავლელისთვის;<br><br>მოხდება ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ;<br><br>გაიზრდება ქართული ენის შესწავლის მოტივაცია და შესაბამისად, ქართული ენის შემსწავლელთა რაოდენობა;<br><br>ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იქნება დამატებითი სოციალური შეღავათები. |

| | |
|---|---|
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დასრულებულია და ვებგვერდზე განსათავსებულია იქნება მომზადებული შემდეგი სასწავლო მასალები: ქართული ენის განმარტებით-თარგმნით-აუდიო სასწავლო ელექტრონული ლექსიკონი B1.1დონე (2000 სიტყვა); ქართულის, როგორც უცხო ენის, შეფასების სისტემა (შესაბამისობაში საერთოევროპულ კრიტერიუმებთან); ინტერაქტიული სავარჯიშოები ენის ფლობის A2 დონისთვის; მასწავლებლის წიგნი ენის ფლობის A2 დონისთვის; კულტუროლოგიური და ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის საკითხავი ლიტერატურა ენის ფლობის მაღალი დონისათვის სავარჯიშოების კრებული ენის ფლობის უნარების მიხედვით C1 დონისათვის; პროგრამის საინფორმაციო მასალა ითარგმნება ინგლისურად. შეიქმნება საინფორმაციო სასაჩუქრე მასალა ქართული ენის შესახებ და გადაეცემა საგარეო საქმეთა სამინისტროს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** გაგრძელდება მუშაობა და სრულყოფა ქართული ენის განმარტებით-თარგმნით-აუდიო სასწავლო ელექტრონული ლექსიკონის B1.2დონე (2 000 სიტყვა); მომზადდება საკითხავი მასალა (ისტორიული ნარკვევები). მოხდება ვებგვერდის ინგლისურად თარგმნა. შეიქმნება სახელმძღვანელო-ელემენტარული გრამატიკა შემსწავლელებისთვის. შეიქმნება საინფორმაციო სასაჩუქრე მასალა ქართული ენის შესახებ და გადაეცემა საგარეო საქმეთა სამინისტროს. ჩატარდება კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. დაიწყება უცხოელი შემსწავლელებისათვის ქართული ენის თვითმასწავლებლის (A1დონე) შექმნა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 130 000-მდე სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა პროგრამაში ჩართული კომპანიების ფასდაკლებებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის შემცირება ან გაზრდა |

| **საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (32 04 04)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა;<br><br>ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვლიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებსა და კურსებზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით; |

| | |
|---|---|
| | საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო აკადემიურ და ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობის ხელშწყობა;<br><br>უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ხარისხის მიღების ხელშეწყობა, საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, პრიორიტეტულ უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაფინანსებული პირების რაოდენობის ზრდა;<br><br>საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის სახელმწიფოში რეალიზაცია და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსების ზრდა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე 200-მდე დაფინანსებული კონკურსანტი. „სასტიპენდიო პროგრამა უნგრეთი“ ფარგლებში დაფინანსებულია 50 ქართველი სტუდენტი, „მცირე საგრანტო“ პროგრამის ფარგლებში დაფინასებულია 10 საგრანტო პროექტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება; შესაბამისი საფეხურის აკადემიური პროგრამებისა და მიმართულებების დიპლომის რაოდენობა, დასაქმებულთა რაოდენობა შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში ან/და საუნივერსიტეტო სივრცეში;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - კონკურსანტთა დაბალი აქტივობა; დაბალი კონკურენტული გარემო |

| **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (32 04 05)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტექნიკური მხარდაჭერა;<br><br>უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართვის სისტემის ხელსწყობა; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში პედაგოგიური ინოვაციების განვითარება;<br><br>სწავლების ყველა დონეზე სწავლას, სწავლებასა და კვლევას შორის მჭიდრო კავშირი; |

| | |
|---|---|
| | უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმისწარმოებისა და სხვა ადმინისტრაციული ხასიათის საქმიანობის გაუმჯობესება.<br><br>აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციების გაუმჯობესება;<br><br>საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ბენეფიციარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაცია და მათ მიმართ ნდობის ამაღლება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა; 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მართვის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა |

| **ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი (32 08)** | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება და თანამედროვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა;<br><br>საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო, მათემატიკის და ინგლისური ენის საგნების პედაგოგების, ყველა საჯარო სკოლის დირექტორისა და პროფესიული განვითარების ფასილიტატორის ინტენსიური გადამზადება;<br><br>ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების ხელშეწყობა კვლევების საფუძველზე, სანდო მონაცემების შეგროვება, მათი ანალიზი, რეკომენდაციების მომზადება და შესაბამისი პოლიტიკის კურსის შემუშავება;<br><br>შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების მეშვეობით კადრების მომზადება საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგებისთვის, როგორიცაა ინჟინერია, ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი;<br><br>საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობა, კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნოლოგიურ და საინჟინრო დარგებში, ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება. |
| **პროექტის მოსალოდნელი** | რეაბილიტირებული საჯარო სკოლებისა და შესაბამისად ბენეფიციარების რაოდენობა; |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგი** | ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ინგლისური ენის საგნის მასწავლებლის გადამზადება და ყველა საჯარო სკოლის დირექტორისათვის ლიდერობის აკადემიის სამივე დონის ტრენინგის ჩატარება;<br><br>საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო შეფასებებში PISA, TIMSS, TALIS;<br><br>საბუნებისმეტყველო და მათემატიკის საგნებსა და ქართული, როგორც მეორე ენაში ეროვნული შეფასებების განხორციელება;<br><br>საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობისა პროგრამის დანერგვა;<br><br>შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამების დანერგვა საინჟინრო-ტექნიკურ დარგებში, სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში;<br><br>პროფესიული განათლების სფეროში მომუშავე სასწავლებლებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და/ან განახლება, თანამშრომლობა უცხოელ მომწოდებელთან, სხვა სახის ტექნიკური დახმარება;<br><br>ამერიკული საბაკალავრო ხარისხების გაცემა საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიურ დარგებში;<br><br>საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიური საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია;<br><br>საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სასწავლო-სამეცნიერო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;<br><br>STEM (საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიური) სფეროს მსოფლიო დონის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 48 რეაბილიტირებული საჯარო სკოლა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული იქნება 92 საჯარო სკოლა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - დაქირავებული სამშენებლო კომპანი(ებ)ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოების |

| | |
|---|---|
| | არაჯეროვანი, ან დაგვიანებით შესრულება. ტენდერში დაფიქსირებული ფასი შესაძლოა, აღმოჩნდეს წინასწარ განფასებაზე მეტი<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 7000 პედაგოგი გადამზაადა ზოგადპროფესიული უნარების კურსებსა და საგნობრივ ტრენინგებში, სკოლის დირექტორები გადიან ლიდერობის აკადემიის პირველ და მეორე დონეს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 14 000 პედაგოგის გადამზადება ზოგადპროფესიული უნარების კურსებსა და საგნობრივ ტრენინგებში; სკოლის დირექტორები დაასრულებენ ლიდერობის აკადემიის სამივე დონის ტრენინგებს; გამოქვეყნდება PISA და TIMSS საერთაშორისო შეფასებების ეროვნული ანგარიშები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - სხვადასხვა ობიექტურ მიზეზთა გამო, ზოგიერთი მასწავლებლია ტრენინგზე არ დასწრება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მსხვილი გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 10 პროექტი, ჩატარდება მცირე გრანტების კონკურსის მეორე რაუნდი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის; ჩატარებულია მეორე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „პროფესიული განათლების როლი ეკონომიკის განვითარებისთვის“, რომლის მიზანია პროფესიული განათლების პოპულარობის/მოთხოვნის გაზრდის ხელშეწყობა და ფონდის მიერ დაფინანსებული პროფესიული განათლების ახალი პროგრამების პრეზენტაცია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაგრძელდება პროექტებით განსაზღვრული შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და არსებული პროგრამების განახლება (45 პროგრამა). გაგრძელდება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; დაიწყება სტუდენტების მიღება განახლებულ პროგრამებზე. ჩატარდება მესამე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „პროფესიული განათლების როლი ეკონომიკის განვითარებისთვის“;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება. წარმოდგენილი პროექტებში დაშვებული ხარვეზების არსებობა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 1. სან დიეგოს 4 საბაკალავრო პროგრამებზე სწავლობს 206 ქართველი და უცხოელი სტუდენტი; 2. პარტნიორ სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცი, 2 950 მ2-ზე; 3 ჩატარდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხი STEM აკადემია, რომლის ფარგლებში საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო დარგებით დაინტერესებული 200-მდე აბიტურიენტი გაეცნო ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის და ინჟინერიის სფეროს უახლეს აღმოჩენებსა და მიღწევებს, 4. სახელმწიფო უნივერსიტეტების 45-მა აკადემიურმა პერსონალმა გაიარა ტრენინგი სან დიეგოში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1. სან-დიეგოს პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა; 2. პარტნიორ სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა, რომელიც მოიცავს ლაბორატორიების, აუდიტორიების და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო 1200 მ2-მდე ფართის |

| | |
|---|---|
| | რეაბილიტაციას. 3. სახელმწიფო უნივერსიტეტების 135 აკადემიური პერსონალი გაივლის ტრენინგის სან დიეგოში;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 40%;<br>**შესაძლო რისკები** - სტუდენტების განსხვავებული შესაძლებლობები; ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეფერხება |

| **საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფის მიზნით სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;<br><br>საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პერსონალური კომპიუტერებით („ნეთბუქებით“), ხოლო წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოება კომპიუტერული ტექნიკით;<br><br>სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება.<br><br>სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო;<br><br>მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია;<br><br>ყველა საჯარო სკოლა უზრუნველყოფილა კომპიუტერული ტექნიკითა  და ინტერნეტ-კავშირით. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი საჯარო სკოლები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო სკოლების სრული აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15 %; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლე, მათი დამრიგებლები და წარჩინებული ახალგაზრდები უზრუნველყოფილნი არიან კომპიუტერული ტექნიკით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული და ახალაშენებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაიზრდება ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით |

| **საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (32 07 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;<br><br>საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუთბუქებით) ხოლო წარჩინებული მოსწავლეების/სტუდენტების წახალისება სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკით; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა;<br><br>პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილი იქნება პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუთბუქებით) , ხოლო წარჩინებული მოსწავლები/სტუდენტები სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკით. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1. |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო სკოლებისა და მოსწავლეების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით |

| **საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ტერიტორიული ორგანოების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება;<br><br>სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის არსებულიდან ახალ სისტემაზე გადასვლის ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ყველა საგანმანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაგრძელდება სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; დაქირავებული სამშენებლო კომპანი(ებ)ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოების არაჯეროვანი, ან დაგვიანებით შესრულება |

| **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია; |

| | |
|---|---|
| | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ახალი აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობის შვიდი ერთეულით გაზრდა და 10 ერთეული საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** რვა ერთეულამდე გაიზრდება ახალი აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა; დაიწყება 10 ახალი სკოლის მშენებლობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15%;<br>**შესაძლო რისკები -** დაქირავებული სამშენებლო კომპანი(ებ)ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოების არაჯეროვანი, ან დაგვიანებით შესრულება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ხორციელდება 26 საჯარო სკოლის გამაგრება, 81 საჯარო სკოლაში სამედიცინო ოთახის მოწყობა, 145 საჯარო სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია, 1 სკოლაზე ფართის მომატება მიშენების გზით, 153 საჯარო სკოლაში გათბობის სისტემების მოწყობა, 92 საჯარო სკოლაზე სახურავის შეცვლა, 140 საჯარო სკოლაზე სველი წერტილების მოწყობა/რეაბილიტაცია; MCC პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 62 საჯარო სკოლის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარება, ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** განხორციელდება საჯარო სკოლებისთვის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები მათ შორის: სრული რეაბილიტაცია დაახლოებით 100-მდე საჯარო სკოლას, 400- მდე საჯარო სკოლას ნაწილობრივი რეაბილიტაცია: სახურავის შეკეთება, გათბობის სისტემების მოწესრიგება და სხვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15%;<br>**შესაძლო რისკები -** შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ხორციელდება 400 -მდე საჯარო სკოლის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** განხორციელდება 300-მდე საჯარო სკოლის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ |

## პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 02)

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა და რეაბილიტაცია;<br><br>პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;<br><br>პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ერთი ახალი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაიწყება კერძო საჯარო პარტნიორობის ფარგლებში მინიმუმ ორი ახალი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; დაქირავებული სამშენებლო კომპანი(ებ)ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოების არაჯეროვანი, ან დაგვიანებით შესრულება<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ექვსამდე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების (შენობებს) სხვადასხვა სახის ნაწილობრივი/სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (სახელოსნოების, სასადილოს და ეზოების კეთილმოწყობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ათამდე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს (შენობებს) ჩაუტარდებათ სხვადასხვა სახის ნაწილობრივი/სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შესაბამისი ინვენტარით ათამდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების მომარაგება; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შესაბამისი ინვენტარით მომარაგდება 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ |

| **უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსესება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და სხვადასხა სახის ინვენტარით აღჭურვის უზრუნველყოფის მიზნით. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დაფინანსებულია არანაკლებ 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის მიზნით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაფინანსდება არანაკლებ 4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის მიზნით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით |

| **სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 04)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა - რეაბილიტაცია;<br><br>სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოები |

| | |
|---|---|
| | სხვადასხა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ხორციელდება სამინისტროს სისტემაში შემავალი 2 ერთეული (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) დაწესებულების რეაბილიტაცია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება არანაკლებ 8 ერთეული სამინისტროს სისტემაში შემავალი სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების რეაბილიტაცია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 50%;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით; შეფერხება ტენდერით გამოვლენილი მომწოდებლების მიერ |

| **საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (32 07 02 05)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;<br><br>საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი მხარეების შესაძლებლობების განვითარება |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის ჩამოყალიბება და შემდგომ წლებში მის მდგრადი მუშაობა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 75 - მდე საჯარო სკოლაში (რეაბილიტირებულ და 2013 წლიდან დღემდე აშენებულ სკოლებზე) ხორციელდება ოპერირებისა და მოვლა პატრონობის ღონისძიებები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 150 - მდე საჯარო სკოლაში (რეაბილიტირებულ და 2013-2017 წლის პერიოდში აშენებულ სკოლებზე) განხორციელდება ოპერირებისა და მოვლა პატრონობის ღონისძიებები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით |

| მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა;<br><br>აკადემიური პერსონალის მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, ასევე მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება;<br><br>სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა;<br><br>„ჰორიზონტი 2020“ პროგრამის სრულუფლებიანი ასოცირებული წევრობა;<br><br>მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების და დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო დაფინანსება;<br><br>სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა;<br><br>საზღვარგარეთ ქართველოლოგიური კათედრებისა და ქართველოლოგის შემსწავლელი მეცნიერების გაძლიერება.<br><br>საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ქართველ მეცნიერების საერთაშორისო კვლევებში ჩართვის შესაძლებლობა;<br><br>საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ქვეყნის მატერიალური, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია;<br><br>სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;<br><br>სართაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და ურთიერთობების ხელშეწყობა; |

| | |
|---|---|
| | ახალგაზრდა მეცნიერებს/გამომგონებლებს საშუალება ექნებათ მატი მიგნებები კომერციულად საინტერესო წინადადებებად აქციონ;<br><br>მეცნიერების პოპულარიზაცია;<br><br>სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;<br><br>სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;<br><br>გადასახადები საერთაშორისო ინსტიტუტებში/ცენტრებში;<br><br>საგრანტო კონკურსების ადმინისტრირება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა. 2015 წელს გამარჯვებული და დაფინანსებული პროექტების რაოდენობა 488, ხოლო 2016 წელს გამარჯვებული პროექტი - 489;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა სამეცნიერო-კვლევითი, შემეცნებითი ღონისძიებები - კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები, საჯარო ლექციები, გამოფენები - რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წამყვანმა წარმომადგენლებმა; მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის, ფარგლებშიც გამართული ღონისძიებები რაოდენობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - თბილისის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ორგანიზება; საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით არანაკლებ ორმოცი სამეცნიერო-კვლევითი, ინოვაციური და შემეცნებითი ღონისძიების ჩატარება<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ოთხ სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების - 41 დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დაფინასება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%;<br>**შესაძლო რისკები -** წარმოდგენილი პროექტების არაჯეროვანი შესრულება<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** E.LSEVIER - წამყვანი საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობაზე წვდომა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ELSEVIER ელექტრონულ და Thomson Reuters ელექტრონულ ბაზებზე წვდომის ხელსეწყობა |

| **სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესის ხელშეწყობა;<br><br>მაღალი ხარისხის სამეცნიერო კვლევების, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და ურთიერთობების ხელშეწყობა;<br><br>მეცნიერების პოპულარიზაცია;<br><br>სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;<br><br>მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი ელექტრონული ჟურნალების მონაცემთა ბაზებთან (Elsevier BV და Thomson Reuters/Clarivate Analytics) წვდომა საქართველოს კვლევითი სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (უსდ-ები, კვლევითი ინსტიტუტები, ცენტრები და სხვ), აგრეთვე მეცნიერების მენეჯმენტში ჩართული სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის (რუსთაველის ფონდი, GITA, „საქპატენტი“);<br><br>ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ზრდა და მათი მხარდაჭერა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | გაიზრდება ქართველი მეცნიერების თანა-ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციების (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერთა პუბლიკაციების) რაოდენობა საერთაშორისო რეფერირებად, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში. შესაბამისად გაიზრდება მეცნიერთა მობილობა, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება და მეცნიერებაში შემოსული საერთაშორისო ფონდების ინვესტიციები;<br><br>გაიზრდება დარეგისტრირებული საპატენტო განაცხადების და კვლევითი პროექტებიდან მიღებული პროდუქტის რაოდენობა; |

| | |
|---|---|
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საერთაშორისო რეფერირებად, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში ქართველი მეცნიერების თანა-ავტორობით გამოქვეყნებულია 100 პუბლიკაცია (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერთა პუბლიკაციები);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საერთაშორისო რეფერირებად, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში ქართველი მეცნიერების თანა-ავტორობით გამოქვეყნებულია 120 პუბლიკაცია (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერთა პუბლიკაციები);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** შესაძლოა, დროის მოკლე მონაკვეთში, სამეცნიერო საზოგადოებას საქართველოში გაუჭირდეს, საერთაშორისო, რეფერირებად, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, პუბლიკაციების რაოდენობის აღნიშნული ტემპით გაზრდა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დარეგისტრირებული საპატენტო განაცხადების და კვლევითი პროექტებიდან მიღებული პროდუქტების რაოდენობა შეადგენს 8 ერთეულს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** დარეგისტრირებული საპატენტო განაცხადების და კვლევითი პროექტებიდან მიღებული პროდუქტების რაოდენობა შეადგენს 12 ერთეულს;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** შესაძლოა, დროის მოკლედ მონაკვეთში, სამეცნიერო საზოგადოებას საქართველოში გაუჭირდეს, აღნიშნული რაოდენობის საპატენტო განაცხადების დარეგისტრირება და კვლევითი პროექტებიდან მიღებული პროდუქტის კომერციალიზაცია;<br>**შესაძლო რისკები -** 25% |

| **სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (32 05 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების წარმოება, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;<br><br>სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;<br><br>საქართველოში სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სამეცნიერო სტატიები, როგორც ქართულ ასევე უცხოურ ჟურნალებში; |

| | |
|---|---|
| | თეზისები საერთშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა საქართველოში და უცხოეთში;<br><br>მონოგრაფიები, კრებულები, სამეცნიერო წიგნები;<br><br>კონკურენტული კვლევითი გარემო;<br><br>ახალგაზრდა მეცნიერთა ამაღლებული კვალიფიკაცია;<br><br>მოდერნიზებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა;<br><br>კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნწერთა ეროვნული ცენტრის ამაღლებული ცნობადობა, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო კულტურული დაწესებულების, საქართველოში და საზღვარგარეთ.<br><br>საერთაშორისო და ადგილობრივი (საქართველო) სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და ჩატარება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ გამოქვეყნდა 51 სტატია უცხოურ და 31 სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში. გამოქვეყნდა 56 სამეცნიერო თეზისი საერთაშორისო ფორუმებში და 8 თეზისი საქართველოში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისას; სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებიდან მოიპოვა 5 პროექტის დაფინანსება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვნებელის შენარჩუნება<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა კვლევები სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების შემადგენლობაში არსებული ფაგების მოლეკულურ-ბიოლოგიური, იმუნოლოგიური და ბიოქიმიური შესწავლა. ასევე, კვლევები ადამიანისა და ცხოველების სხვადასხვა ინფექციის, მათ შორის ანტიბიოტიკების მიმართ ბაქტერიული შტამებით გამოწვეული ჰოსპიტალური ინფექციების ეთიოლოგიური სტრუქტურის შესწავლის კუთხით; სსიპ - შოთა რუსთაველი საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებიდან მოიპოვა 4 პროექტის დაფინანსება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვნებელის შენარჩუნება<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები; ორგანიზებული და ჩატარებულია სხვადასხვა სამეცნიერო |

| | |
|---|---|
| | კონფერენციები, ფორუმები, სიუბილეო დღეები და სხვა ღონისძიებები. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებიდან მოიპოვა 6 პროექტის დაფინანსება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვნებელის შენარჩუნება |

| **სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (32 05 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ▯ აგროსასურსათო სექტორში გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობა;<br>▯ სამეცნერო ხასიათის შეხვედრები აგრონომიული, აგროსაინჟინრო, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების, მეცხოველეობის ვეტერინარიის და საკვებწარმოების, ეკონომიკის და სურსათის უვნებლობის სამეცნიერო მიმართულებით;<br><br>სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, კვლევითი საქმიანობისა და სწავლების ერთობლივი ფუნქციონირების მხარდაჭერა, საერთაშორისო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | საქართველოში სოფლის მეურნეობის (აგრარული) მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** აკადემიის მიერ გამოცემულია 3 სახელმძღვანელო, 14 მონოგრაფია, 23 რეკომენდაცია, 16 ბროშურა და 2 გამოგონება/პატენტი. 15%-ით გაიზარდა გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** აკადემიის მიერ გამოქვეყენებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების 5%-ით გაზრდა |

| **სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 04)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების/ერთეულების ხელშეწყობის მიზნით მეცნიერული კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა, სამეცნიერო პერსონალისთვის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებული უნარ-ჩვევების გამომუშავება; |

| | |
|---|---|
| | სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის, მათ შორის, სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ტექნიკური ხასიათის მხარდაჭერის უზრუნველყოფა და შესაფერისი პირობების შექმნა;<br><br>კვლევის პროცესში ინოვაციების გამოკვეთა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | დაფინანსდება 41 დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საქმიანობა (სამეცნიერო პროგრამა), რაც ნიშნავს სამეცნიერო მიმართულებათა ფართო სპექტრის მხარდაჭერას;<br><br>გაიზრდება სამეცნიერო კვლევების ეფექტიანობა (პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, ციტირების ინდექსი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და ფორუმების ორგანიზება, მათში მონაწილეობა და სხვ.)<br><br>გაიზრდება ქართველი მეცნიერების ცნობადობა საზღვარგარეთ;<br><br>გაიზრდება ქართველი მეცნიერების პროდუქტიულობა (მონოგრაფიები, წიგნები, კრებულები და სხვ.);<br><br>გაიზრდება სამეცნიერო კვლევებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;<br><br>სამეცნიერო ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდება და მიუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს;<br><br>გაიზრდება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ცნობადობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;<br><br>გაძლიერდება კავშირები ეკონომიკის პრაქტიკულ საჭიროებებსა და შესაბამისი პროფილის სამეცნიერო კვლევებს შორის. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთა წლიური სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგები. ანგარიშის თანხმად, უმაღლესი შეფასება მიიღო 28 სამეცნიერო კვლევითმა ერთეულმა, დამაკმაყოფილებელი შეფასება - 13, უარყოფითი შეფასება 0, ხოლო არ შეფასდა 1 სამეცნიერო კვლევითი ერთეული;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შეფასების 10%-ით გაუმჯობესებული მაჩვენებლები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - წარმოდგენილი პროექტების ტექნიკური ხარვეზები |

| | |
|---|---|
| | 2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი იქნა და დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების 41 პროექტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლების შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - წარმოდგენილი პროექტების არაჯეროვანი შესრულება |

| **მეცნიერების პოპულარიზაცია (32 05 05)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში მეცნიერების პოპულარიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით ყოველწლიური მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაციას, ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენას, ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების გაცნობას ფართო საზოგადოებისათვის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროების დაახლოებას. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | გაიზრდება ქართველი მეცნიერების ცნობადობა სკოლის მოსწავლეებს, ახალგაზრდებსა და ფართო საზოგადოებაში;<br><br>გაიზრდება მეცნიერების მოტივაცია და მეცნიერების პროფესიის პრესტიჟი;<br><br>გაიზრდება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და ინოვაციებში ჩართული სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების რაოდენობა.<br><br>გაიზრდება ახალგაზრდების, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 1.ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა 150-მდე ღონისძიება; 2.ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 40-მდე ორგანიზაციამ; 3.ფესტივალმა უმასპინძლა რამდენიმე ათასს სტუმარს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფესტივალის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების, მონაწილე სუბიექტებისა და ვიზიტორების რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 10%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - მოწვეული სტუმრებისა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ფესტივალის ღონისძიებებში მონაწილეობის ინტერესის შემცირება |

| **პროფესიული სამხედრო განათლება (29 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია; სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი; სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოყალიბების მიზნით, ეფექტიანი საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების განხორციელებით, კადეტებისათვის ზოგადი განათლების და დაწყებითი სამხედრო მომზადების უზრუნველყოფა;<br>აკადემიური განათლების უზრუნველყოფა, ეფექტიანი საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;<br><br>სპეციალიზებული მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების, გამოცდილების გაზიარების ფორმატის შეხვედრებისა და კონფერენციების ჩატარებას კადრების პროფესიული გადამზადების მიზნით;<br><br>სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება თანამედროვე შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების მიზნით. პროფესიული განვითარების სასწავლო კურსების ჩატარება ქვეყნის გარეთ, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მოსამსახურეთათვის. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | შესაბამისი განათლებით და საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფილი კადეტები;<br><br>კვალიფიციური კადრები, რომლებსაც ექნებათ სამეთაურო-საშტაბო ოფიცრის და შესაბამისი სპეციალობის პროფესიული ცოდნა. ინფორმირებული და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის განვითარება;<br><br>გადამზადებული სამხედრო პერსონალი და საზღვარგარეთ სასწავლო კურსებში მომზადებული და გადამზადებული სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 1.არსებული რეალობიდან გამომდინარე სამხედრო ლიცეუმს ამთავრებს ჩარიცხული კადეტების 63%, მათგან უმაღლეს სასწავლებელში სწავლას აგრძელებს 100%. 2. საქართველოს შეიარაღებული ძალების საჭიროების შესაბამისად განსაზღვრული ოფიცერთა რაოდენობის და აკადემიის კურსდამთავრებულთა რაოდენობის თანხვედრა. 3. სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა ახორციელებს ხუთ (გრძელვადიან) პროგრამას (1 - |

| | |
|---|---|
| | უსაფრთხოების სექტორის საორიენტაციო პროგრამა; 2 - თავდაცვისა და უსაფრთხოების მართვა; 3 - თავდაცვისა და უსაფრთხოების ანალიზის პროგრამა; 4 - თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრატეგიული მართვის პროგრამა; 5- ეროვნული თავდაცვის უმაღლესი პროგრამა). 4. 2017 წელს ჩატარდება გეგმით გათვალისწინებული სწავლებები. 5. პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ყოველწლიურ გეგმებში გათვალისწინებული სასწავლო კურსები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 1. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის სრული ციკლის წარმართვა და კადეტებისათვის წლიური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა. 2. საქართველოს შეიარაღებული ძალების საჭიროების შესაბამისად განსაზღვრული ოფიცერთა რაოდენობის და აკადემიის კურსდამთავრებულთა რაოდენობის თანხვედრა. 3. ნატო-სთან თავსებადი სასწავლო ციკლის ჩამოყალიბება. 4. გეგმით გათვალისწინებული სწავლებების ჩატარება. 5. სასწავლო კურსების ორგანიზება (სამოქალაქო პერსონალი - 80 კურსი; სამხედრო პერსონალი - 320 კურსი);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** დაბალი ალბათობა;<br>**შესაძლო რისკები -** 1. მისაღები კონტიგენტის დაბალი აქტივობა. 2. კვოტით განსაზღვრული მისაღები კონტინგენტის არასრული დაკომპლექტება; კვალიფიციური კადრების გადინება. 3. სასწავლო პროცესის შეფერხება, ჩაშლა. 4. შერჩეული კანდიდატების ცვლილება |

| **პროფესიული განათლება (32 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა; სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; პროფესიული კოლეჯები |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების და პროფესიული კარიერის ხელშეწყობა;<br><br>პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;<br><br>სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებშიპროფესიული სტუდენტების სრული სახელმწიფო დაფინანსება;<br><br>პროფესიული განათლების განვითარების 2013–2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება;<br><br>პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა; |

| | |
|---|---|
| | ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | გაზრდილია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი;<br><br>მომზადებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალა;<br><br>უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა;<br><br>უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსსმპ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, დევნილები, პატიმრები, პრობაციონერები, განათლების სისტემის მიღმა დარჩენილები და ა.შ);<br><br>გაზრდილია ადაპტირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა;<br><br>შემუშავებულია ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ პირების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის მექანიზმები;<br><br>ქვეყნის რეგიონული და ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ჩამოყალიბებულია ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო სასწავლებლებში, პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა მაჩვენებელი აღწევს 12 000-ს, მ.შ 300-მდე შშმ/სსსმ პირი და 900-მდე დევნილი, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი აჭარბებს 56%-ს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა მაჩვენებელი გაიზრდება 16%-ით, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 4 % ;<br>**შესაძლო რისკები** - პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ნაკლები დაინტერესება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების სისტემაში დანერგილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 50% არის მოდულური (საიდანაც მინიმუმ 9 არის დუალური), ამოქმედებულია ევროპული მიდგომების შესაბამისად მომზადებული ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების სისტემა სრულად გადასულია მოდულურ სწავლებაზე, ასევე გაზრდილია სისტემაში დანერგილი დუალური პროგრამების რაოდენობა. ეროვნული პროფესიული კვალიფიკაციები თავსებადია ევროპულ კვალიფიკაციების სისტემასთან;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მიზნობრივ მაჩვენებელზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს კერძო სექტორის ნაკლებმა ინტერესმა დუალური პროგრამების მიმართ, ასევე საკანონმდებლო ცვლილებების შეფერხებამ;<br>**შესაძლო რისკები** - კერძო სექტორის ნაკლები ინტერესი დუალური პროგრამების განხორციელებაში ჩასართავად, საკანონმდებლო ცვლილებების შეფერხება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შექმნილია საკანონმდებლო საფუძველი პროფესიული განათლების მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში უზრუნველყოფილია სრული ზოგადი განათლების დაუფლების, ზრდასრულთა სწავლების - მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა;<br>**შესაძლო რისკები** - კანონქვემდებარე აქტების მიღების შეფერხება |

| **პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (32 03 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | პროფესიული კოლეჯები; სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;<br><br>პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის განვითარებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის მხარდაჭერა;<br><br>პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაცია;<br><br>პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის ამოქმედებითა და ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ჩარჩოს დანერგვის გზით;<br><br>შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;<br><br>პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, კოლეჯების რეგიონული ქსელის გაფართოება, ასევე ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვის ხელშეწყობა და საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; |

| | |
|---|---|
| | მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერა;<br><br>ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისათვის საორიენტაციო-პროფესიულ კურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა;<br><br>პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციური სასწავლო გარემოს და სამეწარმეო განათლების განვითარება;<br><br>კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება (მათ შორი,ს შშმ და სსსმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით), როგორიცაა: ხარისხიანი კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სისტემის უზრუნველყოფა; სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა; მეწარმეობის სწავლების მხარდაჭერა და სხვ. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | გაზრდილია პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა;<br><br>გაზრდილია კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი;<br><br>საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით შემუშავებულია პროფესიული განათლების ახალი ბრენდი;<br><br>უზრუნველყოფილია მოდულური (დამსაქმებლების მონაწილეობით შექმნილი) საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერა და სისტემაში არსებული საგნობრივი პროგრამების სრულად ჩანაცვლება მოდულური პროგრამებით;<br><br>შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ახალი სქემა, რაც უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის გაუმჯობესებას და დიფერენცირებულ ანაზღაურებას, მათი გამოცდილების, პროფესიული განვითარებისა და დატვირთვის შესაბამისად;<br><br>გაზრდილია სისტემაში დანერგილი დუალური საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;<br><br>გაზრდილია იმ პროგრამების რაოდენობა, რომლებიც ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით; ;<br><br>გაზრდილია საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ რეგიონულ დაფარვას.;<br><br>გაუმჯობესებულია პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სამეწარმეო უნარები. |

| | |
|---|---|
| | გაზრდილია დასაქმებისა და თვითდასაქმები/სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მაჩვენებელი კურსდამთავრებულთა შორის;ჩამოყალიბებულია მოქნილი პროფესიული განათლების სისტემა, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია სრული ზოგადი განათლების დაუფლება, ზრდასრულთა სწავლება - მომზადება-გადამზადება, პარალელურად უსდ-ში სწავლა და მოქნილი გრაფიკით სარგებლობა, სპეციალური ხელშეწყობა და სერვისები სსსმ და შშმ პირებისათვის, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის და სხვ. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო სასწავლებლებში, პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა აღწევს 12 000-ს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით ბენეფიციარების რაოდენობა გაზრდილია მინიმუმ 10%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ნაკლები დაინტერესება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების სქემის დანერგვა იწყება 2018 წლიდან;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულია მასწავლებელთა 20%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ახალი სისტემის პილოტირების/დანერგვის არასაკმარისი მხარდაჭერა (ინსტიტუციური, სამართლებრივი ბაზა და სხვ.)<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი აჭარბებს 56%-ს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი აჭარბებს 57%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0,5%;<br>**შესაძლო რისკები** - პროფესიული კოლეჯების დონეზე სტუდენტთა დასაქმების არასაკმარისი მხარდაჭერა. ბიზნეს სექტორის განვითარების შეფერხება/სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირება<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული 23 პროფესიული სასწავლებელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამატებითი ლოკაციები შექმნილია მინიმუმ 2 მუნიციპალიტეტში;<br>**შესაძლო რისკები** - კერძო სექტორის ნაკლები ინტერესი; არასაკმარისი რესურსები<br>**5.** |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - ყველა ასაკობრივი ჯგუფისა და განსხვავებული საჭიროების მქონე პირებისათვის ხორციელდება ერთი სახის პროგრამა/პროგრამები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სისტემაში დაწყებულია ზრდასრულთა პროფესიული განათლების/მომზადება-გადამზადების პროგრამების დანერგვა; განხორციელდებულია პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების ინტეგრირების პილოტირება, ჩამოყალიბებულია საბოლოო მიდგომა და მომზადებულია მისი სისტემურად დანერგვის საფუძველი;<br>**შესაძლო რისკები** - პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის მომზადების ს შეფერხება; კერძო სექტორის არასაკმარისი ჩართულობა<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების სისტემაში ჩართულია 300-მდე შშმ/სსსმ პირი და 900-მდე დევნილი პირი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიულ განათლებაში ჩართული შშმ/სსსმ პირების რაოდენობა გაზრდილია 5%-ით საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით; პროფესიულ განათლებაში ჩართული დევნილი მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილია 5%-ით საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა ნაკლები ინტერესი, ან არაინფორმირებულობა; არასაკმარისი სერვისები, ან ამ სერვისების არასათანადო ხარისხი და ხელმისაწვდომობა<br>**7.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 10 სკოლის 80-მდე მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია საორიენტაციო-პროფესიული კურსები (საპილოტე რეჟიმში);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საორიენტაციო-პროფესიული კურსები ხორციელდება მინიმუმ 100 სკოლის მოსწავლეებისათვის;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - სკოლების ნაკლები ინტერესი პროგრამაში ჩასართავად; არასაკმარისი რესურსები (ადამიანური, ფინანსური, ინფრასტრუქტურული) |

| **მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 03 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | პროფესიული კოლეჯები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, თავისუფლება შეზღუდული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობით მსჯავრდებული) სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა; |

| | |
|---|---|
| | ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთა ან/და განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანთა სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა;<br><br>ბენეფიციართა რესოციალიზაციის ხელშეწყობა პროფესიული მომზადების გზით. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | მსჯავრდებულებისთვის, ისევე როგორც ყოფილი პატიმრების, მათი ოჯახის წევრების ან/და განრიდებულთათვის, სახელმწიფო დაფინანსებით, ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსები. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების სისტემაში ჩართულია 1000-მდე ბენეფიციარი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შესაბამისი მომართვის საფუძველზე, სრულად არის უზრუნველყოფილი მსჯავრდებულთა/ყოფილ პატიმართა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი მოტივაცია |

| **ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (32 03 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის დაძლევა;<br><br>საქართველოს მაღალმთიან და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;<br><br>ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია საჯარო მოხელეები და შესაბამისად ამაღლებულია მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დონე;<br><br>გადამზადებულია სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში დაინტერესებული პირები, რომლებმაც გაიუმჯობესეს ქართული ენის ფლობის დონე, ასევე დაეუფლენ დარგობრივი მიმართულების (სამართალმცოდნეობი, ფინანსები და შესყიდვები, ორგანიზაციული მენეჯმენტი და ინფრასტრუქტურა) ლექსიკას. |

| | |
|---|---|
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 255;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 300;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** სამიზნე ჯგუფის პროფესიულ განვითარებაში მონაწილეობის დაბალი აქტივობა; გარე ფაქტორები (შეფერხებები დაფინანსებაში, პოლიტიკური ცვლილებები)<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 3250;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 3300;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** სხვა ალტერნატიული პროგრამების არსებობა; ბენეფიციართა დაბალი მოტივაცია<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დანერგილია 11 სასწავლო პროგრამა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** დაინერგება 14 სასწავლო პროგრამა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 9%;<br>**შესაძლო რისკები -** შეფერხებები დაფინანსებაში<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** გადამზადებულთა 25% კაცია - 75% ქალია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** გადამზადებულთა 35% კაცია - 65% ქალი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** საორიენტაციო შეხვედრებზე ბენეფიციარ მამაკაცთა დაბალი %-ით ჩართულობა |

| **განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი; საგანმანთლებლო რესურსცენტრები; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება დაგანხორციელება. ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი; საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;<br><br>საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;<br><br>ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა და განვითარება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი |

| | |
|---|---|
| | განათლების სისტემების სრულყოფა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება;<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია, საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხზე ზრუნვა, მისი მუდმივი გაუმჯობესება და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება;<br><br>ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების, ასევე მეცნიერების ხელსწყობის მიზნით პროგრამების შემუშავება და განხორციელება;<br><br>ეროვნული შეფასებების სისტემის სრულყოფა, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განვითარების უზრუნველყოფა;<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება;<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების სრულყოფა;<br><br>განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა;<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობისა და ხარისხის უზრუნველყოფა;<br><br>განათლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმების შედეგებზე ორიენტირებული სისტემის დანერგვა და მისი მეშვეობით საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება; ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე ექსპერტების გადამზადება და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა;<br><br>განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება;<br><br>ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა, მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა/ განვითარება. |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობდა მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფისა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით; ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასა და დანერგვის მონიტორინგზე, ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობაზე სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლესი განათლების საფეხურებზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ზოგადი განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიის მუდმივი შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია და ანგარიშგება. ზოგადი განათლების მართვის სფეროში ეროვნული და რეგიონული პროგრამებისა და პროექტების კოორდინაცია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სწავლა-ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება, ზოგად განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ზოგადი განათლების მიმართულებით დამტკიცებული პროგრამებით მოცული სამიზნე ჯგუფების მუდმივი განახლება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შემუშავდა სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების შერჩევისა და გავრცელების ახალი რეგულაციები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გრიფირებული I-VI კლასების სახელმძღვანელოების/სერიების რაოდენობა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების მართვის სფეროში ეროვნული და რეგიონული პროგრამებისა და პროექტების კოორდინაცია, პროფესიულ განათლებაზე გაზრდილია გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიმდინარეობს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელება, რაც ხელს უწყობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის (მსჯავრდებულები, ყოფილი პატიმრები, ეთნიკური უმცირესობები, შშმპ, სსმპ და სხვ.) შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას (კურსდამთავრებულთა დასაქმების მზარდი მაჩვენებელი და სისტემაში შემოსულ პირთა რაოდენობა); 2015 წელს ჩაირიცხა 10 273 სტუდენტი, ხოლო 2016 წელს - 11 651 სტუდენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ზრდა (მინიმუმ ერთ მუნიციპალიტეტში), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა მზარდი მაჩვენებელი, წინა წელთან მიმართებაში ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია მინიმუმ 4%-ით<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრულყოფა შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება; უმაღლესი განათლების მართვის სფეროში ეროვნული და რეგიონული პროგრამებისა და პროექტების კოორდინაცია; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უმაღლესი განათლების ხარისხის მართვისა და დაფინანსების მოდელის სრულყოფა, გაგრძელდება უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების სქემაში სოციალური კომპონენტის გაძლიერება და ბენეფიციართა წრის გაფართოება; გაიზრდება რეგიონის წარმომადგენელი ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის სისტემაში მოქმედებს მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემა და პილოტურ რეჟიმში ელექტრონული ჟურნალის მოდული. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა მორგებულია მოდულური სწავლების ამოცანებსა და პრინციპებზე; შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმა. ვებგვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია ზოგადსაგანმანათლებლო ინდიკატორებისა და სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი |

| **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank) (32 10)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული ენერგეტიკის და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე, ჰიდრავლიკის და ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის (შემდგომში პროექტი) ჩამოყალიბება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | უახლესი ტექნოლოგიებით და აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია (საერთო ფართი 4000 კვ.მ -ზე მეტი), რაც იძლევა შესაძლებლობას შესწავლილ იქნეს ენერგეტიკულ, ინფრასტრუქტურულ და სოფლის მეურნეობის პროექტებთან დაკავშირებული, მთელი რიგი საინჟინრო საკითხები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში უახლესი ტექნოლოგიებით და აპარატურით აღჭურვილი ჰიდრავლიკის და ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორია |

| **სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (33 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებები |

| | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ქვეყნის სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემასთან ჰარმონიზაცია.<br><br>სასწავლებლებში თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად სასწავლო გეგმების და პროგრამების მოწესრიგება, საერთშორისო გამოცდილების ურთიერთგაზიარების საფუძველზე სწავლების ხარისხის ამაღლება, სტუდენტთა და მოსწავლეთა ზრდა-დაოსტატების, სწავლის, მათი შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა და მიღწევების პოპულარიზაცია. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემის, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სისტემის, საერთაშორისო მასშტაბით აღიარება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** აქტივობების რაოდენობა (მოსწავლეების და სტუდენტების კონცერტები, გამოფენები სპექტაკლები, ფილმები , მასტერკლასები და სხვა) - 1 140- მდე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** აქტივობების რაოდენობა – 1140 -მდე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%;<br>**შესაძლო რისკები -** ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, დაბალი მოსწრება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლები - აქტივობების რაოდენობა - 650 -მდე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** აქტივობების რაოდენობა– 650 -მდე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%;<br>**შესაძლო რისკები -** ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, დაბალი მოსწრება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლები -აქტივობების რაოდენობა - 290 მდე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** აქტივობების რაოდენობა – 290- მდე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%;<br>**შესაძლო რისკები -** ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, დაბალი მოსწრება<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა - აქტივობებში მონაწილე სტუდენტებისა და მოსწავლეების რაოდენობა - 200- მდე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** აქტივობებში მონაწილე სტუდენტებისა და მოსწავლეების რაოდენობა – 200 -მდე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%;<br>**შესაძლო რისკები -** ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, დაბალი მოსწრება |

| **თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტი (32 09)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | თბილისის  საჯარო სკოლების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და ენერგოეფექტურობის გაზრდა; |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საჯარო სკოლაში კომფორტული ტემპერატურის შენარჩუნება გათბობის და ვენტილაციის მინიმალური (50%) გამოყენებით, მაქსიმალური ჰერმეტიზაციის ხარჯზე. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დაიწყება 5 ერთეული საჯარო სკოლის გარდაქმნა, რომლებიც მოახდენენ დაბალი ენერგიის მოხმარებას;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2020 წლამდე 25 საჯარო სკოლის გარდაქმნა, რომლებიც მოახდენენ დაბალი ენერგიის მოხმარებას;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 50%;<br>**შესაძლო რისკები** - შეფერხება ტექნიკურ უზრუნველყოფის კუთხით |

| **საბიბლიოთეკო საქმიანობა (01 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება, დაცვა და საყოველთაო ხელმისაწდომობის უზრუნველყოფა;<br><br>მონაცემთა ბაზების შექმნა და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;<br><br>სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზება ბიბლიოთეკათმცოდნეობის, წიგნთმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის დარგებში;<br><br>საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;<br><br>საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება; |

| | |
|---|---|
| | საქართველოს ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ციფრული მემკვიდრეობის არქივის შექმნა;<br><br>ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდის სრულყოფა და მხარდაჭერა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ელექტრონული ბაზების გაზრდილი მოცულობა; საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; მკითხველთა რაოდენობა ადგილზე და ელექტრონულად |

| **სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (30 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სამაგისტრო, საბაკალავრო, სპეციალური, პროფესიული და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ასევე სასწავლო პროგრამების გადამუშავება/განახლება;<br><br>შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის პროფესიონალი კადრების მომზადება და გადამზადება;<br><br>საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების მომზადება და გადამზადება;<br><br>საარქივო საქმიანობის უზრუნველყოფა;<br><br>შსს არქივში განთავსებული მასალების დაცვა, როგორც მომავალი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, ასევე პიროვნებების იდენტიფიცირებისა თუ მნიშვნელოვანი მოვლენების აღდგენის თვალსაზრისით;<br><br>საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არქივის გლობალურ ქსელში ჩართვა, საარქივო ელექტრონული ბაზის შექმნა;<br><br>აკადემიის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მშენებლობა; |

| | |
|---|---|
| | მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | შსს აკადემიის ეფექტური ფუნქციონირება;<br><br>საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებზე სწავლების მსურველთა გაზრდილი მაჩვენებელი;<br><br>შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მომზადებული და გადამზადებული პროფესიონალი კადრები;<br><br>საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არქივი, გლობალურ ქსელში ჩართული საარქივო ელექტრონული ბაზა;<br><br>რეაბილიტირებული და აშენებული ინფრასტრუქტურა;<br><br>განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - აკადემიაში მოქმედებს სამართლის საბაკალავრო პროგრმა და საჯარო სამართლის პროგრამა „საპოლიციო რეგულირების სფეროში“ დღეის მდგომარეობით აკადემიაში სწავლობს 234 ბაკალავრი და 9 მაგისტრანტი; ასევე ხორციელდება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც რეგისტრირებულია 6 სტუდენტი. გამოცდები ტარდება მატერიალური სახით - ქაღალდზე დაბეჭდილი საგამოცდო საკითხებით, ასევე ელექტრონულად;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაკალავრო კურსებზე ჩარიცხული 100 სტუდენტი; სამაგისტრო კურსებზე ჩარიცხული 10 სტუდენტი; სტუდენტებისთვის სწავლების და გამოცდების ჩატარება „როზეტა სტოუნის“ პროგრამის მეშვეობით; საპოლიციო სპეციალიზაციის განვითარების მიზნით შესაბამისი მიმართულებით გადამზადებული ლექტორების რაოდენობა; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით სტუდენტების მიერ რეგისტრაციის გავალისა და საგნების არჩევის შესაძლებლობა<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სწავლების ახალ მოდელზე გადასვლის მიზნით საჭიროა შესაბამისი ინსტრუქტორების გადამზადება; სპეციალური პროფესიული სწავლების ადმინისტრირებისთვის აკადემიაში შექმნილი და დანერგილია პროფესიული სწავლების ელექტრონული სისტემა, რომელიც ასევე მოიცავს ელექტრონული სალექციო ცხრილების პროგრამას. მიმდინარეობს ახალი კურსის შემუშავება: თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 10 გადამზადებული ინსტრუქტორი; 10 გადამზადებული მასწავლებელი; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით მსმენელების მიერ რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა |

| | |
|---|---|
| | **3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** არქივში დაცული მასალების 50% დიგიტალიზირებულია. მასალების დიდი ნაწილი გაბნეულია სხვადასხვა სათავსოებში, რომელთა ნაწილი არ არის აკადემიის საკუთრებაში. ამასთანავე, არსებულ შენობებში სტანდარტები არაა დაცული, რაც იწვევს უნიკალური ისტორიული ღირებულების მქონე მასალების დაზიანება-განადგურების მომეტებულ საფრთხეს, არ არსებობს საარქივო მასალების ელექტრონული ბაზა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** რესტავრირებული - მასალების 10%; დიგიტალიზირებული - მასალების 25%; ელექტრონეილი ბაზის მეშვეობით მრავალმხრივი და მოხერხებული სერვისების მიწოდებით უზრუნველყოფილი დაინტერესებული მოქალაქების 100%; შექმნილი საგნობრივ-თემატური და ანბანური საძიებო რელაციური სისტემები<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** აკადემიისა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს მუდმივ განახლებას რათა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 25-%-ით განახლებული აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** შსს აკადემიის სტუდენტების და მსმენელების 100% უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ეფექტური სასწავლო პროცესით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენარჩუნებული არსებული მაჩვენებელი<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** აკადემიის ინფრასტრუქტურა საჭიროებას მუდმივ რეაბილიტაცაიას და შეკეთებას რათა სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს შესაბამის გარემოში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** შენობებისათვის შეკეთებული სახურავები |

| ინკლუზიური განათლება (32 06) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა;<br><br>სსსმ მოსწავლეთა მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლების, მშობლებისა და სხვა სპეციალისტების სისტემური ტრენინგებით უზრუნველყოფა;<br><br>საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტებისა და სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, დევნილი, რეპატრირებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოზარდების ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა, აგრეთვე სათემო აქტივობების დაგეგმვისა და |

| | |
|---|---|
| | განხორციელების გზით მათში საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის სურვილის გაღვიძება;<br><br>ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მიერ სსსმ მოსწავლეების შეფასება; საჯარო სკოლებისათვის დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით;<br><br>სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის განხორციელება ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის, საზაფხულო ბანაკის მოწყობა მიუსაფარი ბავშვებისთვის, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდებისთვის, ხელმისაწვდომი და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფისთვის საგანმანათლებლო მოდელის განსაზღვრა;<br><br>სკოლა-პანსიონების ბენეფიციარების უზრუნველყოფა სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სსსმ ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საგანმანათლებლო დაწესებულებებში სსსმ მოსწავლეებისა და სტუდენტების შესაძლებლობებზე მორგებული ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისის განხორციელება.<br><br>სსსმ პირებისადმი მიმღებლობის ზრდა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.<br><br>სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების ფორმალურ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობა.<br><br>სკოლა-პანსიონების სააღმზრდელო ნაწილის უწყვეტი მუშაობის უზრუნველყოფა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ზოგადი განათლების საფეხურზე ჩართული 6 600-ზე მეტი სსსმ მოსწავლე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ზოგადი განათლების საფეხურზე ჩართული პირების რაოდენობა გაუზრდება 20%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სსსმ ბავშვების შეფასება ხორციელდება შესაბამისი მომართვის საფუძველზე;<br>**შესაძლო რისკები** - მომართვების რაოდენობის სიმცირე<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სსსმ პირების ინკლუზიის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების ვებგვერდი http://inclusion.ge/;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაუმჯობესდება ინკლუზიური განათლების ვებგვერდის http://inclusion.ge/ ფუნქციონალი<br>3. |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ინტეგრაციის ბარიერების გადალახვისთვის სკოლების გაძლიერების მიზნით შემუშავებულია სატრენინგო პროგრამა. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მომსახურე ყველა ცენტრის (6 ცენტრი) ბენეფიციარები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო მომსახურებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის განხორციელება ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის, საზაფხულო ბანაკის მოწყობა მიუსაფარი ბავშვებისთვის, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდებისთვის, ხელმისაწვდომი და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფისთვის საგანმანათლებლო მოდელის განსაზღვრა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - რვა სკოლა-პანსიონში ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იქნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება |

| **სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (48 00)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება;<br><br>ეკონომიკური და სოციალური პროექტების მეცნიერული შეფასება და რეკომენდაციების წარდგენა;<br><br>უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური შედეგების საექსპერტო შეფასება და რეკომენდაციები;<br><br>მეცნიერული მონაპოვრების წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობა;<br><br>სამეცნიერო ნაშრომების, სამეცნიერო ჟურნალების, ენციკლოპედიების და ლექსიკონების გამოცემა;<br><br>საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებისა და კონფერენციების ჩატარება |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა;<br><br>ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო გამოცემები; |

| | |
|---|---|
| | ჩატარებულისამეცნიერო კონგრესები და კონფერენციები |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და ენციკლოპედიური გამოცემები; ჩატარებული ექსპერტიზის დოკუმენტი და რეკომენდაციები, რომლებიც გაეგზავნა სამთავრობო სტრუქტურებს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ექსპერტიზის დოკუმენტი და რეკომენდაციები, რომლებიც გაეგზავნა სამთავრობო სტრუქტურებს;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%;<br>**შესაძლო რისკები** - ანგარიშვალდებული დაწესებულებებიდან სათანადო მასალების დროულად წარმოუდგენლობა |

| **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (26 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ებისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგსაჭიროებათა ანალიზისა და ტრენინგების სრული ციკლის (დაგეგმვა, ორგანიზება და შეფასება) განხორციელება, აგრეთვე, საკონკურსო, საატესტაციო და საკვალიფიკაციო ტესტირებათა ორგანიზება;<br>საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელების გზით;<br>კერძო სექტორის, ასევე, საბიუჯეტო დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტესტური დავალებების, ტრენინგმოდულებისა და სასწავლო კურსის პროგრამების შექმნა და მუდმივად განახლება, მათ შორის, უცხოური სერტიფიცირებული პროგრამების შეძენის გზით;<br>ტრენინგების სპეციფიკითა და შინაარსით როგორც საჯარო მოხელეების, ისე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების საჭიროებებზე მორგება, რაც ხელს შეუწყობს მართლშეგნების ამაღლებასა და პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარებას არამარტო საჯარო სტრუქტურებში, არამედ ფართო საზოგადოებრივ წრეებშიც. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | • იუსტიციის სამინისტროს სისტემის, სხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება, პიროვნული და პროფესიული განვითარება, პრაქტიკული უნარების გაძლიერება;<br>• იუსტიციის სამინიტროს სისტემისა და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის კვალიფიცირებული კადრების შეფასებისა და შერჩევის უზრუნველყოფა. |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წელს ტრენინგს გაივლის 4900 აპლიკანტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018 წელს ტრენინგს გაივლის 5000 აპლიკანტი 2019 წელს ტრენინგს გაივლის 5100 აპლიკანტი 2020 წელს ტრენინგს გაივლის 5200 აპლიკანტი 2021 წელს ტრენინგს გაივლის 5300 აპლიკანტი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2%;<br>**შესაძლო რისკები -** პირველად მოწვეული ტრენერების და ახალი ტრენინგების ჩატარების გამოცდილებასთან დაკავშირებული სირთულეები<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წელს ტესტირებას გაივლის 7000 აპლიკანტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018-2021 წლებში ყოველწლიურად ტესტირებას გაივლის 7000 აპლიკანტი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2%;<br>**შესაძლო რისკები -** საჯარო და კერძო სტრუქტურებში თანამდებობის დასაკავებლად გამოსაცხადებელი კონკურსების რაოდენობის შემცირება |

| **მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (09 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | იუსტიციის მსმენელების (სამოსამართლო კანდიდატების) სასწავლო კურსის რეგულარული განხორციელება სასამართლო სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით;<br><br>მოქმედი მოსამართლეების და სასამართლოს თანამშრომლების გადამზადება რეგულარულად ჩატარებული ტრენინგების, სემინარების, სამუშო შეხვედრებისა და კონფერენციების საშუალებით;<br><br>ევროსაბჭოს და ქართველ ექსპერტებთან თანამშრომლობით შემუშავებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სასამართლო კორპუსის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;<br><br>მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;<br><br>იუსტიციის უმაღლესი სკოლის განვითარებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები განხორციელება. |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროცესი უწყვეტია და ყოველწლიურად ხორციელდება არანაკლებ 15 იუსტიციის მსმენელის (სამოსამართლო კანდიდატის) მომზადება; 70 გადამზადების კურსი შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისთვის: მოსამართლეებისათვის, მოსამართლის თანაშემწეებისათვის, სასამართლოს მენეჯერებისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 15 იუსტიციის მსმენელის (სამოსამართლო კანდიდატის) მომზადება; 70 გადამზადების კურსი შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისთვის: მოსამართლეებისათვის, მოსამართლის თანაშემწეებისათვის, სასამართლოს მენეჯერებისათვის;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - წლის მანძილზე, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საჭირო გახდეს დაგეგმილზე მეტი ტრენინგის ჩატარება, რისი გათვალისწინებაც წინასწარ ვერ განხორციელდება;<br>**შესაძლო რისკები** - ცდომილება შესაძლებლია იყოს მეტობით დაახლოვებით 12%, |

| **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (27 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით, ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, სასჯელაღსრულების სისტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;<br><br>შეფასების სისტემის სრულყოფა, სისტემის საჭიროებებზე საუკეთესოდ მორგებული მომზადებისა და პერიოდული გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების მოდულური პროგრამების მეშვეობით სისტემის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | უზრუნველყოფილია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის  რეფორმების ეფექტურად განხორციელებისა და ახალი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა, მაღალპროფესიული კადრების შერჩევა, მომზადება და გადამზადება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დინორებთან თანამშრომლობით მომზადებულია 3 პროექტი; დაიგეგმა და განხორციელდა 2 ღონისძიება ცენტრის თანამშრომელთა მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დინორებთან თანამშრომლობით მომზადებულია პროექტი; დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიება ცენტრის თანამშრომელთა მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;<br>**შესაძლო რისკები** - დონორების დაბალი ინტერესი<br>**2.** |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - 2016 წელს : ჩატარებულია 171 სასწავლო ღონისძიება; მომზადება გაიარა 3900 მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 93%-მა. გამომუშავებულია 30885 კაც/ტრენინგ/დღე. (სისტემაში სამ წელიწადში ერთხელ ტარდება კანონით დადგენილი სერთიფიცირება. 2016 წელს ჩატარებული ღონისძიებების სიმრავლე განპირობებულია ამ მიზეზით);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩატარებულია 80 სასწავლო ღონისძიება; მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 2000 მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 90%-მა; გამომუშავებულია 5250 კაც/ტრენინგ/დღე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - სამუშაო ჯგუფების მუშაობის შეფერხება სისტემის მოქმედი თანამშრომლების (ექსპერტების) მოვლინების შეფერხების გამო |

| **საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (23 05)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის განხორციელების ხელშეწყობისა და გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროექტების განხორციელების გზით, ასევე, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული პროგრამების ორგანიზების საშუალებით;<br><br>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელშეწყობა ახალი კადრების შერჩევაში პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირების პროცესების ორგანიზების გზით;<br><br>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზების საშუალებით;<br><br>კერძო სექტორის განვითარების, ასევე, საბიუჯეტო დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელება;<br><br>პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში. |

| | |
|---|---|
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;<br><br>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;<br><br>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით/ ტრენინგებით;<br><br>საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;<br><br>საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის 9 თვეში ფინანსთა სამინისტროს სისტემის 955 გადამზადებული თანამშრომელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის 5%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1,5%;<br>**შესაძლო რისკები** - ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი გადასამზადებელი თანამშრომლების რაოდენობის შემცირება<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის 9 თვეში ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა ორგანიზაციებისთვის ჩატარებული 28 ტესტირება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული ტესტირებების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%;<br>**შესაძლო რისკები** - კადრების გადინებისა და კონკურსების რაოდენობის შემცირება, შესაძლო ცვილელებები საჯარო მოსამსახურეთა შერჩევის პროცესში<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის 9 თვეში - ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში გადამზადდა 30 მსმენელი; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გადამზადებული პირების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%;<br>**შესაძლო რისკები** - საჯარო სექტორში გადამზადებულთა რაოდენობა დამოკიდებულია რეფორმების რაოდენობასა და მასშტაბებზე<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის 9 თვეში გადამზადდა 2282 მსმენელი (მათ შორის ფიზიკური პირების, კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლები);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გადამზადებული პირების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%;<br>**შესაძლო რისკები** - საჯარო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ტრენინგების განხორციელება დამოკიდებულია დაფინანსების წყაროებსა და შესყიდვების პროცედურებზე<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის 9 თვეში საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების ფარგლებში გადამზადდა 216 მსმენელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტებში მონაწილეთა რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1%;<br>**შესაძლო რისკები** - საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტრენერთა დატვირთულობამ შესაძლებელია გამოიწვიოს განსახორციელებელ ღონისძიებათა რაოდენობის ცვლილება; ტრენინგების განხორციელება დამოკიდებულია საერთაშორისო და უცხოური ინსტიტუციების გადაწყვეტილებებსა და დაფინანსების საშუალებებზე |

| ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (01 03) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ქვეყანაში ჰერალდიკური ნიშნებისა და სიმბოლოების მოწესრიგება და დამკვიდრება ევროპული სტანდარტების დონეზე;<br><br>სახელმწიფო ცერემონიის, ოფიციალური ღონისძიებებისა და სამხედრო აღლუმების მოწყობისას სახელმწიფო სიმბოლოებისა და სხვა ჰერალდიკური ნიშნების, ასევე საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა ჰერალდიკური ნიშნების, საქართველოს სახელმწიფო სამხედრო და სპეციალურ უწყებათა სპეციალური ფორმის ტანსაცმელისა |

| | |
|---|---|
| | (უნიფორმების) და ემბლემების შექმნასა და მათი გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციებისა და დასკვნების გაცემა;<br><br>საქართველოს ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემური განვითარების უზრუნველყოფა;<br><br>ჰერალდიკის საკითხებზე სამოქალაქო განათლების გავრცელების ხელშეწყობა;<br><br>ქვეყანაში სახელმწიფო სიმბოლიკის და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაცია;<br><br>ჰერალდიკის საკითხებზე ისტორიული მასალების (წყაროების) მოძიება (საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ) და ანალიზი;<br><br>სახელმწიფო სიმბოლოებისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშების ჰერალდიკური ექსპერტიზისა და მათი შექმნისა და გამოყენების შესახებ დასკვნების მომზადება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | პოპულაროზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები |

| **მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (28 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა უწყებების  საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;<br><br>სასწავლო ცენტრის სრულყოფა (თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დახვეწა);<br><br>მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან, აკადემიებთან და ადგილობრივ პარტნიორებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით;<br><br>საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ბიბლიოთეკის გამდიდრება; |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების და საჯარო ლექციების მომზადება და ჩატარება; |

| | |
|---|---|
| | საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება ყველა მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით;<br><br>უცხო ენებში ცოდნის ამაღლება საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, ასევე სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლებისათვის;<br><br>საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის სათანადო ლიტერატურით ბიბლიოთეკის გამდიდრება;<br><br>დაინტერესებული პირებისათვის ცოდნის ამაღლება ქართულ ენაში |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტრენინგების, სემინარების და ლექციების შედეგად ამაღლებული კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების რაოდენობა<br>**2.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასწავლო ცენტრში წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა<br>**3.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სათანადო ლიტერატურით გამდიდრებული ბიბლიოთეკა<br>**4.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები<br>**5.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასწავლო ცენტრის ამაღლებული ცნობადობა და ეფექტური მუშაობა ყველა მიმართულებით<br>**6.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქართული ენის შემსწავლელი უცხოელი დიპლომატების რაოდენობა |

| **საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა (24 11)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საზღვაო სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმების მიზნით კვალიფიციური კადრების მომზადება;<br><br>სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა; |

| | |
|---|---|
| | სტუდენტებისთვის მართვისა და კვლევისათვის აუცილებელი ანალიზის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმებული კვალიფიციური კადრები STCW კონვენციისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** მომზადებულია 2 000 კვალიფიციური კადრი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018-2021წწ - 2200 მომზადებული კვალიფიციური კადრი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** 2018-2021წწ - მიზნობრივი ჯგუფების დაბალი აქტივობა |

| **ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო (63 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ქვეყანაში კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა.საქართველოს რეგიონებში პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების წარმოჩენა და მათი სამართლებრივი დაცვის ხელშეწყობა.<br><br>ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის გრძელვადიანი განვითარების გეგმების ფორმირების ხელშეწყობა.<br>გეოგრაფიული აღნიშვნების გარშემო ფერმერთა და მწარმოებელთა გაერთიანებების შექმნაში მონაწილეობა და მათ საქმიანობაში ბრენდინგის თანამედროვე ფორმების დამკვიდრების ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საქართველოს რეგიონებში წარმოჩენილი და სამართლებრივად დაცული გეოგრაფიული აღნიშვნები |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** გეოგრაფიული აღნიშვნების დამცავი დოკუმენტების დროულად გაცემისათვის ხელშეწყობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი დაცვის ხელშწყობა; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0,1%;<br>**შესაძლო რისკები** - არსებულ რეალობასთან შეუსაბამო გეოგრაფიული აღნიშვნების დამცავი დოკუმენტების შექმნა |

| **სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი" (63 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა;<br><br>ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება;<br><br>ინტელექტუალური საკუთრების სფეროში: პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელება; პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელების ორგანიზება; საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ორგანიზება;<br><br>საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;<br><br>ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, მცენარეთა ახალი ჯიში, ცხოველთა ახალი ჯიში, სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები) უფლების მოპოვების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური და მხატვრულ-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა;<br><br>ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფა და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება;<br><br>საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ამოცანათა შესრულება;<br><br>ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტიზა, შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრების წარმოება; |

| | |
|---|---|
| | ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით განმცხადებლებისა და მესამე პირების სააპელაციო საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში;<br><br>ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ წინადადებების მომზადება;<br><br>საქპატენტის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული და კანონმდებლობიდან გამომდინარე ფუნქციების შესრულების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პროექტებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;<br><br>ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებით მასალების გამოქვეყნება, მათ შორის საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გამოცემა;<br><br>საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება;<br><br>ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;<br>საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო შეთანხმებების კომენტარების მომზადება და გამოცემა;<br><br>ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მონაცემთა ავტომატიზებული ბაზების შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;<br><br>პატენტრწმუნებულთა ატესტაცია, რეგისტრაცია, მათი რეესტრის შექმნა და წარმოება;<br><br>საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების, მათი მემკვიდრეებისა და სხვა უფლებამონაცვლეების ქონებრივი უფლებების დაცვისათვის, კოლექტიურ საფუძველზე, მმართველი ორგანიზაციების (საზოგადოებების) საქმიანობის ხელშეწყობა;<br><br>საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარების ხელშეწყობა;<br><br>ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება, საინფორმაციო და შემეცნებითი ბროშურებისა და სხვა მასალების გამოქვეყნება და გავრცელება;<br><br>საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება. |

| | |
|---|---|
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სამართლებრივად დაცული იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების  უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტების დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოგონების სამართლებრივი დაცვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.1 %;<br>**შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ გამოგონების უკანონოდ მითვისება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სასარგებლო მოდელის დაპატენტებასთან დაკავშირებით დამცავი დოკუმენტაციის გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.1%;<br>**შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ სასარგებლო მოდელის უკანონოდ მითვისება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დიზაინის სამართლებრივი დაცვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.01%;<br>**შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ დიზაინის უკანონოდ მითვისება<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი დაცვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 1.5%;<br>**შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ სასაქონლო ნიშნების უკანონოდ მითვისება<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროული გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივი დაცვა; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0.01%;<br>**შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონოდ მითვისება<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან დაკავშრებული დამცავი დოკუმენტაციის დროული გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირების სამართლებრივი დაცვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0%;<br>**შესაძლო რისკები** - ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირების უკანონო მითვისება |

## მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 06 | სახელმწიფო ქონების მართვა | 120,480.0 | 115,825.0 | 4,655.0 | 78,480.0 | 43,315.0 | 43,315.0 |
| 24 07 | მეწარმეობის განვითარება | 41,680.0 | 41,680.0 | - | 37,000.0 | 37,000.0 | 37,000.0 |
| 23 02 | შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება | 143,100.0 | 33,800.0 | 109,300.0 | 148,500.0 | 154,200.0 | 160,200.0 |
| 24 01 | ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება | 22,135.0 | 22,135.0 | - | 22,135.0 | 22,135.0 | 22,135.0 |
| 23 01 | სახელმწიფო ფინანსების მართვა | 20,275.0 | 20,275.0 | - | 20,150.0 | 20,150.0 | 20,150.0 |
| 23 04 | ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა | 15,050.0 | 7,900.0 | 7,150.0 | 9,700.0 | 9,700.0 | 9,700.0 |
| 40 02 | სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა | 7,500.0 | 7,500.0 | - | 7,500.0 | 7,500.0 | 7,500.0 |
| 47 01 | სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა | 5,225.0 | 4,975.0 | 250.0 | 5,225.0 | 5,525.0 | 5,525.0 |
| 47 02 | სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა | 3,380.0 | 3,380.0 | - | 3,380.0 | 3,380.0 | 3,380.0 |
| 56 00 | სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური | 2,150.0 | 2,150.0 | - | 2,150.0 | 2,150.0 | 2,150.0 |
| 43 00 | სსიპ – კონკურენციის სააგენტო | 2,100.0 | 2,100.0 | - | 2,100.0 | 2,500.0 | 2,500.0 |
| 23 06 | ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა | 1,000.0 | 1,000.0 | - | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| 52 01 | საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა | 1,150.0 | 1,000.0 | 150.0 | 1,150.0 | 1,150.0 | 1,150.0 |
| 24 03 | სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება | 1,950.0 | 845.0 | 1,105.0 | 1,945.0 | 1,945.0 | 1,945.0 |
| 04 02 | საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი | 678.0 | 678.0 | - | 455.0 | 455.0 | 455.0 |
| 47 03 | მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა | 145.0 | 145.0 | - | 145.0 | 145.0 | 145.0 |
| 24 04 | აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება | 752.0 | 140.0 | 612.0 | 660.0 | 690.0 | 690.0 |
| 23 07 | მიქცეული ქონების ეფექტური განკარგვა | 7,100.0 | - | 7,100.0 | 7,200.0 | 7,200.0 | 7,200.0 |

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 64 00 | სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო | 5,728.0 | - | 5,728.0 | 6,000.0 | 6,000.0 | 6,000.0 |
| | **სულ** | **401,578.0** | **265,528.0** | **136,050.0** | **354,875.0** | **326,140.0** | **332,140.0** |

| სახელმწიფო ქონების მართვა (24 06) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო ქონების მართვა და ადმინისტრირება;<br><br>„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის უძრავი ქონების კომპონენტის განხორციელება;<br>მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მართვის ეფექტური სისტემების ჩამოყალიბება (დოკუმენტური არქივის ელექტრონიზაცია და სისტემატიზაცია) და ასევე, სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით „სოფლიდან გაუსვლელად“ პროექტის განხორციელება;<br><br>სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტის განხორციელება და სახელმწიფო ქონების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა;<br><br>გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;<br><br>სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვის უზრუნველყოფა;<br><br>მთის კურორტებზე საბაგიროებისა და სასრიალო ტრასების მშენებლობა და ასევე, მისი ინფრასტრუქტურის განვითარება;<br><br>ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის სამგზავრო ტერმინალის გაფართოება;<br><br>გურიის რეგიონში მდებარე ბლექსი - არენის ტურისტულად საინტერესო ცენტრად ჩამოყალიბების, ადგილობრივი ბიზნესის და აღნიშნულ რეგიონში მეტი დამსვენებლის მოზიდვის ხელშეწყობა;<br><br>ბიზნეს სერვისების განვითარება და ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | კლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოები და მათი ეფექტური მართვის/განკარგვის შემუშავებული სწორი სტრატეგია და მისი განხორციელება. გაყიდული საპრივატიზებო ობიექტები და მოზიდული ინვესტიციები;<br><br>საქართველოს სათხილამურო კურორტების განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაც განაპირობებს ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოზიდვას;<br><br>ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოებული სამგზავრო ტერმინალი (არსებულთან შედარებით 2,5-ჯერ) და |

| | |
|---|---|
| | მგზავრთნაკადის/ავიარეისების გაზრდილი რაოდენობა;<br><br>ქვეყნის ამაღლებული ცნობადობა, განვითარებული რეგიონი და ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები;<br><br>ფუნქციონირებს „ბიზნეს-სახლი", რომელიც იძლევა ერთ სივრცეში 600-ზე მეტი სერვისის გაწევის საშუალებას. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში შესულია 74,9 მლნ. ლარი - წლიური გეგმა შესრულდა 99.8%-ით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018-2021წწ - პრივატიზების გეგმის შესრულება 100%-ით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-20 %;<br>**შესაძლო რისკები -** 2018-2021წწ - საპრივატიზებო ვალდებულების შეუსრულებლობა/არაკეთილსინდისიერი შესრულება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სააგენტოს მართვაშია სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 135 საწარმო;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018-2021წწ - საწარმოთა ოპტიმიზაციის პროცესის დასრულების შედეგად სახელმწიფოს მართვაში იქნება მხოლოდ სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოები (დაახლოებით 60 საწარმო);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-20%;<br>**შესაძლო რისკები -** 2018-2021წწ - საწარმოს კაპიტალში არსებული ხარვეზები; საწარმოთა გაკოტრების პროცესში წარმოქმნილი სირთულეები, პარტნიორებთან წარმოქმნილი სირთულეები |

| **მეწარმეობის განვითარება (24 07)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - აწარმოე საქართველოში |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია;<br><br>ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად, მეწარმეობის (მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის) განვითარება, კერძო სექტორისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, საქართველოს ეკონომიკის რეგიონული და გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლება. საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური |

| | |
|---|---|
| | ურთიერთობების განვითარება, DCFTA-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების ზრდა. ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების და მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა. ასევე, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების სფეროს განვითარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესებში;<br><br>ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით ქართული კომპანიების უცხოურ ბაზრებზე წარდგენა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა, რაც მნიშვნელოვანია უცხოელ იმპორტიორებთან ურთიერთობის დამყარებისათვის. კომპანიების დახმარება ბაზრის კვლევების კუთხით, რომელიც მათ ხელს უწყობს ექსპორტის დაგეგმვასა და მიზანმიმართულ განვითარებაში. ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისათვის რეგულარული კომუნიკაციის განხორციელება და დახმარების გაწევა ექსპორტის დასაგეგმად საჭირო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების კუთხით;<br><br>საქართველოს საწარმოო პოტენციალის პოპულარიზაცია, მასშტაბური საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიების წარმოებისა  და პროდუქციის/მომსახურების პოპულარიზაციის გზით. მეწარმეობის განვითარების წახალისება, დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობის ზრდა და სათანადო ხელშეწყობა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის;<br><br>საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ. მიზნობრივი ბაზრების იდენტიფიცირება, პოტენციურ ინვესტორ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობა და ინვესტიციების განხორციელებაში დახმარების გაწევა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ▪ კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოება, გაზრდილი საექსპორტო პოტენციალი.<br>▪ გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სამუშაო ადგილები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის ბოლოსათვის დაფინანსებულია 5000-მდე ერთეული ბიზნეს-პროექტი, ტექნიკური მხარდაჭერა გაწეული აქვს 12000-ზე მეტ ბენეფიციარს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018-2021წწ - თანადაფინანსებული 1000-მდე ერთეული ბიზნეს-პროექტი, ტექნიკურად მხარდაჭერილი 600-მდე ბენეფიციარი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - 2018-2021წწ -ბიზნეს პროექტის განაცხადების სიმცირე<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2014-2017წწ. ექსპორტის ხელშეწყობის ნაწილში საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე კომპანიების ექსპორტის მოცულობაა - 22 მლნ-მდე აშშ. დოლარი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018-2021წწ - ექსპორტის ხელშეწყობის ნაწილში საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე |

| | |
|---|---|
| | კომპანიების ექსპორტის მოცულობის ზრდა - 40 მლნ-მდე აშშ. დოლარი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** 2018-2021წწ - მწარმოებელი კომპანიების დაბალი აქტივობა; არასტაბილური ეკონომიკური ვითარება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წლის ბოლოს საინვესტიციო პროექტების განხორციელების შედეგად შექმნილი იქნება ახალი 1000-მდე სამუშაო ადგილი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018-2021წწ - შეიქმნება ახალი 3600-მდე სამუშაო ადგილი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15%;<br>**შესაძლო რისკები -** 2018-2021წწ - ცვლილებები მეზობელ ქვეყნებში, რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ბიზნეს გარემო; სამიზნე ჯგუფების დაბალი აქტივობა |

| **შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - შემოსავლების სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | გადამხდელთა მაღალი საგადასახადო კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, საგადასახადო სფეროში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება;<br><br>გადამხდელთა კმაყოფილების ხარისხის ამაღლების მიზნით არსებული ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება, გადამხდელთა მომსახურების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;<br><br>გადასახადის გადახდისგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლა;<br><br>საგადასახადო შემოწმებების სწრაფად და ხარისხიანად შესრულების მიზნით, კომპიუტერულ (IT) აუდიტზე გადასვლა, აუდიტორთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა და მათი კვალიფიკაციის ზრდა;<br><br>ნებაყოფლობითი კანონმორჩილების ხელშეწყობა;<br><br>საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა და ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება; |

| | |
|---|---|
| | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და საგადასახადო და საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისაგან თავის არიდების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;<br>საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ამაღლება, საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესება/სრულყოფა;<br><br>საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების პროცესში მონაწილეობის მიღება, ასოცირების დღის წესრიგით და მთავრობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ძლიერი, ეფექტიანი და გადამხდელებზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა;<br><br>ჩაბარებული დეკლარაციების რაოდენობის, დარიცხული და გადახდილი გადასახადების გაზრდა;<br><br>საგადასახადო-საბაჟო პროცედურების გამარტივება და ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესება;<br><br>საგადასახადო შემოწმებების რაოდენობის გაზრდა;<br><br>საგადასახადო შემოწმების პროცედურებზე კონტროლის ეფექტურად წარმართვა და მისი გამარტივება;<br><br>ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის ხელშეწყობა და გამარტივება;<br><br>საბაჟო კონტროლის განხორციელების ეფექტურობის გაზრდა და პროცედურების დაჩქარება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჩატარებული „ღია კარის“ დღეების რაოდენობა - 21, მომსახურების ცენტრებში კონსულტაცია გაეწია 380 000 ვიზიტორს; საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის მიერ მომსახურებულ იქნა 220 000 ზარი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩატარებული „ღია კარის“ დღეების რაოდენობა -30, მომსახურების ცენტრებში 400 000 ვიზიტორისათვის კონსულტაციის გაწევა; საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის მიერ მომსახურებულ იქნა 230 000 ზარი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ხშირად ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შესაბამისი აღჭურვილობის მქონე 2 ერთეული ავტომანქანა. დარბაზების საერთო რაოდენობაში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი დარბაზების რაოდენობა 90%,; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შესაბამისი აღჭურვილობის მქონე 5 ერთეული ავტომანქანა. დარბაზების საერთო რაოდენობაში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი დარბაზების რაოდენობა 100%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ტექნიკური პრობლემები<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - აუდიტის პროცესის მიმდინარეობის საშუალო მაჩვენებელი- 6 თვე; ტრენერების ტრენინგი გავლილი აქვს 12 აუდიტორს, ხოლო მათ მიერ დატრეინინგებული აუდიტორების რაოდენობა 84 თანამშრომელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - აუდიტის პროცესის მიმდინარეობის საშუალო მაჩვენებელი - 3 თვე; ტრენერების ტრენინგი გავლილი აქვს 12 აუდიტორს, ხოლო მათ მიერ დატრეინინგებული აუდიტორების რაოდენობა - 200 თანამშრომელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - კადრების შესაძლო გადინება(ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით)<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შემუშავდა საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია გამარტივებული და დახვეწილია საზღვრის კვეთისა და საქონლის გაფორმების პროცედურები, ამოქმედებულია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გადასახადების დროულად დეკლარირების მაჩვენებელი შეადგენს 60%-ს;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილება<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამსახურის ელექტრონულ ბაზებში ასახულია გადამხდელთა შესახებ დიდი მოცულობის საგადასახადო ინფორმაცია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დავალიანების მართვისა და გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების პრევენციის უზრუნველსაყოფად მონაცემთა შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავება; სამსახურის ელექტრონულ ბაზებში ასახული დიდი მოცულობის საგადასახადო ინფორმაციის ავტომატურად დამუშავების ელექტრონული პროგრამა; ევრო-სტანდარტებით მოწყობილი და აღჭურვილი ფიტო-ვეტ კონტროლის 4 ლაბორატორია, კერძოდ: სგპ სარფის, სგპ წითელი ხიდი, სგპ კარწახისა და გეზი ფოთის ტერიტორიებზე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - მშენებლობის პროცესში, გაუთვალისწინებელი ობიექტური შემაფერხებელი გარემოებიები<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018 წლისთვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ღონისძიებების პრაქტიკაში შესაბამის დონეზე იმპლემენტაციასთან დაკავშირებით პრობლემების წარმოშობა |

| ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის წარმართვა, ანალიზი, პოლიტიკის კოორდინაცია, პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება;<br><br>სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება;<br><br>ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის საქართველოს როგორც საერთაშორისო საინვესტიციო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური, ტურისტული და საფინანსო კვანძის პოპულარიზაცია, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სატრანსპორტო- სატრანზიტო პოტენციალის სრულყოფილ ათვისებას, ეროვნული წარმოების განვითარებას, ესქპორტის ზრდას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვისა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობა;<br><br>საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება;<br><br>ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის სამშენებლო სექტორის შემდგომი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციების მოზიდვას, დასაქმების ზრდასა და მოსახლეობის ადგილებზე შენარჩუნებას. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2016 წლის წინასწარი მონაცემებით საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა 33 921.6 მლნ ლარი შეადგინა.2016 წელი - 2,7% (ფაქტიური); 2017 წელი - 4% (გეგმიური). საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციები: „მსოფლიო ბანკის „Doing Business 2017“ წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო დაწინაურდა და მე-16 ადგილზე გადმოინაცვლა 190 ქვეყანას შორის; საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის ფრეზერის ინსტიტუტის (Fraser Institute) მიერ გამოქვეყნებულ 2016 წლის ანგარიშით საქართველომ პოზიცია გაიუმჯობესა და მსოფლიოში 159 ქვეყანას |

| | |
|---|---|
| | შორის ეკონომიკური თავისუფლების მხრივ მე-5 პოზიცია დაიკავა 7.98 ქულით; Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2017- ის მიხედვით საქართველომ პოზიცია გაიუმჯობესა და მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის მე-13 პოზიციაზე კვლავ „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით; მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით საქართველომ გაიუმჯობესა პოზიცია და 59-ე ადგილზე (4,32-იანი ქულით) გადმოინაცვლა; „Transparency International“-ის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით 2015 წელს „კორუფციის აღქმის ინდექს“-ში („Corruption Perception Index“) საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესდა და 44-ე ადგილზე გადმოინაცვლა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება; სამიზნე მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 2%;<br>**შესაძლო რისკები -** ეკონომიკის ზრდაზე ზეგავლენის მქონე საშინაო და საგარეო ფაქტორების გაუარესება, მათ შორის რეგიონსა და უმთავრეს პარტნიორ ქვეყნებში არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საერთაშორისო რეიტინგში მსოფლიო ბანკის 2016 წლის ანგარიშით „ბიზნესის კეთება 2017“ საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა 7 ადგილით და იმყოფება 16-ე ადგილზე 80.20 ქულით. მათ შორის, სარეიტინგო პოზიცია 10 ინდიკატორიდან შემდეგ 7 ინდიკატორში გაუმჯობესდა: ბიზნესის დაწყება - მე-8 ადგილი (96.13 ქულით); მშენებლობის ნებართვა - მე-8 ადგილი (82.84 ქულით); ელექტროენერგიით მომარაგება - 39-ე ადგილი (82.73 ქულით); ქონების რეგისტრაცია და კრედიტის მიღება - პოზიციები უცვლელია; მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა - მე-7 ადგილი (76.67 ქულით); გადასახადების გადახდა - 22-ე ადგილი (87.43 ქულით); ვაჭრობა საზღვრებს შორის - 54-ე ადგილი (85.15 ქულით); კონტრაქტების აღსრულება - მე-16 ადგილი (73.21 ქულით); გადახდისუუნარობა - გაუარესდა 5 პოზიციით. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის ფრეზერის ინსტიტუტის 2016 წლის ანგარიშით საქართველოს პოზიცია 6 ადგილით გაუმჯობესდა და მე-5-ე ადგილზე იმყოფება 7.98 ქულით. ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით მომზადდა საპილოტე RIA-ს დოკუმეტი "მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტზე", ასევე მომზადდა ეკონომიკური შეფასება "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსზე";<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საერთაშორისო რეიტინგული მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება; საკანონმდებლო ინიციატივებზე მარეგულირებელი გავლენის შეფასების (RIA) დოკუმენტების მომზადება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** საქართველოში განხორციელებული რეფორმების არ ასახვა სარეიტინგო კომპანიების შეფასებებში; არასრულფასოვანი მონაცემთა ბაზა |

| **სახელმწიფო ფინანსების მართვა (23 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის** | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო |

| | |
|---|---|
| **განმახორციელებელი** | |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების გასაუმჯობესებლად მეთოდოლოგიის დახვეწა და მისი არეალის გაფართოება, გრძელვადიანი პროგნოზირების გაუმჯობესება, მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების მოდელირების სრულყოფა, ფისკალური რისკების მართვის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება;<br><br>ხარჯების საშუალოვადიანი გეგმებისა და წლიური ბიუჯეტების პროექტების მომზადება, სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო რესურსების მობილიზებისა და ეფექტურად განაწილების მიზნით;<br><br>სახელმწიფო ფინანსების მართვა და ფისკალური წესების შემდგომი რეგულირება სტაბილური ფისკალური პარამეტრების მიღწევის მიზნით, საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად;<br><br>საბიუჯეტო პროცესის კალენდრით გათვალისწინებული ეტაპების ჯეროვანი შესრულება;<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშთა სისტემაში და ბიუჯეტის მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში სრულად მოქცევა;<br><br>საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების შემდგომი ეტაპების დაგეგმვა საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების შემდგომი განვითარების მიზნით (მათ შორის, პროგრამული ბიუჯეტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების კოორდინაცია, საინვესტიციო პროექტების მომზადება/განხორციელების მეთოდოლოგიის პილოტირება/სრულად დანერგვის კოორდინაცია);<br>საინვესტიციო პროექტების შეფასება და შერჩევაში მონაწილეობა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად;<br>საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვის კოორდინირება სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავ დაწესებულებებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მუნიციპალიტეტებში;<br>ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშწყობის, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი სტრუქტურული რეფორმების განხორციელება და შესაბამისი სტრატეგიული და სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება;<br>ფისკალური რისკების შეფასების და ანალიზის სისტემის დანერგვა, ბიუჯეტის წინაშე მდგარი ფისკალური რისკების იდენტიფიცირება, იდენტიფიცირებული ფისკალური რისკების შემცირების და მართვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, ფისკალური რისკების შესახებ ანალიტიკური დოკუმენტის მომზადება და საჯაროობის უზრუნველყოფა;<br><br>საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფა, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი გაუმჯობესების და |

| | |
|---|---|
| | ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების მიზნით, გადასახადის გადამხდელებს შორის საგადასახადო ტვირთის უკეთესი განაწილება, მეწარმეთა მოთხოვნებისა და საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში სათანადო რესურსის მობილიზების უზრუნველყოფა;<br><br>სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის ფარგლებში შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება;<br><br>სათანადო ფინანსური რესურსის მობილიზებისათვის დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ეფექტური თანამშრომლობის შენარჩუნება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამების და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად;<br><br>დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, ვალის მდგრადობის შენარჩუნება, როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში;<br><br>საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია;<br><br>სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომი განვითარების მიზნით, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება, არსებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მიზნების შესაბამისად;<br><br>ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესრულების კოორდინაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;<br><br>IPSAS სტანდარტების შესაბამისად, დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სააღრიცხვო სისტემის შემოღება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით სათანადო რესურსების მობილიზების უზრუნველყოფა;<br><br>სტაბილური მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების მიღწევა, წლიური ბიუჯეტი და ძირითადი ფისკალური პარამეტრები შეესაბამება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ზღვრულ მოცულობებს;<br><br>ქვეყნისათვის სტაბილური და იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა; |

| | |
|---|---|
| | საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა;<br><br>პროგრამული ბიუჯეტის შემდგომი გაუმჯობესება და მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან;<br><br>საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის გაზრდა და საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით;<br><br>სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სრულყოფა;<br><br>საბიუჯეტო პროცესი შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, რაც დასტურდება სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებებით. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 29,3%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 28,5%;<br>**შესაძლო რისკები** - რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 0,2%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 0,8%;<br>**შესაძლო რისკები** - რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 42.9%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 41,1%;<br>**შესაძლო რისკები** - რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები<br>4.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ღია ბიუჯეტის ინდექსის (OBI) მაჩვენებელი - 66;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მიზნობრივი მაჩვენებელი - მაჩვენებლის გაუმჯობესება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - არსებული დანერგილი პრაქტიკის მიუხედავად შესაძლებელია მაჩვენებელი არ გაუმჯობესდეს მეთოდოლოგიური ცვლილების ან სხვა ქვეყნების მაღალი შეფასების გამო;<br>**შესაძლო რისკები** - შეფასების მეთოდოლოგიის გამკაცრება და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება |

| | |
|---|---|
| | **5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების Standard & Poor's და Fitch-ის შეფასებით „BB-სტაბილური" რეიტინგი აქვს მინიჭებული საქართველოს. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-ის შეფასებით კი "Ba2 (რაც -BBს ანალოგია) სტაბილური" ;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად მზადდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დანერგილია დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სულ მცირე 5 საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 25%;<br>**შესაძლო რისკები** - სტანდარტების დანერგვის სირთულე |

| **ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (23 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (PFMS) და სხვა საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მდგრადობის, უსაფრთხოების და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა (მათ შორის: ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება; სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება; სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვა ფინანსთა სამინისტროში; ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონის სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება; საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა<br>და მხარდაჭერა).<br><br>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფა<br>და ტექნიკური მხარდაჭერა;<br><br>ფინანსთა სამინისტროსთვის და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი IT<br>პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა/ანალიზი/დანერგვა; |

| | |
|---|---|
| | ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების ხელშეწყობა;<br><br>ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა;<br>ვებგვერდების და სხვა საინფორმაციო სისტემების შემუშავება, დანერგვა და მხარდაჭერა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მაღალი მდგრადობა;<br><br>საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება (რომელშიც ჩართულია ყველა სახელმწიფო უწყება);<br><br>მიწოდებული სერვისების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;<br><br>სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების ვებ-გვერდების, საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის შემუშავება/განახლება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ხორციელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების, ასევე სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტებისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური მონაცემების ინტეგრირებული მართვა; მიმდინარეობს მუშაობა სისტემის ახალი ვერსიის შემუშავებაზე, რომელიც ხორციელდება ახალ ტექნოლოგიაზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება - არსებული ფუნქციონალის დახვეწა-განვითარება მოდელირებისა და მონაცემთა ანალიზის ახალი მექანიზმების შემუშავების გზით; სისტემის მოქმედების არეალის „გარეთ“ დარჩენილი საბიუჯეტო პროცესების ავტომატიზაცია ახალი მოდულების დამატების გზით; საჯარო ფინანსების მართვის პროცესის მოდერნიზების ფარგლებში სხვა ელექტრონულ სისტემებთან ინტეგრაციის გაღრმავება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;<br>**შესაძლო რისკები** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ხორციელდება დოკუმენტებისა და დანართების ელექტრონულ ფორმატში წარდგენა და საბიუჯეტო სახსრების მართვა. მხარჯავი დაწესებულებები ახდენენ სახელმწიფო ფულადი სახსრების ონლაინ რეჟიმში გადარიცხვას; მიმდინარეობს მუშაობა სისტემის ახალი ვერსიის შემუშავებაზე, რომელიც ხორციელდება ახალ |

| | |
|---|---|
| | ტექნოლოგიაზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემის (eTreasury) მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება - ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე სრულად გადასვლა; მიმდინარე რეფორმების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;<br>**შესაძლო რისკები** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის (eDMS) დანერგვა ფინანსთა სამინისტროში - ერთიან სივრცეში თავმოყრილია სახელმწიფო სესხზე, ვალზე და გრანტებზე არსებულ ყველა სახის მონაცემები. უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური ინფორმაციის სრული სახით მიღება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;<br>**შესაძლო რისკები** - ვალების მართვის სფეროში არსებული საფინანსო სისტემების გაერთიანება, რაც ფინანსთა სამინისტროს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს მიერ აღებულ საგარეო და საშინაო ვალზე არსებულ ყველა სახის ინფორმაციას თავი მოუყაროს ერთიან ელექტრონულ სივრცეში. ამის შედეგად, მოხდება ინფორმაციის აღრიცხვისა და მართვის გამარტივება და გაუმჯობესება, ხოლო ფინანსური მოდელირების ფუნქციონალის გამოყენებით შესაძლებელი იქნება ინფორმაციის სხვადასხვა ჭრილში დანახვა, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 300-ზე მეტ სახელმწიფო ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება სისტემის მეშვეობით; მიმდინარეობს მუშაობა სისტემის ახალი ვერსიის შემუშავებაზე, რომელიც ხორციელდება ახალ ტექნოლოგიაზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ადამიანური რესურსების მართვის სისტემის (eHRMS) მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა - სისტემის ახალი ვერსიის გავრცელება მომხმარებელ ორგანიზაციებში; შერჩევის და შეფასების მოდულების რეალიზება; მომხმარებლის მოდულის (self-service) დამატება; სხვა სისტემებთან (საქმისწარმოება, სახელმწიფო ხაზინა) ინტეგრირება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;<br>**შესაძლო რისკები** - შესაბამისი ადამიანური რესურსის არარსებობა; არაეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია<br>**5.** |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - 70 000-მდე ფიზიკური და 8 300-მდე იურიდიული პირი და 60-მდე პარტნიორი ორგანიზაცია ახორციელებს ელექტრონულ ვაჭრობას სისტემის მეშვეობით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონის (eAuction) სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება - სისტემის ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;<br>**შესაძლო რისკები** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 200-ზე სახელმწიფო ორგანიზაცია და 20.0000-ზე მეტი მომხმარებელი შიდა და გარე მიმოწერას ახორცილებს ელექტრონულად. მხარდაჭერილია არსებული ფუნქციონალი. შემუშავებულია სისტემის ახალი ვერსია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა - სისტემის ფუნქციონალობის შესაბამისობა დამკვეთის მოთხოვნებთან; სისტემის ახალი ვერსიის შემუშავება და დანერგვა ყველა მომხმარებელ ორგანიზაციაში; სხვა საინფორმაციო სისტემებთან ინტეგრაციის უზრუნველყოფა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;<br>**შესაძლო რისკები** - მიმდინარე ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება<br>**7.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სისტემას ჰყავს 3900-მდე მომხმარებელი, რომლებიც ახორცილებენ ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავებას სხვადასხვა მიმართულებით (ხე-ტყის, სახერხი საამქროს, ატმოსფერული ჰაერი).მიმდინარეობს სისტემის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერა და ახალი ამოცანების დამუშავება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის (EIMS) მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა - სისტემის ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან; თევზჭერის მართვისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება; წყლის სახელმწიფო აღრიცხვის მართვისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;<br>**შესაძლო რისკები** - შესაბამისი ადამიანური რესურსის არარსებობა; არაეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია<br>**8.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შექმნილი და მხარდაჭერილია 40-მდე ვებგვერდი, პორტალი და/ან ელექტრონული სისტემა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ვებგვერდების და სხვა საინფორმაციო სისტემების შემუშავება, დანერგვა და მხარდაჭერა - ვებგვერდების და საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობა ტექნიკური დავალების და |

| | |
|---|---|
| | დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;<br>**შესაძლო რისკები** - ახალი ამოცანების ინიცირება დამკვეთის მხრიდან და პრიორიტეტების ცვლილება; არაეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება<br>**9.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარება და ტექნიკური მხარდაჭერა. დანერგილია ITIL სტანდარტის ცვლილებების მართვის სისტემა მაიკროსოფტის სისტემ-ცენტრის ტექნიკურ პლატფორმაზე. განხორციელდა მონაცემთა შენახვის სისტემის მოცულობის და სიმძლავრის გაზრდა და დაინერგა მონაცემთა ბაზის ოპერირების ახალი ტექნოლოგია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა: სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება და სიმძლავრეების შესაბამისობა კრიტიკული სისტემების მოთხოვნებთან და საჭიროებებთან; ბიზნეს-პროცესები ხორციელდება ITIL სტანდარტების შესაბამისად; დანერგილია უსაფრთხოების პოლიტიკა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაბალი;<br>**შესაძლო რისკები** - შესაძლო ლოგისტიკური სიძნელეები; კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება |

| **სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (47 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება; სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, მართვა, წარმოება, გავრცელება და ანგარიშგება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | განხორციელდება კვლევების მართვა და მიიღება შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასება; ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და სანდოობა |

| სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (47 02) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა (საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის) და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაანგარიშება;<br>სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება;<br>ბიზნეს სექტორში (აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციების სექტორში) მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი; ენერგორესურსების მოხმარების შესახებ სტატისტიკური გამოკვლევის განხორციელება და საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება;<br>არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება; სამაცივრე, სასაკლაო მეურნეობებისა და ელევატორების საქმიანობის გამოკვლევა;<br>შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება; მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა; საქართველოს შინამეურნეობების შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, მოსახლეობის სიღარიბის და უთანაბრობის მაჩვენებლები და სხვა);<br>საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;<br>საქართველოს რეზიდენტი და უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების შესახებ მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;<br>საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებსა და ბიზნესში; საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მიღებულ იქნება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით შეფასების მაღალი ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა ბაზაზეც გაიანგარიშება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები;<br>მიღებული იქნება მოსახლეობის სიღარიბისა და უთანაბრობის მაჩვენებლები, მოსახლეობის ცხოვრების დონის და (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები) მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები (დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები), ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად საჭირო მონაცემები, სამომხმარებლო კალათის დადგენისათვის საჭირო მონაცემები;<br>მიღებული იქნება როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ.<br>მიღებულ იქნება მონაცემები ინოვაციური აქტივობების და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სხვადახვა სექტორში.<br>მიღებული იქნება სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს რეზიდენტი და უცხოელი ვიზიტორების შესახებ. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მონაცემთა ანალიზი და შედარებები; საერთაშორისო ექსპერტული შეფასებები; ერთობლივი |

| | |
|---|---|
| | საკონტროლო ღონისძიებების რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად; სხვადასხვა ჭრილში დამატებით ახალი მონაცემების გამოქვეყნების შესაძლებლობა |

| სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (56 00) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსების და მათთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენა და პრევენცია;<br>საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო (FATF) სტანდარტებთან და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ჰარმონიზება;<br>139<br>უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. |

| სსიპ – კონკურენციის სააგენტო (43 00) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - კონკურენციის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობა;<br><br>ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა;<br><br>ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების  დაცვა, რომელიც ითვალისწინებს:<br><br>დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას;<br><br>კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების დაუშვებლობას;<br><br>სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდავი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა; |

| | |
|---|---|
| | კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარებების დაუშვებლობა;<br><br>კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;<br><br>ქვეყნის კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენციის ხელშეწყობა;<br><br>ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცული იქნება თანასწორუფლებიანობის პრინციპები. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 1.დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლო დარღვევის ფაქტზე დაწყებული მოკვლევა(1 ფაქტი) დასრულდა რეკომენდაციებით ეკონომიკური აგენტების მოიმართ და მიმდინარეობს 2 მოკვლევა 2. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებების და შეთანხმებული ქმედებების(ეკონომიკური აგანტების მიმართ), ასევე სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობის ფაქტზე შესაძლო დარღვევის ფაქტზე დაწყებული მოკვლევა (1 ფაქტი). მოკვლევის ფარგლებში დაღვევა დადასტურდა და გაიცა რეკომენდაციები განათლებისა და მეცნიერების სამინისრტოს მიმართ. 3. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებების და შეთანხმებული ქმედებების ასევე ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვის შესაძლო დარღვევის ფაქტთან მიმართებაში. მოკვლევის ფარგლებში დაღვევა დადასტურდა და გაიცა რეკომენდაციები მოკვლევაში მონაწილე სუბიექტების მიმართ. 4.მიმდინარე წელს სააგენტომ განიხილა 3 შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ. ერთს გაეცა პასუხი დაუყოვნრბლივ, დანარჩენ 2 შეტყობინებაში დასმულ კითხვებს გაეცა კვალიფიციური პასუხები. 5.სააგენტო იხილავს 1 შეტობინებას მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ. 6.მიმდინარეობს 4 სხვადასხვა მონიტორინგი (თხილის; ფილტირიანი და უფილტრო სიგარეტების; ბავშვთა კვების და საავტომობილო დაზღვევის ბაზარზე);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით, კერძოდ-ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვების დათანადო პირობების უზრუნველყოფა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების თანასწორუფლებიანობის დაცვა; ეკონომიკურ აგენტთა შორის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; |

| | |
|---|---|
| | სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ეკონომიკური აგენტებისათვის კონკურენციის არამართზომიეი შემზღუდველი ექსკლუზიური უფლებების მინიჭების დაუშვებლობა |

| ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (23 06) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტების ფინანსურ ანგარიშგებაზე სანდოობის ამაღლების მიზნით, აუდიტის ზედამხედველობის ეფექტური სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან, აუდიტორების პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან, ეთიკის ნორმებთან და ევროდირექტივასთან შესაბამისობას;<br><br>ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგებების პორტალის შექმნა „2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივა გარკვეული კატეგორიის საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და დაკავშირებული ანგარიშგებების მოთხოვნების გავრცელება ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის“ დირექტივასთან დაახლოების მიზნით. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაზრდა.<br>სუბიექტების ანგარიშგების ხელმისაწვდომობა<br>საინვესტიციო და საკრედიტო ურთიერთობების განვითარება<br>საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტურობის ამაღლება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - აუდიტის და პროფესიული ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების თარგმნა და სამოქმედოდ შემოღება, 50 აუდიტორული ფირმისათვის; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თარგმნა და სამოქმედოდ შემოღება, 500 საწარმოსათვის. მე-2 და მე-3 კატეგორიის 2500 საწარმო, რომლებიც გამოიყენებენ შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს და შეადგენენ შესაბამის ანგარიშგებებს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - აუდიტის და პროფესიული ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების შემოღება, 400 აუდიტორული ფირმისათვის; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შემოღება 1000 საწარმოსათვის. მე-2 და მე-3 კატეგორიის 3200 საწარმო, რომლებიც გამოიყენებენ შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს და შეადგენენ შესაბამის ანგარიშგებებს;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - მესამე მხარის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დროულობა და ხარისხიანობა; პერსონალი |

| | |
|---|---|
| | კვალიფიკაცია და გამოუცდელობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - აუდიტორების და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში 500 დარეგისტრირებული აუდიტორი და 250 დარეგისტრირებული აუდიტორული ფირმა; 100 აუდიტორული ფირმა , რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნება მოკვლევის სისტემა 20 აუდიტორული ფირმა, რომლებიც დანერგავენ ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სისტემას. 20 აუდიტორული ფირმისთვის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - აუდიტორების და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში 1000 დარეგისტრირებული აუდიტორი და 400 დარეგისტრირებული აუდიტორული ფირმა. 400 აუდიტორული ფირმა , რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნება მოკვლევის სისტემა 400 აუდიტორული ფირმა, რომლებიც დანერგავენ ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სისტემას. 180 აუდიტორული ფირმისთვის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - მესამე მხარის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დროულობა და ხარისხიანობა; პერსონალის კვალიფიკაცია და გამოუცდელობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამსახურის მიერ აღიარებული 3 პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა, 3 განგრძობითი განათლების პროგრამა და მათ განმახორციელებელი 3 მასერთიფიცირებელი ორგანიზაცია. შედეგად 100 სერტიფიცირებული ბუღალტერი და 500 განგრძობითი განათლების კურსდამთავრებული აუდიტორი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამსახურის მიერ აღიარებული 3 პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა, 3 განგრძობითი განათლების პროგრამა და მათ განმახორციელებელი 3 მასერთიფიცირებელი ორგანიზაცია, შედეგად 500 სერტიფიცირებული ბუღალტერი და 1000 განგრძობითი განათლების კურსდამთავრებული აუდიტორი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 20%;<br>**შესაძლო რისკები** - მესამე მხარის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დროულობა და ხარისხიანობა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - წარდგენილი 260 ფინანსური ანგარიშგება და 20 არაფინანსური ანგარიშგება, მათი ხარისხიანობის შეფასება; პორტალზე განთავსებული 70 ანგარიშგება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - წარდგენილი 80 000 ფინანსური ანგარიშგება და 800 არაფინანსური ანგარიშგება, მათი ხარისხიანობის შეფასება; პორტალზე განთავსებული 80 800 ანგარიშგება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%;<br>**შესაძლო რისკები** - მესამე მხარის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დროულობა და ხარისხიანობა; პერსონალი კვალიფიკაცია და გამოუცდელობა |

| საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (52 00) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატა |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სხვადასხვა ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან და ბიზნეს-გაერთანებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მჭიდრო თანამშრომლობა;<br><br>ბიზნეს-ფორუმების, კონფერენციების, გამოფენებისა და ორმხრივი შეხვედრების ორგანიზება ქართული და უცხოური ბიზნეს-წრეების წარმომადგენლების მონაწილეობით და აგრეთვე, ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა და როუდშოუების ორგანიზება;<br><br>ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის ბიზნეს კავშირების დამყარების ხელშეწყობა და აგრეთვე, ქართული კომპანიების ხელშეწყობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირების დამყარების, რეგიონულ/საერთაშორისო ვაჭრობის და ეკონომიკაში ინტეგრაციისა და აგრეთვე, რეგიონულ/საერთაშორისო ფინანსურ, ადამიანურ და ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით;<br><br>ორმხრივი ეკონომიკური მთავრობათშორისი კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;<br><br>საქართველოს საინვესტიციო გარემოს წარდგენის, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ქვეყნებში წარმომადგენლობების გააქტიურება;<br><br>საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა;<br><br>მეწარმე სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სერვისების გაუმჯობესება/ახალი სერვისების შემუშავება და პალატის ვებ-გვერდის მეშვეობით ელექტრონული სერვისების დანერგვა;<br><br>მეწარმე სუბიექტების ბიზნეს-კატალოგის შექმნა;<br><br>ევროკავშირში ექსპორტით დაინტერესებული მეწარმე სუბიექტებისათვის ტრენინგების ჩატარება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ძალაში შესვლის შემდეგ ამოქმედებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით;<br><br>საქართველოს ბიზნეს სუბიექტების ინტერესების დაცვისა და მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით სამთავრობა |

| | |
|---|---|
| | კომისიების, ინვესტორთა საბჭოს, დავების საბჭოსა და სამინისტროებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობა;<br><br>რეგიონული პალატების ქსელის გაფართოვება, რეგიონულ მცირე და საშუალო მეწარმეებთან თანამშრომლობისა და მათთვის პალატის სერვისების მიწოდების მიზნით;<br>„ერთი ფანჯრის“ პრინციპზე დაფუძნებული DCFTA საინფორმაციო ცენტრის ქსელის გაფართოვება რეგიონებში, რომლის მიზანია საზოგადოების ცნობადობის გაზრდა DCFTA შეთანხმებით გათვალისწინებულ მთავარ საკითხებთან დაკავშირებით, ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა და საქართველო-ევროკავშირს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა და აგრეთვე, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა და საკანონმდებლო ცვლილებებთან ადაპტაციის ხელშეწყობა;<br><br>საქართველოს რეგიონების ბიზნეს-კომპანიებთან შეხვედრების, ტრენინგების, სემინარების, ფორუმებისა და პრეზენტაციების გამართვა და ასევე, კონსულტაციების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და პრობლემატური საკითხების გაცნობის მიზნით;<br><br>კომერციული და საინვესტიციო ხასიათის საერთაშორისო დავების განხილვის მიზნით საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განვითარება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ქართული კომპანიების მიერ გაფართოვებული ბიზნეს-კავშირები და საზღვარგარეთ მოძიებული პარტნიორების გაზრდილი რიცხვი;<br><br>ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია, საქართველო-ევროკავშირს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა;<br><br>კომერციული და საინვესტიციო ხასიათის საერთაშორისო დავების ეფექტურად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისასად განხილვის შესაძლებლობა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით 2016 წელს ჩატარდა 34 ბიზნეს-ფორუმი, როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 300-ზე მეტმა კომპანიამ. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები და დამყარდა კავშირები, რამაც ბიზნეს-სუბიექტებს ხელი შეუწყო საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზღვარგარეთ ქართული კომპანიების მიერ ბიზნეს-კავშირების გაფართოვება და ბიზნეს-პარტნიორების რიცხვის გაზრდა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, მათ შორის რეგიონში; ძირითადი ნედლეულის ფასების ვარდნა საერთაშორისო ბაზარზე |

| **სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (24 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სფეროს და დიაპაზონის გაფართოება;<br><br>CIB პროგრამის III ეტაპის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა საქართველო-ევროკავშირს შორის DCFTA ვალდებულებების შემდგომი დანერგვისათვის“ ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების გატარება;<br><br>საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში ინტეგრაცია;<br><br>სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ზოგადი პრინციპების დანერგვა ISO 9001 სტანდარტის შესაბამისად და ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად სტანდარტიზაციის სფეროში ტექნიკური კომიტეტების ჩამოყალიბება;<br><br>მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო აღიარების მისაღწევად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) და ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში (TBT) ნაწილის მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ▪ გაზომვების პრიორიტეტულ სფეროებში ახალი და გაფართოებული დიაპაზონის მომსახურების შეთავაზება.<br>▪ მომსახურების შეთავაზება ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამი მეტროლოგიური ლაბორატორია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** აღიარებისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება-2018წ; აღიარების მიღწევა დამატებით 2 სფეროში და უკვე აღიარებულ 1 სფეროში დიაპაზონის გაფართოება - 2019წ; აღიარების მიღწევა დამატებით 5 სფეროში - 2020წ.; აღიარების მიღწევა დამატებით 5 სფეროში - 2021წ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 50%; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები -** საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების (BIPM, COOMET) მხრიდან აღიარების პროცესის ვადების და პროცედურების შეცვლა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში აღჭურვილი და განახლებულია ლაბორატორიები შემდეგი 9 მიმართულებით: წნევა, ტენიანობა, სიგრძე, დიდი მასები, მცირე მოცულობა, რადიოფიზიკა, ნივთიერებათა ხარჯი (აირის საწარმოო მრიცხველები), ფიზ-ქიმია და რადიოფიზიკა (ხმაურის გაზომვები);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018 წელს განახლდება 1 ლაბორატორია; 2019 წელს - 1 ლაბორატორია; 2021 წელს - 1 ლაბორატორია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 18%;<br>**შესაძლო რისკები -** აღჭურვილობის დროული ვერ შეძენა ტექნიკური სპეციფიურობიდან გამომდინარე<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 18%;<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წლის იანვრის მდგომარეობით სულ საქართველოს სტანდარტად მიღებულია 9400 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 11400 საერთაშორისო და ევროპულის სტანდარტის მიღება საქართველოს სტანდარტად - 2018წ.; 13400 საერთაშორისო და ევროპულის სტანდარტის მიღება საქართველოს სტანდარტად-2019წ.; 15400 საერთაშორისო და ევროპულის სტანდარტის მიღება საქართველოს სტანდარტად - 2020წ.; 17400 საერთაშორისო და ევროპულის სტანდარტის მიღება საქართველოს სტანდარტად - 2021წ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** შესაძლოა შეიზღუდოს საერთაშორისო/ევროპულ სტანდარტების ბაზაზე ხელმისაწვდომობა ამ ორგანიზაციებში წევრობის შეფერხებით ან ამავე ორგანიზაციების მიერ სტანდარტების გაუქმება<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სტანდარტების დეპარტამენტთან არსებობს 6 ტექნიკური კომიტეტი:ტკ 1-ელექტროტექნიკური კომიტეტი; ტკ 2-მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება; ტკ 3-სასურსათო პროდუქცია; ტკ 4-ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; ტკ 5 "მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები"; ტკ 6 "ბუნებრივი გაზი";<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად დამატებით 6 ტექნიკური კომიტეტის შექმნა - 2018წ.; ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად დამატებით 7 ტექნიკური კომიტეტის შექმნა - 2019წ.; ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად დამატებით 8 ტექნიკური კომიტეტის შექმნა - 2020წ.; ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად დამატებით 9 ტექნიკური კომიტეტის შექმნა - 2021წ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 30%;<br>**შესაძლო რისკები -** შესაბამისი კვალიფიკაციის მქონი პირების დაბალი აქტივობა<br>**5.** |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი -** ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან დაახლოება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მეტროლოგიის სფეროში მისაღები 2 დირექტივისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება - 2019წ.; მეტროლოგიის სფეროში მისაღები 2 დირექტივისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება- 2020წ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 50%;<br>**შესაძლო რისკები -** საკანონმდებლო დაახლოების პროცესის გაჭიანურება პასუხისმგებელი უწყების მიერ |

| **მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (47 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | გეოგრაფიული-საინფორმაციო სისტემების გამოყენებით მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების ვიზუალიზაცია, თემატური კარტოგრაფიული მასალის და ინტერაქტიული რუკის მომზადება.<br><br>2020 წლიდან მომდევნო საყოველთაო აღწერისათვის მომზადება. გაეროს რეკომენდაციების საფუზველზე მეთოდოლოგიურ საკითხებზე მუშაობის დაწყება და კითხვარების პროექტების შემუშავება.<br><br>ადმინისტრაციული წყაროების გამოყენებით გეომონაცემთა ბაზების განახლება, რაც ხელს შეუწყობს მომდევნო აღწერის ჩატარებას. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე გამოქვეყნდება თემატური რუკები სხვადასხვა გეოგრაფიული ჭრილის მიხედვით, რაც სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებს საშუალებას მისცემს უკეთ აღიქვას აღწერიდან მიღებული მონაცემები.<br>მომდევნო საყოველთაო აღწერის ჩატარებით განხორციელდება ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საზოგადოების ინფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს ბოლო ათწლეულში ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესწავლას, შეფასებას, პროგნოზირებას და ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავებას. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** აღწერის მონაცემთა სიზუსტე და მათი გამოყენება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამეცნიერო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მეწარმეებისა და მოქალაქეების მიერ |

| აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (24 04) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვა კანონით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად. შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების შეთავაზება;<br><br>ევროპული დახმარების (CIB) ინსტრუმენტის ფარგლებში, ევროკავშირის პრაქტიკასთან აკრედიტაციის ცენტრის შემდგომი დაახლოების პროექტის განხორციელება;<br><br>აკრედიტაციის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ EA-ს ხელმომწერ მხარედ აღიარებისათვის დასკვნითი ღონისძიებების განხორციელება.<br><br>ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების სრულად დანერგვისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | 1. აკრედიტაციის ცენტრის გაძლიერებული ინსტიტუციური შესაძლებლობითა და საერთაშორისო მოთხოვნის მიხედვით შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაცია;<br>2. EA-სთან აქტიური თანამშრომლობითა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება და განახლება;<br>3. აკრედიტაციის შედეგების თანმიმდევრული საერთაშორისო აღიარება.<br>4. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების სრულად დანერგვა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** დანერგილია აკრედიტაციის სქემა სსტ ისო/იეკ 17043 სტანდარტის შესაბამისად;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** შემუშავებული ISO/IEC 17025 სტანდარტის ახალი ვერსიის ქართული ვერსია და მომზადებული ეროვნული სტანდარტის შესაბამისი პროექტი. - 2018წ. ISO/IEC 17025 სტანდარტის ახალი ვერსიის მიხედვით დაწყებული აკრედიტაციის სამუშაოები შესაბამისი გარდამავალი დებულებებით. - 2019წ.; ტესტირების და საკალიბრებელი ლაბორატორიების ISO/IEC 17025 სტანდარტის ახალი ვერსიაზე გადასვლის დასრულებული სამუშაოები. - 2020წ.; -აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი პირების ოპერირება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. - 2021წ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%;<br>**შესაძლო რისკები -** სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნისა და რეგისტრაციის დროს შესაძლო შეფერხებები ან/და |

| | |
|---|---|
| | აკრედიტაციის მიღებაში დაინტერესების უქონლობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** აკრედიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს კანონმდებლობით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროებში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ასოცირების შეთანხმების თანახმად მიღებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების სფეროში აკრედიტაციის განხორციელება - აკრედიტაციის განხორციელება მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების სფეროში 2018-2021წწ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%;<br>**შესაძლო რისკები -** ტექნიკური რეგლამენტების მოქმედების შეჩერება, ან/და აკრედიტაციის მიღებაში დაინტერესების უქონლობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** აკრედიტაციის ცენტრი არის EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) ასოცირებული წევრი და მონაწილეობს მის მუშაობაში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) შორის გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება - ჩატარებულია ევროპული თანამშრომლობის (EA) მხრიდან აკრედიტაციის ცენტრის შეფასება - 2018წ.; აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) შორის გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება. საქართველოს ეკონომიკის საჭიროებების მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციის (ILAC – International Laboratory Committee ან/და IAF (International Accreditation Forum) წევრობის დაკმაყოფილებული პირობები 2019-2021წწ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10-15%;<br>**შესაძლო რისკები -** EA-ს პროცედურების მკვეთრი ცვლილება<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** მიღებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონსულტაციო მომსახურეობის პირველი ეტაპი შვეიცარულ კომპანია „SGS Société Générale de Surveillance SA"-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების სრულად დანერგვის პროცესის მხარდაჭერისათვის;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მიღებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონსულტაციო მომსახურეობა ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების სრულად დანერგვისთვის -2018წ.; ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების სრულად დანერგვის ღონისძიებების განხორციელება - 2019წ.; ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების სრულად დანერგვის ღონისძიებების განხორციელება -2020წ.; ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების სრულად დანერგვა - 2021წ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 15-20%;<br>**შესაძლო რისკები -** მომსახურების არასრული მიწოდება ან სამუშაო ჯგუფის მხრიდან გაწეული მომსახურების ნაწილის |

| | |
|---|---|
| | დაწუნება |

| სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (64 00) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კანონიერების მონიტორინგი;<br>გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;<br>სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულებისა და ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა არადისკრიმინაციული გარემოს შესაძლებლობის უზრუნველყოფა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში;<br>სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, განვითარება და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება;<br>სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, ევროდირექტივების მოთხოვნებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა;<br>უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;<br>მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა;<br>დაიხვეწება სახელმწიფო შესყიდვების ჩატარების საჯაროობა;<br>განმტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა;<br><br>უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; |

| | |
|---|---|
| | მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა;<br><br>დაიხვეწება სახელმწიფო შესყიდვების ჩატარების საჯაროობა;<br><br>განმტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემის „eProcurement"-ის შემდგომმა გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენცია პრეტენდენტთა შორის, მინიმუმამდე დაიყვანა კორუფციის რისკები და ქვეყანას მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაზოგი მოუტანა; გატარდა წარმატებული რეფორმები და განხორციელდა სისტემის მოდერნიზაცია, რამაც უზრუნველყო მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა; განხორციელდა საჯარო ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება; სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ნდობის ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საჩივრების რაოდენობა; დაინერგა სახელმწიფო შესყიდვების ახალი საშუალებები და მეთოდები (ორეტაპიანი ტენდერი, რომელიც საშუალებას იძლევა გამარჯვებული გამოვლინდეს ფასისა და ხარისხის კრიტერიუმების ერთობლიობით, რის შედეგადაც ვიღებთ ეკონომიკურად ყველაზე მომგებიან წინადადებას); დაინერგა ელექტრონული ტენდერების ახალი მიმართულება, რომელმაც უზრუნველყო პრეტენდენტეს შორის, შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის შესაძლო კორუფციული რისკების შემცირება და ტენდერში რეალური ფასის მქონე წინადადებების წარმოდგენა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემის „eProcurement"-ის შემდგომმა გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენცია პრეტენდენტთა შორის, მინიმუმამდე დაიყვანა კორუფციის რისკები და ქვეყანას მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაზოგი მოუტანა; ბიზნესის ინტერესის ზრდაზე სახელმწიფო ტენდერების მიმართ მიგვანიშნებს წლების მიხედვით სისტემაში რეგისტრირებულ შემსყიდველ ორგანიზაციათა და მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა, აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა სააგენტოს მიერ გატარებული წარმატებული რეფორმებისა და სისტემის მოდერნიზაციის ხარჯზე. ეს ყველაფერი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უახლოეს მომავალში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების სტაბილურ ხარჯვას და სახელმწიფო შესიდვებში მეწარმეთა მუდმივ ჩართულობას; საჯარო ორგანიზაციების |

| | |
|---|---|
| | შესყიდვების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი; სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ნდობის ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საჩივრების რაოდენობა; სახელმწიფო შესყიდვებში ახალი საშუალებებისა და მეთოდების დანერგვა, მაგალითად: ორეტაპიანი ტენდერი, რომელიც საშუალებას იძლევა გამარჯვებული გამოვლინდეს ფასისა და ხარისხის კრიტერიუმების ერთობლიობით, რის შედეგადაც ვიღებთ ეკონომიკურად ყველაზე მომგებიან წინადადებას. დაინერგა ელექტრონული ტენდერების ახალი მიმართულება, რომლის თანახმადაც აღარ არსებობს ვაჭრობის რაუნდები, ხოლო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის გარდა ყველა მონაცემი დაფარულია ტენდერში ხელშეკრულების დადებამდე. ტენდერის აღნიშნულმა ფორმამ მნიშვნელოვანწილად უზრუნველყო პრეტენდენტეს შორის, ასევე შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის შესაძლო კორუფციული რისკების შემცირება და უზრუნველყო ტენდერში რეალური ფასის მქონე წინადადებების წარმოდგენა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მინიმალური |

| **მიქცეული ქონების ეფექტური განკარგვა (23 07)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და პრივატიზებული ქონების მიღებიდან რეალიზაციამდე არსებული პროცესების ეფექტურად მართვა;<br>მოძრავი ქონების განკარგვის გამჭირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების უზრუნველყოფა;<br><br>სასაწყობე ტერიტორიის მოდერნიზაცია ქონების განთავსებისა და სათანადო დონეზე დაცულობის მიზნით;<br><br>მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, ვებგვერდ eAuction.ge-ს მომხმარებელთათვის სერვისების მიწოდებისა და ქონების განკარგვის პროცედურების გამარტივების მიზნით, ვებ-გვერდის მოდერნიზაციის კუთხით სხვადასხვა ქმედების განხორციელება, ახალი სერვისების დამატება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მომხმარებელთა რიცხვის ზრდა;<br>სერვისების განვითარება;<br>პირტალის ბრუნვის ზრდა |

| | |
|---|---|
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** eAuction.ge სისტემაში რეგისტრირებული 72.0 ათასამდე მომხმარებელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მომხმარებელთა რიცხვის 10%-15%-ით ზრდა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%;<br>**შესაძლო რისკები -** მომხმარებელთა მხრიდან სერვისის გამოუყენებლობა/უსაფრთხოების დონის შემცირება |

## ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 01 | საკანონმდებლო საქმიანობა | 52,091.0 | 52,091.0 | - | 54,696.0 | 57,430.0 | 60,302.0 |
| 06 02 | არჩევნების ჩატარების ღონისძიებები | 40,103.2 | 40,103.2 | - | - | 42,282.0 | 43,012.0 |
| 04 01 | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია | 15,822.0 | 15,822.0 | - | 16,045.0 | 16,045.0 | 16,045.0 |
| 06 04 | პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება | 14,535.0 | 14,535.0 | - | 14,535.0 | 14,535.0 | 14,535.0 |
| 05 01 | სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი | 14,517.2 | 14,517.2 | - | 14,952.7 | 15,401.3 | 15,863.3 |
| 06 01 | საარჩევნო გარემოს განვითარება | 11,250.0 | 11,250.0 | - | 11,500.0 | 11,750.0 | 12,000.0 |
| 02 00 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 9,800.0 | 9,800.0 | - | 9,800.0 | 9,800.0 | 9,800.0 |
| 26 01 | სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება | 7,470.0 | 7,470.0 | - | 7,470.0 | 7,470.0 | 7,470.0 |
| 26 03 | ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 14,145.0 | 7,445.0 | 6,700.0 | 9,145.0 | 9,145.0 | 9,145.0 |
| 53 00 | სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური | 6,000.0 | 6,000.0 | - | 6,200.0 | 6,500.0 | 6,800.0 |
| 41 01 | საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი | 5,500.0 | 5,500.0 | - | 6,000.0 | 6,500.0 | 7,000.0 |
| 26 08 | იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა | 35,380.0 | 4,200.0 | 31,180.0 | 16,900.0 | 16,850.0 | 16,850.0 |
| 44 00 | ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია | 2,460.0 | 2,460.0 | - | 2,460.0 | 2,460.0 | 2,460.0 |
| 26 05 | ელექტრონული მმართველობის განვითარება | 2,529.0 | 2,135.0 | 394.0 | 2,435.0 | 2,435.0 | 2,435.0 |

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 51 00 | პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი | 2,000.0 | 2,000.0 | - | 2,100.0 | 2,200.0 | 2,200.0 |
| 26 09 | მიწის ბაზრის განვითარება (WB) | 2,000.0 | 2,000.0 | - | - | - | - |
| 50 00 | სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო | 1,400.0 | 1,400.0 | - | 1,400.0 | 1,500.0 | 1,500.0 |
| 06 03 | საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა | 1,170.0 | 1,170.0 | - | 1,190.0 | 1,200.0 | 1,220.0 |
| 18 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში | 860.0 | 860.0 | - | 860.0 | 860.0 | 860.0 |
| 11 00 | სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში | 800.0 | 800.0 | - | 800.0 | 800.0 | 800.0 |
| 13 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში | 735.0 | 735.0 | - | 735.0 | 735.0 | 735.0 |
| 14 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში | 725.0 | 725.0 | - | 725.0 | 725.0 | 725.0 |
| 19 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში | 625.0 | 625.0 | - | 625.0 | 625.0 | 625.0 |
| 12 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, | 610.0 | 610.0 | - | 610.0 | 610.0 | 610.0 |

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში | | | | | | |
| 17 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში | 595.0 | 595.0 | - | 595.0 | 595.0 | 595.0 |
| 15 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში | 595.0 | 595.0 | - | 595.0 | 595.0 | 595.0 |
| 26 06 | ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება | 3,920.0 | 590.0 | 3,330.0 | 3,700.0 | 4,000.0 | 4,200.0 |
| 16 00 | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში | 585.0 | 585.0 | - | 585.0 | 585.0 | 585.0 |
| 26 10 | სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა | 61,668.0 | - | 61,668.0 | 48,750.0 | 48,750.0 | 48,750.0 |
| 26 12 | სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა | 50,894.0 | - | 50,894.0 | 40,755.0 | 40,090.0 | 40,090.0 |
| 26 11 | ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება | 2,479.0 | - | 2,479.0 | 2,570.0 | 2,570.0 | 2,570.0 |
| 59 00 | სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური | 1,180.0 | - | 1,180.0 | 1,180.0 | 1,180.0 | 1,180.0 |
| 05 02 | სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი | 900.0 | - | 900.0 | 910.0 | 920.0 | 930.0 |
| | **სულ** | **365,343.3** | **206,618.4** | **158,725.0** | **280,823.7** | **327,143.3** | **332,487.3** |

| საკანონმდებლო საქმიანობა (01 01) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს პარლამენტის აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;<br><br>კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზისსრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია |

| არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (06 02) | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | არჩევნების დაგეგმვა - სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;<br><br>არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარის შესყიდვა;<br><br>კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო დავების განხილვა;<br><br>საიმიჯო კამპანიის წარმოება საარჩევნო პერიოდში;<br><br>ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;<br><br>ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა;<br><br>გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა;<br><br>საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სამართლიანად შემდგარი არჩევნები;<br><br>საარჩევნო პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტის კანონიერი უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაცია;<br><br>საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური მოხელეები: |

| | |
|---|---|
| | არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებული და განხილული დავების რაოდენობა<br>**2.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევების რაოდენობა ზემდგომი კომისიის ან სასამართლოს მიერ<br>**3.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის დროს მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც მოიცვა მედია საშუალებების დაფარვის არეალმა<br>**4.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა მხრიდან ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით ცესკოს კონტაქტ ცენტრში შემოსული ზარების რაოდენობა<br>**5.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სასწავლო პროგრამებში მონაწილე საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა<br>**6.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - არჩევნებში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ჩატარებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა<br>**7.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დამოუკიდებელი დამკვირვებელი ორგანიზაციების მხრიდან დადებითი შეფასებები<br>**8.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის (ცესკო/ოლქები/უბანი) მოწყობა, საარჩევნო ინვენტარის შესყიდვა/განახლება |

| **პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (06 04)** | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ”მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საარჩევნო თემატიკაზე საგრანტო კონკურსების ჩატარება და გრანტებისათვის |

| | |
|---|---|
| | ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ქალების, მოწყვლადი ჯგუფებისა და ზოგადად ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა;<br><br>საარჩევნო სფეროში პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ჩატარებული საგრანტო კონკურსები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა |

| **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (05 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით;<br><br>უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული ცნობიერების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით;<br><br>გარე აუდიტის შესაძლებლობების, საკანონმდებლო მანდატისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;<br><br>სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვის და ეფექტიანობის ხელშეწყობა;<br><br>აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა;<br>ინფორმაციული სისტემების (IT) აუდიტის დანერგვა;<br><br>კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად წარმართვა; |

| | |
|---|---|
| | საჯარო ფინანსების მართვის განვითარების ხელშეწყობა. |

| **საარჩევნო გარემოს განვითარება (06 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების ჩატარება კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება;<br><br>ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტური საბიუჯეტო პოლიტიკის და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა;<br><br>სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლება, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა;<br><br>საარჩევნო გარემო: საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა;<br><br>საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა. |

| **სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (26 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ეფექტიანი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების სასამართლოებსა და არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობა, სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო ხასიათის (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა და ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია;<br>სამართლის ცალკეული დარგის განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა, სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მიზნით, სამინისტროებისა და დარგობრივი უწყებების პრობლემატიკის შესწავლა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროს განვითარების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესწავლა და ანალიზი, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან  დაახლოების სახელმძღვანელოს შემუშავება;  ეროვნული კანონმდებლობის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა;<br>სახელმწიფო წარმომადგენლობა არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში კომერციულ და საინვესტიციო დავებზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებში სახელმწიფოთაშორის ან/და ინდივიდუალურ დავებზე; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა და მასთან სხვა სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის კოორდინირება. ასევე, ეროვნულ სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებზე სამინისტროს ინტერესების დაცვა, ხოლო, ხელისუფლების დაწესებულებების წინააღმდეგ მიმართულ დავებში მონაწილეობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის გათვალისწინებით;<br>სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო ხასიათის (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი შეფასება/ექსპერტიზა მისი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და შესაბამისი დასკვნის პროექტის მომზადება. ასევე, ხელშეკრულების პროექტის სამართლებრივი შეფასება მასში არსებული სამართლებრივი რისკების კონტექსტში და შესაბამისი დასკვნის პროექტის მომზადება;<br>სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირება, ორგანიზაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური განახლება, წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშების მომზადება, სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების შემუშავება; ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ყოველწლიური განახლება, პროგრესის ანგარიშის და შესრულების შეფასების ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება, ანტიკორუფციული კუთხით მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე (მათ შორის |

| | |
|---|---|
| | კანონპროექტებზე) მუშაობა; ეროვნულ დონეზე ღია მმართველობის პარტნიორობის საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმის – ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის საქმიანობის ხელშეწყობა; ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო ღონისძიებებში საქართველოს წარმომადგენლობის მონაწილეობის (თავმჯდომარეობა) უზრუნველყოფა;<br>ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა; ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის პოლიტიკის შემუშავება, განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი; ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის შემუშავება; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის ხელშეწყობა. |

| **ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (26 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ეროვნული საარქივო ფონდის შევსება მატერიალური ან/და ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი დოკუმენტებით, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა;<br><br>საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა; ადგილობრივ არქივებში დაცული დოკუმენტების გადატანა/განთავსება რეგიონული არქივების გარემონტებულ შენობებში, სადაც საარქივო დოკუმენტების დაცვის და შენახვის სათანადო პირობებია შექმნილი. შიდა ქართლის რეგიონული არქივის შენობის მშენებლობა და აღჭურვა;<br><br>მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული, ეროვნული საარქივო ფონდის მკვლევართა აღრიცხვისა და მართვის, გენეალოგიური მონაცემების აღრიცხვის ელექტრონული სისტემების და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების (ტექსტური, ფოტოფონოვიდეოდოკუმენტები, რუკები) ელექტრონული კატალოგების შექმნა და განვითარება;<br><br>ერთიანი ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნისა და ელექტრონული დოკუმენტაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნული არქივის დაკომპლექტების წყარო ორგანიზაციებიდან და ეროვნული საარქივო ფონდისადმი მიკუთვნებული დოკუმენტების მფლობელი სხვა პირებიდან ელექტრონული |

| | |
|---|---|
| | დოკუმენტების აღწერის, აღრიცხვის და არქივირების ავტომატიზებული სისტემის შექმნა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაცულ გარემოში განთავსებული არქივის დოკუმენტები;<br><br>მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული, დახვეწილი და განახლებული პროგრამული სისტემები;<br><br>შექმნილი ელექტრონული არქივი და ელექტრონული მასალების ხელმისაწვდომობის მაღალი დონე. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წელს ბოლოსათვის აშენებული/გარემონტებული და აღჭურვილი 5 არქივი, ცენტრალიზაციას დაქვემდებარებული 42 ადგილობრივი არქივი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018 წელს - აშენდება 1 არქივი და ცენტრალიზაციას დაექვემდებარება 1 არქივი; 2019 წელს - აღიჭურვება 1 არქივი და ცენტრალიზაციას დაექვემდებარება 2 არქივი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დაგეგმილი პროექტის ვადის ცვლილება 2-3 თვე;<br>**შესაძლო რისკები** - სამშენებლო-სარემონტო და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეფერხება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის ბოლოსათვის მოქმედი ელექტრონული სერვისები: საარქივო დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი; აფხაზეთის ვირტუალური არქივი; ფოტო, საეკლესიო და ფონდების ელექტრონული კატალოგები; საკომლო წიგნების ელექტრონულ მონაცემთა ერთიანი ბაზა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად დამატებით ორი ელექტრონული სერვისის გაშვება/გაუმჯობესება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - +/- 1 სერვისი;<br>**შესაძლო რისკები** - პროექტთა პრიორიტეტიზაციის ცვლილება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის ბოლოსათვის ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნის ფარგლებში დასკანირებული 4 700 ათას დოკუმენტზე მეტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ელექტრომატარებლებზე იქნება გადატანილი დამატებით 700 ათასი გვერდი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 4%-5%;<br>**შესაძლო რისკები** - მწყობრიდან გამოსული ძვირადღირებული სკანერული აპარატურის სწრაფად ჩაუნაცვლებლობა. სკანირების ჯგუფში ადამიანური რესურსების მკვეთრი კლება |

## სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (53 00)

| | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე იურიდიული დახმარების გაწევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მათ შორის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე.<br><br>სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ინფრასტრუქტურის განვითარება და ახალი ოფისების გახსნა.<br><br>სამსახურის მანდატის გაფართოებისა და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, სამსახურში დასაქმებული ადვოკატების სათანადო პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა.<br><br>იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | შესრულდება შიდაეროვნული და საერთაშორისო ვალდებულება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საადვოკატო მომსახურების დანერგვასთან დაკავშირებით.<br><br>უფასო იურიდიული დახმარება გახდება უფრო მეტად ხელმისაწვდომი და გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი.<br><br>გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობის დონე უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობა გაიზრდება სულ ცოტა 5%-ით |

| **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (41 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელება;<br><br>წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; |

| | |
|---|---|
| | მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და მათი წარდგენა;<br><br>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;<br><br>ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების შესახებ განცხადების/საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება;<br><br>შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, მათი განხორციელების შეფასება;<br><br>საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და მათი გაზრდა;<br><br>ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება, მათ შორის სოციალური რეკლამის დამზადება და მედიის საშუალებით გავრცელება;<br><br>სამიზნე აუდიტორიებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება;<br><br>საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენის ყოველთვიური გამოცემა;<br><br>ადამიანის უფლებათა თემატიკაზე ყოველთვიურად საჯარო დებატების გამართვა, კონკურსების ჩატარება, სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება;<br><br>ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;<br><br>უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა;ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;<br><br>რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მონიტორინგი, არსებული ტენდენციების გამოკვეთა და ანალიზი, ტოლერანტობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და წარდგენა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის;<br><br>მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების ჩართულობით; |

| | |
|---|---|
| | ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში;<br><br>არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება;<br>სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი;<br><br>24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მომზადების ზედამხედველობა სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლის მიმართულებით;<br><br>საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი,სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის საკითხის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;<br><br>საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების საქმიანობის,გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება;<br><br>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი;<br><br>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების ადვოკატირება;<br><br>გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება;<br><br>ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი;<br><br>„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება;<br><br>ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგის განხორციელება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ადამიანის უფლებების დარღვევევის აღმოჩენა და დაფიქსირება;<br>საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან |

| | |
|---|---|
| | დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრა და მათი პრევენცია;<br>დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის გამოვლინების პრევენცია;<br>რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება;<br>სახალხო დამცველის მიერ განხილული და შესწავლილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების სახალხო დამცველის ანგარიშში და რეკომენდაციებში ასახვა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წლის განმავლობაში, ასევე ყველა ტიპის დახურული დაწესებულებების მოცვა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში; დარღვეული უფლებების ფაქტებზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების/წინადადებების/შუამდგომლობების რაოდენობა; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების მიზნით ჩატარებული ტრენინგების/სემინარების/სასწავლო გაცვლითი ვიზიტების აღწერა/ რაოდენობა.; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული განცხადებების რაოდენობა, როგორც ცენტრალურ ისე რეგიონულ დონეზე, ინდივიდუალური კონსულტაციების რაოდენობა; აღდგენილი უფლებების ფაქტების და მათი რაოდენობის მონიტორინგი |

| **იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 08)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - იუსტიციის სახლი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო სერვისების მიწოდების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და შემდგომი გაუმჯობესება, ახალი პროდუქტების/სერვისების დანერგვა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;<br><br>სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ადმინისტრაციულ პროცედურებზე გაწეული დროითი დანახარჯების შემცირება. იუსტიციის სახლში დამატებით რამდენიმე კერძო და სახელმწიფო სერვისის ინტეგრაცია: სოციალური მომსახურების სააგენტოს, ენერგოკომპანიების რიგი სერვისების და უძრავი ქონების დაზღვევის სერვისის დანერგვა. სერვისების პოპულარიზაცია, ცნობადობის ამაღლება და იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტი დაინტერესებულ ქვეყნებში;<br><br>ინფრასტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრა, რაც ხელს შეუწყობს იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის მომსახურების შეუფერხებელ მიწოდებას; |

| | |
|---|---|
| | იუსტიციის სახლის ფილიალების გახსნა ზოგიერთ დიდ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში (მარტვილი, ხონი, სენაკი, ბოლნისი, ხაშური, გარდაბანი, კასპი). |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი;<br><br>მომხმარებელთა გაზრდილი რაოდენობა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წელს მომხამრებელთა კმაყოფილების დონე სავარაუდოდ შეადგენს 86%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ყოველწლიურად მომხმარებელთა კმაყოფილების დონე შეადგენს 75-86%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** ინოვაციებისა და სიახლეების ნაკლებობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წელს მომხამრებელთა საშუალო დღიური რაოდენობა სავარაუდოდ იქნება 21 000 მომხმარებელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018 წელი - მომხამრებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 24 000 მომხმარებელს. 2019 წელი - მომხამრებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 25 000 მომხმარებელს. 2020 წელი - მომხამრებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 25 000 მომხმარებელს. 2021 წელი - მომხამრებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 26 000 მომხმარებელს;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** ინოვაციებისა და სიახლეების ნაკლებობა |

| **ელექტრონული მმართველობის განვითარება (26 05)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და მოქალაქეებისათვის ელექტრონული სერვისების და მონაცემთა გაცვლის ეფექტიანად და უსაფრთხოდ უზრუნველყოფა ერთი ფანჯრის პრინციპით;<br><br>ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის განხორციელება, ინფორმაციული უსაფრთხოების შეღწევადობის |

| | |
|---|---|
| | (მდგრადობის) ტესტირება, კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენაზე გამიზნული ქსელური სენსორის დაყენება და მართვა, კიბერუსაფრთხოების საკითხების რეგულირება, ინციდენტებზე დახმარების ეროვნული ჯგუფის მიერ კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენა, პრევენცია და შედეგების მართვა;<br><br>მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გამოყენება, რომლის შემადგენელი კომპონენტებია სამი სახის აპარატურულ-პროგრამული მიმართულება/ინსტრუმენტი: „საქართველოს სამთავრობო კარიბჭე“ - ელექტრონული სერვისების მეშვეობით უსაფრთხო გარემოში სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლა, „მოქალაქის პორტალი“ - სახელმწიფო და ბიზნესსექტორის მიერ რეალიზებულ სხვადასხვა სახის ელექტრონულ სერვისზე ყველა დაინტერესებული პირის უსაფრთხოდ წვდომა ერთი ფანჯრის პრინციპით და „საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემა“ - ინტეგრირებული საკონტეინერო გადაზიდვები, სახმელეთო და საჰაერო გადაზიდვების ეტაპობრივად დამატება. ეროვნული სისტემის ინტეგრაცია მსგავსი პროფილის საერთაშორისო სისტემებთან;<br>ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის – „რეესტრთა რეესტრის პორტალის“, ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა; რეესტრის სუბიექტის მონაცემთა ბაზების, რეესტრების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების წარმოების ერთიანი სტანდარტების დადგენისა და შესრულების კოორდინაცია; რეესტრის სუბიექტის მიერ მომსახურების შექმნის, გაუმჯობესებისა და ოპტიმიზაციის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება, პირველადი მხარდაჭერის ქსელის აწყობა და სახელმწიფო დაწესებულებების ტრენინგმოდულებით მხარდაჭერა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით;<br><br>კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე დროული და ეფექტური რეაგირება;<br><br>ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული ცხრილების რაოდენობის ზრდა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ჯამში მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულია 160 სერვისი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი 200 სერვისი, 2019 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი 230 სერვისი, 2020 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი 250 სერვისი, 2021 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი 270 სერვისი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - სერვისიების ინტეგრაციის შეფერხება<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფმა სულ რეაგირება მოახდინა 1300 |

| | |
|---|---|
| | ინციდენტზე. დაზარალებულ ორგანიზაციებს ინციდენტებზე მიეწოდათ სხვადასხვა რეკომენდაციის და რეაგირების გზების მეთოდების შესახებ;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ორგანიზაციების საჭიროებიდან გამომდინარე ყოველწლიურად არანაკლებ 1000 ინციდენტზე მოხდება რეაგირება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების მხრიდან ვერ მოხდა კომპიუტერული ინციდენტის დაფიქსირება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ღია მონაცემების პორტალზე - data.gov.ge - ატვირთულია 500 მონაცემთა ცხრილი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018 წელს ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული 550 მონაცემთა ცხრილი, 2019 წელს ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული 700 მონაცემთა ცხრილი, 2020 წელს ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული 800 მონაცემთა ცხრილი, 2021 წელს ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული 900 მონაცემთა ცხრილი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან არასაკმარისი ნება |

| **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (51 00)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს სამართლებრივ აქტებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა; კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში მონაწილეობა; თანამშრომლობა სხვა უწყებებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან;<br><br>„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი;<br><br>მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება, ასევე, საჯარო და კერძო დაწესებულებებისათვის, ფიზიკური პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება); ინსპექტორის გადაწყვეტილებების აღსრულებაზე კონტროლი; |

| | |
|---|---|
| | სხვა სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შეფასება და მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის გაცემა კანონმდებლობის შესაბამისად;<br><br>ფაილურ სისტემათა კატალოგების (არსებული ფაილური სისტემების დეტალური აღრიცხვა) რეესტრის წარმოება და გამოქვეყნება;<br><br>პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ინფორმირება მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე ტრენინგების, საჯარო შეხვედრების და სემინარების ორგანიზება;<br><br>სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობის მიღება მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, მათ შორის დასკვნების მომზადება მონაცემთა დამუშვებასთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებზე. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | საჯარო და კერძო სექტორებში უზრუნველყოფილი პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტი;<br><br>ამაღლებული მოქალაქეთა ცნობიერება მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის გაწეული კონსულტაციების გაზრდილი რაოდენობა.; გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის დარღვევების შემცირებული მაჩვენებელი |

| **მიწის ბაზრის განვითარება (WB) (26 09)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებათა სისტემური რეგისტრაცია;<br>შერჩეულ 12 საპილოტო არეალში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის დასრულების შემდგომ საპილოტო პროექტის შედეგად გამოვლენილი მონაცემების და ინფორმაციის დამუშავება, რაც შედარდება პროექტის დაწყებამდე არსებულ მონაცემებთან. მიწაზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის პოლიტიკისა და პროცედურების ეფექტურობის შეფასება;<br>მიწების რეგისტრაციის რაოდენობრივი ზემოქმედების შეფასება მიწებთან დაკავშირებულ გარიგებებსა და დავებზე, |

| | |
|---|---|
| | მიწაში კაპიტალდაბანდებებზე, სოფლის მეურნეობის მოსავლიანობასა და მომგებიანობაზე;<br>საპილოტო პროექტის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის ეროვნული სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 12 საპილოტო არეალში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რესგისტრაცია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარედგინება მთავრობას;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** დროში დაგვიანება 2-3 თვე (პროექტი მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის პროცედურების დაცვით, ამდენად ყველა პროცედურა საჭიროებს ბანკისგან ოფიციალურ თანხმობას);<br>**შესაძლო რისკები -** მონაწილე მხარეების ნაკლები ჩართულობა |

| **სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო (50 00)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვისა და ადამინური რესურსების წლიური გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაცია, საჯარო სამსახურში ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფა, მოხელისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და მოხელეთა სწავლების ერთიანი სისტემის დანერგვა. ასევე, მოხელეთა ერთიანი კლასიფიკაციისა და ანაზღაურების სისტემის დანერგვა.<br>თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების მონიტორინგი კანონით გათვალისწინებული სავალდებულო რაოდენობის შესაბამისად.<br>ბიუროს თანამშრომელთა გადამზადება; |

| **საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (06 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის; |

| | |
|---|---|
| | ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;<br><br>საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება;<br><br>,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება. |

| **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები (11 00 - 19 00)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციები |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინირებულად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტების შემუშავება, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით წინადადებების მომზადება. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესის და ადგილობრივი თვითმმართელობის ორგანოების საქმიანობას მონიტორინგის გაწევა. |

| **ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (26 06)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სმართ ლოჯიქი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, მათზე გაწეული დანახარჯების შემცირება, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა;<br>სახელმწიფო უწყებების მომსახურება IT სერვისების სრული სპექტრით, რაც მოიცავს ქსელურ უზრუნველყოფას, ელფოსტის სერვისს, ონლაინკომუნიკაციის საშუალებებს, ტელევიდეოკონფერენციას, დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარებას, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტის, პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვას, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი IT მხარდაჭერის ქოლცენტრის შექმნასა და ინციდენტების მართვას, ციფრული ტელეფონიის სერვისს, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებას;<br>სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით |

| | |
|---|---|
| | შესაბამისი კვლევების ჩატარება და კონკრეტული ინოვაციური ბიზნესგადაწყვეტილებების შემუშავება, რომლებიც მორგებული იქნება დამკვეთის ბიზნესპროცესებზე. ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და არსებულის გაუმჯობესება; დანერგილი ქლაუდტექნოლოგიის (ღრუბლოვანი ტექნოლოგია) მიმართულებით ტექნოლოგიის განვითარება როგორც პროგრამული, ისე გამოთვლითი სიმძლავრეებისა და მასშტაბების კუთხით. დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის ქლაუდინფრასტრუქტურით (IaaS) სარგებლობის უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საინფორმაციო ტექნოლოგიების, ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და განვითარების მომსახურებების მიმღები ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** მომსახურება გაეწია 47 ორგანიზაციას;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018 წელი - მომსახურება გაეწევა 53 ორგანიზაციას 2019 წელი - მომსახურება გაეწევა 59 ორგანიზაციას 2020 წელი - მომსახურება გაეწევა 65 ორგანიზაციას 2021 წელი - მომსახურება გაეწევა 70 ორგანიზაციას;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3 ორგანიზაცია;<br>**შესაძლო რისკები -** 1. მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციის ბიუჯეტის დეფიციტი 2. ბაზარზე კონკურენტი ორგანიზაციის მიერ ფასების შემცირება (თვითღირებულებაზე ქვემოთ) 3. მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციის შიდა პოლიტიკის მიდგომის ცვლილება აუთსორსიდან საკუთარ IT ჯგუფზე გადასვლაზე |

| სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (05 02) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საჯარო სექტორის აუდიტორთა სერთიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, საჯარო სექტორის აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების განხორციელება და მომსახურების სისტემის სრულყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საჯარო ფინანსების და აუდიტის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ინსტიტუციური განვითარება. |

| სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 12) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სამისამართო რეესტრების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრისა და მუნიციპალიტეტების რეესტრის ფორმირება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;<br>ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნა და განვითარება. მონაცემების გახსნილი, დეცენტრალიზებული, მაგრამ, ამავე დროს, კოორდინირებული მართვა, რომელიც ორიენტირებულია მრავალფუნქციურ მოხმარებასა და გაზიარებაზე. მაღალი ხარისხის ჰარმონიზებული სივრცითი მონაცემების წარმოება და ვებპორტალის (გეოპორტალის) საშუალებით სახელმწიფო უწყებების, ბიზნესსექტორის, აკადემიური წრეებისა და მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომობა;<br>ეროვნული სანავიგაციო სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სანავიგაციო სისტემის მიმართ შიდა და გარე მომხმარებლების არსებულ მოთხოვნებს და თავსებადი იქნება გლობალურ სანავიგაციო სისტემებთან. მომხმარებლებისთვის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირების გაადვილება, დახმარება დანიშნულების ადგილამდე მისასვლელი ოპტიმალური მარშრუტის შერჩევაში მინიმალური დროის ან მინიმალური მანძილის კრიტერიუმების გათვალისწინებით;<br>სახელმწიფო პროექტის „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაცია“ ფარგლებში მიწის ნაკვეთების სპორადული რეგისტრაციის განხორციელება, რაც გულისხმობს მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციას პირის განცხადებისა და მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე;<br>უძრავ ქონებაზე ძველი სარეგისტრაციო მასალების, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო მასალათა დამუშავება, ბაზებში არსებული არაზუსტი მონაცემების შესწორება და ციფრულ მატარებლებზე გადატანა, ,, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა დიგიტალიზებული საარქივო დოკუმენტაცია განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა;<br>IT ინფრასტრუქტურის სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს არსებული ელექტრონული სერვისების უწყვეტად და სწრაფად მიწოდებას, ასევე, სამომავლო მზარდი დატვირთვებისთვის ინფრასტრუქტურის გაფართოებას;<br>ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება: ლილოს ბლოკის, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სათავო ოფისის მშენებლობა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული არქივის რეკონსტრუქცია/რემონტი. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურისა და ეროვნული სანავიგაციო სისტემის შექმნა;<br><br>მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია; |

| | |
|---|---|
| | სარეგისტრაციო მასალების სისტემატიზაცია და ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ვერსია v1.0; ეროვნული სანავიგაციო სისტემის 1.0 ვერსია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018 წელს - ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის v2.0; ეროვნული სანავიგაციო სისტემის 2.0 ვერსია; 2019 წელს - ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის v3.0; ეროვნული სანავიგაციო სისტემის 3.0 ვერსია; 2020 წელს - ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის v4.0; ეროვნული სანავიგაციო სისტემის 4.0 ვერსია; 2021 წელს - ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის v5.0; ეროვნული სანავიგაციო სისტემის 5.0 ვერსია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** ცდომილების ალბათობა პირდაპირპროპორციულია გაწერილი შესაძლო რისკების არსებობაზე;<br>**შესაძლო რისკები -** პოლიტიკური მხარდაჭერის შესუსტება; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან ტექნიკური და ფინანსური დახმარების შეწყვეტა; სხვადასხვა უწყების ფუნქცია-მოვალეობების არასრულფასოვნად შესრულება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** წარმატებით დასრულდა 100 000 განცხადება მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან დაკავშირებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მოქალაქეთამოთხოვნის 90% შემთხვევაში დაურეგისტრირებელიმიწისნაკვეთებისრეგისტრაცია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მოქალაქის მიერ წარმოდგენილი არასრულყოფილი ინფორმაცია<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წლის ბოლოსთვის დამუშავებული, დაახლოებით, 83 193 საქაღალდე, არქივირებული - 39 100 საქმე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018 წელს - დამატებით 12 834 საქაღალდის დამუშავება; დამატებით 18 000 საქმისდაარქივება; 2019 წელს - დამატებით 4664 საქაღალდის დამუშავება; დამატებით 18 000 საქმისდაარქივება; 2020 წელს - დამატებით 18 000 საქმისდაარქივება; 2021 წელს - დამატებით 18 000 საქმისდაარქივება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 3%;<br>**შესაძლო რისკები -** ადამიანური რესურსის გადინება |

| სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 10) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელშეწყობა, ახალი და ინოვაციური სერვისების დანერგვა და აღნიშნული სერვისების ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა;<br>მრავალმოსახლე და მუნიციპალური ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში საზოგადოებრივი ცენტრების აშენება, სოფლიდან გაუსვლელად როგორც სახელმწიფო (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივის, სოციალური მომსახურების სააგენტოს და სხვ.), ისე კერძო სექტორის (საბანკო, სატელეკომუნიკაციო და სხვ.) მომსახურების უზრუნველყოფა. მუნიპიცალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის სისტემის (მმს) დანერგვა;<br>სააგენტოს მონაცემთა ბაზების დახვეწის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, თითოეული მოქალაქის რეგისტრაციის მონაცემების დაკავშირება ახალ მისამართებთან, სამოქალაქო აქტების დიგიტალიზაცია და სააგენტოს ბიზნეს პროცესების უსაფრთხოების დონის ამაღლება;<br>ახალი, ცენტრალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, რომელიც ერთიან ჩარჩოში მოაქცევს სააგენტოში მიმდინარე ყველა ბიზნესპროცესს და შექმნის უფრო თანამედროვე პლატფორმას. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზებისა და განვითარების გზით სერვისებზე უფრო მაღალი ხელმისაწვდომობის და ახალ მოთხოვნილებებზე სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფა. ციფრული ხელმოწერის, ციფრული შტამპის, დროის აღნიშვნის, ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის დანერგვა და გაუმჯობესება;<br>მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობათა განვითარების მიზნით, კომისიის როგორც ანალიტიკური, ასევე, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, მიმდინარე წლის მიგრაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, შემდგომი წლების სტრატეგიის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სააგენტოს არსებული და ახალი სერვისების განვითარება  და ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე;<br><br>ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში მიგრაციის მართვის  მექანიზმების გაუმჯობესება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის ბოლოსათვის ფუნქციონირებს 54 საზოგადოებრივი ცენტრი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2018 წელს ფუნქციონირებს 65 საზოგადოებრივი ცენტრი, 2019 წელს - 69 საზოგადობრივი ცენტრი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2 საზოგადოებრივი ცენტრი; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები -** მზაობისა და შესაძლებლობების ნაკლებობა მუნიციპალიტეტის მხრიდან<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სააგენტოს მიერ გაიცემა 100-ზე მეტი სერვისი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** დანერგილია მინიმუმ 4 ახალი და განვითარებულია მინიმუმ 8 არსებული სერვისი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 1 სერვისი;<br>**შესაძლო რისკები -** ადამიანური რესურსების ნაკლებობა; პროექტთა პრიორიტეტიზაციის ცვლილება; სახელმწიფო და კერძო უწყებების მზაობისა და შესაძლებლობების ნაკლებობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წლის ბოლოსათვის დასრულდება 2016-2020 წ.წ. მიგრაციის სტრატეგიის 2016-2017 წ.წ. სამოქმედო გეგმის 2017 წლის მონიტორინგი და დაიწყება შეფასების პროცესი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018 წელს - შემუშავდება 2019 წლის სამოქმედო გეგმა; 2019 წელს - შემუშავდება 2020 წლის სამოქმედო გეგმა; 2020 წელს - შემუშავდება 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგია და მისი 2021 წლის სამოქმედო გეგმა; 2021 წელს - შემუშავდება 2022 წლის სამოქმედო გეგმა;<br>**შესაძლო რისკები -** შესაბამისი უწყებების ჩართულობის ნაკლებობა |

| **სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (59 00)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური<br><br>დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;<br>სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა;<br><br>ევროდირექტივებთან (მათ შორის არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით) საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია;<br><br>სავალდებულო დაზღვევების შესახებ სტანდარტების შემუშავება.<br><br>მომხმარებელთა უფლებების დაცვა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია;<br><br>სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა; |

| | |
|---|---|
| | კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.<br><br>სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა;<br><br>კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა. |

| **ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (26 11)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვა, სისტემატიზაცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფა. ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით მათი სრული ტექსტის პირველადი გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე (https://matsne.gov.ge);<br>ხელმისაწვდომ, დაცულ, მუდმივად განახლებად ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირება, სადაც მომხმარებელს შეუძლია იხილოს საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტები და საჯარო განცხადებები;<br>საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება და შემდგომ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ქართულ ენაზე თარგმნა, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის/კანონპროექტების ინგლისურ ენაზე თარგმნა. ახალი ტერმინების „SDL Trados Studio"-ს სერვერზე (ე.წ. მთარგმნელობით მეხსიერება (TM) და ერთიან ტერმინოლოგიურ ბაზა (TB)), მუდმივად დამუშავება და განახლება;<br><br>დაინტერესებული პირებისა თუ მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული საქმიანობისა და საინფორმაციო მიზნებისათვის სხვადასხვა ნორმატიული აქტის, წიგნისა და იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიების გამოცემა;<br><br>სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ შენობაში მდებარე კინოდარბაზის შენობის რეაბილიტაცია და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა. |

| | |
|---|---|
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების ხელმისაწვდომობის ზრდა |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წელს ვებგვერდზე რეგისტრირებული იქნება 62 400 მომხმარებელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 2018-2021 წლებში, ყოველწლიურად, მომხმარებელთა 1 500 ერთეულით ზრდა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 300 მომხმარებელი;<br>**შესაძლო რისკები -** ახალი პროგრამული ფუნქციონალების დამატების შეფერხება |

## იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 34 02 | განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება | 82,645.0 | 82,645.0 | - | 93,900.0 | 98,400.0 | 98,400.0 |
| 34 01 | იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა | 12,670.0 | 12,670.0 | - | 13,000.0 | 13,000.0 | 13,000.0 |
| 21 00 | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 1,250.0 | 1,250.0 | - | 1,250.0 | 1,250.0 | 1,300.0 |
| 34 03 | დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა | 685.0 | 685.0 | - | 1,000.0 | 1,500.0 | 1,500.0 |
| **სულ** | | **97,250.0** | **97,250.0** | **-** | **109,150.0** | **114,150.0** | **114,200.0** |

| **განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (34 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (სამინისტროს აპარატი) |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის განახლება და მის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ღონისძიებების განხორციელება, მათთვის საცხოვრებელი ფართის (შეძენა, აშენება, რეაბილიტაცია) კერძო საკუთრებაში გადაცემა;<br><br>სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ჩასახლების ობიექტების შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია, ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;<br><br>იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაწევა, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით (მ.შ. ფართების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახების ყოველთვიური სოციალური დახმარების გაცემა);<br><br>იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;<br><br>დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან და ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა, რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე, აშენებულ და რეაბილიტირებულ ობიექტებში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების დასრულებამდე ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა;<br><br>ფულადი დახმარების გაწევა იმ დევნილი ოჯახებისათვის, ვინც იპოთეკური სესხის საშუალებით შეიძინა საცხოვრებელი და ჯერ კიდევ აქვს იპოთეკური ვალდებულება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა;<br><br>დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების 10-მდე ობიექტის შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოხდება საშუალოდ 4 დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია;<br>**შესაძლო რისკები** - კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება ვადების დარღვევით<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე ახალი საცხოვრებელი კორპუსებში საცხოვრებელი ბინა გადაეცა დევნილთა 1072 ოჯახს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე ახალი საცხოვრებელი კორპუსებში საცხოვრებელი ბინა გადაეცემა დევნილთა 1230-მდე ოჯახს;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - სამშენებლო სამუშაოების სატენდერო პროცედურების შეფერხება (ჩაშლა), კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება ვადების დარღვევით<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 253 დევნილ ოჯახს გადაეცა ქართველი მენაშენეებისაგან შესყიდული ბინა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 60-მდე დევნილ ოჯახს გადაეცემა ქართველი მენაშენეებისაგან შესყიდული ბინა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 550 ოჯახს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 630 ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა საცხოვრებელი ბინა;<br>**შესაძლო რისკები** - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 50 ოჯახი დაკმაყოფილდა გრძელვადიანი საცხოვრებლით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 50 ოჯახი დაკმაყოფილდება გრძელვადიანი საცხოვრებლით;<br>**შესაძლო რისკები** - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 100 დევნილ ოჯახს 20 ათასი ლარის ფარგლებში იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით გაეწია ფულადი დახმარება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 110 დევნილ ოჯახს 20 ათასი ლარის ფარგლებში იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით გაეწევა ფულადი დახმარება<br>**7.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 50 ობიექტზე განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 100-მდე ობიექტზე განხორციელდება ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები** - ობიექტების ადმინისტრაციის დაბალი მომართვიანობა<br>**8.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 5000 დევნილ ოჯახს გაეწია საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარებება; დახმარების გაცემის დროს განხორციელდა გენდერული ასპექტების გათვალისწინება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 5000 დევნილ ოჯახს გაეწევა საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარებება; დახმარების გაცემის დროს გაგრძელდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება<br>**9.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით მოხდა მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 170 ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 200 ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება |

| **იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (34 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სათანადო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი სახლების შეძენა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და შენახვა, დევნილთა, ლტოლვილისა ან ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა რაოდენობის დაზუსტება, საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება;<br><br>რეპატრიანტის სტატუსის მქონე, ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა ფაქტობრივი რეპატრიაციის შემდგომ ადაპტაციისა და ინტერგაციის ხელშეწყობა;<br><br>არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ქონების კანონიერი მესაკუთრეებისთვის უფლებების აღდგენის მიმართულებით ღონისძიებების გატარება;<br><br>საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და |

| | |
|---|---|
| | გადმოსვენების ღონისძიებების ორგანიზება;<br><br>ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის ცნობიერების ამაღლება ქართული ენის, კულტურის, ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის სფეროში. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ეკომიგრანტების საცხოვრებლი სახლებით უზრუნველყოფა და დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია;<br><br>საქართველოში თავშესაფრის არსებული სისტემის მაქსიმალურად მიახლოება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან;<br><br>ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირებისთვისს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭება და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ვალდებულებების შესრულება, არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ქონების კანონიერი მესაკუთრეების იდენტიფიცირება და მათი უფლებების დაცვა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით განთავსების ცენტრს შეუძლია ერთდროულად მოემსახუროს 132 პირს, ხოლო წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 300-მდე ბენეფიციარს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში განთავსების ცენტრი მოემსახურება 250- 300-მდე ბენეფიციარს;<br>**შესაძლო რისკები** - თავშესაფრის მაძიებელთა დაბალი მაჩვენებელი<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 200 დაბრუნებული ქართველი მიგრანტი სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნით სარგებლობს სხვადასხვა სახის მომსახურებით, მათ შორის: სამედიცინო მომსახურება, შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება, ბენეფიციარებისთვის პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; დაბრუნებისთანავე დროებითი განთავსება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 200-მდე დაბრუნებულ ქართველ მიგრანტს სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნით გაეწევა სხვადასხვა სახის მომსახურება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურება, შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება, ბენეფიციარებისთვის პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; დაბრუნებისთანავე დროებითი განთავსება;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი მიმართვიანობა<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - გაიხსნა ინტეგრაციის ცენტრი, სადაც საერთაშორისო დაცვის მქონე 100 პირი შეისწავლის ქართულ ენას, აუმაღლდებათ ცნობიერება კულტურასა და ისტორიაში, გაეცნობიან საქართველოს კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროს, გაეწევათ კონსულტაცია სხვადასხვა მიმართულებით; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო დაცვის მქონე 100 პირი შეისწავლის ქართულ ენას, აუმაღლდებათ ცნობიერება კულტურასა და ისტორიაში, გაეცნობიან საქართველოს კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროს, გაეწევათ კონსულტაცია სხვადასხვა მიმართულებით;<br>**შესაძლო რისკები** - საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა დაბალი მომართვიანობა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - განსახლების მოთხოვნით სამინისტროს მომართა 4000-მდე ოჯახმა, საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 90 ოჯახი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საცხოვრებლით დაკმაყოფილდება ეკომიგრანტთა 90-100-მდე ოჯახი;<br>**შესაძლო რისკები** - საცხოვრებელ სახლებზე საბაზრო ფასების ზრდა |

| **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (21 00)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ინსტრუმენტების განხორციელება. ჩართულობის სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; შერიგებისა და ნდობის აღდგენის ახალი ინიციატივების მომზადება/წარდგენა/განხორციელება; შერიგებისა და ნდობის აღდგენის კუთხით სხვადასხვა ფონდების შექმნის კოორდინაცია; საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის უზრუნველყოფა. ორმხრივი ქართლ-აფხაზური, ქართულ-ოსური დიალოგის წარმართვა. შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; საერთაშორისო ორგანიზაციების ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩართულობის და საქმიანობის ხელშეწყობა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობის კოორდინაცია. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების ორგანიზება; საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა და კოორდინაცია; 69 ჟენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა. გალში და ერგნეთში გამართული ინცინდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში მონაწილეობა; შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ფინანსური დახმარების მობილიზების ხელშეწყობა; სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელწმიფო სტრატეგიისა და 2015-2020წწ. სამოქმედო გეგმის“ განხორციელების კოორდინირება/ხელშეწყობა: ეთნიკური უმცირესობების თანაბარი და აქტიური სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება; ეთნიკური უმცირესობების წვდომის ხელშეწყობა განათლების ყველა საფეხურზე; სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში და ამ მიზნით სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების განხორციელებაში ხელშეწყობა; არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა; ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება სხავადასხვა საკითხების შესახებ, მათ შორის: განათლების, სოფლის მეურნეობის, ევროინტეგრაციის, |

| | |
|---|---|
| | გენდერული თანასწორობის, სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის, ეთნიკური უმცირესობების უფლებების; „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ („1+4“ პროგრამით) მოსარგებლე პირებისთვის“ სტაჟირების პროგრამის განხორციელება; კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების ხელშეწყობა/განხორციელება; ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა/განხორციელების უზრუნველყოფა; |

| **დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (34 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;<br><br>საცხოვრებლით უზრუნველყოფილ დევნილთა სასოფლო სამეურნეო და/ან თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტების დაფინანსება;<br><br>სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში დევნილთა ჩარიცხვის ხელშეწყობა და ჩარიცხული დევნილების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა;<br><br>დევნილთა ცნობიერების ამაღლება საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისაკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების შესახებ. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 200-მდე ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება საარსებო წყაროებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციართა დაბალი ინტერესი<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 300 იძულებით გადაადგილებულ პირს აუნაზღაურდა ტრანსპორტირების ხარჯი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 500-მდე იძულებით გადაადგილებული პირს აუნაზღაურდება ტრანსპორტირების ხარჯი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 30%;<br>**შესაძლო რისკები** - პროფსიულ კოლეჯებში ჩარიცხულ დევნილთა მომართვიანობის დაბალი დონე |

| | |
|---|---|
| | 3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მოეწყო 4 საინფორმაციო კამპანია საარსებო წყაროების პროგრამების და მათი მიმწოდებლების შესახებ, რის შედეგადაც ინფორმირებულ იქნა 230 000 პირი, რომელთაგანაც 40% ქალია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მოეწყობა 4 საინფორმაციო კამპანია საარსებო წყაროების პროგრამების და მათი მიმწოდებლების შესახებ, რის შედეგადაც ინფორმირებულ იქნა 170 000 პირი;<br>**შესაძლო რისკები** - სამიზნე მოსახლეობის დაბალი ინტერესი |

## კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 39 02 | სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები | 152,880.0 | 151,940.0 | 940.0 | 127,960.0 | 128,160.0 | 128,360.0 |
| 33 02 | ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ | 88,911.0 | 78,885.0 | 10,026.0 | 74,227.0 | 75,227.0 | 75,227.0 |
| 42 01 | მაუწყებლობის ხელშეწყობა | 56,043.0 | 52,100.0 | 3,943.0 | 57,150.0 | 64,865.0 | 68,041.0 |
| 33 04 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა | 20,724.0 | 14,895.0 | 5,829.0 | 20,725.0 | 20,865.0 | 21,065.0 |
| 45 01 | სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი | 14,683.0 | 14,683.0 | - | 14,683.0 | 14,683.0 | 14,683.0 |
| 39 03 | სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები | 6,710.0 | 6,710.0 | - | 6,710.0 | 6,710.0 | 6,710.0 |
| 55 00 | სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო | 5,330.0 | 5,330.0 | - | 5,330.0 | 5,330.0 | 5,330.0 |
| 33 01 | კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა | 4,850.0 | 4,850.0 | - | 5,045.0 | 5,045.0 | 5,045.0 |
| 39 04 | ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები | 4,580.0 | 4,200.0 | 380.0 | 4,500.0 | 4,500.0 | 4,500.0 |
| 39 01 | სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 2,850.0 | 2,850.0 | - | 2,850.0 | 2,850.0 | 2,850.0 |
| 45 09 | საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი | 2,304.0 | 2,304.0 | - | 2,304.0 | 2,304.0 | 2,304.0 |
| 45 08 | საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი | 2,000.0 | 2,000.0 | - | 2,000.0 | 2,000.0 | 2,000.0 |
| 45 03 | ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი | 1,768.0 | 1,768.0 | - | 1,768.0 | 1,768.0 | 1,768.0 |
| 45 04 | საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს | 959.0 | 959.0 | - | 959.0 | 959.0 | 959.0 |

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი | | | | | | |
| 45 11 | საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები | 800.0 | 800.0 | - | 800.0 | 800.0 | 800.0 |
| 45 13 | ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი | 653.0 | 653.0 | - | 653.0 | 653.0 | 653.0 |
| 45 12 | ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი | 500.0 | 500.0 | - | 500.0 | 500.0 | 500.0 |
| 45 06 | საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი | 447.0 | 447.0 | - | 447.0 | 447.0 | 447.0 |
| 45 02 | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი | 295.0 | 295.0 | - | 295.0 | 295.0 | 295.0 |
| 45 05 | საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი | 261.0 | 261.0 | - | 261.0 | 261.0 | 261.0 |
| 45 07 | წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი | 230.0 | 230.0 | - | 230.0 | 230.0 | 230.0 |
| 45 10 | ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი | 100.0 | 100.0 | - | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| **სულ** | | **367,878.0** | **346,760.0** | **21,118.0** | **329,497.0** | **338,552.0** | **342,128.0** |

| სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (39 02) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზდების ეროვნული ცენტრი; სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი; სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ ქართული სპორტის მუზეუმი; ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის სახეობების განვითარება, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი და ქალთა ნაკრებებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა;<br><br>ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები);<br><br>საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდა;<br><br>ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშებისათვის ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;<br><br>პარასპორტსმენთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება;<br><br>საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადება;<br><br>ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია;<br><br>უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ევროპის საგანმანათლებლო მოდელის პოპულარიზაცია და დანერგვა, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;<br><br>ფეხბურთის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და კონკურენტუნარიანი თავისუფალი საფეხბურთო ბაზრის შექმნა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები; მიღწეული მაღალი სპორტული შედეგები; |

| | |
|---|---|
| | განვითარებული სპორტული ინფრასტრუქტურა; სპორტის მასობრიობის მაჩვენებლის ზრდა;<br><br>სპორტის პოპულარიზაცია: |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მონაწილეობა 1500-მდე ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებაში (შეჯიბრი, საწვრთნელი შეკრება);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მონაწილეობა 2000-მდე ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებაში (შეჯიბრი, საწვრთნელი შეკრება);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება, დოპინგი, სპორტსმენის ტრავმა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - რეგულარულ სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულია მოსახლეობის 18%. 40 - ზე მეტი ჩატარებული მასობრივი ღონისძიება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგულარულ სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულია მოსახლეობის 18%. 80 - ზე მეტი ჩატარებული მასობრივი ღონისძიება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს რეგიონებში 3 სპორტის სასახლე (ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად ანაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულების 30%); 10 რაგბის/ფეხბურთის მოედანი (ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად ანაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულების 30%); 24 გარე სავარჯიშო მოწყობილობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს რეგიონებში 3 სპორტის სასახლე (ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად ანაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულების 100%); 10 რაგბის/ფეხბურთის მოედანი (ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად ანაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულების 100%); 45 გარე სავარჯიშო მოწყობილობა;ჭიდაობის სახლი: სპორტული მედიცინის რეაბილიტაციის ცენტრი (100 %);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%;<br>**შესაძლო რისკები** - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სპორტის სფეროში უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების 630 სტუდენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სპორტის სფეროში უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების 1600 სტუდენტი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - სტუდენტთა სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა |

## ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (33 02)

| | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; სსიპ ორგანიზაციები |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში კულტურის და ხელოვნების სფეროების მდგრადი განვითარებისა და „კულტურის სტრატეგია - 2025“-ის შესაბამისად კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.<br><br>საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ქართული კულტურისა და ხელოვნების ინტეგრაცია.<br>ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა.<br><br>საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლება, კულტურული და სახელოვნებო ღონისძიებების მეშვეობით;<br>კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარება;<br><br>სახელოვნებო ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;<br><br>საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში კულტურული პროგრამების, პროექტების მხარდაჭერა.<br><br>ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავება და თანმშრომლობა; |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ხელოვნების დარგების განვითარება, ხელოვნების პოპულარიზაციის ამაღლება, ქვეყანაში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ხელოვნებაში ახალი სახეების, ფორმების და გამომსახველობითი საშუალებების წარმოჩენა, სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციების რეპერტუარის მრავალფეროვნება და ახალი ნაწარმოებებით შევსება, საერთაშორისო სივრცეში საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის, პოპულარულობის ამაღლება, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავება, რეგიონების სახელოვნებო ინსტიტუციების, ორგანიზაციების, კოლექტივების პოპულარულობის, ქვეყნის ერთიან კულტურულ სივრცეში ჩართულობის და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა. სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციების ინფრასტუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მოწესრიგება, მათი უსაფრთხო, სრულყოფილი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის მომზადება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - აქტივობების რაოდენობა (საერთაშორისო, თეატრალური, მუსიკალური, კინო, ლიტერატურული ფესტივალები; გამოფენები, კონკურსები, გამოცემები, ახალი დადგმები, გასტროლები, საიუბილეო ღონისძიებები; შშმპ და ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა; საქართველოს რეგიონებში კულტურული ღონისძიებები) - 3 673 -მდე; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - აქტივობების რაოდენობა (საერთაშორისო, თეატრალური, მუსიკალური, კინო, ლიტერატურული ფესტივალები; გამოფენები, კონკურსები, გამოცემები, ახალი დადგმები, გასტროლები, საიუბილეო ღონისძიებები; შშმპ და ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა; საქართველოს რეგიონებში კულტურული ღონისძიებები) - 3 685-მდე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%;<br>**შესაძლო რისკები** - ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა, შესყიდვების პროცედურის უარყოფით შედეგით დასრულება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 4 ობიექტის ინფრასტრუქტურის განვითარება განახლება; 4 ობიექტის ტექნოლოგიური აღჭურვა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 4 ობიექტის ინფრასტრუქტურის განვითარება განახლება; 4 ობიექტის ტექნოლოგიური აღჭურვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%;<br>**შესაძლო რისკები** - შემსრულებლისგან სახელშეკრულებო პირობების დარღვევა/შეუსრულებლობა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ფიზიკური სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები |

| **მაუწყებლობის ხელშეწყობა (42 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო; სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადება და გაშუქების უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | უწყვეტი ეთერის უზრუნველყოფა, საზოგადოებისათვის ხარისხიანი საინფორმაციო და ტელეგადაცემების მიწოდება. |

| **კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (33 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; საქართველოს მუზეუმები; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | „კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ქვეყნის სამუზეუმო სისტემის საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში ინტეგრაციის, მისი თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვების და დღეს არსებული პრობლემური ასპექტების მოწესრიგების აუცილებლობა. |

| | |
|---|---|
| | საქართველოს მუზეუმების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დაცვა და პოპულარიზაცია, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის პრევენციული ზომების მიღება, ღონისძიებების გატარება მუზეუმების პოპულარიზაციისთვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება.<br><br>საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საერთაშორისო კონვენციებით აღებული ვალდებულებების შესრულება.<br><br>ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენა;<br><br>უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება;<br><br>საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა-განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;<br><br>UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, მათ შორის UNESCO-ს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის შესაბამისი ღონისძიებებისგან ხორციელება და მენეჯმენტის გეგმის მომზადება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შემუშავება.<br><br>საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის მუდმივი განახლება და გაფართოება;<br><br>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა;<br><br>კულტურული ტურიზმის განვითარებისა და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიზნით გატარებული შესაბამისი ღონისძიებები; მოწესრიგებული მატერიალური ბაზები; კონსერვირებული და რესტავრირებული სამუზეუმო ფასეულობა, მუზეუმებში ვიზიტორთა და შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა; „კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებული და განხორციელებული სამოქმედო გეგმები, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენა, უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება,კულტურული |

| | |
|---|---|
| | მემკვიდრეობის რესტავრირებული ძეგლები/კომპლექსები, ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებებით აღებული ღონისძიებების განხორციელება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული ასახული მონაცემები საინფორმაციო სივრცეში; დანერგილი ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტები; გამოვლენილი და აღკვეთილი უნებართვო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე; კულტურული ტურიზმისათვის შექმნილი მიმზიდველი გარემო, ვიზიტორებისა და შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** რესტავრირებული და კონსერვირებული 300-მდე ექსპონატი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** რესტავრირებული და კონსერვირებული 300-ზე მეტი ექსპონატი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 10%;<br>**შესაძლო რისკები -** ნივთის დაზიანების ხარისხი<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 7% (გადაუდებელი სამუშაოები, სარეაბილიტაციო, არქეოლოგიური სამუშაოების პროცესში გამოვლენილი ახალი გარემოებები);<br>**შესაძლო რისკები -** კლიმატური პირობები, შესყიდვის პროცედურები, ძეგლების მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით (სტიქია, ვანდალიზმი და სხვა)<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - 967 000-მდე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - 1 139 000-მდე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** მუზეუმების საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არქონა |

## მუზეუმების ხელშეწყობა (33 04 01)

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; საქართველოს მუზეუმები |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ქვეპროგრამით დაგეგმილი ღონისძიებების გატარება, ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეთა ქვეყნის სამუზეუმო ცხოვრებაში შეუზღუდავ მონაწილეობასა და სამუზეუმო სივრცეში არსებული პრობლემების მოგვარების აქტიურ პროცესს. ასევე, მისი მიზანია: ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საზოგადოების ცნობადობის ასამაღლებლად სხვადასხვა მიმართულების გამოფენების ორგანიზება. მუზეუმებში დაცული კულტურულ ფასეულობათა დაცვა საერთაშორისო ნორმებით მიღებული სტანდარტებით. |
| **პროექტის მოსალოდნელი უალედური შედეგი** | მუზეუმების მოწესრიგებული მატერიალური ბაზები; მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის რესტავრირებული და კონსერვირებული ნიმუშები; სსიპ მუზეუმებში პილოტირებული და დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის სისტემა (eGMC), საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით განვითარებული სამუზეუმო მენეჯმენტი; |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მუზეუმების მიერ განხორციელებული აქტივობა (გამოფენები, ახალი ექსპოზიციები, საჯარო ლექციები, საგანმანათლებლო პროგრამები, ექსპედიციები და სხვა) - 340;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მუზეუმების მიერ განხორციელებული აქტივობა (გამოფენები, ახალი ექსპოზიციები, საჯარო ლექციები, საგანმანათლებლო პროგრამები, ექსპედიციები და სხვა) - 340;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - მუზეუმების საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მუზეუმების მატერიალური ბაზის მოწესრიგება - 7-მდე მუზეუმში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მუზეუმების მატერიალური ბაზის მოწესრიგება - 5-მდე მუზეუმში;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - სპონსორის მიერ პირობის შეუსრულებლობა, შენობის მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - რესტავრირებული და კონსერვირებული 300-მდე ექსპონატი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - რესტავრირებული და კონსერვირებული 300-ზე მეტი ექსპონატი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ნივთის დაზიანების ხარისხი<br>4.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - 600 000-მდე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - 600 000-მდე; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** ქვეყანაში ტურისტების ნაკადის შემცირება, ადგილობრივი ვიზიტორების დაბალი ინტერესი მუზეუმისადმი<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემის (eGMC) ექსპონატების რეგისტრაცია - 5 000-მდე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემის (eGMC) ექსპონატების რეგისტრაცია - 5 000-მდე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5% (შესაბამისი ტექნიკის არქონა);<br>**შესაძლო რისკები -** რეგიონებში კომპიუტერული ტექნიკის არქონა |

| **კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (33 04 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია; ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება, საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა-განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით; UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება; მენეჯმენტის გეგმის მომზადება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შემუშავება. UNESCO-ს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შევსება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა; კულტურული მემკვიდრეობის შესწავლილი, სისტემატიზებული ნიმუშები, ობიექტები და ძეგლები, მუზეუმების/მუზეუმ-ნაკრძალების რეაბილიტაცია-რევიტალიზაცია და ექსპოზიციათა განახლება; ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები, საერთაშორისო ექსპერტების მიერ რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შეფასება; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში |

| | |
|---|---|
| | საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის ღონისძიებების განხორციელება და ქართველი სპეციალისტებისათვის უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემების ასახვა საინფორმაციო სივრცეში; ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა; გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები, მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით; კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 7% (გადაუდებელი სამუშაოები, სარეაბილიტაციო, არქეოლოგიური სამუშაოების პროცესში გამოვლენილი ახალი გარემოებები, სავარაუდო აღმოჩენები);<br>**შესაძლო რისკები** - პირობები, შესყიდვის პროცედურები, ძეგლების მდგომარეობის გაუარესება წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით (სტიქია, ვანდალიზმი და სხვა)<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის/რეინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია, შესწავლილია, სისტემატიზებულია 100-მდე ნიმუში, ობიექტი და ძეგლი და ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო ბაზაში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის/რეინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია, შესწავლილია, სისტემატიზებულია 100-მდე ნიმუში, ობიექტი და ძეგლი და ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო ბაზაში;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 7% (კლიმატური პირობები, საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული რეგულაციები);<br>**შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, შესყიდვის პროცედურები<br>3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - აღკვეთილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 50-მდე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - აღკვეთილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 50-მდე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 7% (კლიმატური პირობები, საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული რეგულაციები); |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები -** კლიმატური პირობები, საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული რეგულაციები<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ვიზიტორთა რაოდენობა 367 000; 10-მდე მნიშვნელოვანი სამუზეუმო გამოფენის მოწყობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ვიზიტორთა რაოდენობა 405 000; 10-მდე მნიშვნელოვანი სამუზეუმო გამოფენის მოწყობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 7%;<br>**შესაძლო რისკები -** სავიზო რეგულაციების დაწესება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არქონა |

| **სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი (45 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდის მიზნით საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაციის ( სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები,დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები) დაფინანსება საქართველოს სხვადასხვა (მ.შ. მაღალმთიან) რეგიონებში. |

| **სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (39 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების და პრიზიორების, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების დახმარება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ფინანსურად უზრუნველყოფილი ოლიმპიური ჩემპიონები, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევით დაინტერესებული ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრები;<br><br>სოციალურად უზრუნველყოფილი ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები;<br><br>მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელები; |
| **საბოლოო შედეგის შეფასების** | |

| | |
|---|---|
| **ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო სტიპენდიას იღებს 732 ბენეფიციარი (ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები; მოქმედი წამყვანი სპორტსმენები და მწვრთნელები, ნაკრებების მომსახურე პერსონალი );<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო სტიპენდიას იღებს 732 ბენეფიციარი (ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები;მოქმედი წამყვანი სპორტსმენები და მწვრთნელები, ნაკრებების მომსახურე პერსონალი );<br>**შესაძლო რისკები** - 0<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო დახმარებას იღებს 770 ბენეფიციარი (ვეტერანი სპორტის მუშაკი და მაღალმთიან დასახლებაში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელი);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო დახმარებას იღებს 790 ბენეფიციარი (ვეტერანი სპორტის მუშაკი და მაღალმთიან დასახლებაში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელი) |

| **სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (55 00)** | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;<br><br>რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;<br><br>საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების უზრუნველყოფა; |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნა და წარმოება;<br>უფლებამოსილი ორგანიზაციებისათვის რეკომენდაციების გაცემა რელიგიურ - საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის  განსაზღვრის და სხვადასხვა შენობება-ნაგებობის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე;<br>წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში ტოლერანტული გარემოსა და შემწყნარებლობის მხარდასაჭერად;<br>რელიგიურ გაერთიანებათა შორის ინტერრელიგიური და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება. |

## კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (33 01)

| | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მომსახურების სისწრაფის და ხარისხის ამაღლების მიზნით სამინისტროს არქივში არსებული დოკუმენტაციის (ტექსტური, ფოტო, პოლიგრაფიული) ციფრულ ფორმატში გადაყვანა/დიგიტალიზაცია, მონაცემთა ბაზის შექმნა და ინფორმაციის განთავსება;<br><br>ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა. სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიიზაციების ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვა.<br><br>სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციებთან სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებისა და არასაბიუჯეტო შემოსავლების ფარგლებში ფუნქციური ხელშეკრულებების გაფორმება, კოორდინაცია და ანგარიშგება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | არქივის ელექტრონული ბაზის შექმნა, სამუშაო პროცესის გამარტივება.<br>ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემაში ჩართული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (20-25).<br>საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ფინანსური და შემოქმედებითი ურთიერთობის გაღრმავება, გამჭირვალობა, ბიუჯეტის დაგეგმვა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - იდენტიფიცირებული - დასამუშავებელი საარქივო დოკუმენტაცია, საარქივო პროგრამა და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არქივში არსებული დოკუმენტაციის (1980 წლიდან) ციფრულ ფორმატში გადაყვანილი/დიგიტალიზირებული, შექმნილი მონაცემთა ბაზა და ბაზაში-განთავსებული ინფორმაცია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%;<br>**შესაძლო რისკები** - სამუშაო პროცესში გამოვლენილი გაუთვალისწინებელი ფაქტორები (დასასკანერებელი საარქივო დოკუმენტაციის ხანდაზმულობიდან გამომდინარე სამუშაო გრაფიკის შეფერხება,)<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემში ჩართული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (3);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემში ჩართული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (20);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 15%;<br>**შესაძლო რისკები** - - საჯარო სამართლის იურიდიული პირების მხრიდან გაუთვალისწინებელი პრობლემები |

| | |
|---|---|
| | 3.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამინისტროს სისტემაში შემავალი 86 ორგანიზაციასთან სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებისა და არასაბიუჯეტო შემოსავლების ფარგლებში ფუნქციური ხელშეკრულებების გაფორმება, კოორდინაცია და ანგარიშგება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამინისტროს სისტემაში შემავალი 86 ორგანიზაციასთან სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებისა და არასაბიუჯეტო შემოსავლების ფარგლებში გაფორმებული ფუნქციური ხელშეკრულებები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3%;<br>**შესაძლო რისკები** - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |

| **ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (39 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატი; სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი; სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობით ახალგაზრდებში სხვადასხვა უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა;<br><br>ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა, ახალგაზრდული მუშაკების გადამზადება და სერტიფიცირება, ახალგაზრდებში მოხალისეობრივი უნარჩვევების განვითარება, მოხალისეობის კულტურის პოპულარიზება;<br><br>ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მოზარდებსა და ახალგაზრდებზე ზრუნვის ხელშეწყობა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბების და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით შემოქმედებითი და დასვენება გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება;<br><br>კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით; |

| | |
|---|---|
| | სხვადასხვა ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება;<br><br>პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა;<br><br>ბანაკების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;<br><br>პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალის“ ფარგლებში კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების განვითარება, საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სამსახურზე გადასვლის სისტემის განვითარება, ახალგაზრდების დასაქმებისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, პროფესიული შესაძლებლობების ზრდა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - განცორციელებული პროექტების 90 000 ბენეფიციარი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - განსახორციელებელი პროექტების 146 000 ბენეფიციარი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 3-15%;<br>**შესაძლო რისკები** - სახელმწიფო ტენდერების განხორციელებით შესყიდული მომსახურების ხარისხსა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები; კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის გამოცდილება და პროექტის ხარისხი |

| **სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (39 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სამინისტროს პროგრამების შეუფერხებელი განხორციელება;<br><br>ფიზიკური აღრზდისა, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია;<br><br>სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა; |

| | |
|---|---|
| | პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა;<br><br>სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა (დოპინგი) გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება;<br><br>სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;<br><br>ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება; |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს სახელმწიფო მართვის მოქნილი და ეფექტიანი სისტემა; სფეროებში განხორციელებული კვლევები; სპორტის პოპულარიზაციის დონე ქვეყანაში და სპორტსა და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა; პროფესიულ სპორტში მიღწეული შედეგები; შემოქმედებითი აზროვნების მქონე და სამოქალაქო აქტივობისათვის მოტივირებული ახალგაზრდობა;<br><br>. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სპორტის და ახალგაზრდობის სფეროში და საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს დამტკიცებული სპორტის და ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები. ახალგაზრდობის სფეროში მთავრობის მიერ დამტკიცებული 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა. სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სტანდარტიზაცია (50%);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადებული და მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი სპორტის და ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები 2021-2025 წლებისთვის. განხორციელებული კვლევები სპორტის და ახალგაზრდობის სფეროში. სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სტანდარტიზაცია (100%); |

## საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

*ათას ლარებში*

| **კოდი** | **დასახელება** | **2018 წლის პროექტი** | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | **2019 წლის პროგნოზი** | **2020 წლის პროგნოზი** | **2021 წლის პროგნოზი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28 01 | საგარეო პოლიტიკის განხორციელება | 114,115.0 | 113,615.0 | 500.0 | 117,000.0 | 120,000.0 | 123,000.0 |
| 20 00 | ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 2,950.0 | 2,950.0 | - | 2,950.0 | 2,950.0 | 2,950.0 |
| **სულ** | | **117,065.0** | **116,565.0** | **500.0** | **119,950.0** | **122,950.0** | **125,950.0** |

## საგარეო პოლიტიკის განხორციელება (28 01)

| | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა; საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით კონფლიქტის ესკალაციის პრევენცია და მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციის პოლიტიკის განხორციელება;<br>საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება;<br>საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა;<br>იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების ხელშეწყობა;<br>ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა;<br>ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება;<br><br>ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;<br><br>ნატო-ში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა;<br><br>აშშ–თან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება და აშშ-ს როლის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში;<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) ფარგლებში საქართველოსთან დაკავშირებული თემების შენარჩუნება და აქტუალიზაცია;<br>აზერბაიჯანთან, თურქეთთან და სომხეთთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება;<br><br>რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დეესკალაცია;<br><br>აზიის, ახლო აღმოსავლეთის, ოკეანეთის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა/საქართველოს ცნობადობის გაზრდა.<br><br>პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ქართული ექსპორტისა და საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება, საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია, გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობით, მრავალმხრივ ფორმატებში ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა; |

| | |
|---|---|
| | საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა;<br><br>დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის განვითარების უზრუნველყოფა.<br><br>საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტური მომსახურება და კრიზისულ სიტუაციებში შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით მუშაობის გაუმჯობესება; |

| **საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (28 01 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს საგარეოს საქმეთა სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | გაეროს დარჩენილ წევრ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება;<br><br>ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში სამუშაო ჯგუფების შეუფერხებელი ფუნქციონირება და დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე საგნობრივი დისკუსიების გამართვა;<br>საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაცია და ასოცირების ახალი დღის წესრიგით (2017-2020) ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება;<br><br>საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ინტენსიფიკაცია; ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება;<br><br>„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს აქტიური მონაწილეობა;<br><br>სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შემდგომი მონიტორინგის პროცესში თანამშრომლობა ევროკომისიასთან, რეგულარული ანგარიშგება და აქტიური ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან;<br><br>საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში ალიანსთან პრაქტიკული და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება;<br><br>2018 წლის ნატო-ს სამიტზე მოკავშირეების მხრიდან საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეული |

| | |
|---|---|
| | პროგრესის დაფიქსირება;<br><br>ნატო-საქართველოს „არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ განხორციელების ხელშეწყობა; ნატო-ს წევრ ქვეყნებთან აქტიური პოლიტიკური კონსულტაციების წარმოება;<br><br>წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების სათანადოდ წარმოჩენა;<br><br>საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების მიზნით ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარება და ინტენსიფიკაცია;<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების, ასევე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში მათი როლის გაძლიერების მიზნით;<br>საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ომით დაშორიშორებულ საზოგადობებს შორის ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების მიზნით; საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში საქართველოს აქტიური მონაწილეობა და წარმომადგენლობითობის გაზრდის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კამპანიების წარმოება;<br>საქართველოს ცნობადობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში;<br>ეუთოს როლის გაზრდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში;<br>ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში გაერო-ს და ეუთო-ს ჩართულობის უზრუნველყოფა;<br>ევროპის საბჭოს 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება.<br>საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უცხო ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტების მიერ უკანონო საქმიანობისა და კონტაქტების დამყარების პრევენცია;<br><br>აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან, როგორც უმაღლესი და მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის, ისე სტრატეგიული პარტნიორობის ყველა მიმართულებით მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნება და გამყარება;<br><br>სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება დემოკრატიისა და მმართველობის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის, ასევე ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების მიმართულებებით და ახალი პროექტების დაგეგმვა;<br><br>აშშ-ის მხარდაჭერისა და დახმარების ზრდა;<br><br>აშშ-ის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე ბიზნეს წრეებთან, მედიასთან, |

| | |
|---|---|
| | არასამთავრობო სექტორთან და კვლევით ორგანიზაციებთან მჭიდრო და ქმედითი თანამშრომლობა;<br><br>მუშაობის გაგრძელება მაღალი დონის სავაჭრო და საინვესტიციო დიალოგის ფარგლებში, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მომავალში გაფორმების მიზნით;<br><br>ინტენსიური მუშაობა აშშ-ის მხარდაჭერის გასაძლიერებლად თანამშრომლობის მრავალმხრივ ფორმატებში.<br><br>ექსპორტის მხარდაჭერა;<br><br>უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;<br><br>ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;<br><br>სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში მრავალმხრივი თანამშრომლობა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება;<br><br>ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიების გამართვის მეშვეობით;<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება,<br><br>საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს წარმოჩენა, როგორც მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურის მქონე ქვეყნის, რომელიც ევროპული კულტურული სივრცის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;<br><br>საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს მეტი ჩართულობის ხელშეწყობა;<br><br>ძალისხმევა, როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში საერთაშორისო კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარებისა და ერთობლივი საერთაშორისო პროექტების ხელშეწყობის მიმართულებით;<br><br>საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის, მათი რესტავრაცია/კონსერვაციის მიზნით ერთობლივი პროექტების შემუშავების ხელშეწყობა;<br><br>აქტიური თანამშრომლობა გაერთიანებული ერების განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO); |

| | |
|---|---|
| | თანამშრომლობა ფრანკოფონიასთან, CPLP-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მუშაობა UNESCO-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში აქტიურად ჩართვის მიზნით.<br><br>თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების ერთობლივი ინტერესების განხორციელება, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა თანამემამულეთა უფლებების რეალიზაციის, ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების, დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის;<br><br>სახელმწიფოსა და დიასპორას შორის ორმხრივ სარგებლიანობაზე დაფუძნებულ მდგრადი კავშირის ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს თანამემამულეებისათვის სახელმწიფოს ფართო შესაძლებლობებზე მაქსიმალურ წვდომას, საქართველოსათვის კი სახელმწიფო ინტერესების ეფექტიან გახორციელებას.<br><br>საზღვარგარეთ საკონსულო სამსახურების გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება;<br><br>სამართლებრივი ბაზის დახვეწა და საკონსულო სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავება;<br><br>საკონსულო საქმიანობის განხორციელების/ გადაფარვის არეალის გაზრდა;<br><br>საქართველოს მოქალაქეთათვის საზღვარგარეთ თავისუფალი გადაადგილების არეალის გაფართოება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუციებისა და სხვა დოკუმენტების მიღება;<br>ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტიანობის გაზრდა და დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე პროგრესის მიღწევა;<br>საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების მიმართულებით;<br>საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შემდგომი გატარება;<br>საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ზონებში უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ მდგომარეობაზე;<br>საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ გადაფარვის არეალის გაზრდა;<br><br>საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება და შემდგომი გაძლიერება;<br>საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირთა |

| | |
|---|---|
| | პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე, მათ შორის გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ შესაბამისი რეზოლუციის მიღება;<br>საერთაშორისო თანამეგობრობის ხელშეწყობით, ნდობის აღდგენისა და ჩართულობის პოლიტიკის მიმართულებით პროექტების განხორციელება;<br>ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების  და ასოცირების დღის წესრიგის იმპლემენტაციისთვის შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმით 2018 წელს გათვალისწინებული აქტივობების/ვალდებულებების  შესრულება;<br><br>2018 წლის განმავლობაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს აქტიური მონაწილეობა;<br>საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში სხდომების გამართვა;<br>მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტების განხორციელება;<br>ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შემდგომი შესრულება;<br>თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში თანამშრომლობის გაღრმავება;<br>ევროკავშირის სპეცილიზირებულ სააგენტოებში და ევროკავშირის მოქმედ პროგრამებში საქართველოს ჩართულობის გაზრდა;<br>ევროკომისიასა და საქართველოს დარგობრივ სამინისტროებს შორის  რეგულარული  შეხვედრების გამართვა.<br><br>ნატოს წევრი ქვეყნების ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლებიც მზად იქნებიან შემდგომ სამიტზე საქართველოს საკითხის ლობირებისთვის;<br><br>„არსებითი პაკეტით“ გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება;<br><br>წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) წარმატებით განხორციელების შედეგად ნატოს სტანდარტებთან მიახლოვება.<br><br>აშშ–სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელება;<br><br>ქარტიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ინიციატივების ორმხრივ ხელშეკრულებებში ასახვა და ამ ხელშეკრულებების პუნქტების იმპლემენტაციის დაწყება;<br><br>საქართველოს მხარდაჭერის ზრდა აშშ-ის აღმასრულებელ და საკანონმდებლო, ასევე, კვლევით, არასამთავრობო, ბიზნეს და მედია წრეებში; |

| | |
|---|---|
| | აშშ-ის მიერ პარტნიორებისთვის განკუთვნილი საგარეო დახმარების ფორმატში საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარების შენარჩუნება ან/და ზრდა;<br><br>აშშ-ის მიერ საქართველოს მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება და რეზოლუციების მიღება;<br><br>აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავება, საუკეთესო შემთხვევაში მოლაპარაკებების დაწყება ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების მიზნით;<br><br>ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან სხვადასხვა ვიზიტების, კონსულტაციების თუ სხვა სახის ღონისძიებების მეშვეობით მუდმივი კავშირების შენარჩუნება და განმტკიცება;<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში საქართველოს მხარდამჭერი  რეზოლუციების და სხვა დოკუმენტების მიღება;<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი ინსტიტუტების ჩართულობა ქვეყანაში დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად;<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლობითობის გაზრდა;<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობით საქართველოს ცნობადობის გაზრდა;<br><br>საქართველოში, მათ შორის ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ზონებში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ასევე ეუთოსთან და გაეროსთან წევრი-სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლების ვიზიტების განხორციელება;<br><br>საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების ზრდა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანზიტო დერეფნების მნიშვნელობის გაზრდა;<br><br>საქართველოს საინვესტიციო გარემოს, ეკონომიკური რეფორმების, ადგილობრივი რესურსების, აგრეთვე საქართველოს საგარეო სავაჭრო და ევროკავშირის ბაზარზე შექმნილი პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების (მათ შორის, DCFTA, EFTA) შესახებ საერთაშორისო პარტნიორების ცნობადობის ამაღლება; |

| | |
|---|---|
| | საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კავშირების დამყარება;<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით ჩატარებული პროექტების რაოდენობის ზრდა.<br><br>საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში მაქსიმალურად ჩართვა;<br><br>საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ხელშეწობა;<br><br>იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტებსა და პროგრამებში ჩართვა.<br><br>თანამემამულეებისათვის სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დიასპორასთან დაკავშირებული საკითხების, წინადადებების, პროექტების შემუშავებაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;<br><br>დიასპორისათვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;<br><br>თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ პერიოდულად განახლებადი ელექტრონული ბაზის შექმნა და სრულყოფა;<br><br>დიასპორულ ორგანიზაციებთან და დიასპორის წარმომადგენლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება;<br><br>დიასპორული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;<br><br>თანამედროვე ტექნოლოგიების და ახალი მექანიზმების დანერგვა/ გაუმჯობესება;<br><br>საჭიროების მიხედვით, ახალი საკონსულო დაწესებულებების გახსნა და საპატიო კონსულების ქსელის გაფართოება;<br><br>უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებების გაფორმება პრიორიტეტულ ქვეყნებთან. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციები/განცხადებები/გადაწყვეტილებები |

| | |
|---|---|
| | **2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა აღიარებული აქვს 4 ქვეყანას;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების საფრთხის შემცირება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 40 რაუნდი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჟენევის მოლაპარაკებების გამართული რაუნდები<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 187 ქვეყანა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყნების რაოდენობა ვისთანაც დამყარებული გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები<br>**5.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში შერჩეული ქართველი კანდიდატების მონაწილეობა<br>**6.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება<br>**7.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ წლიური ეროვნული პროგრამის დადებითი შეფასება; საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის მხარდამჭერი ქვეყნების რაოდენობის გაზრდა<br>**8.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - აშშ-ის ადმინისტრაციისა და კონგრესის მიერ საქართველოს მხარდაჭერისა და დახმარების ზრდა. აგრეთვე, საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციებისა და განცხადებების მიღება; საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა; აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პრიორიტეტების ორმხრივ ხელშეკრულებებში ასახვა და მათი იმპლემენტაცია; აშშ-ის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია; სამომავლოდ საქართველოსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა<br>**9.**<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების მქონე ქვეყნების რაოდენობა<br>**10.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 58 ხელშეკრულება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სხვადასხვა სახელმწიფოებთან გაფორმებული ხელშეკრულებები<br>**11.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 72 მისია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და გადაფარვის ქვეყნების რაოდენობა |

| | |
|---|---|
| | 12.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაერო-ს 3 წევრ სახელმწიფოსთან (ბუტანის სამეფო, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა და ბარბადოსი) დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება<br>13.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციების არჩევით სტრუქტურებში საქართველოს კანდიდატურების რაოდენობა<br>14.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ საქართველოს საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად განხორციელებული ღონისძიებები - პრეზენტაციები, გამოფენები, ფორუმები, ბიზნეს-დელეგაციების ვიზიტები, თანამშრომლობით დაინტერესებული კომპანიების წინადადებები, მედია-კამპანიები; ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების სხდომების ოქმის შესრულება<br>15.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ, სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელებული კულტურული პროექტები, მათ შორის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიმართულებით; იუნესკოს ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და იუნესკოს მმართველ და დამხმარე ორგანოებში მონაწილეობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები<br>16.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დიასპორის კუთხით განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები<br>17.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საკონსულო სამსახურების მიერ მოქალაქეებისათვის საკონსულო მომსახურება და, ასევე, კრიზისულ ან გადაუდებელ სიტუაციებში გაწეული დახმარების ეფექტიანობის ზრდა; საქართველოს მოქალაქეთათვის საკონსულო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა; საქართველოს მოქალაქეების უცხოეთში ლეგალურად მოგზაურობისა და ყოფნის შესაძლებლობის ზრდა; რეადმისიის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართული ქვეყნების რაოდენობის გაზრდა |

| **საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (28 01 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური წევრობა ქვეყნის ეროვნული ინტერესების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. |
| **პროექტის მოსალოდნელი** | საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება საერთაშორისო არენაზე; პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მიღება. |

| | |
|---|---|
| **შუალედური შედეგი** | |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ფინანსური თუ სხვა ტიპის ვალდებულებების შესრულება<br>2.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, საქართველოში განხორციელებული პროექტები |

| **საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (28 01 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა/დამოწმება; სათარგმნი მასალების რაოდენობის და სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრების სინქრონული თარგმნით მომსახურების გაზრდა; გასაფორმებელი კონტრაქტების რაოდენობის გაზრდა; თარგმნის ხარისხის კიდევ უფრო მეტად დახვეწა; - თარჯიმანთა კვალიფიკაციის და გამოცდილების ამაღლება; მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების, ტრეინინგების ჩატარება; მაღალი ხარისხის თანამედროვე, სინქრონული და ციფრული აპარატურის შეძენა; კანონით განსაზღვრული არასაბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების, ტრეინინგების ჩატარება, შესაბამისი სპეციალისტების მოწვევით. შესასრულებელი შეკვეთების რაოდენობის გაზრდა; ხარისხის გაუმჯობესება - შემსრულებელთა კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ამაღლების გზით; თანამედროვე განმარტებითი და ტექნიკური ლექსიკონების, საცნობარო და მეთოდური ლიტერატურის შეძენა (საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით), თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონების შეძენა და მაღალი ხარისხის თანამედროვე, სინქრონული და ციფრული აპარატურის შეძენა, პრესკონფერენციებისა და სხვა შეხვედრების მაღალი ხარისხით ჩატარება |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბიუროში შემოსული და ნათარგმნი დოკუმენტების კლასიფიკაციის მიხედვით დახარისხება და დაარქივება<br>2.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაზრდა<br>3. |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი -** სათარგმნი მასალების რაოდენობის ზრდა |

| **ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2000)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების კოორდინაცია და შესრულების მონიტორინგი;<br><br>ევროკავშირთან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა და კოორდინაცია; ევროკავშირთან „პარტნიორობა მობილობისათვის“ ფარგლებში თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა და კოორდინაცია;<br><br>ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალის „საქართველოს ევროპული გზა“ გამოცემა;<br><br>ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება;<br><br>საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის სამართლებრივ ბაზასთან დაახლოება და სხვადასხვა სექტორში ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა;<br><br>სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და დემოკრატიულ განვითარებაში ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;<br><br>ევროკავშირის წევრ-ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა;<br><br>ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა ლეგალური გადაადგილებისა და ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობა;<br><br>ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისადმი საქართველოს მოსახლეობის მაღალი და გაცნობიერებული |

| | |
|---|---|
| | მხარდაჭერა;<br><br>საქართველოს გაწევრიანების მიმართ ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების გაზრდილი მხარდაჭერა;<br><br>ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია;<br><br>ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში წარმატებული თანამშრომლობის უზრუნველყოფა;<br><br>წლიური ეროვნული პროგრამის და წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტების შემუშავება;<br><br>წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების წარმატებით განხორციელება;<br><br>ნატოსთან და ნატოს წევრ ქვეყნებთან პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავება;<br><br>ნატოში ინტეგრაციის დინამიკის შენარჩუნების უზრუნველყოფა და ალიანსთან შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური დიალოგის წარმოება საბოლოო გაწევრიანების მიზნით. |

*ათას ლარებში*

| **კოდი** | **დასახელება** | **2018 წლის პროექტი** | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | **2019 წლის პროგნოზი** | **2020 წლის პროგნოზი** | **2021 წლის პროგნოზი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 37 07 | სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა | 98,680.0 | 98,680.0 | - | 100,000.0 | 120,000.0 | 140,000.0 |
| 37 05 | ერთიანი აგროპროექტი | 93,170.0 | 92,170.0 | 1,000.0 | 93,170.0 | 93,170.0 | 93,170.0 |
| 37 02 | სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა | 33,150.0 | 25,910.0 | 7,240.0 | 32,640.0 | 32,660.0 | 32,960.0 |
| 37 03 | მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება | 25,660.0 | 25,060.0 | 600.0 | 24,710.0 | 24,770.0 | 24,780.0 |
| 37 01 | სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა | 11,280.0 | 11,280.0 | - | 11,280.0 | 11,280.0 | 11,280.0 |
| 37 06 | სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები | 7,750.0 | 7,750.0 | - | 8,700.0 | 7,400.0 | 6,400.0 |
| 37 04 | სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება | 5,150.0 | 5,150.0 | - | 7,000.0 | 6,150.0 | 6,150.0 |
| **სულ** | | **274,840.0** | **266,000.0** | **8,840.0** | **277,500.0** | **295,430.0** | **314,740.0** |

| სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (37 07) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“; შპს „საქართველოს მელიორაცია“ |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მიზნით:<br><br>წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია;<br><br>სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით უზრუნველყოფა;<br><br>სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა და ფერმერების სწავლება;<br><br>გრანტების გაცემა პირველადი წარმოებისა და აგრობიზნესის განვითარებისათვის;<br><br>მიწის აღდგენითი სამუშაოების განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება;<br><br>სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;<br><br>ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება;<br><br>ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** წყალუზრუნველყოფილი ფართობი - 126,0 ათასი ჰექტარი; დაშრობილი ფართობი 38,7 ათასი ჰექტარი ;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი 11,5 ათასი ჰა. არსებულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება 2,6 ათასი ჰა. წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 5,0 ათასი ჰა. სარწყავი წყლის მიწოდების გაუმჯობესება - 10 000 ჰა; დამატებით სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი 1500 ჰა ფართობი; გაიცემა 50 მდე გრანტი კერძო პირებისათვის და 10 მდე გრანტი აგრობიზნესისათვის |

| სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა (37 07 01) |
|---|

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია;<br><br>შესაბამისი საინჟინრო კვლევების, პროექტირების, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ჩატარება;<br><br>სპეციალური ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების,მოწყობილობებისა და დამხმარე საშუალებების შეძენა სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველსაყოფად. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა;<br><br>წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;<br><br>სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება;<br><br>დაშრობილი მიწის ფართობის ზრდა; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება; |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება; |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - წყალუზრუნველყოფილი ფართობი - 126,0 ათასი ჰექტარი; დაშრობილი ფართობი 38,7 ათასი ჰექტარი; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე ) შესაძლებელი იქნება სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364.0 ათასამდე ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277.0 ათასი ჰა თვითდინებითი და 87.0 ჰა მექანიკური სისტემებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი 11.5 ათასი ჰა. არსებულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება 2.6 ათასი ჰა. წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 5.0 ათასი ჰა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%;<br>**შესაძლო რისკები** - შესყიდვის პროცედურების შეფერხება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები |

## სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია (37 07 02)

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | შპს „საქართველოს მელიორაციის“ სუბსიდირება სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების, მექანიკური სატუმბი სადგურების ფუნქციონირების მიზნით მოსახმარი ელექტროენერგიის ხარჯების, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძებებისთვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება, სარწყავ სეზონზე მომხმარებელთათვის მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის ბოლოსათვის გაწმენდილი და მოწესრიგებული სავარაუდოდ 1,1 ათასი კილომეტრი სიგრძის სარწყავი და სადრენაჟე არხი; გარემონტებული და შეკეთებული: სავარაუდოდ 100 კილომეტრი მილსადენი; 80 ერთეული მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა ( კაშხალი, დიუკერი, აკვედუკი, გალერეა, გვირაბი ) . საშუალოდ 1500 ერთეული სხვა ჰიდროტექნიკური ერთეულის რემონტი ან შეცვლა ახლით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაწმენდილი და მოწესრიგებული სარწყავი და სადრენაჟე არხები; გარემონტებული ჰიდროტექნიკურ ნაგებობები, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა- მექანიზმების მოვლა- პატრონობა და ექსპლუატაცია არსებული წესის მიხედვით, მათი შენახვისა და სარგებლობის ვადის გახანგრძლივება. სარწყავი სეზონებზე მომხმარებელთათვის მომსახურეობის შეუფერხებლად მიწოდება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%;<br>**შესაძლო რისკები** - შესყიდვის პროცედურების შეფერხება, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები |

| ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი (37 07 03) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სამი საირიგაციო სისტემის (ზედა რუს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხი და ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემა) სრული რეაბილიტაცია (სათავე ნაგებობები, მაგისტრალური არხები, პირველი და მეორე რიგის გამანაწილებელი არხები და შიდა სამეურნეო ქსელები).<br><br>საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ შპს "საქართველოს მელიორაციის" სამწლიანი ფინანსური აუდიტის ჩატარება. კომპანიის აქტივების სრული ინვენტარიზაცია და შეფასება; |

| | |
|---|---|
| | შპს "საქართველოს მელიორაციის" აღჭურვა თანამდროვე ტექნიკით (GPS, წყალმზომები, საოფისე ტექნიკა). |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა;<br><br>სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;<br><br>სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება; შპს "საქართველოს მელიორაციის" ინსტიტუციონალური გაძლიერება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** წყალუზრუნველყოფილი ფართობი - 126,0 ათასი ჰექტარი; დაშრობილი ფართობი 38,7 ათასი ჰექტარი . სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე ) შესაძლებელი იქნება სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364.0 ათასამდე ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277.0 ათასი ჰა თვითდინებითი და 87.0 ჰა მექანიკური სისტემებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 10 000 ჰა ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წლის მიწოდება |

| **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (GEF, IFAD) (37 07 04)** | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | შერჩეული ღირებულებათა ჯაჭვების (ვაშლი, ატამი/ნექტარინი, კივი, ხურმა, დაფნა, ბოსტნეული, კენკრა, თაფლი) ხელშეწყობა;<br><br>შერჩეულ კულტურებთან დაკავშირებულ საირიგაციო სისტემების შიდა სამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;<br><br>მიწის აღდგენითი სამუშაოები (მაგ. ნაპირსამაგრები, ჯებირები, ხიდები და ა.შ);<br><br>თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვილი სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, სადაც განხორციელდება ფერმერებისთვის პრაქტიკული საველე სწავლება;<br><br>ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორისათვის ეროვნული საადაპტაციო გეგმის მომზადება;<br><br>გრანტების, გაცემა ორი მიმართულებით: |

| | |
|---|---|
| | მცირე გრანტები პირველადი წარმოებისათვის (თანხის მაქსიმლური ოდენობა 15,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), რომლის მიზანია მოსავლიანობის ზრდა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება;<br>მსხვილი გრანტები აგრობიზნესისთვის (მაქსიმლური ოდენობა 100,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), რომლის მიზანია მოქმედი საწარმოების მოდერნიზაცია/განახლება, მათ მიერ წარმოებული პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება; მცირე ფერმერების, ფერმერთა ჯგუფების და აგრობიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება;<br><br>სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის ბოლოსათვის გაიცემა სავარაუდოდ 50 მდე (15 000 აშშ დოლარის) მცირე გრანტი კერძო პირებისათვის და 10 მდე ( 75 000 აშშ დოლარი) მსხვილი გრანტი აგრობიზნესისათვის; 2400 ჰექტარზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება; მიწის აღდგენითი სამუშაოები 2 ობიექტზე; მოწყობილი 4 სადემონსტრაციო ნაკვეთი, 400 მდე გადამზადებული ფერმერი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაიცემა 50 მდე გრანტი კერძო პირებისათვის და 10 მდე გრანტი აგრობიზნესისათვის; დამატებით სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი იქნება 1500 ჰა; მიწის აღდგენითი სამუშაოები 4 ობიექტზე; მოწყობილი 5 სადემონსტრაციო ნაკვეთი, 500 მდე გადამზადებული ფერმერი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-20%;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა; კლიმატური პირობები, რწყვის სეზონი; შესყიდვის პროცედურების შეფერხება; სწავლების მსურველთა დაბალი აქტივობა |

| **ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია (ORIO) (37 07 05)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ლილო მარტყოფის არხის, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ქვედა მაგისტრალური არხის მეორე და მესამე რიგის გამანაწილებლების,ზედა მაგისტრალური არხის, მეორე და მესამე რიგის გამანაწილებლების და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია;<br><br>პროექტის პირველი ფაზის-პროექტირების ფარგლებში და კვლევების დაფინანსება მხარეების 50%-იანი თანამონაწილეობით; |

| | |
|---|---|
| | პროექტის მეორე ფაზის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული სამუშაოების, რომლის საერთო ბიუჯეტის 35 % დაფინანსდება გრანტით, ხანგრძლივობა 5 წელი;<br><br>ოპერირებისა და შენახვითი სამუშაოების ფაზის ფარგლებში, (რეაბილიტაციის დასრულებიდან 10 წლის განმავლობაში) სისტემის ექსპლუატაციის ღონისძიებების, ასევე ადგილობრივი ფერმერების ცნობადობისა და საექსტენციო პროგრამების განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა, წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება, სარწყავი მიწების წყლით უზრუნველოყოფის გაუმჯობესება, სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - პროექტის პირველი ფაზის პროექტირებისა და კვლევების დასრულება. განსაზღვრული იქნება პროექტის შედეგების ამსახველი დაზუსტებული ინდიკატორები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროექტის სამშენებლო ეტაპის მიმდინარეობა |

| ერთიანი აგროპროექტი (37 05) | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით;<br><br>აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა;<br><br>სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა;<br><br>კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;<br><br>სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა;<br><br>სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა; |

| | |
|---|---|
| | აგროდაზღვევის განვითარება;<br><br>სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების ზრდა;<br><br>ჩაის წარმოების ზრდა; |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** შეიქმნა ახალი და გადაიარაღდა არსებული საწარმოები; შეიქმნა აგროდაზღვევის სისტემა; გაშენდა ახალი ბაღები; განხორციელდა ზოგიერთი ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** შეიქმნება ახალი და გადაიარაღდება არსებული საწარმოები; გაგრძელდება აგროდაზღვევის სისტემის განვითარება; გაშენდება ახალი ბაღები; ჩაის მწარმოებელი კოოპერატივები აღიჭურვება საწარმოო დანადგარებით |

| **სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (37 05 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ერთიანი აგროპროექტის პროგრამით დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ორიენტირებულია სააგენტოს მიერ განსახორციელებელი პროექტების მიზნების გათვალისწინებით მათ მოსალოდნელი შუალედური შედეგების მიღწევაზე. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** დაგეგმილი პროექტების შეუფერხებელი განხორციელება |

| **შეღავათიანი აგროკრედიტები (37 05 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის საწარმოების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით. ბენეფიციარებზე სესხების (ან ლიზინგის) გაცემა პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებიდან, ხოლო აიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ ამ სესხების (ლიზინგის) საპროცენტო სარგებელის თანადაფინანსების და ზოგ შემთხვევაში, მონაწილეობის მიიღება როგორც |

| | |
|---|---|
| | სესხების უზრუნველყოფაში, ასევე უზრუნველყოფის სახით წარდგენილი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვაში. პროექტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირი;<br><br>სესხის (ლიზინგის) მიზნობრიობაა სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამამუშავებელი წარმოების საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება;<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების დეტალური პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ; |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის გაფართოება, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება, სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის საბანკო კრედიტების გაიაფება და ხელმისაწვდომობის გაზრდა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგით გაცემის ფორმის განვითარება, დარგში საბანკო სექტორის მონაწილეობის გაფართოება; |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2014-2017 წლებში შეიქმნა 160 ახალი და 750 არსებული საწარმო გადაიარაღდა; პროექტში მონაწილეობა მიიღო 12 ბანკმა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაფინანსდება 70-მდე ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა |

| **აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (37 05 03)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის განხორციელება სადაზღვევო კომპანიების მიერ, ხოლო პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს სადაზღვევო პრემიების თანადაფინანსებას, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; |

| | |
|---|---|
| | ფერმერებისათვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება; |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2014-2017 წლებში სულ გაიცა 60,000 -მდე პოლისი და დაზღვეული მიწის ფართობია 47000 ჰა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დაზღვეულ იქნება დაახლოებით 20,000 ჰა-მდე მიწის ფართობი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10 %;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციარების დაბალი აქტივობა |

| **დანერგე მომავალი (37 05 04)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სანერგე მეურნეობების განვითარების და ინტენსიური ბაღების გაშენების ხელშეწყობა;<br><br>მრავალწლიანი კულტურების გაშენების (ბაღების) კომპონენტით ფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 70% და წვეთოვანი სარწყავი სისტემის შეძენა-მონტაჟის ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 100 000 ლარის ერთ ბენეფიციარზე;<br><br>სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ფინანსდება სანერგე მეურნეობის მოწყობის პროექტის (ბიზნეს-გეგმა) ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 150 000 ლარის ერთ ბენეფიციარზე. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ხილის მოსავლის ზრდა; გადამამუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზის ზრდა;<br><br>სოფლად მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 241 ბენეფიციარი 1 438 ჰა ზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 1000 ჰექტრამდე მრავალწიანი კულტურის თანამედროვე ტიპის ახალი, ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღები. სავარაუდოდ 5 ახალი სანერგე მეურნეობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%- 20%;<br>**შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, ბენეფიციარების დაბალი აქტივობა |

| ქართული ჩაი (37 05 05) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტური კოოპერაციის ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ხელშეწყობა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად განხორციელდება კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ხარჯის თანადაფინანსება, როგორც კომპანიებისათვის ასევე კოოპერატივებისათვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა მათი ბიზნეს ოპერატორებზე იჯარის წესით გადაცემის გზით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ჩაის გადამამუშავებელი დანადგარების თანადაფინანსება, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ბიო და ორგანული ჩაის წარმოების განვითარება; |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დაკონტრაქტებული სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციები შეადგენს 1 000 ჰა-ს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 7-მდე კოოპერატივის საწარმოო დანადგარებით აღჭურვა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები; ბენეფიციართა დაბალი აქტივობა |

| სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება (37 05 06) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი აღჭურვა თანამედროვე საწარმოო ხაზით/ტექნოლოგიებით.<br><br>პროექტი ხელს უწყობს როგორც იმპორტჩამნაცვლებელი პროდუქციის წარმოებას, ასევე ადგილობრივი სანედლეულო ბაზის განვითარებას. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სოფლის მეურნეობის პროდუქციის თანამედროვე სტანდარტების გადამამუშავებელი და შემნახველი სიმძლავრეების შექმნა. |
| **შუალედური შედეგის** | |

| | |
|---|---|
| **შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** შექმნილია 21 გადამამუშავებელი და 5 შემნახველი საწარმო (ჯამური ტევადობით - 3 900 ტონა); გადამამუშავებელ საწარმოებში დასაქმებულია (სეზონურის ჩათვლით) 1400-მდე ადამიანი და 17 საწარმოში დანერგილია HACCP / ISO 22000 სტანდარტები; წლის განმავლობაში გადამამუშავებელი საწარმოების მიერ შესყიდულია / გადამუშავებულია 20 000 ტონა ნედლეული;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** დასრულდება დამატებით 23 გადამამუშავებელი და 5-8 შემნახველი საწარმო (ჯამური ტევადობით 3000-5000 ტონა); ჯამში გადამამუშავებელ საწარმოებში დასაქმდება (სეზონურის ჩათვლით) 2000-მდე ადამიანი; არანაკლებ 15 საწარმოში დაინერგება HACCP / ISO 22000 სტანდარტები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** ბენეფიციარების დაბალი აქტივობა |

| **აგროკრედიტი (37 05 07)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ევროპის საინვესტიციო ბანკიდან გრძელევადიანი (12 წელი) საშეღავათო პერიოდიანი საკრედიტო რესურსის საფინანსო ინსიტუტებზე გადასესხება იგივე ფინანსური პირობებით, ხეხილის, ბოსტნეულის, ღვინის და სხვა. ერთწილიანი და მრავალწლიანი კულტურების ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულ საწარმოებზე შეღავათიანი სესხების გაცემის მიზნით, საფინანსო ინსტიტუტებზე იგივე ფინანსური პირობებით გადასესხება უზრუნველყოფს საბოლოო ბენეფიციარის მიერ დაბალი საპროცენტო განაკვეთით მიზნობრივი აგროსესხის მიღებას. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის გაფართოება;<br><br>სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება;<br><br>დარგში საბანკო სექტორის მონაწილეობის გაფართოება. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** პროექტის ფარგლებში განხორციელდა 5 000 000 ლარის იაფი და გრძელვადიანი აგროსესხების გაცემა კომერციული ბანკების მიერ;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** თანხის 50%-მდე მოხმარდება ბაღების გაშენებას (4000 ჰა-ზე მეტი). შეიქმნება ან/და გადაიარაღდება 50-ზე მეტი საწარმო;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 20%;<br>**შესაძლო რისკები -** ბენეფიციართა დაბალი აქტივობა |

| სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (37 02) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“; სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი;<br><br>ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძიებების განხორციელება და ლაბორატორიული კვლევა;<br><br>ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;<br><br>სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი მიმოქცევაში არსებულ ვეტერინარულ პრეპარატებზე და ცოცხალ ცხოველებში ვეტპრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების არსებობაზე;<br><br>საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება;<br><br>პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;<br><br>სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა;<br><br>აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა;<br><br>ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა/შენარჩუნება და სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსება;<br><br>განსაკუთრებით საშიში მავნებლებისაგან სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა და მოსავლის შენარჩუნება კლიმატური პირობების გათვალისწინებით; |

| | |
|---|---|
| | ბაზარზე უსაფრთხო ვეტ-პრეპარატების მიმოქცევა და წუნდებული პროდუქციის შემცირება/აღკვეთა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესოპერატორების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან; მავნებელი სურსათით გამოწვეული მოწამვლის შემთხვევების რაოდენობა; ცხოველთა დაავადებების, ცხოველის და ადამიანის საერთო დაავადებების რაოდენობა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა - შენარჩუნება; სამომხმარებლო ბაზარზე ფალსიფიცირებული ვეტერინარული პრეპარატების რაოდენობა; სასოფლო სამეურნეო პროდუქციის (მოსავლის) ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესოპერატორების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან; მავნებელი სურსათით გამოწვეული მოწამვლის შემთხვევების რაოდენობა; ცხოველთა დაავადებების, ცხოველის და ადამიანის საერთო დაავადებების რაოდენობა. სამომხმარებლო ბაზარზე ფალსიფიცირებული ვეტერინარული პრეპარატების რაოდენობა; სასოფლო სამეურნეო პროდუქციის (მოსავლის) ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები;<br>**შესაძლო რისკები** - ქვეყანაში ახალი დაავადების დაფიქსირება. ცხოველთა სულადობის ცვლილება. კლიმატური პირობები |

| **მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (37 03)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების, ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისების და მომხმარებლის უხარისხო ღვინოპროდუქციისგან დაცვის მიზნით:<br>ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენების და პრეს ტურების მოწყობა;<br>სპეციალიზირებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება-გამოქვეყნება;<br>სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით საჭირო სხვა ღონისძებების განხორციელება;<br>ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე;<br><br>ალკოჰოლიანი სასმელების სასერთიფიკაციო ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების |

| | |
|---|---|
| | უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება;<br><br>მევენახეობის კადასტრის დანერგვა;<br><br>ვენახების ფართობების აღრიცხვა;<br><br>საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწების და მერქნის შესწავლის ხელშეწყობა მოლეკულური გენეტიკის და ამპელოგრაფიის მეთოდებით და  თანამონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში წიპწების მოპოვების მიზნით;<br><br>მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სუბსიდირების განხორციელება; |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება და ექსპორტის ზრდა;<br><br>მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან. ვენახების ფართობებისა და ვაზის ჯიშების დადგენა;<br><br>სანედლეულო ბაზის რესურსების დადგენა;<br><br>ვაზის წარმოშობის შესახებ ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგის გამოყენებით ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაცია მსოფლიოს ბაზარზე. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წელს ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავალი სავარაუდოდ მიაღწევს 120.0-145.0 ათას აშშ დოლარს. მევენახეობის სფეროში დასაქმებულ ფიზიკური პირების მიერ სავარაუდოდ ჩაბარებულ იქნება 100.0-110.0 ათასი ტონა ყურძენი. რთველის ფარგლებში მიღებული და გადამუშავებული იქნა 110,0-130.0 ათასი ტონა ყურძენი. კახეთის, ქართლის, იმერეთს, გურიისა და სამეგრელოს რეგიონში აღრიცხულ იქნება ვენახების ფართობები და ვაზის ჯიშები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება. აღრიცხული ვენახების ფართობები და ვაზის ჯიშები. ღვინის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლების ზრდა |

| **სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (37 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |

| | |
|---|---|
| **განმახორციელებელი** | |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება;<br><br>აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;<br><br>სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;<br><br>ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | აგრარული სექტორის განვითარება;<br><br>ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა; |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა; სექტორში დასაქმებულ ფერმერთა რაოდენობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელი |

| **სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (37 01 01)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;<br><br>მელიორაციის სფეროს განვითარების, მიწის რაციონალურად გამოყენების, ნიადაგის კონსერვაციის, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება;<br><br>სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად დარგობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავება;<br><br>სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა; |

| | |
|---|---|
| | სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა  და ადმინისტრირება;<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო გადასახადის გადახდა. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ორიენტირებულია თითოეული ქვეპროგრამის მიზნების გათვალისწინებით მათ მოსალოდნელ შუალედური შედეგების მიღწევაზე. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება; უზრუნველყოფილ იქნება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2017 წლის საწევრო გადასახადის და დავალიანების დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შესაბამის ანგარიშზე |

| **სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში (37 01 02)** | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | რეგიონებში სოფლის  მეურნეობის განვითარების ერთიანი პოლიტიკის გატარებაში სამინისტროს ხელშეწყობა, სამინისტროს პროგრამების შესახებ მოსახლეობის სისტემატიური ინფორმირება, დაინტერესებული პირებისათვის დარგის შესაბამის საკითხებზე კონსულტაციების გაცემა, ტრენინგებისა და სწავლებების ორგანიზება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე პროგრამებზე და ღონისძიებებზე, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიებზე ინფორმირებული და კვალიფიკაცია ამაღლებული ფერმერები. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - უზრუნველყოფილია რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი პოლიტიკის გატარებაში სამინისტროს ხელშეწყობა, სამინისტროს პროგრამების შესახებ მოსახლეობის სისტემატიური ინფორმირება, დაინტერესებული პირებისათვის დარგის შესაბამის საკითხებზე კონსულტაციების გაცემა, ტრენინგებისა და სწავლებებისა ორგანიზება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დარგში მიმდინარე პროგრამებზე და ღონისძიებებზე ინფორმირებული ფერმერები და სხვა დაინტერესებული პირები |

| ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (37 01 03) | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციების მოწყობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა წარმომადგენლობითი, კულტურული და სარეკლამო აქტივობების განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა.<br>აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის ბოლოს განხორციელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 7 და ქვეყნის შიგნით 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიების მოწყობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 7 და ქვეყნის შიგნით 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიების მოწყობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით დაგეგმილი რამდენიმე (დაახლოებით 2-3) ღონისძიება ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით შესაძლებელია გაუქმდეს;<br>**შესაძლო რისკები** - სხვადასხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები |

| სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (37 06) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მიზნით:<br>მეფუტკრე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფა (ფუტკრის სკები, საწურები და სხვა);<br>ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში კოოპერატივების მონაწილეობის ხელშეწყობა;• საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;<br>კოოპერატივების ბრენდირება;<br>რძის მწარმოებელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე რძის საწარმოსთვის საჭირო თანამედროვე აღჭურვილობის გადაცემა; |

| | |
|---|---|
| | მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის საჭირო დანადგარებისა და მოწყობილობების გადაცემა;<br>თაფლის საწარმოს მშენებლობა, აღჭურვა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე იჯარით გადაცემა;<br>მაღალმთიანი რეგიონების მესაქონლეობის განვითარების ხელშეწყობა;<br>კოოპერატივებში ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ჩართულობის სტიმულირება;<br>კოოპერატივების მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება და ტრეინინგების ჩატარება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდა;<br><br>კოოპერატივების კონკურენტუნარიანობის ზრდა;<br><br>ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის დონის ამაღლება კოოპერაციულ წარმოებაში; |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო სტანდარტი (Global Gap, ISO22, HACAP) დაინერგა 10 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში, 2 კოოპერატივის სავაჭრონიშნის რეგისტრაცია, 2 გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა; თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი რძის მწარმოებელი, ყურძნის მიმღებ-გადამამუშავებელი და მაღალმთიან რეგიონებში მესაქონლეობის კოოპერატივების რაოდენობა; კოოპერატივების, რაოდენობა რომლებიც აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს (GLOBAL GAP, HACAP დასხვა);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - ბენეფიციარი კოოპერატივების დაბალი აქტივობა |

| **სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (37 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | აგრარულ სფეროში დასაქმებულთათვის თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენების ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა;<br><br>საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების მიკროსასელექციო გუნდების შექმნა;<br><br>ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე |

| | |
|---|---|
| | ნარგაობების შექმნა;<br><br>ერთწლოვანი კულტურების პირველადი მეთესლეობის განვითარება;<br><br>თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიცირების სისტემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების შესამაბისად;<br><br>ბიოაგროწარმოების დანერგვის ხელშეწყობა;<br><br>სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასება;<br><br>ხილისა და ბოსტნეულის შენახვის უნარიანობისა და ნედლად შენახვის ტექნოლოგიების კვლევა-შემუშავება;<br><br>საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეგიონების ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება;<br><br>მეღვინეობის თანამედროვე საექსპერიმენტო-საკვლევი საწარმოს მშენებლობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | საქართველოში მოძიებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების ტიპიური სულადობის შესწავლა, მოშენება და მიკროსასელექციო ბირთვების შექმნა;<br><br>ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის შესწავლილი და აპრობირებული თანამედროვე ტექნოლოგიები;<br><br>ახალი ჯიშებისა და ელიტური თესლის მიღება-წარმოება;<br><br>საერთაშორისო წესებით ამოქმედებული თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიცირების სისტემა;<br><br>ნედლად შენახვის, შრობისა და სწრაფ გაყინვის ოპტიმალური დადდგენილი რეჟიმები;<br><br>შექმნილი ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ერთიანი მეთოდოლოგია. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და კომერციულად სასრგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების კვლევების ფარგლებში გამოცემული 14 სტატია და 12 |

| | |
|---|---|
| | შემუშავებული რეკომენდაცია. შედგენილი 9 მონაცემთა ბაზა. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების კვლევის ფარგლებში გამოცემული 28 სტატია, 22 შემუშავებული რეკომენდაცია, 39 შედგენილი მონაცემთა ბაზა, ინტეგრირებულ მცენარეთა დაცვის საშუალებებზე გამოცემული - 2 ბროშურა; 4 პატენტი ბოსტნეულ-ბაღჩეულ და ტექნიკურ კულტურებზე; 1 პატენტი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებებზე; გაცემული 35 თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიკატი. ყურძნის დაბალკალორიული და ფუნქციონალური ხასიათის პროდუქტების და ნექტარისა და დეალკოჰოლიზებული ღვინის საფუძველზე სასმელების მიღების შესახებ გამოქვეყნებული 2 სტატია. ნიადაგის ნაყოფიერებასა და ინვენტარიზაციაზე , შემუშვებული 5 რეკომენდაცია; გამოცემული 1 სტატია, შედგენილი 5 რუქა; **მიზნობრივი მაჩვენებელი -** გამოცემული სტატია 12; შემუშავებული რეკომენდაცია 5; განახლებული მონაცემთა ბაზა 9 |

## სასამართლო სისტემა

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 09 01 | საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა | 69,980.0 | 69,780.0 | 200.0 | 69,980.0 | 69,980.0 | 69,980.0 |
| 08 00 | საქართველოს უზენაესი სასამართლო | 8,000.0 | 8,000.0 | - | 8,500.0 | 9,000.0 | 9,500.0 |
| 07 00 | საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო | 4,150.0 | 4,150.0 | - | 4,150.0 | 4,150.0 | 4,150.0 |
| 46 00 | სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო | 21,440.0 | 2,700.0 | 18,740.0 | 21,200.0 | 21,200.0 | 21,200.0 |
| 10 00 | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | 2,700.0 | 2,700.0 | - | 2,700.0 | 2,700.0 | 2,700.0 |
| 26 13 | სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა | 35,536.0 | - | 35,536.0 | 18,340.0 | 18,340.0 | 18,340.0 |
| **სულ** | | **141,806.0** | **87,330.0** | **54,476.0** | **124,870.0** | **125,370.0** | **125,870.0** |

| სასამართლო სისტემა (07 00 - 10 00) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სასამართლო შენობების სამშენებლო და სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება;<br><br>ნაფიცი მსაჯულების და მსაჯულობის კანდიდატების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;<br><br>მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა;<br><br>საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭირვალობის და საჯაროობის პროცესის გაგრძელება; |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა;<br><br>საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;<br><br>ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა პროცენტული რაოდენობა, ვინც სრულად იქნა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით - 100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0%;<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - გარემონტებული და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა - 48 სასამართლო შენობა (გასარემონტებელია: თბილისის საქალაქოს, სიღნაღის, თელავის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ბათუმის, ზესტაფონის, საჩხერის, ცაგერის, გორის, ბოლნისის, კასპის, აბაშის, ყვარლის, ქედის, ჩხოროწყუსა და გარდაბნის სასამართლოს შენობები);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 65 სასამართლო შენობა (გარემონტდება: თბილისის საქალაქოს, სიღნაღის, თელავის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ბათუმის, ზესტაფონის, საჩხერის, ცაგერის, გორის, ბოლნისის, კასპის, აბაშის, ყვარლის, ქედის, ჩხოროწყუსა და გარდაბნის სასამართლოს შენობები); |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0%;<br>**შესაძლო რისკები** - მიმწოდებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სრულად აუნაზღაურდათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები - 100%;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 100%;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 0%; |

| **სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (46 00)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | კანონმდებლობით დადგენილი წესით და კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.<br><br>საერთაშორისოდ აღიარებული სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენება;<br>ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება. |
| **პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | ISO17025 აკრედიტაციის შენარჩუნებააკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოდანდა საერთაშორისოდ აღიარებული ლაბორატორიების აკრედიტაციის სხვა ორგანოებიდან. ექსპერტიზების შედეგების სიზუსტე და კვლევების მაღალი ხარისხი, რომელიც მიღწეულია ISO17025-ის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით. |
| **შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სერვისების სანდოობის მაღალი ხარისხი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სერვისების სანდოობის მაღალი ხარისხის შენარჩუნება |

| **სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა (26 13)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო |

| | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სააღსრულებო და არასააღსრულებო მომსახურების გაწევის პროცესში მხარეთა კანონიერი ინტერესების რეალიზება მხარეებს შორის ბალანსის მაქსიმალური დაცვით;<br>უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის აღსრულება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სარჩელის უზრუნველყოფა; გამარტივებული წარმოება, გადახდისუუნარობის საქმისწარმოება, კერძო აღმასრულებელთათვის ლიცენზიის გაცემა და მათთვის სააუქციონო მომსახურების გაწევა, ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოება, მესამე პირების მომართვის საფუძველზე ქონების შეფასების მომსახურება, ფაქტების კონსტატაცია;<br>მომსახურებების ხარისხის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად სააღსრულებო მომსახურების, სააღსრულებო წარმოების პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა და გაუმჯობესება;<br>ახალი სერვისის – „სესხების მონიტორინგი“ დანერგვა, რაც გულისხმობს ყველა არაუზრუნველყოფილი სესხის რეგისტრაციას სპეციალურ რეესტრში, სასესხო ვალდებულების მონიტორინგს და დარღვევის შემთხვევაში აღსრულების პროცესის დაწყებას და უზრუნველყოფს საზოგადოებაში ვალდებულების შესრულების კულტურის განმტკიცებას, სააღსრულებო სისტემის და აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. საინფორმაციო რგოლების მომზადება-გავრცელება, საინფორმაციო შეხვედრები მოწყვლად ჯგუფებთან;<br>„მოძიება-ყადაღა-ინკასო“ ტიპის ელექტრონული კომუნიკაციის ფორმირება ბანკებთან, რომელიც ჩაანაცვლებს მანამდე არსებულ ინფორმაციის ბეჭდური სახით მიმოცვლას. ელექტრონული ინფორმაციის გაცვლა, ელექტრონულად საბანკო ანგარიშებზე შეზღუდვების გავრცელება და მოხსნა სხვადასხვა საბანკო ანგარიშებიდან;<br>აღსრულების პოლიციის საქმიანობის დახვეწა. უკანონო მფლობელობიდან საკუთრების გამოთხოვის (გამოსახლება) და დემონტაჟის საქმეებზე სააღსრულებო წარმოების განხორციელება;<br>დაყადაღებული ავტომობილებისა და ნივთების სათანადო პირობებში განთავსების მიზნით საწყობებისა და ავტოსადგომების მოწყობა და აღჭურვა ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. ზუგდიდში, ქ. ახალციხეში, ქ. ფოთსა და ქ. თელავში. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულებული საქმეები;<br><br>მორიგებით დასრულებული გამოსახლების საქმეები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წლისთვის აღსრულდება 70,000 საქმე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ყოველწლიურად 1,500-ით მეტი საქმის აღსრულება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 700 საქმე;<br>**შესაძლო რისკები -** რთულად აღსასრულებელი საქმეების რაოდენობის მატება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** 2017 წელს გამოსახლების საქმეების 50% დასრულებული იქნება მხარეთა შორის მორიგებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** საქმეების 60% მორიგებით იქნა დასრულებული;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები** - გამოსახლების საქმეებზე მხარეთა შეუთანხმებლობა |

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2018 წლის პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. საკუთარი სახსრები | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 38 03 | დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა | 19,045.0 | 14,245.0 | 4,800.0 | 12,072.0 | 10,900.0 | 11,100.0 |
| 38 02 | გარემოსდაცვითი ზედამხედველობა | 9,600.0 | 9,600.0 | - | 9,600.0 | 9,900.0 | 10,300.0 |
| 38 04 | სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა | 23,714.0 | 9,545.0 | 14,169.0 | 23,200.0 | 23,800.0 | 23,800.0 |
| 38 01 | გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა | 7,280.0 | 7,280.0 | - | 6,250.0 | 6,450.0 | 6,800.0 |
| 38 07 | ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა | 920.0 | 900.0 | 20.0 | 1,100.0 | 1,150.0 | 1,150.0 |
| 38 06 | გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა | 835.0 | 735.0 | 100.0 | 800.0 | 850.0 | 900.0 |
| 38 05 | ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა | 1,860.0 | 670.0 | 1,190.0 | 1,570.0 | 1,620.0 | 1,620.0 |
| 38 08 | გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა | 12,300.0 | - | 12,300.0 | 11,000.0 | 11,400.0 | 9,900.0 |
| **სულ** | | **75,554.0** | **42,975.0** | **32,579.0** | **65,592.0** | **66,070.0** | **65,570.0** |

| დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 03) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | დაცული ტერიტორიების დაცვითი ღონისძიებების განხორციელება (პატრულირება, კანონდაღვევების აღკვეთა), უკანონოდ შეღწევისა და სამართალდარღვევების აღკვეთის მიზნით ხერგილების და ბარიერების მოწყობა, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ინფრასტრუქტურის აღდგენა და მოვლა-შენახვა;<br><br>დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით;<br><br>საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად;<br><br>უნიკალური და იშვიათი ორგანული, თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების დაცვა მათი შენარჩუნების მიზნით;<br><br>დაცულ ტერიტორიებზე პათოლოგიური კვლევების ჩატარება, დაზიანებული ფართობების დადგენა და მავნებლებთან ბრძოლის მიზნით შესაბამისი პრეპარატების შეძენა;<br><br>დაცულ ტერიტორიებზე საჭირო აღჭურვილობის გამოყენებით ხანძრების სწრაფი პრევენციის განხორციელება;<br><br>დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა, გამოყენება, შეფასება და მოსახლეობისათვის იჯარით გაცემა; ტყის ინვენტარიზაცია;<br><br>საქართველოში დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის, ეკოტურიზმის განვითარების და ტურისტების მოზიდვა-დაინტერესების მიზნით საინფორმაციო ტურების ორგანიზება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, დაცული ტერიტორიების სარეკლამო და სააგიტაციო ღონისძიებების ჩატარება (საინტერპრეტაციო და საინფორმაციო დაფების, ექსპოზიციების მოწყობა ვიზიტორთა ცენტრებში);<br><br>საზოგადოებაში ეკოლოგიური განათლების, ცნობიერების ამაღლების და საზოგადოების ცალკეული ჯგუფების გარემოსდაცვითი ქცევის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება;<br><br>ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით; |

| | |
|---|---|
| | ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღდგენისათვის და მის შესანარჩუნებლად;<br><br>საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელია შემდეგი ორი კომპონენტის განხორციელებით: დაცული ტერიტორიების სისტემის შემოსავლების საკმარისი და პროგნოზირებადი დონის მიღწევით და დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობისა და შესაძლებლობების გაზრდით. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | დაცული და აღდგენილი ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ცოცხალი ორგანიზმები;<br><br>დაცული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები და ველურ მცენარეთა გენოფონდი, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნები;<br><br>ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვის და ეკოტურიზმისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობები;<br><br>აშენებული და მოწყობილი ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ზოგიერთ ბუნების ძეგლზე.<br>განვითარებული ეკოტურიზმი და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა;<br><br>საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ინფრასტრუქტურა;<br><br>განვითრებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა გარემოსდაცვით აქტივობებში, მათი გაზრდილი შემოსავლები და გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ამჟამად არსებობს 20 ტერიტორიული ადმინისტრაცია. 2017 წლის ბოლოს დასრულდება ნავენახევის, კინჩხასა და საწურბლიას ბუნების ძეგლებზე ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა. იგეგმება რაჭისა და ერუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების შექმნა, რომლის მოწყობა და აღჭურვა განხორციელდება დონორის სახსრებით, ხოლო საჭირო თანამშრომელთა სახელფასო უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს სააგენტოს საბიუჯეტო სახსრებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ნავენახევის, კინჩხასა და საწურბლიას ბუნების ძეგლებზე მოწყობილი ახალი ინფრასტრუქტურა. 2019 წელს შექმნილი და მოწყობილი რაჭისა და ერუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები; |

| | |
|---|---|
| | **ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ხელშეკრულებით გათვალსიწინებული პირობების დაგვიანებით ან არაჯეროვნად შესრულება; ახლადშექმნილი ადმინისტრაციების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის არასაკმარისი საშტატო რესურსი<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავს 364,0 ათას ჰექტარზე მეტ ტერიტორიას 20 ტერიტორიული ადმინისტრაციის მეშვეობით. დაცულ ტერიტორიებზე უკანონო შეღწევების აღკვეთის პრევენციისათვის საჭიროა ხერგილებისა და ბარიერების ეტაპობრივად მოწყობა, ასევე დაცულ ტერიტორიებზე ხანძრის გავრცელების საშიშროების ლოკალიზების მიზნით საჭიროა ტერიტორიები აღიჭურვოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 10 დაცულ ტერიტორიაზე მოწყობილი 110 ერთეული ხერგილი და ბარიერი,ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვილი დაცული ტერიტორიები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით ან არაჯეროვნად შესრულება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მავნებელ დაავადებათა გავრცელებისა და აგრესიულობის დონის დადგენის მიზნით, დეტალურ კვლევას საჭიროებს დაცულ ტერიტორიებზე არსებული წიწვოვანი ტყეები და ბზით დაფარული ტერიტორიები, სავარაუდო ფართობით 1 000 ჰა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებული მაჩვენებელი და ტყეების გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა დაზიანებული ტყის ფართობის 80 %-ზე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დამოკიდებულია დაავადების გავრცელების ინტენსივობაზე;<br>**შესაძლო რისკები** - მავნებელი მწერებისა და სოკოვანი დაავადებების გავრცელების ინტენსივობა, სხვადასხვა ანთროპოგენური ფაქტორების გამო ახალი (ინვაზიური) მავნებელი სახეობების გავრცელება საქართველოში. აქედან გამომდინარე, გაზრდილია ტყის ეკოსისტემების მასიური ხმობის რისკი<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საჭიროა ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე ტყის ინვენტარიზაცია და ტყის მართვის გეგმის შემუშავება; უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ბორჯომ-ხარაგაულისა და თბილისის ეროვნული პარკების ტერიტორიაზე არ მომხდარა ტყის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება. ზოგიერთ უბანზე წარსულში ჭრების შედეგად ტყის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებელი არადამაკმაყოფილებელია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ჩატარებული ტყის ინვენტარიზაცია და მომზადებული ტყის მართვის გეგმები თბილისისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკებისთვის და დამატებით ერთი დაცული ტერიტორიისათვის;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - დამოკიდებულია სატენდერო პროცედურებში ამ მიმართულებით მომუშავე ბაზარზე არსებული პირების ჩართულობაზე;<br>**შესაძლო რისკები** - კვალიფიციური ტაქსატორების სიმცირე<br>**5.** |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეს არსებული მდგომარეობით დაცული ტერიტორიების შესახებ ცნობადობა დაბალია, საჭიროა ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალების გამოყენება საზოგადოებაში სამიზნე ჯგუფების მიხედვით; მოსახლეობის ჩართულობა (განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის) გარემოსდაცვით აქტივობებში არ არის საკმარისი; სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, არსებულ ზოგიერთ ვიზიტორთა ცენტრში არ არის მოწყობილი ვიზიტორთა საექსპოზიციო დარბაზები, რიგ დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ვიზიტორთა ცენტრებში საგამოფენო დარბაზები მოძველებულია და საჭიროებს განახლებას;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელებული ღონისძიებების შედეგად (რეკლამების დამზადება და განთავსება, ეკოტურების მოწყობა და ვებრესურსის განახლება/შექმნა) პოტენციურ და რეალურ ვიზიტორთა ყოველწლიურად 20%-ით გაზრდილი რაოდენობა; მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი საპრომოციო მასალა, ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი ჩართულობა გარემოსდაცვით აქტივობებში; საშუალოვადიან პერიოდში გახსნილი 3 ახალი ვიზიტორთა ცენტრი და განახლებული არსებული 8 ცენტრი (მოწყობილი საინფორმაციო და საგამოფენო დარბაზები), შედეგად გაუმჯობესებული ვიზიტორთა მომსახურების ხარისხი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ტუროპერატორების მიერ ქვეყანაში შემოყვანილ ვიზიტორთა რაოდენობის შემცირება<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დონორების დაფინანსებით (KFW, CNF) ხორციელდება ზოგიერთი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა; 10 ადმინისტრაციის 246-მდე თანამშრომელი უზრუნველყოფილია სოციალური გარანტიებით; ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შესწავლილია;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დონორების დაფინანსებით (KFW, CNF) კეთილმოწყობილი დაცული ტერიტორიების 12 ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა, სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფილი 10 ადმინისტრაციის თანამშრომლები; განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური პროექტები ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისათვის (ხიდების შეკეთების, სასტუმრო სახლების მოწყობის, ტრადიციული ხელსაქმის განვითარების ხელშეწყობა);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - ცვლილებები დონორის პრიორიტეტებში |

| **გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (38 02)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას; |

| | |
|---|---|
| | კანონდარღვევათა ეფექტური შემაკავებელი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობითი შესრულების სათანადო დონის მიღწევა;<br><br>ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება-რეკრუტირება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | გაუმჯობესებული გარემოს დაცვის ხარისხი;<br><br>შექმნილი კანონდარღვევათა შემაკავებელი გარემო, უზრუნველყოფილი გამოვლენილ კანონდარღვევებზე დროული და პროპორციული რეაგირება, რისი საშუალებითაც მოხდება ლეგალური საქმიანობის ხელშეწყობა და კონკურენციის თანაბარი პირობების შექმნა;<br><br>რეგულირების ობიექტების და მოქალაქეების გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებზე ინფორმირებულობის მაღალი დონე და დაინტერესებული მხარეების ფინანსური, მატერიალური და დროითი რესურსების შემცირებული ხარჯი;<br><br>შექმნილი ახალი ინფრასტრუქტურა, სათანადოდ აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ჯგუფები;<br><br>გადამზადებული ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე თანამშრომლები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა 2016 წელს 6,6 მლნ ლარამდე შეადგინა (2017 წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი 2016 წელთან შედარებით 20%-ით შემცირდება);<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებული მაჩვენებელი (მ.შ. 2018 წელს 2017 წელთან შედარებით შემცირდება 25%-ით). 2021 წელს წლისათვის ეს მაჩვენებელი არ გადააჭარბებს 2 მილიონ ლარს;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - შემაკავებელი გარემოს შესუსტება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სამართალდამრღვევ ობიექტთა მიერ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა. რეგულირების ობიექტებზე გაუთვალისწინებელი (ავარიები, სტიქიური პროცესები) შემთხვევების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის მაჩვენებლის ზრდა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სამართალდამრღვევი ობიექტების 60-65 % დადგენილ გონივრულ ვადებში ასრულებს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულ ვალდებულებს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს სამართალდამრღვევი ობიექტების 80-85 %-ის მიერ |

| | |
|---|---|
| | დადგენილ გონივრულ ვადებში შესრულებული გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრული ვალდებულები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - შემაკავებელი გარემოს შესუსტება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სამართალდამრღვევ ობიექტთა მიერ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2016 წლის განმავლობაში ინსპექტირებული (მ.შ გეგმიური, არაგეგემიური შემოწმებები და დათვალიერება) 3 206 ობიექტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინსპექტირებული (გეგმიური, არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება) 2000-ზე მეტი რეგულირების ობიექტი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ინსპექტირების სრულფასოვნად განხორციელებისთვის საჭირო კადრების სიმცირე<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულებული 3 ახალი ოფისის მშენებლობა (ამბროლაურში, ბათუმსა და ახალციხეში) და სრულად აღჭურვილი სწრაფი რეაგირების 50 ეკიპაჟი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - დასრულებული დამატებით 1 ახალი ოფისის მშენებლობა (ქ. ზუგდიდი) და საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს სრულად აღჭურვილი სწრაფი რეაგირების 66 ეკიპაჟი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - სამშენებლო სამუშაოების სატენდერო პროცედურების შეფერხება, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება ვადების დარღვევით<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შიდა რესურსით გადამზადებული 300 თანამშრომელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად გადამზადებული 100 თანამშრომელი |

| **სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 04)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით სატყეო სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და ეროვნული სატყეო კონცეფციის დოკუმენტით გათვალისწინებული ქმედებების ეტაპობრივი განხორციელება;<br><br>სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა; |

| | |
|---|---|
| | ტყეების ეფექტურად მართვის, ტყის ფიზიკური დაცვისა და ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით ეროვნული სატყეო სააგენტოს ინსტიტუციონალური გაძლიერებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;<br><br>მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მართვისა და განვითარების უზრუნველყოფა;<br><br>სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;<br><br>სატყეო-სამეურნეო გზების რეაბილიტაცია ან/და ახალი გზების გაყვანის სამუშაოების განხორციელება ახალი ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების მიზნით; ტყის ჩახერგილობისაგან გაწმენდა, ძირნაყარის გამოტანა და ნარჩენების განთავსება დადგენილი წესით;<br><br>მოსახლეობის მერქნულ რესურსზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;<br><br>სააგენტოს მომსახურეობის სახეების განვითარება, მათ შორის მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიმართულებით;<br><br>ხე-ტყის დამზადების მიზნით შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება;<br><br>ტყის მოვლის და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;<br><br>ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა პრიორიტეტების მიხედვით შერჩეულ სატყეო უბნების ტერიტორიებზე, ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელება წინასწარ გამოვლენილ აღსადგენ ფართობებზე, მათ შორის სწრაფმზარდი სახეობებით პლანტაციების გაშენება - რაც ეტაპობრივად უზრუნველყოფს ტყეზე ზეწოლის შემცირებას, წვრილმზომ სორტიმენტებსა და საშეშე მერქანზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას;<br><br>ტყეების პათოლოგიური გამოკვლევების ჩატარება და დასკვნების საფუძველზე მავნებლებ-დაავადებების ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება;<br><br>აქტიურად ხანძარსაშიში სატყეო უბნების იდენტიფიცირება და შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო ბილიკებისა და მინერალიზებული ზოლების მოწყობა, საინფორმაციო დაფების და სპეციალური ნიშნების მომზადება, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლმაქრი საშუალებებისა და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა; |

| | |
|---|---|
| | ტყის აღრიცხვის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მართვის გეგმების შემუშავება და ტყეების მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტური სისტემის დანერგვა;<br><br>ტყის აღრიცხვის არსებული მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე პროგრამული საშუალებებით უზრუნველყოფა, გარე კონტურების დაზუსტება და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალის მომზადება, ტყის ფონდის ფრაგმენტაციის თავიდან აცილების მიზნით. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | დაცული საქართველოს ტყეების ეკოლოგიური ფასეულობები, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნება; ჩამოყალიბებული ტყის ფონდის მართვის ქმედითი სისტემა;<br><br>აღდგენილი ტყის ეკოსისტემები, გაზრდილი ტყით დაფარული ფართობები;<br><br>მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მოწესრიგებული სისტემა;<br><br>განახლებული ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, დაგეგმილი სატყეო ღონისძიებები, დაგეგმილი ტყითსარგებლობა;<br><br>სატყეო სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების შედეგად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების გზით;<br><br>სატყეო შემოსავლების და სატყეო სექტორის წილის ზრდა ქვეყნის ეკონომიკაში. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - სატყეო სფეროში არსებული არასრულყოფილი საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და განახლებული საკანონმდებლო ბაზა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღება დაგეგმილ ვადაზე გვიან;<br>**შესაძლო რისკები** - შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების შეთანხმების პროცესის შეფერხება<br>2.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2013 წლის პერიოდიდან დღემდე მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებულია 24 000 ჰექტარი; მავნებელ დაავადებათა პროგრესირება შემცირებულია 50%-ით; ტყეების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულია 60%-ით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შესაბამის ფართობებზე მავნებელ დაავადებათა პროგრესირების ყოველწლიურად შემცირებული მაჩვენებელი 10%-ით (საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს 95%-ით), ამავე ფართობებზე ტყეების 5%-ით |

| | |
|---|---|
| | (საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს 80%-ით) გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%-5%;<br>**შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, შესაბამისი შესასყიდი საქონლის ან/და მომსახურების მომწოდებელების სიმცირე<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ტყის ფართობების აღდგენის მიზნით, დროებითი სანერგეები მოწყობილია 4,5 ჰა ფართობზე (7 რეგიონში). გამოყვანილი ნერგები გამოყენებული იქნება ნახანძრალი ტერიტორიის აღდგენისათვის. 100,0 ჰა-ზე განხორციელებულია ტყის აღდგენის ღონისძიებები; 30,0 ჰა-ზე გაშენებულია სწრაფმზარდი პლანტაციები, რითაც მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება საშეშე მერქნით, სარებით, ჭიგოებით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სავარაუდოდ ყოველწლიურად დარგული 500 000 ცალი ნერგი (იმერული მუხა, მაღალმთის ნეკერჩხალი, მაღალმთის მუხა, წაბლი და ა.შ.) და 75-დან 100 ჰა-მდე გაშენებული ტყე; საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს დამატებით 80 ჰა-ზე გაშენებული პლანტაცია (დარგვიდან მე-4 წელს მიღებული დაახლოებით 44,8 ათ. კბმ მერქნული რესურსი). მათ შორის 2017 წელს - 31 ჰა (დარგვიდან მე-4 წელს მიღებული დაახლოებით 100 000 ცალი ჭიგო (სარი));<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, გახარების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (65%-ზე ქვემოთ)<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მოსახლეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციების მერქნულ რესურსებზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით 2014-2016 წლების მდგომარეობით მოწყობილი/რეაბილიტირებულია გამოყოფილ ტყეკაფებამდე მისასვლელი 235.8 კმ სატყეო-სამეურნეო გზა, 2017 წელს დაგეგმილია დაახლოებით 100 კმ-მდე გზის მოწყობა/რეაბილიტაცია; სააგენტო ყოველწლიურად ამზადებდა დაახლოებით 10 000 კბმ. მერქნულ რესურსს აუქციონის წესით რეალიზაციის მიზნით, 2017 წლის ბოლომდე მოსალოდნელია 65 000 კბმ დამზადება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის მიზნით, მოწყობილი/რეაბილიტირებული სატყეო-სამეურნეო გზები სავარაუდო სიგრძით 140 კილომეტრამდე. მოწყობილ/რეაბილიტირებული ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების 70% დასაგეგმი წლის პირველი აგვისტოსთვის, ხოლო მოცემული წლის 1 სექტემბერს შესრულებული დაგეგმილი სამუშაოების სრული მოცულობა. სრულად უზრუნველყოფილი ხელმისაწვდომობა ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე (600,0 ათ. კბმ-დან 700,0 ათ. კბმ-მდე); სააგენტოს მიერ ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დაცვით დამზადებული და რეალიზებული 60 000 კბმ-მდე მერქნული რესურსი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, გზების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის საჭირო სპეციალური ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა; ბაზრის მოთხოვნის შემცირება, ეკონომიკური სტაბულურობის დაბალი მაჩვენებელი<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოძველებულია და არ ასახავს ფაქტიურ |

| | |
|---|---|
| | მდგომარეობას. ტყის მართვის განახლებული გეგმები შედგენილია მხოლოდ 8 სატყეო უბნისათვის (35 სატყეო უბნიდან), რაც არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის 17,5%-ს შეადგენს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** ტყის მართვის გეგმები ყოველწლიურად დამატებით 2 სატყეო უბნისათვის (მათ შორის 2018 წ. დასრულებული - ლენტეხი, ცაგერი - 130,0 ათ. ჰა და დაწყებული ამბროლაურის სატყეო უბნის ინვენტარიზაცია (პირველი ეტაპი-81,1 ჰა )). საერთო ჯამში განახლებული ტყის მართვის გეგმა საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსთვის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 45,8%-ზე;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5-10%;<br>**შესაძლო რისკები -** სამუშაოთა სპეციფიკაციის გათვალისწინებით მცირეა იმ ფირმების რაოდენობა, რომელიც მონაწილეობას იღებენ ტენდერებში. დაბალი კონკურენტუნარიანი გარემო |

| **გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (38 01)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;<br><br>ქვეყანაში გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების მიზნით, გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი შეფასებითი და სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება;<br><br>გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის სრულყოფა საერთაშორისო ვალდებულებებთან ჰარმონიზების მიზნით; სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურების ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვა;<br><br>სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის დანერგვა; ტრანსსაზღვრო პროცედურების შემოღება; საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების შემოღება, ორჰუსის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად;<br><br>გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე ობიექტების ამსახველი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, წინასწარი და მოსალოდნელი რისკების კომპლექსურად დადგენა;<br><br>გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და გარემოს დაცვის ნორმების გათვალისწინებით, ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობებზე შესაბამისი საექსპერტო დასკვნების მომზადება;<br><br>ევროკავშირის მოთხოვნებისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება |

| | |
|---|---|
| | ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების მართვის, ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში;<br><br>ნარჩენების, ქიმიური ნივთიერებების, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ბიომრავალფეროვნების სახელმწიფო მართვა; კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა; მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა;<br><br>სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანაგარიშების განხილვა, დამტკიცება და სახელმწიფო ბალანსზე აყვანა;<br><br>მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ზომების მიღება, ნაყოფიერების აღდგენისა და შენარჩუნების ღონისძიებები;<br><br>მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან დაბინძურების წყაროების და მათი გაფრქვევების ინვენტარიზაციის თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვის გზით;<br><br>ოზონდამშლელი ნივთიერებების (ოდნ-ების) მოხმარების ეტაპობრივად შემცირების და საბოლოოდ შეწყვეტის მიზნით, მათი მოხმარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება;<br><br>გარემოზე ზემოქმედების შეფასების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაგეგმილი საქმიანობების შესწავლა და დასაბუთებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება;<br><br>ეფექტური გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გარემოზე ზემოქმედების გამომწვევი ფაქტორების ამსახველი ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა;<br><br>საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ჩატარება, სახელმწიფო, არასამთავრობო, ბიზნეს და საერთაშორისო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება, ასევე ყველა დაინტერესებული მხარეებისათვის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;<br><br>ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული მცენარეთა და ცხოველთა (მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების) აღრიცხვის და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;<br><br>წითელი ნუსხის მიღმა დარჩენილი ცხოველთა სახეობების მდგომარეობის შეფასება, სანადირო სახეობებად განსაზღვრისა და რიგ შემთხვევაში დაცვის უფრო ქმედითი ზომების დანერგვა; |

| | |
|---|---|
| | თეთრყვავილას შერჩეულ პოპულაციებზე საბაზისო ინფორმაციის მოძიება მოპოვების ზეგავლენის დადგენის მიზნით, რომელიც რესურსის მდგრადი მოპოვების კვოტების დადგენის საშუალებას იძლევა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა;<br><br>კანონმდებლობის რეგულაციის ქვეშ მოქცეული ყველა ის საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვან მავნე ზემოქმედებას ახდენს გარემოზე; ეფექტური გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი ერთიანი ელექტრონული სისტემა;<br><br>ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის, ასევე ბიომრავალფეროვნების დაცვის გაუმჯობესება ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის გზით;<br><br>კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;<br><br>ეტაპობრივად შემცირებული მიწის დეგრადაციის მასშტაბები; სახელმწიფო ბალანსზე არსებული წიაღის დაზუსტებული რაოდენობა;<br><br>საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებზე, გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართული საზოგადოება;<br><br>ცხოველთა, მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების საწყის მონაცემთა განახლებული ბაზა, საქართველოს ფლორისა და ფაუნის სახეობათა გავრცელების არეალის მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი საკონსერვაციო/აღდგენის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მიღებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რომლიც ამოქმედდება 2018 წლიდან. ტრანსასაზღვრო პროცედურების განხორციელების კუთხით ამჟამად რეგულირება არ არსებობს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ახალი კანონის შესაბამისად დანერგილი გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების გამჭვირვალე პროცედურები, უზრუნველყოფილი ზემოაღნიშნულ პროცედურებში საზოგადოების მონაწილეობის მაღალი სტანდარტი, შემოღებული სტრატეგიული დაგეგმარების ახალი ინსტრუმენტი - სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება; ობიექტებზე, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ |

| | |
|---|---|
| | ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედების ვადების გადაწევა;<br>**შესაძლო რისკები** - შეთანხმების პროცედურების შეფერხება<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა წყლის რესურსების მართვის, წყლისა და ჰაერის ხარისხის რეგულირების, მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტების კუთხით არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს; 2017 წელს საქართველო მიუერთდა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმება ავალდებულებს კონვენციის მხარე ქვეყნებს 2019 წლის ბოლომდე მოამზადონ და კლიმატის ცვლილების გაეროს ჩარჩო კონვენციის სამდივნოს წარუდგინონ „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განახლებული დოკუმენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შექმნილი წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების დანერგვისათვის აუცილებელი სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლები, მიღებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული მთელი რიგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რეგულირების მიზნით შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტები, ჰაერის დამაბინძურებლებთან მიმართებაში შემოღებული ჰაერის ხარისხის შეფასების ახალი სტანდარტები; შეფასებული ეკონომიკის სექტორებიდან „სათბურის გაზების“ არსებული ემისიები და ემისიების პროგნოზი 2030 წლის ჩათვლით, ასევე შეფასებული „სათბურის გაზების ემისიის შემცირების პოტენციალი. მომზადებული „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების სამოქმედო გეგმა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების მიღების ვადების გადაწევა;<br>**შესაძლო რისკები** - შეთანხმების პროცედურების შეფერხება<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ლიცენზიანტი საბადოს დამუშავების დაწყებამდე სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესახებ ანგარიშს დასამტკიცებლად წარუდგენს სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიას, მინისტრის ბრძანების საფუძველზე ხდება მარაგის სახელმწიფო ბალანსზე აყვანა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო ბალანსზე აყვანილი საშუალოდ 24 ერთეული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში წელიწადში;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ლიცენზიანტის მიერ ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მიღებულია ,,ნარჩენების მართვის კოდექსი“ რომელიც მოქმედებს 2015 წლის იანვრიდან. თუმცა, ჯერჯერობით სრულად არ არის შემუშავებული კოდექსის სრული იმპლემენტაციისათვის აუცილებელი მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები; დღეისათვის საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემა და არც ამის სამართლებრივი ვალდებულება არსებობდა კოდექსის მიღებამდე. მუნიციპალიტეტების ვალდებულებაა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმები; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - შემუშავებული ნარჩენების კოდექსის სრული იმპლემენტაციისათვის აუცილებელი მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები ნარჩენების მართვის სფეროში; მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებისათვის ჩატარებული სწავლებები მუნიციპალური ნარჩენების გეგმების შემუშავების ხელშეწყობისათვის; შეთანხმებული ყველა მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%;<br>**შესაძლო რისკები** - კანონის და კანონქვემდებარე აქტების შემუშავება საჭიროებს ექსპერტულ დახმარებას. შეთანხმების პროცედურების შეფერხება<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - აღინიშნება ყველა გარემოსდაცვითი მწვანე თარიღი, ეწყობა თემატური შეხვედრები, მზადდება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ვრცელდება ვიდეო-რგოლები, პრომო ვიდეოები და სხვა. ეწყობა საინფორმაციო ეკო და მედია ტურები და პრეზენტაციები;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - აღინიშნება ყველა გარემოსდაცვითი მწვანე თარიღი, მოწყობილი 20-მდე თემატური შეხვედრა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მაღალი ჩართულობა გარემოსდაცვითი თარიღების აღნიშვნისა და პოპულარიზაციის მიზნით. ყოველწლიურად მომზადებული და გავრცელებული 4-5 საინფორმაციო მასალა (ვიდეო-რგოლები; პრომო ვიდეოები და სხვა). სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების აქტუალურობიდან გამომდინარე, ყოველწლიურად გამოყოფილი 3-მდე პრიორიტეტის ფარგლებში მომზადებული საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა სახის 10-მდე ღონისძიება - საინფორმაციო ეკო და მედია ტურები და პრეზენტაციები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - გარემოსდაცვითი მწვანე თარიღისთვის ღონისძიებების ორგანიზების თვალსაზრისით შექმნილი ხარვეზები; საზოგადოების დაბალი ინტერესი<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ამ ეტაპზე შეუძლებელია ქვეყნის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის დაზუსტებით შეფასება; მონაცემების შეგროვებას სახეობების, ჰაბიტატებისა და ეკოსისტემების შესახებ არ აქვს სისტემატური ხასიათი; ირმის (Cervus elaphus maral), როგორც გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობის სრულყოფილი პოპულაციების აღდგენისათვის აღწარმოების ღონისძიებებია გასატარებელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეფასებული ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მცენარეთა სახეობების პოპულაციები და დადგენილი მდგრადი მოპოვების კვოტები. ირმის ხელოვნური აღწარმოების პროგრამისა და გეგმის მიხედვით შერჩეულ ტერიტორიებზე გაშვებული გამრავლების ცენტრში გამოყვანილი სულ მცირე, 10 ინდივიდი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - მხარეებს შორის შეთანხმების პროცედურების შეფერხება, ირმის სადედე ინდივიდების მოპოვების გაძნელება, დაავადებების გავრცელება |

| ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (38 07) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, სააგენტოს მიერ სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის განხორციელება;<br><br>რადიოაქტიური მასალების, მაიონებელი გამოსხივების გენერატორების, რადიოაქტიური ნარჩენების, მათი მფლობელი ორგანიზაციების და პროფესიული დოზების უწყებრივი რეესტრის განახლება და მისი წარმოება;<br><br>რადიოაქტიური ნარჩენების მართვა;<br><br>საქართველოში გარემოს რადიაციული მდგომარეობის მონიტორინგი და კონტროლი;<br><br>ბირთვული და რადიაციული ავარიის, ინციდენტის, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე რეაგირება;<br><br>ქვეყანაში არსებული რადიაციული მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის მომზადება;<br><br>ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ავტორიზაცია;<br><br>ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ინსპექტირების განხორციელების გზით. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო მოთხოვნებთან და სტანდარტებთან;<br><br>რადიოაქტიური ნარჩენების გაუმჯობესებული მართვის სისტემა;<br><br>ელექტროენერგიით, წყლით, ფიზიკური დაცვის სისტემითა და აღჭურვილობით მოწესრიგებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი;<br><br>შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა; |

| | |
|---|---|
| | მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან  დაცული მოსახლეობა  და გარემო;<br><br>დაუსაბუთებელი დასხივებისგან დაცული სამედიცინო პერსონალი და პაციენტები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს რეგიონებში (გურია, აჭარა) მიმდინარეობს და წლის ბოლომდე გაგრძელდება რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს რეგიონებში (იმერეთი, სამცხე ჯავახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, გრიგოლეთი, სამეგრელო, ტყიბული, ჭიათურა) განხორციელებული რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - მონიტორინგისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის გაუმართაობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით არსებობს დაცული მცხეთის რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავი და სააკაძის რადიოქტიური ნარჩენების სამარხი, რომელიც მიმდინარე პერიოდისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი დაცვითი სისტემით და აღჭურვილობით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ინფრასტრუქტურულად გამართული, ფიზიკური დაცვის სისტემებით უზრუნველყოფილი რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების 2 ლოკაცია;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - ტექნიკური ხასიათის შეფერხებები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოების განხორციელებაში<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2016 წლის 04 იანვარს შეიქმნა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შესაბამისი საკანონმდებლო აქტები დამტკიცებულია პარლამენტის მიერ 2015 წლის 11 ნოემბერს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული სახელმწიფო კონტროლი, შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა, გაუმჯობესებული რადიოაქტიური ნარჩენების მართვა, დამტკიცებული და ძალაში შესული ამ სფეროში რიგი საკანონმდებლო აქტები |

| **გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (38 06)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განთლების ცენტრი |

| | |
|---|---|
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;<br><br>გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით;<br><br>გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის - საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინაციის უზრუნველყოფა;<br><br>მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების უზრუნველყოფა;<br><br>მონაცემების სისტემატიზაციის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით გარემოსდაცვით მონაცემთა სისტემის შექმნა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის და ანალიტიკური ანგარიშების მომზადებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის მიწოდების მოქნილი მექანიზმის უზრუნველყოფა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება;<br><br>შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით გარემოს დაცვის საკითხებისადმი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შეცვლილი ქცევა;<br><br>სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზების გზით გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების გაძლიერებული შესაძლებლობები;<br><br>შექმნილი გარემოსდაცვითი ერთიანი მონაცემთა ბაზა. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | **1.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით 2017 წლის ბოლომდე მოეწყობა 70-მდე გარემოსდაცვითი ღონისძიება, სადაც მონაწილეობას მიიღებს 2 000-მდე ადამიანი. მათ შორის 600-მდე მოსწავლე და სტუდენტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შენარჩუნებული საბაზისო მაჩვენებელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 2%;<br>**შესაძლო რისკები** - საზოგადოების დაბალი ინტერესი და ჩართულობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის ბოლომდე ცენტრის მიერ დაგეგმილ საჯარო დისკუსიებში მონაწილეობას მიიღებს 500-მდე ადამიანი, წლის მანძილზე შედგება 20-ზე მეტი შეხვედრა სხვადასხვა გარემოსდაცვითი აქტივობის ფარგლებში; |

| | |
|---|---|
| | **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო დისკუსიებში ყოველწლიურად მონაწილეობას მიიღებს 400-ზე მეტი ადამიანი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - საზოგადოების მხრიდან ნაკლების ინტერესის გამოხატვა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2017 წლის ბოლომდე ტრეინინგებს გაივლის 200-ზე მეტი თანამშრომელი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთათვის ჩტარებული ტრეინინგები, წლიურად საშუალოდ 300-მდე გადამზადებული თანამშრომელი;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ტრეინინგ/მოდულების მოსამზადებლად და ტრეინინგების ორგანიზებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების სიმცირე<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - შეიქმნა და ამ ეტაპზე სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს ნარჩენების ანგარიშგების ელექტრონული სისტემა. მიმდინარეობს ექსპერტთა ელექტრონული ბაზის შექმნა, გაკეთდა გარემოს დაცვის სფეროში, პროექტების ფარგლებში არსებული ექსპერტების რეესტრი. მიმდინარეობს რეესტრების ფორმების უნიფიცირება და შევსება შესაბამისი მონაცემებით. შექმნილია გარემოსდაცვითი ლიტერატურის ნუსხა, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - შექმნილი ნარჩენების ანგარიშგების ელექტრონული სისტემა, შექმნილი და განახლებული ერთიანი გარემოს საინფორმაციო/ცოდნის მართვის სისტემა, განახლებული ექსპერტთა ელექტრონული ბაზა, მოქმედი და განახლებული გარემოსდაცვითი ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - კვალიფიციური კადრის სიმცირე; კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით და/ან არაჯეროვნად შესრულება |

| ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 05) | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის მიზნით მაღალი ხარისხის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხემცენარეების გამოყვანა;<br><br>მიწების ეროზიისა და გამოფიტვის პრობლემების, ასევე სხვადასხვა სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით, მაღალი ხარისხის ნერგების გამოყვანა და ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განაშენიანებისათვის, შესაბამისი სახეობების მაღალი ხარისხის ნერგების გამოყვანა; |

| | |
|---|---|
| | ქალაქების და დასახლებული პუნქტების პარკებისა და სკვერების გამწვანების მიზნით შესაბამისი დეკორატიული ხე-მცენარეების ნერგების გამოყვანა (როგორც ღია გრუნტში, ისე კონტეინერებში);<br><br>ტყის ჯიშთა სარგავი მასალის გამოყვანისათვის ტრადიციული მეთოდისა (ღია გრუნტში) და ასევე კონტეინერული მეთოდის (სასათბურე მეურნეობაში) გამოყენება;<br><br>საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილი ადგილობრივი მოწყვლადი ორნიტოფაუნისა და იხტიოფაუნის წარმომადგენელთა სახეობების შენარჩუნების და გამრავლების ღონისძიებები;<br><br>საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი 56 დასახელების მცენარის ნერგების გამოყვანა, ქვეყნის მასშტაბით საქართველოს ფლორის იშვიათი სახეობების სადედე და პლიუსური ხეების მოძიება, თესლების, კალმების და ფესვის ნაბარტყის დამზადება;<br><br>უცხოეთიდან შემოტანილი მაღალი ხარისხის სადედე კაკლისა და ნუშის ნერგებიდან აჭრილი კვირტების მეურნეობის მიერ გამოყვანილ ძირებზე დამყნობის ღონისძებები, შემდგომში მათი ადგილზე წარმოების მიზნით;<br><br>ტყის ფართობების გასუფთავების და შეშის ალტერნატიული სათბობის შექმნის მიზნით ტყის მერქნული ნარჩენების გადამუშავება და საწვავი ბრიკეტების წარმოება. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის, ქარსაფარი და ნაპირსამაგრი ზოლების შექმნისათვის გამოყვანილი საჭირო ნერგების ოდენობა; აღდგენილი ქარსაფარი ზოლები, სახნავ-სათესი მიწების ეროზიისა და გამოფიტვის გადაჭრილი პრობლემები და შედეგად თავიდან აცილებული სხვადასხვა სახის შესაძლო სტიქიური მოვლენები;<br><br>დამყნობილი სადედე, სათელე და სანაყოფე კაკალნაყოფიანების ნერგებით გაშენებული პლანტაციები.<br>შეშის ალტერნატიული სათბობით - საწვავი ბრიკეტებით ეტაპობრივად დაკმაყოფილებული მომხმარებელი (მ.შ. სკოლები);<br><br>საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შემავალი 56 სახეობის მცენარეთა საჭირო ოდენობით გამოყვანილი და მოვლილი ნერგები, შესრულებული სახელმწიფო და კერძო მოთხოვნები;<br><br>„საქართველოს წითელ ნუსხაში“ შეტანილი და ადგილობრივი მოწყვლადი ორნიტოფაუნისა და იხტიოფაუნის წარმომადგენელთა გამრავლებული სახეობები და მათთვის ბუნებრივ გარემოში გამრავლებისათვის შექმნილი პირობები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1. |

| | |
|---|---|
| | **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო ტყის ფონდის გაზრდის მიზნით გამოყვანილი 2,0 მლნ ნერგი; ქარსაფარი და ნაპირსამაგრი სახეობების 200.0 ათასამდე გამოყვანილი ნერგი, ქალაქების და დასახლებული პუნქტების პარკებისა და სკვერების გამწვანების მიზნით გამოყვანილი ურბანული გამწვანებისათვის საჭირო დეკორატიული ხე-მცენარის 200.0 ათასამდე ნერგი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად წინა წელთან შედარებით 20%-ით გაზრდილი გამოყვანილი ნერგების რაოდენობა; 20%-ით გაზრდილი ქარსაფარი და ნაპირსამაგრი სახეობების, ასევე ურბანული გამწვანებისათვის საჭირო დეკორატიული და ხე-მცენარეების ნერგების რაოდენობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, სტიქიური მოვლენები, ნერგების გახარების დაბალი (65%-ზე ქვემოთ) მაჩვენებელი<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 1,3 ჰა.-ზე გამოყვანილია კაკლისა და ნუშის საძირეები. იგეგმება სერტიფიცირებული სადედე კაკლისა და ნუშის ნერგების უცხოეთიდან შემოტანა და მეურნეობის ტერიტორიაზე გამოყვანილ ძირებზე დამყნობა;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად 40-50%-ით გაზრდილი მეურნეობის მიერ გამოყვანილი ნამყენი ნერგის რაოდენობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, ნერგების გახარების დაბალი (65%-ზე ქვემოთ) მაჩვენებელი<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - 2017 წლის ბოლომდე დაგეგმილია სატესტო რეჟიმში 300 ტონა სათბობი ბრიკეტის პროდუქციის წარმოება;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად წინა წელთან შედარებით წარმოებული პროდუქციის 20 %-ით გაზრდილი მოცულობა (450-დან 780 ტონამდე);<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - საამქროს შეფერხებით მუშაობა, ტექნიკური გაუმართაობა და სხვა<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - ხორციელდება წინა წლებში გამოყვანილი ნერგების მოვლითი სამუშაოები, 2016 წელს გამოყვანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი 8 სახეობის 149 000 ერთეული ნერგი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოყვანილი წითელ ნუსხაში შემავალი 56 (სრული) სახეობის ნერგები (ჯამში 650 000 ცალი), გამოყვანილი ნერგების ბუნებაში გადატანა, გარემოდან ამოღებული ინდივიდების შევსების მიზნით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - კლიმატური პირობები, სტიქიური მოვლენები, ნერგების გახარების დაბალი (65%-ზე ქვემოთ)<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - იშვიათი ქათმისებრთა ოჯახის სახეობების რაოდენობა გაიზარდა ხუთამდე (კაკაბი, ხონთქრის ქათამი, კოლხური ხოხობი, გნოლი და დურაჯი). მოწყობილი ინფრასტრუქტურა "წითელ ნუსხაში" შეტანილი ენდემური |

| | |
|---|---|
| | ჯიშის ფრინველთა (კაკაბი) გამრავლებისთვის, შეძენილი ინკუბატორი და ასევე სადედე ეგზემპლარები (35 წყვილი კაკაბი). წლის ბოლომდე ბუნებაში გაშვების მიზნით გამოყვანილი 4 000 ერთეული კაკაბი და 300 ერთეული კოლხური ხოხობი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად, წინა წელთან შედარებით გამოყვანილი სახეობების გაორმაგებული რაოდენობა. ნამატის ბუნებრივ გარემოში გაშვების ყოველწლიური ზრდა (20-25%-ით), რაც შესაძლებელს გახდის ადგილობრივი იშვიათი ორნიტოფაუნის წარმომადგენელთა სტატუსის გაუმჯობესებას;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10-15%;<br>**შესაძლო რისკები** - ეპიდემია, კლიმატური პირობები, რაც პირდაპირ კავშირშია კვერცხის დებასთან<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - მეურნეობის ტერიტორიაზე მოწყობილია 5000 კბმ ტბორი საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი იხტიოფაუნის წარმომადგენელთა გასამრავლებლად, დაწყებულია მილიონ ლიფსიტზე და 1000-1200 სადედე კალმახზე გათვლილი თანამედროვე საკალმახის ინფრასტრუქტურის მოწყობა. გამოყვანილია საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი 300-400 ერთეული ნაკადულის კალმახის სადედე ეგზემპლარი და 200 000-მდე ნაკადულის კალმახის ლიფსიტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - მილიონ ლიფსიტზე და 1000-1200 სადედე კალმახზე გათვლილი თანამედროვე საკალმახის მოწყობილი ინფრასტრუქტურა; წინა წელთან შედარებით 4-ჯერ გაზრდილი ნაკადულის კალმახის სადედე ეგზემპლარი. ყოველწლიურად ნამატის ბუნებრივ გარემოში გაშვების 20-25%-ით ზრდა წინა წელთან შედარებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5-10%;<br>**შესაძლო რისკები** - სტიქიური მოვლენები, ეპიდემია |

| **გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა (38 08)** | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი** | სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო |
| **პროექტის აღწერა და მიზანი** | საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც სტანდარტული, ასევე სპეციალიზებული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის გაფართოება: რადარული და აეროლოგიური დაკვირვებების აღდგენა, ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ბაზების სრულყოფა;<br><br>ამინდის და ჰიდროლოგიური პროგნოზების ხარისხის ამაღლება და მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ დროული და ეფექტური გაფრთხილებების მომზადება და გავრცელება;<br><br>გეოლოგიური მონიტორინგი (გაზაფხული–შემოდგომა) და ფორს-მაჟორულ სიტუაციაში სტიქიური გეოლოგიური |

| | |
|---|---|
| | პროცესების შეფასების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე საინფორმაციო ბიულეტენის შედგენა; თბილისის ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი და სხვა) ზონირების რუკის შედგენა, რომელიც მომავალში იქნება ქალაქის დაგეგმარების და მდგრადი მართვის ერთ-ერთი საფუძველი; მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი; გეოლოგიური აგეგმვა;<br><br>ინერალური რესურსების მართვა;<br><br>გარემოს დაბინძურების დონის შეფასებისათვის დღეს არსებული მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება რეალური ეკოლოგიური მდგომარეობის დასადგენად. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გამზომი ხელსაწყოების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა. გარემოს დაბინძურების დონის შეფასება და მონიტორინგი გაუმჯობესებული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და წყლისა და ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგის გაფართოებული დაკვირვების ქსელით;<br><br>საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს და შიგა წყალსატევების პოპულაციათა სტრუქტურული ანალიზი, მარაგების შეფასება და სარეწაო პროგნოზირება. იქთიოლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, მიკრობიოლოგიური, ზღვის ძუძუმწოვრების და ასოცირებული ფაუნის კვლევა და მონიტორინგი. თევზჭერისა და საქართველოს თევზმჭერი ფლოტის სტატისტიკური ანალიზი;<br><br>ცალკეული წყალსატევებისა და მათი უბნების გარემოსდაცვითი სტატუსის განსაზღვრა - ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) და ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) მოთხოვნათა შესაბამისად. თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების კონსერვაციული სტატუსის შეფასება;<br><br>აქვაკულტურის, მარიკულტურის და მდგრადი მეთევზეობის დანერგვის ხელშეწყობა. |
| **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი** | ამინდის და ჰიდროლოგიური პროგნოზების გაუმჯობესებული ხარისხი, თავიდან აცილებული /შერბილებული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგები;<br><br>გეოლოგიური სტიქიის გართულებების თავიდან აცილებისათვის შექმნილი ადრეული გაფრთხილების საიმედო სისტემა;<br><br>გეოლოგიური სტიქიისაგან მაქსიმალურად დაცული საქართველოს მოსახლეობა და ინფრასტრუქტურული ობიექტები. მიწისქვეშა მტკნარ სასმელ წყლებზე მონიტორინგული კვლევებისათვის აღდგენილი სახელმწიფო ჰიდროლოგეოლოგიური ქსელი;<br><br>გამოცემული საინფორმაციო ბიულეტენი, 1:200000 მასშტაბის გეოლოგიური რუკების კომპლექტი, ელექტრონული |

| | |
|---|---|
| | ვერსიაში გადაყვანილი გეოლოგიური ინფორმაცია და შესაბამისი გეოლოგიური ანგარიში;<br><br>გეოლოგიური ფონდების ელექტრონულ ვერსიაში არსებული, სრულყოფილი ქვეყნის მინერალური რესურსული ბაზა და ამ კუთხით გაუმჯობესებული საინვესტიციო გარემო; სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტები;<br><br>ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების დადგენილი ხარისხი; შეძენილი და დამონტაჟებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის ახალი სადგურები;<br><br>გამოკვლეული იქთიოლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, მიკრობიოლოგიური, ზღვის ძუძუმწოვრები და ასოცირებული ფაუნა;<br><br>ყველა მნიშვნელოვანი წყალსატევისა და მათი უბნების განსაზღვრული გარემოსდაცვითი სტატუსი და ამ სტატუსის შესახებ ინფორმირებული მოსახლეობა; დამტკიცებული თევზჭერის კვოტები. |
| **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები** | 1.<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არასაკმარისი სტანდარტული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტების (სადგურების, საგუშაგოების) რაოდენობა; ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების სამუშაოების (აეროლოგიური დაკვირვებები) არწარმოება, რადარული მეტეოროლოგიური დაკვირვებებით გაუშუქებელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, დაბალი ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სივრცული და დროითი გარჩევადობა, ისტორიული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიის სახით;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაფართოებული სტანდარტული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების ქსელი (ყოველწლიურად 10 ერთეული მეტეოროლოგიური და 10 ერთეული ჰიდროლოგიური სადგურების შეძენა, დამონტაჟება და გამართვა). აღდგენილი ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების სამუშაოები (2 ერთეული აეროლოგიური კომპლექსის შეძენა, დამონტაჟება და გამართვა). გაფართოებული ექსპედიციური ჰიდრომეტეოროლოგიური სამუშაოები (მდინარეებზე წყლის ხარჯის გაზომვა, ჰიდრომეტრული, ტოპოგრაფიული და გლაციოლოგიური სამუშაოები,). ამინდის და ჰიდროლოგიური პროგნოზების გაზრდილი სივრცითი და დროითი გარჩევადობა. ისტორიული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის დასრულებული სამუშაოები;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - მეტეოროლოგიური სადგურების შეძენაზე 10%; ჰიდროლოგიური სადგურების შეძენაზე 10%; აეროლოგიური კომპლექსების შეძენაზე 50%; ექსპედიციური ჰიდრომეტეოროლოგიური სამუშაოების კუთხით 20%. ქაღალდის მატარებელზე არსებული ისტორიული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის კუთხით 10%; |

| | |
|---|---|
| | **შესაძლო რისკები -** შესაძენი ხელსაწყო-დანადგარების ფასების შესაძლო გაძვირება; სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირის გაზრდის შემთხვევაში გეგმით გაუთვალისწინებელი ექსპედიციური სამუშაოების წამოების აუცილებლობის შედეგად შრომითი რესურსების უკმარისობა; საქართველოს ტერიტორიაზე რთული (ძნელადპროგნოზირებადი) ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების განვითარება, ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვრვების პუნქტების უკმარისობა; ჰიდრომეტეოროლოგიურ ინფორმაციულ მომსახურებაზე მომხმარებლების მიერ მოთხოვნილი სამუშაოების მოცულობების გაზრდის გამო შრომითი რესურსების უკმარისობა<br>**2.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი და ფორსმაჟორულ სიტუაციაში მათი ოპერატიული შეფასება; მიმდინარეობს კვლევები თბილისის ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოდინამიკური ზონირების რუკის შედგენის მიზნით; მიწისქვეშა წყლების მონიტორინგისათვის სადამკვირვებლო წყალპუნქტების რაოდენობა შეადგენს 51 ერთეულს; განახლებულია გეოლოგიური რუკების კომპლექტი და ელექტრონულ ვერსიაში გადაყვანილია გეოლოგიური ინფორმაციის 70%; მზადდება წლიური ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები შესაბამისი რეკომენდაციებით; ყოველწლიურად მზადდება 1 100 გეოსაინფორმაციო პაკეტი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 8%-ით გაზრდილი დასახლებული პუნქტების გეოლოგიური მონიტორინგის არეალები; 4%-ით გაზრდილი ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების ოდენობა; თბილისის ტერიტორიის ფარგლებში 100%-ით შესრულებული საინჟინრო-გეოდინამიკური რუკა; 20 ერთეულით გაზრდილი მიწისქვეშა წყლების მონიტორინგული სადამკვირვებლო წყალპუნქტების რაოდენობა; ელექტრონულ ვერსიაში სრულად გადაყვანილი გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაცია; 3%-ით გაზრდილი გეოსაინფორმაციო პაკეტების რაოდენობა;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -** 5%;<br>**შესაძლო რისკები -** შესრულებული სამუშაოების რაოდენობა დამოკიდებულია გეოლოგიური სტიქიის აქტიურობის ხარისხზე და კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობაზე; გამზომი ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლა<br>**3.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი -** ზედაპირული წყლების (მდინარეებისა და ტბების) მონიტორინგის წერტილების არსებული რაოდენობა - 158; დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ტარდება ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი - 45; ქ. ქუთაისსა და ჭიათურაში ჰაერის დაბინძურების კონტროლი აღწევს 50%-ს, ხოლო ბათუმსა და რუსთავში - 30%-ს. ინდიკატორული გაზომვები ტარდება საქართველოს 20 დასახლებულ პუნქტში; ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურა 50%-ით შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი -** 15%-ით გაზრდილი ზედაპირული წყლების (მდინარეებისა და ტბების) მონიტორინგის წერტილები (158 წერტილიდან 181 წერტილამდე); 22%-ით გაზრდილი ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგის პუნქტი (45-დან 55 დასახლებულ პუნქტამდე), შეფასებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონე საქართველოს 25 დასახლებულ პუნქტში; ქალაქ ქუთაისში, რუსთავში, ბათუმსა და ჭიათურაში ავტომატური სადგურის მეშვეობით განხორციელდებული 100%-იანი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი. ატმოსფერული ჰაერის, წყლისა |

| | |
|---|---|
| | და ნიადაგის ლაბორატორიის და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებისადმი 100%-იანი შესაბამისობის შენარჩუნება;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 5%;<br>**შესაძლო რისკები** - არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები, ან გამზომი ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლა. ინდიკატორული გაზომვების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს მილაკების დაზიანება/დაკარგვის გამო ან ტექნიკური შეუსაბამობის მიზეზით<br>**4.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - არ არის საკმარისი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე და შიგა წყალსატევებში არსებული ბიოლოგიური მონიტორინგის სიხშირე და პუნქტების რაოდენობა, არ წარმოებს ბიოლოგიური მონიტორინგის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პარამეტრის ანალიზი;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელებული იქთიოლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, მიკრობიოლოგიური, ზღვის ძუძუმწოვრების და ასოცირებული ფაუნის (წყლის ფრინველები, წავი, ნუტრია, წყლის ქვეწარმავლები, ამფიბიები და სხვა) კვლევა და მონიტორინგი - საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს და შიგა წყალსატევების ყველა მნიშვნელოვან ლოკალიტეტზე, სათანადო სიხშირითა და ყველა მნიშვნელოვანი პარამეტრის გაანალიზებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსების შესაძლო უკმარისობა<br>**5.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - არ წარმოებს წყალსატევებისა და მათი უბნების გარემოსდაცვითი სტატუსის განსაზღვრა - ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) და ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) მოთხოვნათა შესაბამისად, მოსახლეობის ინფორმირება სანაპიროსა და შიგა წყალსატევების გარემოსდაცვითი სტატუსის შესახებ;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი წყალსატევსა და მათი უბნებზე განსაზღვრული გარემოსდაცვითი სტატუსი - ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) და ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) მოთხოვნათა შესაბამისად, ინფორმირებული მოსახლეობა სანაპიროსა და შიგა წყალსატევების გარემოსდაცვითი სტატუსის შესახებ;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსების შესაძლო უკმარისობა<br>**6.**<br>**საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს და შიგა წყალსატევების თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების რესურსების შეფასება და სარეწაო პროგნოზირება სრულად მიმდინარეობას მხოლოდ ძირითად სარეწაო ობიექტის - ქაფშიის შემთხვევაში;<br>**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს და შიგა წყალსატევების თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების შეფასებული რესურსი და სარეწაო პროგნოზი - წარმოებული ევროკავშირის საერთო მეთევზეობის პოლიტიკის (Common Fisheries Policy (CFP)), ხმელთაშუაზღვის მეთევზეობის კომისიის (GFCM) და შავი ზღვის კომისიის |

| | |
|---|---|
| | (BSC) მოთხოვნების/რეკომენდაციების შებამისად, ექოსაუნდერის და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით;<br>**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)** - 10%;<br>**შესაძლო რისკები** - ადამიანური რესურსების შესაძლო უკმარისობა |